

ქართული
ETER MAMULIA

თურქულ-ქართული ზრავთმცოდნეობის
ლექსიკონი

TÜRKÇE-GÜRCÜCE DEYİMLER
SÖZLÜĞÜ



ლექსიკონი დაბეჭდილია თურქეთის თანამშრომლობისა და აღორძინების
ადმინისტრაციის (TİKA) ფინანსური ხელშეწყობით.

Bu Sözlük T.C. Başbakanlık Türk İşbirliği ve Kalkınma İdaresi
Başkanlığı'nın (TİKA) Maddi Desteği ile basılmıştır.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

Gürcüstan Bilimler Akademisi
Akademisyen G. Tsereteli Doğu Bilimler Enstitüsü

ეთერ მამულია

თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური
ლექსიკონი

ETER MAMULIA
TÜRKÇE - GÜRCÜCE DEYİMLER
SÖZLÜĞÜ

გამომცემლობა „ცისარტყელა“

თბილისი 2006 Tbilisi

რედაქტორი: ლია ჩლაიძე

Redaktörü: Lia Çlaidze

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა
„ცისარტყელას“ კომპიუტერულ ცენტრში.

: დამკაბადონებლები: ლაშა მათიაშვილი
ლელა ჩაფიჩაძე

ISBN 99940-58-09-6

© ეთერ მამულია

ედევნება აკადემიკოს სერგი ჯიქიას ნათელ ხსოვნას

Akademisyen Sergi Cikia'nın anısına ithaf olunur

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდი მასში შემავალი სიტყვებისა და ფრაზოლოგიზმების ერთიანობითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ენის სრულყოფილი შესწავლა მისი ფრაზოლოგიური ფონდის გათვალისწინების გარეშე თითქმის შეუძლებელია.

თურქული ენა ფრაზოლოგიზმებით საკმაოდ მდიდარი ენაა. „თურქულ-ქართული ფრაზოლოგიური ლექსიკონი“-ს მიზანია თანამედროვე თურქულ ენაში არსებული ფრაზოლოგიზმების შესაბამისი ქართული ფრაზოლოგიური ეკვივალენტებით გადმოცემა.

ფრაზოლოგიზმებში გარკვეულწილად ასახულია ხალხის ისტორია, კულტურა, აზროვნების თავისებურება. ამიტომაც ორენოვან თარგმნით ფრაზოლოგიურ ლექსიკონებში შესაძლოა ამოეკითხოთ ხალხთა შორის არსებული როგორც მსგავსება, ისე განსხვავება.

წარმოდგენილი ნაშრომი ხელს შეუწყობს თურქი და ქართველი ხალხის ერთმანეთთან უკეთ დაახლოებას და ურთიერთგაგებას.

სხვადასხვა ტიპის ლექსიკოგრაფიული ნაშრომების გვერდით „თურქულ-ქართული ფრაზოლოგიური ლექსიკონი“-ს საჭიროება განსაკუთრებით იგრძნობა დღეს, როდესაც ასე სწრაფად ვითარდება თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობები.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი სათანადო დახმარებას გაუწევს თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს. გარდა ამისა, ლექსიკონი გარკვეულ წვლილს შეიტანს თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების შემდგომი კვლევის საქმეში.

პირველად შედგენილი „თურქულ-ქართული ფრაზოლოგიური ლექსიკონი“, ბუნებრივია, უნაკლო არ იქნება. ყველა სასარგებლო კრიტიკული შენიშვნა მაღლობით იქნება მიღებული.

ეთერ მამულია

ÖNSÖZ

Bilindiği gibi, sözcükler ve deyimlerin bütünlüğü bir dilin kelime sistemini oluşturur. Bundan dolayı, herhangi bir dilin mükemmel öğrenilmesi, o dilin deyimlerini bilmeden imkânsızdır.

“Türkçe-Gürcüce Deyimler Sözlüğü”-nun amacı deyimleriyle çok zengin olan Türk Edebi Dilindeki deyimleri, uygun Gürcüce deyim karşılıklarıyla belirtmektir.

Deyimler, o dili konuşan halkın tarih, kültür ve düşünme tarzlarının özelliklerini yansıtır. İki dilde yazılmış Deyimler Sözlüklerinde iki kültürün benzer ve farklı yanları ortaya konulmuştur.

Yayımladığımız eser, iki komşu halkın, Türkler ile Gürcülerin daha yakından tanınması ve yakınlaşması için köprü rolü oynayabilir. Çeşitli sözlüklerin yanında “Türkçe-Gürcüce Deyimler Sözlüğü” ihtiyacı, son dönemde Türkiye ve Gürcüstan arasında sosyal-ekonomik-siyasal ve kültürel ilişkilerin hızla artmasıyla daha da belirginleşmiştir.

Sözlüğün, Türk Diliyle ilgilenen herkese yardımcı olmasını umarız.

İlk defa yayımlanan “Türkçe-Gürcüce Deyimler Sözlüğü”, tabiidir ki, kusursuz olamaz. Yapıcı her türlü eleştiriyi teşekkür ederek ederiz.

Eter Mamulia

შესავალი

ნებისმიერი ენის ლექსიკურ სისტემაში ფრაზეოლოგიზმებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. სწორედ ფრაზეოლოგიზმების მეშვეობითაა შესაძლებელი ამა თუ იმ აზრის უფრო ნათლად, ხატოვნად, მთელი ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვით გადმოცემა. ფრაზეოლოგიზმების დაუფლება ხელს უწყობს მეტყველების კულტურის ამაღლებას. ამიტომაც ნებისმიერი ენის სრულყოფილი შესწავლა წარმოუდგენელია მისი ფრაზეოლოგიური ფონდის გათვალისწინების გარეშე.

თანამედროვე თურქული ენა ფრაზეოლოგიზმებით საკმაოდ მდიდარია. ჩვენი მიზანია ამ მდიდარი და მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიური მასალის შეძლებისდაგვარად ქართული შესატყვისებით გადმოცემა, თარგმნა.

ლექსიკონისათვის შესარჩევი მასალის დასადგენად ვხელმძღვანელობდით საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფრაზეოლოგიზმთა შესახებ არსებული ყველაზე უფრო ზუსტი და სრულყოფილი აკადემიკოს ვ.ვ. ვინოგრადოვისეული კლასიფიკაციით, სადაც ფრაზეოლოგიზმთა შემდეგი სამი ტიპია წარმოდგენილი: 1) ფრაზეოლოგიური შენაზარდი (ენას ილესავს), 2) ფრაზეოლოგიური მთლიანობა (ზემოდან იყურება) და 3) ფრაზეოლოგიური შესიტყვება (ულრანი ტყე). იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომ პერიოდში მთელ რიგ ენათმეცნიერთა მიერ მე-3 ტიპში შემავალი მყარი გამოთქმების ფრაზეოლოგიურობა სამართლიანად ეჭვქვეშ იქნა დაყენებული (ბ.ა. ლარინი, ლ.ა. ბულახოვსკი, ა.ა. რეფორმატსკი, ი.ა. მელჩუკი, ა. ონიანი, ა. თაყაიშვილი და სხვები), შევეცადეთ თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში შეგვეტანა მხოლოდ ფრაზეოლოგიური შენაზარდისა და ფრაზეოლოგიური მთლიანობის ტიპის გამოთქმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლექსიკონში არ ვხვდებით ისეთ მყარ შესიტყვებებს, როგორცაა: ანდაზები, აფორიზმები, ხატოვანი თქმები, რთული სიტყვები, ტერმინები, მეცნიერულ-ტერმინოლოგიური ხასიათის გამოთქმები, საკანცელარიო შტამპები და სხვა.

თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმების წყაროდ გამოყენებულია ორივე ენაში არსებული სხვადასხვა სახის ლექსიკოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, მხატვრული ლიტერატურა, პრესა და სხვა. თურქული მხატვრული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანების ნაკლებობის გამო თურქული წინადადებების თარგმანთა უმეტესობა ჩვენს მიერაა შესრულებული.

თურქული ფრაზეოლოგიზმები ლექსიკონში დალაგებულია პირველი კომპონენტის მიხედვით, ე.ი. ანბანურ წესზე. ასეთი მეთოდით ფრაზეოლოგიზმის მოძებნა უფრო ადვილია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ლექსიკონში განლაგებულია გამოთქმის სემანტიკურად საყრდენი სიტყვის მიხედ-

ვით. მასდარის ტიპის ფრაზეოლოგიზმები მოცემულია მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირში, რათა თავიდან აგვეცილებინა ზმნური ფრაზეოლოგიზმების ქართულად სიტყვასიტყვითი თარგმნისას ზოგჯერ წარმოქმნილი ხელოვნურობა.

თითოეულ ფრაზეოლოგიზმს სტატიაში მოსდევს სიტყვასიტყვითი თარგმანი სათანადო აღნიშვნით („—“). სიტყვასიტყვითი თარგმანის აუცილებლობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ის ხელს უწყობს ფრაზეოლოგიზმის ხატოვნების, მისი მნიშვნელობის ჩამოყალიბების უკეთ წარმოდგენას. სიტყვასიტყვით თარგმანს ახლავს ფრაზეოლოგიზმის შინაარსობრივი განმარტება პირობითი ნიშნით ◇, რის შემდეგაც მოცემულია ქართული ფრაზეოლოგიური შესატყვისები მათი სინონიმებისა და ვარიანტების გათვალისწინებით.

ფრაზეოლოგიურ სინონიმებად მიჩნეულია ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ, ხატოვნება და ლექსიკური შემადგენლობა კი - განსხვავებული, მაგ.: უყვარს: „გულში უზის“, „მზე და მთვარე მასზე ამოსდის“; ერთობა: „თვალს წყალს ალევინებს“, „გულს აყოლებს“.

ფრაზეოლოგიურ ვარიანტებად კი წარმოდგენილია ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც ხატოვნება და მნიშვნელობა ერთი აქვთ, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან ერთი ან ორი ლექსიკური კომპონენტით. მაგ.: თავს ევლება//თავს დასტრიალებს; თავ-პირის გლეჯვით//თავ-პირის მტვრევით და სხვა.

არასავალდებულო, ფაკულტატური კომპონენტები მრგვალ ფრჩხილებშია მოთავსებული, ვარიანტული კომპონენტები კი - კვადრატულ ფრჩხილებში.

საილუსტრაციო მასალა მოცემულია თურქულ და ქართულ ენებზე. მაგ.:

Abayı yakmıştı „მოსასხამი დაწვა“ - *ვიდაც შეუყვარდა;

◇ სიყვარულის ცეცხლი მოედო, გულში ჩაუვარდა.

Hüseyin daha ilk görüşünde Necla'ya abayı yakmıştı.

ჰუსეინს პირველსავე დანახვაზე ნეჯლას სიყვარულის ცეცხლი მოჰკიდებია.

იმ შემთხვევაში, როდესაც თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური შესატყვისები ლექსიკური კომპონენტების მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა, ქართულში გამეორების თავიდან ასაცილებლად შემოგვაქვს ორმაგი აღნიშვნა (◇„—“), რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსგავსი ფრაზეოლოგიური შესატყვისები თურქულსა და ქართულში ხატოვნებითა და აზრობრივი მნიშვნელობით ერთმანეთის იდენტურია, მაგ.:

Beynini kemirir ◇ „ტვინს უღრღნის“ - *მოსვენებას უკარგავს, აწუხებს.

İşte, birkaç zamandır bu şüphe beynini kemirir.

აი, რა ხანია, ეს ეჭვი ტვინს უღრღნის.

თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური შესატყვისების დადგენით ერთხელ კიდევ ზუსტდება, თუ რა საშუალებებითაა შესაძლებელი, საერთოდ, ერთი ენის ფრაზეოლოგიური მასალის მეორე ენაზე კვლავ ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემა. აღნიშნული საკითხი ძირითადად უკავშირდება ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბების სხვადასხვა გენეტიკურ საფუძველს.

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიზმი, პირველ რიგში, ხასიათდება ეროვნული თვითმყოფობით, ის გამოხატავს ხალხის ყოფა-ცხოვრების, აზროვნების თავისებურებას, მის კულტურას, ისტორიასა და მსოფლმხედველობას. ამიტომაც თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისებში საკმაო რაოდენობით გამოიკვეთა სხვადასხვა ხატოვნებით და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ლექსიკური კომპონენტებით წარმოდგენილი ე.წ. არამოტივირებული ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები. ასეთ ფრაზეოლოგიზმებში მეტაფორა გაუგებარია, დაბნელებულია, მაგ.: თურქ.: **Atı alan Üsküdar'ı geçti** (სიტყვ.: ცხენის წამყვანმა უსქუდარი გაიარა), დაგვიანებულია, რაღა დროსია, ქართ.: ჩაიღულის წყალი დალია; თურქ.: (სიტყვ.: **Derdini Marko Paşa'ya anlat** (სიტყვ.: შენი დარდი მარკო ფაშას უამბე) უშედეგოა, ქართ.: შეაყარე კედელს ცერცვი და სხვ.

მართალია, ყოველი ენა თავისებურ ეროვნულ იერსახეს აძლევს ფრაზეოლოგიზმს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მსგავსება, ის საერთო, რომელიც აშკარად ახასიათებს სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიზმებს. ეს საერთო შეიძლება გაიზარდოს, შეიძლება შემცირდეს ენის ისტორიულ განვითარებასთან ერთად. საქმე გვაქვს ფრაზეოლოგიზმთა ჩამოყალიბების საერთო უნივერსალურ გზასთან. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ი. ავალიანის მიერ აღმოჩენილი ე.წ. „შედაფრაზეოლოგიური ვალენტობა“, რომელიც ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის გადმოსაცემად ფრაზეოლოგიზმის შიგნით გარკვეულ სიტყვათა მიზიდულობას, შეკავშირებას გულისხმობს. სიტყვა ფრაზეოლოგიზმშიც მეტნაკლებად განაგრძობს პოტენციურ სემანტიკურ ცხოვრებას. კონტექსტის წყალობით ის სემანტიკურად აღიჭურვება და კვლავ იწყებს მთელი სისრულით ფუნქციონირებას (ი. ავალიანი).

შემთხვევითი არ არის, რომ ადამიანთა სულიერი განცდის ამსახველ ფრაზეოლოგიზმებში სემანტიკურად საყრდენი კომპონენტი თითქმის ყველა ენაში ადამიანის სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი ლექსემებია: თავი, გული, თვალი, ენა და სხვ. კერძოდ, ტანჯვის, მწუხარების გამომხატველ თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიზმებში ძირითადი სემანტიკური საყრდენი ლექსემა არის „გული“, ხოლო მასთან დაკავშირებული ზმნები კი ერთნაირ სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან. მაგ.: თურქ.: **Yüreği parçalanmak (yaralanmak, yanmak, sızlamak)**, ქართ.: გულის დაფლეთა (დაკოღვა, წვა, წიწკნა). ასეთ შემთხვევაში მეტაფორა გამჭვირვალეა და ფრაზეოლოგიზმებიც

მოტივირებულია. სწორედ ასეთ ფრაზეოლოგიზმებში კლინდება „შიდაფრაზეოლოგიური ვალენტობა“, რომელიც განსაზღვრავს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს შორის ლექსიკურ-სემანტიკურად და სტრუქტურულად ერთნაირი ფრაზეოლოგიზმების არსებობას. აქედან გამომდინარე, თურქულსა და ქართულშიც საკმარისად მოიპოვება ლექსიკური შემადგენლობით აბსოლუტურად ან ნაწილობრივ განსხვავებული მოტივირებული ფრაზეოლოგიური შესატყვისები, რომელთა უმეტესი ნაწილი, ადამიანთა აზროვნების საერთო მიზეზ-შედგობრივ კანონებზე დაყრდნობით, სრულიად დამოუკიდებლად ჩანს წარმოშობილი. მაგ.: გაუხარდა, თურქ.: **Gözleri parladı** (სიტყვ.: თვალები გაუბრწყინდა) – ქართ.: თვალები გაუბრწყინდა; დანაღვლიანდა: თურქ.: **Gönlu kapandı** (სიტყვ.: გული დაეხურა) – ქართ.: გული დაეხურა; შეეშინდა: თურქ.: **Yüreği patladı** (სიტყვ.: გული გაუსკდა) – ქართ.: გული გაუსკდა და სხვ.

გარდა ამისა, თურქულსა და ქართულში მსგავსი ტიპის ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების არსებობა, როგორც ეს სხვა ენებშიც გვაქვს, შესაძლოა აიხსნას სესხებით, კალკირებით.

შემოთავაზებული ნაშრომი თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაა. ვიმედოვნებთ, რომ ლექსიკონი გარკვეულ დახმარებას გაუწევს თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს. გარდა ამისა, ის ხელს შეუწყობს თურქულ-ქართული შედარებითი ფრაზეოლოგიის შემდგომ დამუშავებას და თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების ზოგიერთი საკითხის კვლევას.

ბუნებრივია, პირველად შედგენილ თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონს ექნება ნაკლი. ყველა სასარგებლო კრიტიკულ შენიშვნას მადლიერებით მივიღებთ.

ე. მამულია.

შემაჯავებანი KISALTMALAR

გადატ.	-	გადატანითი	-	mecaz anlamında
დაცინ.	-	დაცინებითი	-	alay
კულგ.	-	კულგარული	-	yollu kaba konuşmada
ისტ.	-	ისტორიული	-	tarihi
იხ.:	-	იხილე	-	bak
ლანძ.	-	სალანძლავი	-	hakaret yollu
მისთ.	-	მისთანანი	-	v.b.
ჟარგ.	-	ჟარგონული	-	argo
ფაშილ.	-	ფაშილარული	-	teklifsiz konuşmada
ხალხ.	-	ხალხური	-	halk ağzında
ხუმ.	-	ხუმრობითი	-	şaka yollu

პირობითი ნიშნები

ŞART İŞARETLERİ

„——“	–	სიტყვა-სიტყვითი თარგმანი – kelimesi kelimesine tercüme
*	–	ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა – deyim anlamı
◇	–	ფრაზეოლოგიური შესატყვისი ქართულში – Gürcücede deyim karşılığı
()	–	ფაკულტატიური კომპონენტი – istemli kısmı
[]	–	ფრაზეოლოგიური ვარიანტი – deyim türüsü
◇ „——“	–	თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმები – Türkçe ve Gürcücede yapı bileşimi ve anlamıyla aynı deyimler

ძირითადი წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

ESAS (BAŞLICA) KAYNAKÇALAR

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1-8. თბილისი, 1950-1964 წ.წ.
2. ქართული იდიომები, ალ. ონიანი, თბილისი, 1966.
3. ქართულ კილოკავთა სიტყვის კონა, ალ. ლლონტი, თბილისი, 1984.
4. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, ტ. I-III, 1950.
5. Англо-Русский Фразеологический словарь, А.В. Кунин, М., 1984.
6. Виноградов В. В., Об основных типах фразеологических единиц в русском языке, М., 1945.
7. Вопросы фразеологии, III, Самарканд, 1970.
8. Немецко-Русский фразеологический словарь, А.Э. Бинович, М., 1975.
9. Французско-Русский фразеологический словарь, В.Т. Гак, М., 1963.
10. Atasözleri ve Deyimler Sözlüğü, Ömer Asım Aksoy, c. I-II, İstanbul, 1988.
11. Deyimler Sözlüğü, hazırlayan Hüseyin Uysal Şaban Arıkan-Yıldız Uysal, İstanbul, 1992.
12. Maydan Larouse, Büyük Lugat ve Ansiklopedi, c. 1-24.
13. Okyanus Ansiklopedik Sözlük, Tuğlacı Pars, c. 1-7, İstanbul, 1978.
14. Ö. Aydın Süer, Rusça-Türkçe Deyimler Sözlüğü, Ankara, 1999.
15. Sammlung Türkisher Redensarten, Bedriye Atsız und Hans-Joachim Kissling, Wiesbaden, 1974.
16. Temel Türkçe Sözlük, Sadeleştirilmiş ve Genişletilmiş Kâmûs-ı Turkî, İstanbul, 1991.
17. Türkçe Sözlük, Hazırlayanların başkanı Prof. Dr. Hasan Eren, c. I-II, Ankara, 1988.
18. Türkçe Tâbirler Sözlüğü, Mustafa Nihat Özön, İstanbul.
19. Türkçede Mecazlar Sözlüğü, Mehmet Ali Ağakay, Ankara, 1949.

თქრქული ანბანი

A a I i R r

B b İ i S s

C c J j Ş ş

Ç ç K k T t

D d L l U u

E e M m Ü ü

F f N n V v

G g O o Y y

Ğ ğ Ö ö Z z

H h P p

Aba altından değnek gösterir „მოსასხამის ქვეშიდან ჯოხს უჩვენებს“ - *ფარულად ეძუქრება, საფრთხეს უმზადებს, ვერაგულად ექცევა, დალატობს; ◇ პირში უცინის, ზურგსუკან კი სამარეს უთხრის, ორმოს უთხრის, თეთრ კბილს უჩვენებს.

Onlara şirin görünürken, **aba altından değnek gösteriyordu.**

მათ კეთილად აჩვენებდა თავს, ზურგსუკან კი სამარეს უთხრიდა.

Abayı serir „მოსასხამს შლის“ - *დაუპატიუებლად ვისმესთან ბინავდება, ჩერდება; ◇ ბინას იღებს.

On beş gündür evimizde **abayı serdi.**

თხუთმეტი დღეა, რაც ჩვენს სახლში ბინა დაიდო.

Abayı yakar „მოსასხამს წვავს“ - შეყვარებულია, იწვის, იდაგვის; ◇ სიყვარულის ცეცხლი მოედო.

Hüseyin daha ilk görüşünde Neclâ'ya **abayı yakmıştı.**

ჰუსეინს პირველსავე შეხვედრაზე ნეჯლას სიყვარულის ცეცხლი მოსდებია.

Acem kılıcı gibi iki tarafı keser „სპარსული ხმალივით ორივე პირით ჭრის“ - *ორპირობს, ვერაგულად იქცევა, არც მტრობას უშლის, არც მოყვრობას; ◇ ორსავე მხარეზე კერავს, ხან აქეთაა, ხან იქით, ორმაგ თამაშს თამაშობს.

Onu mu diyorsun? **Acem kılıcı gibi iki tarafı keser.**

მასზე ამბობ? ის ხან აქეთაა, ხან იქით.

Acısına su serper „მის სატკივარს წყალს აპკურებს“ - *ამწვიდებს, აწენარებს, ანუგეშებს; ◇ წყლულს უამებს, მაღამოდ ედება.

- Aziz dostum, bana yazmış olduğunuz satırlar **acıma hakikaten su serpti.**

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემთვის მოწერილი თქვენი სტრიქონები მართლაც რომ სატკივარზე მაღამოდ მომედო.

Aç gözlü - *ხარბი, თვალხარბი, გაუმაძღარი; ◇ ხარბი თვალის პატრონი.

Açığa çıktı ◇ „სააშკარაოზე გამოვიდა“ - *გამოაშკარავდა, გაირკვა; ◇ აშკარა გახდა, ნათელი გახდა, ნათელი მოეფინა, ფარდა აეხადა.

O gelince her şey **açığa çıktı.**

როგორც კი მოვიდა, ყველაფერი აშკარა გახდა.

Ачыға чыкardı ◇ „სააშქარაოზე გამოიტანა“ - *გამოააშქარავა, გამოავლინა, გაახმაურა, გაამჟღავნა; ◇ აშქარა, ნათელი გახადა, სინათლეზე გამოიტანა, ნათელი მოჰფინა, შუქი მოჰფინა, ცხადი გახადა.

Onun sözleri her şeyi açığa çıkardı.

მისმა სიტყვებმა ყველაფერი ნათელი გახადა.

Açık fikirli ◇ „ნათელი გონებისა“ - *გონებანათელი, გონებამახვილი, გამჭვრიახი [მახვილი] გონებისა, საღად მოაზროვნე.

Dedem çok açık fikirli bir insandı.

ბაბუასემი საკმაოდ ნათელი გონების ადამიანი იყო.

Açık gözlü „ღია თვალისა“ - *მოხერხებული, უნარიანი, თავიანი, გონებაგახსნილი; ◇ გახსნილი გონების.

Ben böyle açık gözlü adam görmedim. Bir kelime İngilizce bilmezken Amerika'da servet yaptı.

ასეთი გახსნილი გონების ადამიანის მნახველი არა ვარ. ინგლისური ერთი სიტყვაც არ იცოდა და ამერიკაში კაპიტალი შექმნა.

Açık kalpli „გულღია“ - *გულწრფელი, უშმაკო, უბოროტო; ◇ სუფთა გულისა.

Zavallı, açık kalpli bir insandı.

საცოდავი, სუფთა გულის კაცი იყო.

Açık kapıyı bırakır „ღია კარს ტოვებს“ - *საბოლოო სიტყვისაგან თავს იკავებს; ◇ უკან დასახევე გზას იტოვებს, თადარიგს იტვებს.

Daha dün tanıdığım bir kıızı bu kadar öğme! Biraz açık kapı bırak! Belki yarın bir kusuru çıkar.

ჯერ კიდევ გუშინ გაცნობილ ქალიშვილს ასე ნუ აქვებ! ცოტა უკან დასახევე გზა დაიტოვე. ხვალ იქნებ რაიმე ნაკლი აღმოაჩნდეს.

Açık yürekli *ახ.*: Açık kalpli.

Açıkta durur „ღიაში დგას“ - *მონაწილეობას არ იღებს; ◇ განზე დგას, თავს არიდებს, თავი შორს უჭირავს.

Açıkta kaldı ◇ „ცისქვეშ დარჩა“ - *უარაფროდ დარჩა; ◇ ქუჩაში დარჩა.

Ertesi günü oradan taşı tarağı topladım, kaçtım. Gene öyle iki elim böğrümde
açıkta kaldım.

მეორე დღეს იქიდან გუდა-ნაბადი ავიკარი. კვლავ ასე
გუელხელდაკრეფილი ცისქვეშ დავერჩი.

Açıktan açığa söyler ◇ „ლიად (გულახდილად) ლაპარაკობს“ -
*აშკარად, დაუფარავად ლაპარაკობს; ◇ პირში ეუბნება.

Bütün kusurlarını **açıktan açığa söylediğim için bana darıldı.**

ვინაიდან ყველა მისი ნაკლი პირში ვუთხარი, გამინაწყენდა.

Açtı ağzını, yumdu gözünü „პირი დააღო, თვალები დახუჭა“ -

*უშვერი სიტყვების კორიანტელი დააყენა, უთქმელი აღარაფერი
დატოვა, რაღა არ თქვა, რა აღარ იკადრა; ◇ პირიდან რეები არ
ამოუშვა, (მისი სიტყვები) ყურში არ შეიშვებოდა.

Adam etti ◇ „კაცად აქცია“ - *კარგად აღზარდა; ◇ ხალხში
[საზოგადოებაში] გამოიყვანა.

Amcası yanına alıp onu bir güzel **adam etti.**

ბიძამ თავისთან წაიყვანა და კაცად აქცია.

Adam içine çıkacak yüzü kalmadı ◇ „ხალხში გამოსახენი
(გამოსასვლელი) პირი არ შერჩა“ - *თავი შეირცხვინა,
სამარცხვინო საქმე დაემართა; ◇ ხალხში არ გამოესვლება,
ხალხს ვერ ეჩვენება, სირცხვილი ჭამა.

Adam içine çıktı ◇ „ხალხში გამოვიდა“ - *საზოგადოებაში გამოვიდა;

◇ ადამიანთა რიგებში ჩადგა, ხალხში გაერია.

Yavaş yavaş **adam içine çıkmağa** başladı.

ნელ-ნელა ხალხში გარევა დაიწყო.

Adam oldu ◇ „კაცი დადგა“ - *განათლებული, სასარგებლო
პიროვნება დადგა.

Bu çocuğun **adam olacağı yok**, ders çalışmıyor.

ამ ბავშვისაგან კაცი არ დადგება, არ მეცადინეობს.

Adam sırasına girdi *იხ.: Adam içine çıktı.*

Adam yerine koydu ◇ „კაცად ჩააგდო“ - *ღირსეულ პიროვნებად
ჩათვაღდა, დააფასა.

Kimse onu **adam yerine koyuyor mu?**

ვინმე მას კაცად აგდებს?

Adamdan saydı *nb.*: Adam yerine koydu.

Adamlık sende kalsın „ადამიანობა შენთან დარჩეს“ - *ბოროტებას ნუ ჩაიდენ, სიკეთე ქმენ და ამით შენს ღირსებას დაიცავ; ◇ ადამიანობა შეგრჩეს!

Sesini çıkarma, **adamlık sende kalsın.**

ხმა არ ამოიღო, ადამიანობა შეგრჩეს.

Adı battı ◇ „მისი სახელი დაიკარგა“ - *მისი სახსენებელი მოიხპო.

Bu da nereden çıktı? **Adı battı** sanmıştık.

ეს საიდანღა განჩნდა? გვეგონა მისი სახსენებელი მოიხპო.

Adı bile okunmaz „მისი სახელიც არ იკითხება“ - *(მას) არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, არც კი აგონდებოთ, ყურადღების ღირსადაც არ თვლიან; ◇ სათქალაღშიც არ აგდებენ, ანგარიშს არ უწევენ, არაფრად აგდებენ.

Onun buralarda adı bile okunmaz.

იმას აქ არც ახსენებენ.

✓ **Adı bozuldu** ◇ „სახელი გაუფუჭდა“ - *ავტორიტეტი დაეკარგა; ◇ სახელი წაუხდა, სახელი გაუტყდა.

Adı çıktı ◇ „სახელი გაუვარდა“ - *ცუდი სახელი მოიპოვა; ◇ სახელი გაუტყდა.

Ah kızım, **adın çıkacak**, evlerde kalacaksın. Baban seni böyle yapsın diye mi terbiye etti?

ეჰ, ჩემო გოგონავ, სახელი გაგიტყდება, შინ ჩარჩები. მამაშენმა განა ეს გასწავლა?

Adı kaldı ◇ „მისი სახელი დარჩა“ - *მას დღესაც მოიხსენიებენ, მისი სახელი დავიწყებას არ მისცემია, მისი სახელი უკვდავია.

Bir gün geldi, herkes gibi Uzun Mehmet de öldü. Fakat „Uzun Mehmet“ **adı kaldı**, hiç unutulmadı.

დადგა დღე და, როგორც ყველა, უზუნ მკჰმედიც გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი „უზუნ მკჰმედი“, – დარჩა.

✓ **Adım atmamış** ◇ „ნაბიჯი არ გადაუდგამს“ - *(სადმე) აღარ მიხვლა, (სადმე) მიხვლა შეუწყვეტია; ◇ ფეხი აღარ დაუდგამს, ფეხი

ამოუკვეთია.

O günden sonra, o eve adım atmamış.

იმ დღის შემდეგ იმ სახლში ფეხი აღარ დაუდგამს.

Adımını geri alır „ნაბიჯს უკან დგამს“ - *(დაწყებულ) საქმესე უარს

ამბობს; ◇ უკან იხევს, განზე დგება, ხელს იღებს.

O, bu işten adımını geri aldı.

ამ საქმიდან უკან დაიხია.

Adımını uydurur ◇ „ფეხს უწყობს“ - *(მის აზრებს, მოქმედებას)

უბეჭდს, ეწყობა.

Adını anmaz ◇ „მის სახელს არ ახსენებს“ - *მისი მოგონება არ

უნდა, დაივიწყა.

Bir daha onun adını anmak istemiyorum.

მისი სახელის ხსენებაც აღარ მინდა.

Adını çıkarır ◇ „სახელს გაუგდებს“ - *შეარცხვენს; ◇ თავს მოსჭრის,

სახელს გაუტეხს.

- Sen bizim adımızı çıkaracaksın diye babalarına çıkışıyorlardı.

სახელს გაგვიტეხო, - კიცხავდნენ მამას.

Afyonu başına vurdu „ოპიუმმა თავში დაარტყა“ - *განრისხდა,

გაცოფდა, გააფთრდა; ◇ თვალებიდან ნაპერწკლები [ცეცხლი] აფრქვია, პირიდან ცოფები ყარა, ჩახმახზე შედგა, სისხლი თავში აუვარდა.

Bugün afyonu başına vurmuş gibi görünüyor.

ეტყობა, დღეს სისხლი თავში აქვს ავარდნილი.

Ağaca çıksa, pabucu yerde kalmıyor „ხეზე რომ ავიდეს, მისი

ფეხსაცმელი ძირს არ რჩება“ - *ეშმაკია, გაქნილია; ◇ ეშმაკის ფეხია, ჯიბიდან გაეარდნილია.

Ağana düştü ◇ „ბადეში გაეხვია“ - *განსაცდელში ჩავარდა; ◇ მახეში

გაება.

Ağana düşürdü ◇ „ბადეში გაახვია“ - *განსაცდელში ჩაავლო,

საფრთხე შეუქმნა; ◇ მახე დაუგო, მახეში გააბა.

Ağır adam ◇ „მძიმე ადამიანი“ - *მძიმე (კული) ხასიათის მქონე.

Ağır alır „(რასმეს) მძიმედ იღებს“ - *უგულოდ [უხაღისოდ] აკეთებს;
◇ ფებს ითრებს, მძიმე-მძიმედ მოძრაობს.

V (Üstünden) Ağır bir yük kalktı ◇ „მძიმე ტვირთი მოშორდა“ - *ეშველა, ამოიხუნთქა; ◇ გულიდან ლოდი მოშორდა.
Üstünden ağır bir yük kalktı.
რალაც მძიმე ტვირთი მომეხსნა ზურგიდან.

Ağır dilli „მძიმე ენის პატრონი“ - *ენაბილწი, ყიაძერალი; ◇ ბილწი ენის პატრონი.

V Ağır durur „მძიმედ დგას“ - *დინჯად, სერიოზულად, თავდაჭერილად იქცევა; ◇ თავს იკავებს [იჭერს].
Kızım, misafirlerin yanında ağır dur! Herşeye gülme!
შვილო, სტუმრებთან თავდაჭერილი იყავი, ყველაფერზე ნუ იცინი!

Ağır elli „მძიმე ხელის პატრონი“ - *საქმის ნელა მკეთებელი; ◇ ნელი ხელის პატრონი.
Eli ağır olduğundan işi zamanında yetiştiremedi.
იმის გამო, რომ ნელი ხელი აქვს, საქმე დროზე ვერ მოასწრო.

Ağır gelir „ემძიმება“ - *სწყინს; ◇ გულზე ხედება.
Bu sözler bana ağır geldi.
ეს სიტყვები გულზე მომხედა.

Ağır kanlı „მძიმე სისხლისა“ - *უსიმპათიო, ანტიპათიური; ◇ ცივი სახისა.
Yüzü güzel, ama oldukça ağır kanlıydı.
ლამაზი, მაგრამ საკმაოდ ცივი სახე ჰქონდა.

Ağız ağıza kaldılar ◇ „პირისპირ დარჩნენ“ - *ერთმანეთთან მარტო დარჩნენ.

V Ağız birliği ettiler ◇ „პირი შეერეს“ - *ერთად, შეთანხმებულად იმოქმედეს; ◇ ერთი პირი იქონიეს, ერთ პირზე დადგნენ.
Onlar beni mahvetmek için ağız birliği etmişler.
ჩემს დასაღუპავად პირი შეუკრავთ.

V Ağıza alınmaz ◇ „პირში არ ჩაიშვება“ - *უგემურიია, არ იჭმევა.

Ağıza sakız oldu „პირში კეკად იქცა“ - *ჭორაობის, დაცინვის საგნად იქცა; ◇ (ვისიმე) ყბაში ჩვარდა, ხალხის ყბაში ჩავარდა, ყბად აიღეს.

Kızım, Ali ile sinemaya gitmeni istemiyorum. **Ağıza sakız olmandan korkuyorum.**

- ჩემო გოგონავ, აღისთან ერთად კინოში რომ წახვიდე, არ მინდა. მეშინია, ხალხის ყბაში არ ჩავარდე.

Ağızdan ağıza dolaştı ◇ „ენიდან ენაზე იარა“ - *ყველგან გავრცელდა, ქვეყანას მოედო, ხალხში გავრცელდა; ◇ კაციდან კაცზე გადავიდა.

Haber ağızdan ağıza dolaşarak tüm kasabaya yayılmıştı.

ამბავმა ენიდან ენაზე იარა და მოელ დაბას მოედო.

Ağza koyacak bir şey ◇ „პირში ჩასადები რამ“ - *წასახემსებელი რამე; ◇ სულის მოსათქმელი.

Keşke ağza koyacak bir şeyler bulabilseydik.

ნეტავ, სულის მოსათქმელი რამე გვეშოვა.

Ağızı açık ayran delisidir „დოყლაპია“ - *უაზროდ მოხეტილება, ყველაფერს სულელივით პირდაღებული მისწერებია; ◇ უნახავით იქცევა, ყველაფერზე თვალი რჩება, ყველაფერს ეტაკება.

Ağızı açık ayran delisinin birisiymiş.

ყველაფერზე თვალი რჩებოდა.

Ağızı açık kaldı ◇ „პირი ღია დარჩა“ - *გაოცდა, გაკვირვებული დარჩა; ◇ სახტად დარჩა.

Annesi oğluna gerçeği söyledi. Küçük tavşan önce çok şaşırды, **ağızı açık kaldı.** Sonra da gülmeğe başladı.

დედამ შვილს სიმართლე უთხრა. ბავშვი ჯერ დაიბნა, პირი დააღო, შემდეგ კი სიცილი აუტყდა.

Ağızı açıldı ◇ „პირი გაეხსნა“ - *აღაპარაკდა; კრიჭა გაეხსნა.

Büyük bir korkudan elleri, dudakları titredi, fakat **ağızı açıldı.**

დიდი შიშისაგან ხელები, ტუჩები აეკანკალდა, მაგრამ [საღაპარაკოდ] პირი გაეხსნა.

Ağızı ağıza kavuşmaz „ტუნი ტუნს ვერ სწვდება“ - *უზომოდ გახარებულია; ◇ (სიხარულისაგან) მეცხრე ცაზეა, ტუნებს თავს ვერ უყრის.

Ağzı bir karış açık kaldı ◇ „პირი ერთ მტკაველზე ღია დაურჩა“ - *გაოცდა, გაკვირვებული დარჩა; ◇ პირი დააღო, სახტად დარჩა.
Ben Harun'un odasına gittim. Şaşırdım. ağzım bir karış açık kaldı.
პარუნის ოთახისაკენ გავეშურე. გაოცდი. პირი დავაღე.

Ağzı boştur „მიხი პირი ცარიელია“ - *ენატარტალაა, უთქმელს არაფერს ტოვებს, საიდუმლოს ვერ ინახავს; ◇ ენაზე არაფერი ამაგრდება.

Ağzı bozuk „გაფუჭებული პირის (პატრონი)“ - *ყიამყრალი, უხამსი, ბინძური სიტყვების პატრონი; ◇ მყრალი ენის პატრონი.
- Ben seninle bir yere gitmem. Ağzın çok bozuk, her cümlede pis bir lâf kullanıyorsun.
- შენთან ერთად არსად წამოვალ, მყრალი ენის პატრონი ხარ, ყოველ წინადადებაში ცუდ სიტყვას გამოიურევ.

Ağzı burnu birbirine karıştı ◇ „ცხვირ-პირი ერთმანეთში აერია“ - *[უძილობისაგან, დადღივლობისაგან, ნიხუბისაგან] სახის ფორმა დაეკარგა; ◇ სახე შეეცვალა, სახე წაეშალა.
Sabahleyin kalktığımda ağzı burnu birbirine karışmıştı.
დღით, როდესაც ავდექი, სახე წაშლილი მქონდა.

Ağzı burnu yerinde „ცხვირი და პირი თავთავის ადგილზე აქვს“ - *სიმპათიური, სანდომიანი; ◇ დალაგებული (დაწყობილი) სახისა.
Ali'nin nişanlısı fena değil, ağzı burnu yerinde.
აღის დანიშნული ცუდი არ არის, დაწყობილი სახე აქვს.

Ağzı dili yok „ენა და პირი არა აქვს“ - *ჩემია, უენოა, ენაჩავარდნილია; ◇ ხმას არ იღებს, ენა ჩავარდნილი აქვს, ენა სასაზე აქვს მიკრული.
İnsan bu kadar ağzı dili yok olmaz ki.
არ შეიძლება, რომ ადამიანი ასე ენაჩავარდნილი იყოს.

Ağzı gevşektir „პირმოშვებულია“ - *მოლაყბეა, ენატარტალაა, საიდუმლოს ვერ ინახავს; ◇ პირი აქვს მოშვებული, პირზე არაფერი ამაგრდება, პირი მოხსნილი აქვს, ენას ატარტარებს.
Ona pek güvenmeyin, ağzı gevşektir.
მას ძალიან ჩუ მიენდობი, პირზე არაფერი ამაგრდება.

Ağzı kapandı ◇ „პირი მოეკეტა“ - *განუმდა; ◇ პირი მოეკუმა, ენა ჩაუვარდა.

Ağzı kara „შავი პირისა“ - *ცუდის მაუწყებელი; ◇ ცუდი ენისა.

Ağzı kara insanlar dürüst de olsalar pek sevilmezler.

ცუდი ენის ადამიანები, მართალნიც რომ იყვნენ, ძალიან არ უყვართ.

Ağzı kenetlidir „პირაკრულია“ - *განუმებულია, ღაგამამოდებულია, ხმაგაკმენდილია; ◇ პირი აკრული აქვს, პირზე კლიტე [ბოქლომი] ადევს, პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

Kimseyi konuşturamadık herkesin ağzı kenetli.

ყვრავის დაველაპარაკეთ, ყველას პირი აკრული ჰქონდა.

Ağzı kilitlidir *ob.* Ağzı kenetlidir.

Ağzı kulaklarına vardı ◇ „პირი ყურებამდე მიუვიდა“ - *ძალიან გაუხარდა; ◇ პირი გახევაზე აქვს, (სიხარულისაგან) ცას ეწევა, მეცხრე ცაზეა.

Mustafa'nın ağzı sevincinden kulaklarına vardı.

მუსტაფას სიხარულისაგან პირი ყურებამდე ჰქონდა.

Ağzı pek „მაგარი პირისა“ - *ენაშენახული, საიდუმლოს შემნახავი; ◇ მაგრად პირმოკუმული.

Kendisine her sırrı söyliyebilirsiniz, ağzı çok pektir.

შეგიძლიათ მას ყველა საიდუმლო გაანდოთ, პირი მაგრად აქვს მოკუმული.

Ağzı sıkı *ob.* Ağzı pek.

Ağzı sulandı ◇ „პირწყალი მოადგა“ - *ჭამის სურვილი აღედრა; ◇ ნერწყვი მოუვიდა.

- Şu pastaya ağzım sulandı, ama ne yazık ki, doktor yememe müsaade etmiyor!

- ამ შაქარღამაზე ნერწყვი მომივიდა, მაგრამ რა სამწუხაროა, რომ ექიმი მისი ჭამის უფლებას არ მაძლევს.

Ağzı süt kokuyor ◇ „პირზე რძის სუნი ასდის“ - *ჯერ ბავშვია, ნორჩია, გამოუცდელია; ◇ პირზე რძე არ შეშრობია, დედის ხსენი არ შეშრობია.

Bu küstah oğlan ağzının süt koktuğuna bakmadan hocasını tenkide kalktı.
ამ თავსუღმა ბიჭმა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პირზე რძეც არ
შეშრობია, მასწავლებელს შეუტია.

Ağzı torba değil ki „მისი პირი ტომარა კი არ არის“ - *ლაპარაკს
ხომ ვერ აუკრძალავ; ◇ პირს ვერ მოვუკრავ, პირს ვერ
ამოვუკრავ.

Bu hadisenin sır olarak kalamıyacağı belli idi. El âlemin ağzı torba değil ki...
ცხადი გახდა, რომ ეს შემთხვევა საიდუმლოდ ვერ დარჩებოდა.
ქვეყანას პირს ხომ ვერ აუკრავ.

Ağzı yandı ◇ „პირი დაეწვა“ - *დაზარალდა, დამარცხდა; ◇ კისერი
მოიტეხა, ფეხი წაიტეხა, ფეხი გადაუბრუნდა.

Ben seninle artık hiç bir iş yapmam. Bir kere ağzım yandı.

შენთან არავითარ საქმეს არ დავიჭერ. ერთხელ (უკვე) ფეხი
წავიტეხე.

Ağzına atacak değil ◇ „იმის პირში ჩასაგდები არ არის“ - *იმის
გასაღანიძლავი არ არის; ◇ იმის ყბაში ჩასაგდები არ არის,
იმისი საკბილო არ არის.

Ağzına bakıyor ◇ „პირში შესცქერის“ - *მისი სიტყვებისა სჯერა,
მის ნებასურვილს ასრულებს; ◇ ყოველ მის სიტყვას იჭერს;
თვალეში შესცქერის, თვალეში შესციცინებს.

Oğlum ağzına bakıyor.

ჩემი შვილი თვალეში უყურებს.

Ağzına bir kemik attı „პირში ძვალი ჩასწარა“ - *მცირედით გაასწემა;
◇ ძვალი, საკენკი დაუყარა.

Ağzına kemik atınca durumu deęişti.

ძვალი რომ მიუგდო, მისი მდგომარეობა შეიცვალა.

Ağzına bir parmak bal çaldı ◇ „პირში ერთი თითი თაფლი გამოუსვა“
- *ტკბილი დაპირებებით მოატყუა, გააწბილა, იმედი გაუცრუა; ◇
პირში ჩალა გამოავლო, ცარიელზე დასვა.

Ağzına bir parmak bal çaldılar, ne yapacağını şaşırdı.

პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს, აღარ იცოდა, რა ექნა.

Ağzına düştü ◇ „მის ყბაში ჩავარდა“ - *(მისი) გასაჭკორი გახდა; ◇
(მის) პირში ჩავარდა.

Senin ağzına düşmektense ölmeyi yeğlerim.
შენს ყბაში ჩავარდნას სიკვდილი მირჩევნია.

V Ağzına geleni söyler ◇ „რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს“ - *უთქმელს არაფერს ტოვებს, ენაჭარტალაა; ◇ ენაზე არაფერი ამბავრდება, გრძელი ენა აქვს.

Dediğine dayanılmaz, ağzına geleni söyler.

მის ნათქვამს ვერ ენდობი, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს.

V Ağzına kilit vurdu ◇ „პირზე კლიტე დაადო“ - *გაანუმა, ხმა არ ამოადებინა; ◇ ხმა გააკმენდინა, პირზე ბოქლომი დაადო, პირში ლაგამი [კაპი] ამოსდო.

Ağzına kilit vurmuş gibi hiç konuşmuyordu.

თითქოს პირზე კლიტე დაადესო, ხმას არ იღებდა.

Ağzına kira ister ◇ „პირის ქირას ითხოვს“ - *ლაპარაკი ეზარება, ხმას არ იღებს; ◇ სიტყვა გაზით უნდა ამოგლიჯო პირიდან, ლაპარაკის ქირას ითხოვს.

Biz hepimiz gülüp söylerken Zeliha ağzına kira ister gibi saatlerce susuyordu.

როდესაც ჩვენ ყველანი ვიცინოდით და ვლაპარაკობდით, ზელისა თითქოს პირის ქირას ითხოვსო, საათობით ხმას არ იღებდა.

Ağzına taş aldı „პირში ქვა ჩაიდო“ - *განუმა, დადუმა, ხმა გაკმინდა; ◇ პირში ტყვია ჩაიდულა, პირში წყალი ჩაიგუბა, პირზე კლიტე დაიდო, ენაზე კლიტე დაიდო.

Hepimiz konuşmasını beklerken, o ağzına taş almış gibiydi.

როდესაც ყველანი მის ლაპარაკს ველოდებოდით, ის პირში წყალჩაგუბებულებით იყო.

Ağzına tıkaç vurdu „პირში საცობი ჩასჩარა“ - *გაანუმა, დაადუმა, ხმა ჩააწყვეტინა; ◇ პირში ბურთი ჩასჩარა.

Ağzına vur lokmasını al „პირში ჩაარტყი, ლუკმა ლაართვი“ - *ჩუმი, უენოა, საწყალია; ◇ თავში რომ ჩაარტყა, ხმას არ ამოიღებს, დაბალი ღობეა.

Ağzında bakla islanmaz „პირში ცერცვი არ უსველდება“ - *საიდუმლოს ვერ ინახავს, ენატარტარაა, ყველაფერს ამბობს; ◇

ენაზე არაფერი ამაგრდება, ყველაფერს ფქვავს, ენა უსწრებს.
Senin de ağzında bakla ısılanmıyor birader, dün sana sır diye söylediklerimi bugün herkes biliyor.
ამაო, ენაზე ხომ არაფერი დაგამაგრდება. გუჟინ რაც საიდუმლოდ გითხარი, დღეს ყველამ იცის.

Ağzında bakla mı var? „პირში ცერცვი გიდევს?“ - *რას განუქმებულხარ? ◇ ხმა რატომ გაგიკმენდია? პირში წყალი ჩაიგუბე?

Ağzında dili yok ◇ „პირში ენა არ აქვს“ - *ხმაგაკმენდილია, ჩემი და: ◇ ხმას არ იღებს, კრინტს არა ძრავს, ენა მუცელში აქვს ჩაეარდნილი.

Ağzından baklayı çıkardı „პირიდან ცერცვი გადმოყარა“ - *მოუთმენლობისაგან საიდუმლო წამოსცდა [წამორღმა], საიდუმლო გაამხილა; ◇ ენამ წინ გაუსწრო, ყველაფერი დაფქვა. **Bir gün ağzından baklayı çıkaracağını biliyordum.** ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს დაფქვავდა.

Ağzından bal akar ◇ „პირიდან თაფლი გადმოსდის“ - *ტკბილმოუბარია, აღურსიანად [სახიამოვნოდ] ღაპარაკობს; ◇ ტკბილი ენა აქვს, დაშაქრული ენა აქვს, პირიდან შაქარი ამოსდის.

Ağzından çıkan kulağı işitmez „პირიდან რაც ამოსდის, მისი ყური არ უსმენს“ - *თავდაც არ იცის, რას ამბობს; ◇ მისი პირიდან ამოსულს მისი ყური არ ისმენს.

Ben onun hiddetini bilirim. Kendini kaybeder, ağzından çıkan kulağı duymaz, ne söylediğini düşünmez.

მისი განრისხება ვიცი. თავს კარგავს, რას ამბობს, თავდაც არ იცის.

Ağzından lâf dirhemle çıkıyor „პირიდან სიტყვა გრამობით ამოსდის“ - *ღაპარაკი ეხარება; ◇ პირიდან სიტყვა გაზით უნდა ამოგლიჯო.
- Senin neyin var kuzum? Bugün ağzından lâf dirhemle çıkıyor.
- შეილა, რა დაგქმართა? დღეს სიტყვა პირიდან გაზით უნდა ამოგლიჯოს ადამიანმა.

Ağzından lâf kaçıyor „სიტყვა პირიდან გაურბის“ - *უთქმელი არაფერი რჩება, ზედმეტს ღაპარაკობს; ◇ ენა წინ უსწრებს, ენაზე არაფერი ამაგრდება, ყველაფერს ფქვავს.

Ağzından lokmasını alır ◇ „პირიდან ლუკმას აცლის“ - *უსახსროდ ტოვებს, აღარაფერს უტოვებს.

Ağzından salya akıyor ◇ „პირიდან ნერწყვი მოსდის“ - *(რისამე) დიდი სურვილი აქვს; ◇ ნერწყვი მოსდის, ნერწყვებს ყლაპავს.

Ağzını açık bıraktı ◇ „პირლიად დატოვა“ - *განაცვიფრა, გააოცა, გააკვირვა; ◇ სახტად დატოვა.

Ağzını açtı ◇ „პირი გახსნა“ - *აღაპარაკდა, სიტყვა თქვა, ხმა ამოიღო.

Ağzını açtı gözünü yumdu ◇ „პირი დააღო, თვალები დახუჭა“ - *რეები არ იკადრა (სიტყვებით), გაღანძდა, გათათხა; ◇ პირი მიჰყო [მოხსნა].

Actı ağzını, yumdu gözünü. Ben ömrümde böylesine bir küfür yağmuru görmedim.

პირი მოხსნა. ცხოვრებაში ასეთი ღანძღვა-გინების კორიანტელი არ მინახავს.

Ağzını aradı „პირი უპოვა“ - *მოსინჯა, შეამოწმა, გამოსცადა; ◇ კბილი მოუსინჯა.

Savcı ağzını aradı: „Bak, birşeyi yok da, bizi boşa yorarsan, karışmam!“

პროკურორმა კბილი მოუსინჯა: „იცოდე, თუ არაფერია და ტყუილუბრალოდ გვრჯი, არ ნავერევი“.

Ağzını bıçak açmaz ◇ „დანა პირს არ უხსნის“ - *ცუდ ხასიათზეა, გაჯავრებულა, კრიჭაშეკრულა.

Bugün neden onları ağzını bıçak açmıyordu? Pehlivan Rüstem Almanya'ya çalışmaya gidiyordu.

დღეს მათ დანა პირს რატომ არ უხსნიდა? გმირი რუსთეში გერმანიაში სამუშაოდ მიდიოდა.

Ağzını bozdu „პირი გაიფუჭა“ - *უხამსი, უშვერი, ბინძური სიტყვები თქვა; ◇ პირი აიძვრა.

Yemek yerken birdenbire sinirlenip ağzını bozdu. söylemediği kalmadı.
როდესაც საჭმელს ჭამდა, უეცრად განრისხდა, პირი ისე
აიმურალა, რომ უთქმელი არაფერი დარჩენია.

Ağzını dağıttı „პირი გაინიავა“ - *ბეკური ილაპარაკა, იყბელა; ◇ ენა
წაიგრძელა, ენად გაიკრიფა [იქცა].

Ağzını değiştirdi ◇ „პირი იცვალა“ - *პირობა დაარღვია; ◇ პირი
გატეხა, პირი უშალა.
Birkaç gündür ağız değiştirdin.
რამდენიმე დღეა, რაც პირი უშალე.

Ağzını dört karış açtı „პირი ოთხ მტკაველზე დაადო“ - *გაოცდა,
გაუკვირდა; ◇ პირი ერთ მტკაველზე დაადო, პირღია დარჩა,
სახტად დარჩა.
Senin çince konuştuğunu duyunca ağızını dört karış açtım.
როდესაც შენი ჩინური ლაპარაკი გავიგონე, პირი დავადე.

Ağzını havaya (poyraza) açtı დაცინე. „პირი ჰაერს გაუღო“ -
*მოტყუებდა, იმედი გაუცრუებდა; ◇ პირში ჩალაგამოვლე-ბული
დარჩა, ცარიელზე [მშრალზე] დარჩა.

Ağzını kapadı ◇ „პირი მოკუმა“ - *განუმდა, ხმა არ ამოიღო; ◇
პირზე კლიტე დაიდო, პირში წყალი ჩაიგუბა, ხმა გაიკმინდა.
Evde kocam hep ağızını kapamamı söyler de!
მეუღლე შინ მედამ იმას მეუბნება, პირი მოკუმეო.

Ağzını kapattı ◇ „პირი მოაკუმინა“ - *გაანუმდა, ხმა არ ამოაღებინა;
◇ პირზე ბოქლომი დაადო, პირში ბურთი ჩასჩარა, პირში კაპი
ამოჰკრა.
Birkaç lira vererek ağızını kapattı.
რამდენიმე ლირა მისცა და პირი მოაკეტინა.

Ağzını kiraya mı verdin? „პირი გააქირავე?“ - *რას განემეებულხარ? ◇
ენა გადაყლაპე? პირში წყალი ჩაიგუბე?

Ağzını sıkı tuttu ◇ „პირი მაგრად მოკუმა“ - *განუმდა, გაიტრუნა,
საიდუმლო შეინახა; ◇ პირში ტყვია ჩაიდულა, პირში წყალი
ჩაიგუბა, ენას კბილი დააჭირა.
Kendisine her sırrı söyleyebilirsin, ağızını sıkı tuttuğu bir adamdır.

მას ყველა საიდუმლო შეკიდია გაანდო, ისეთი ადამიანია, პირში ტყვიას ჩაიდულებს.

Ağzını yaydı ◇ „პირი მიაბრუნა“ - *საჭირო პასუხს თავი აარიდა; ◇ სიტყვა ბანზე ააგდო.
Durum anlaşıldı, ağız yaymaya gereği yok.
ვითარება გაირკვა, სიტყვის ბანზე აგდება საჭირო აღარაა.

Ağzının içine bakar ◇ „პირში უყურებს“ - *მის ნათქვამს მიჰყვება, მის სურვილზე დადის; ◇ თვალებში შესცქერის [შესციცინებს].
Sınıfa girince hepimiz ağzının içine bakıyorduk.
როდესაც ის კლასში შემოდითა, ყველანი თვალებში შევცქეროდით.

Ağzının kaşığı değil „მისი პირის კოვზი არ არის“ - *მისი შესაფერისი [ღირსი] არ არის; ◇ მასთან ვერ მოვა, მისი ღონისა არ არის, სად ეს და სად ის.
Senin ağzının kaşığı mı o?
ის შენთან მოვა განა?

Ağzının ölçüsünü verdi „მას თავისი პირის ზომა მისცა“ - *გააჩუქა, ჩააჩუქა; ◇ თავისი ადგილი მიუჩინა.
Hemen ağzının ölçüsünü verdim.
მაშინვე თავისი ადგილი მიუჩინე.

Ağzının payını verdi *ob.:* Ağzının ölçüsünü verdi.

Ağzının perhizi yok „მისმა პირმა მარხვა არ იცის“ - *რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს, საიდუმლოს შენახვა არ იცის; ◇ ენაზე არაფერი ამაგრდება, ენა წინ უსწრებს, ყველაფერს ფქვავს.

Ağzının suları akar ◇ „პირიდან ნერწყვი მოსდის“ - *(საჭმელს და მისთ.) ძლიერ სურს.
Karşısındakiler görünce ağzının suyu akmış.
როდესაც დაინახა, წინ რეებიც ელაგა, პირზე ნერწყვი მოადგა.

Ağzının tadını bilir ◇ „პირის გემო იცის“ - *გემრიელ საჭმელებს კარგად არჩევს.
Ağzının tadını bilen insandı.

პირის გემო რომ იცოდა, ისეთი ადამიანი იყო.

Ahfeş'in keçisi gibi baş sallar „აჰფეშის¹ თხახავით თავს იქნევს“ - *არაფერი გაუგება და ისე ეთანხმება, ვეღლაფერზე თავს აკანტურებს; ◇ ასკილივით თავს იქნევს.

Karşısına oturmuş ona dinliyor, fakat birşey anlamıyarak sadece, **Ahfeş'in keçisi gibi başını sallıyordu.**

მის წინ იჯდა და უსმენდა, მაგრამ არაფერი გაუგებოდა, მხოლოდ ასკილივით თავს უქნევდა.

Akan sular durur „მიმდინარე წყალი ნერდება“ - *მართალია, ვერ შეუღაფები, სადაო არაფერია, სწორია, სრული ჭეშმარიტებაა; ◇ წყალი არ გაუვა.

Akil kutusu ხუმ. ◇ „ჭკუის კოლოფი“ - *ჭკვიანი, გონიერი, აზრიანი.

Bu çocuk gerçek akıl kutusudur.

ეს ბავშვი ნამდვილი ჭკუის კოლოფია.

Akıntıya kürek çeker „მდინარების საწინააღმდეგოდ წინაბს უხვამს“ - *უაზროდ, ტყუილებრადოდ, უშედეგოდ შრომობს, შეუძლებლის გაკეთებას ცდილობს; ◇ დინების საწინააღმდეგოდ მიდის, წყალს ნაყავს, ცხრილით წყალს ეზიდება.

Akıntıya kürek çektığının farkında mısınız?

ხვლები თუ ვერა, რომ დინების საწინააღმდეგოდ მიდიხარ?

Akla yakın ◇ „ჭკუასთან ახლოს“ - *მისაღებია, ჭკვიანურია, დასაშვებია.

Anlattıkları oldukça akla yakın görünüyor.

მათი ნაამბობი ჭკუასთან საკმაოდ ახლოსაა.

Aklı başına geldi ◇ „ჭკუა თავში მოუვიდა“ - *დაჭკვიანდა; ◇ აზრზე მოვიდა.

Deli Murat yaşlandıkça akli başına geldi.

დელი მურადს, როდესაც ხანში შევიდა, თავში ჭკუა მოუვიდა.

Aklı başından bir karış yukarı „ჭკუა თავიდან ერთ მტკაველზე უკევით აქვს“ - *თავში ჭკუა არა აქვს, უჭკუოა, სულელია; ◇ ჭკუასთან

1. ცნობილი არაბი ენათმეცნიერი რომელმაც თხახ „წერა-კითხვა ასწავლა“.

მწყრალადაა, ჭკუასთან უკაცრავად ბრძანდება, თავში უქრის, თავში ოფოფები უსხედან, თავში დარტყმულია, თავში დაკრულია, ტვინი აქვს ნაღრძობი.

Onu mu diyorsun? Akli başından bir karış yukarıdır.

მასზე ამბობს? ის ჭკუასთან მწყრალადაა.

Akli başından gitti ◇ „ჭკუა წაუვიდა“ - *დაიბნა, გაოცდა, გადაირია;

◇ ჭკუა დაკარგა, ჭკუიდან გადავიდა, გონებაზე აღარაა, ჭკუა არ ეკითხება.

Beni öyle görünce akli başından gitmiş.

როდესაც ასეთ მდგომარეობაში დამინახა, ჭკუა დაკარგა.

Akli dağıldı *oh:* Akli başından gitti.

Akli durdu „ჭკუა გაუქრდა“ - *გაოგნდა, გაოცდა, გაშეშდა,

გახევდა; ◇ ჭკუაზე აღარ არის, ჭკუა დაკარგა, გონებაზე აღარაა.

Aşağı indik, alt katta bir odaya girdik. Aman, ya Rabbi! Aklim durdu. O ne gördüm, o, anam, orada duruyor. Onun yanındayım, ha!

ქვევით ჩავყვით, ერთ ოთახში შევედით. ოჰ, ღმერთო! ჭკუაზე აღარ ვიყავი. ის რა ვნახე, ის, დედანემი, იქ იდგა. მის გვერდით ვარ, ოჰ!

Akli gitti *oh:* Akli başından gitti.

Akli gözünde ◇ „ჭკუა თვალებში აქვს“ - *მხოლოდ ნანახით მსჯელობს.

Söyleyeceklerime inanmaz, çünkü akli gözünde birisi.

ნემი ნათქვამი არ სჯერა, ვინაიდან ჭკუა თვალებში აქვს.

Akli karıştı ◇ „გონება აერია“ - *დაიბნა, გაოცდა; ◇ თავგზა აებნა, ტვინი აერია, ჭკუა დაკარგა.

O da böyle konuşunca epey aklim karıştı.

მანაც რომ ასე ილაპარაკა, თავგზა ამებნა.

Akli kıt „ჭკუანაკლები“ - *ჭკუასუსტი; ◇ მოკლე ჭკუისა.

Akli kıt bir insanmış, nereden bilebilirdim?

ერთი მოკლე ჭკუის კაცი ყოფილა, საიდან უნდა მცოდნოდა?

Aklına düştü ◇ „ჭკუაში დაუჯდა“ - *დასაშვებად ჩათვალა; ◇ თავში მოუვიდა.

Aklına esti ◇ „გონებაში გაუელვა“ - *უცებ მოიფიქრა, მოისახრა; ◇ თავში გაუელვა, (უცებ) თავში მოუვიდა.
Bu dehşetli fikir aklına esti.
ამ საშინელმა აზრმა თავში გამიელვა.

Aklına koydu ◇ „თავში (გონებაში) ჩაიღო“ - *გადაწყვიტა, ჩაიბუკდა, აიხმა.
Bu yaz karım Antalya'ya gitmeği aklına koymuş. Artık onu kimse bundan vaz geçiremez.
ამ საფხულს ჩემმა მეუღლემ თავში ჩაიღო ანტალიაში წასვლა. ამას უკვე ვეღარავინ გადაათქმევინებს.

Aklına turp sıkayım *ჭრე.* „ჭკუაზე ბოლოკს დაგაწურავ“ - *უჭკუო ხარ; ◇ *ჭრე.* შენი ჭკუა ვჭამე! შენი ჭკუისაც რა ვთქვა, შენ ჭკუას რა ვუთხარი, ვაი, შენს ჭკუას, ჭკუასთან მწყრალად ხომ არა ხარ?
Aklına turp sıkayım, bu da nereden çıktı?
ჭკუასთან მწყრალად ხომ არა ხარ? ეს საიდანღა გაჩნდა?

Aklına yattı ◇ „ჭკუაში დაუჯდა“ - *მოეწონა.
Yılmaz bey zengin bir adamdı, aklına yattı bu öneri.
ბატონი ილმაზი ერთი მდიდარი კაცი იყო და ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა.

Aklından çıktı ◇ „გონებიდან ამოუვარდა“ - *დაავიწყდა; ◇ თავიდან ამოუვარდა.
Annem ve kardeşlerim aklımdan çıkmıyor. Öyle özledim, öyle özledim ki! დედანემი და დაძმანი გონებიდან არ ამომდიან. ისე მომენატრენ, ისე მომენატრენ, რომ...

Aklından geçirdi ◇ „გონებაში გაივლო“ - *გაიფიქრა; ◇ გულში გაივლო.
Problemin böyle de çözülebileceği aklından geçmiş.
გონებაში გაუელვა აზრმა, რომ პრობლემის ასედაც გადაწყვეტა შესაძლებელი იქნებოდა.

Aklını başına topladı ◇ „ჭკუა თავში მოიკრიბა“ - *აზროვნების უნარი დაიბრუნა; ◇ გონს მოეგო, გონს მოვიდა, აზრზე მოვიდა.

Evim yandı diye dündenberi ağlıyorsun. **Aklını başına topla!** Dünyada bundan büyük felâketler de var.

სახლი დამწვარი და გუშინდლიდან მოყოლებული რომ ცირი, გონება მოიკრიბე. ქვეყნად ამასე დიდი უბედურებებიც არსებობს.

Aklını çaldı „ჭკუა მოჰპარა“ - *გადმოიბირა, თავის სურვილზე ატარა; ◇ თავის ჭკუაზე გადმოიყვანა, თავის ჭკუაზე მოაქცია.

Aklını çalmışlar, bir türlü engel alamadım.

თავის ჭკუაზე გადაუყვანიათ, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გავუწიე.

Aklını kaybetti ◇ „ჭკუა დაკარგა“ - *გაგიჟდა, გადაირია, გასულელდა, გიჟად იქცა; ◇ ჭკუაზე აღარაა.

Başına gelenlerden aklını kaybetmiş gibi görünüyordun.

რაც თავს გადახდა, იმისაგან ჭკუაზე აღარ იყო.

Aklını oynattı „ჭკუა შეათამაშა“ - *გაგიჟდა, გადაირია, გასულელდა;

◇ ჭკუიდან გადავიდა, გონება აერია, თავის ჭკუაზე აღარაა.

Zavallı kadın, aklın oynatmış gibi görünüyor.

საბრალო ქალი, ისე გამოიყურება, თითქოს ჭკუიდან გადავიდაო.

Aklını peynir ekmekle mi yedin? „ჭკუა პურსა და ყველს მიატანე?“ -

*გაგიჟდი? ხომ არ გასულელდი? რამ გადაგრია?; ◇ ჭკუა ქარს გაატანე? ჭკუასთან მწყრალად ხარ? აფრაკად ხომ არ ხარ?

- Yahu, sen aklını peynir ekmekle mi yedin? Kavuşu almadım ki parasını vereyim, - der.

- აღამიანო, ჭკუაზე აფრაკად ხომ არ ხარ? ქელი არ მიყიღია და ფული გადაგიხადო?

Aklının bir tahtası noksan „მის ჭკუას ერთი ფიცარი აკლია“ -

*სულელდია, წერსეცია, ბენტერაა; ◇ თავში აკლია, ჭკუა აქვს ნაღრძობი, თავში უქრის, კრამიტი დაცურებული აქვს.

Aklınıza yanayım sizin „შენი ჭკუისაგან ვიწვი“ - *რა უჭკუო ხარ, შენმა უჭკუობამ გადაირია; ◇ შენი ჭკუისაც რა ვთქვა, ჭკუას რომ არიგებდნენ, სად იყავი?

Hay, aklınıza yanayım sizin, demiş. Kavlimizde merdiven yoktu da, merdivensiz çıkmak var mıydı?

ერიპა, შენი ჭკუისაც რა ვთქვი, წყენს მისლაპარაკებაში კიბე არ იყო და უკიბოდ განა აისვლებო?

Alçak dağları ben yarattım demek „პატარა მთები მე შევქმენიო“ - *ამპარტავენობს, ქედმაღლობს; ◇ მე ვარ და ჩემი ნაბადიო, მე ვარ, რაც ვარო.

Sanki alçacak dağları ben yarattım der gibiydi.

ისე გამოიყურებოდა, თითქოს მე ვარ, რაც ვარო.

Aldı fitili „პატრუქი აიღო“ - *უცეპ, მოულოდნელად გაბრაზდა, აფეთქდა, აენიო. გაცეცხლდა; ◇ პატრუქივით აინთო, თოფისწამალივით იფეთქა.

Alıcı gözüyle baktı ◇ „მუშტრის თვალით შეხედა“ - *დააკვირვებით შეათვალიერა.

- Şu geçen kız ne güzeldi, gördün mü?

- Yooo!!! Alıcı gözüyle bakmadım doğrusu....

- რომ გაიარა, ის ქალიშვილი რა ლამაზი იყო, დაინახე?

- არა, მუშტრის თვალით არ შემხედავს.

Alın derisi değil, davul derisidir „შუბლის ტყავი კი არა, დოლის ტყავია“ - *უსირცხვილოა, ნამუსგარეცხილია, შუბლ-მაგარია; ◇ მაგარი შუბლი აქვს, შუბლის ძარღვიც კი არ შეუტოკდება, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს.

Ali'nin külâhını Veli'ye, Veli'nin külâhını Ali'ye giydirir „ალის ქუდს ველის ახურავს, ველის ქუდს – ალის“ - *წვალობს, ჯახირობს, ცოდვილობს; ◇ ალიას ქუდს მუსიას ახურავს, მუსიას ქუდს – ალიას, თავი ძელივს გააქვს.

Herkes gibi o da Ali'nin külâhını Veli'ye, Veli'nin külâhını Ali'ye giydiriyordu.

როგორც ყველას, მასაც თავი ძლივს გაჰქონდა.

Alını açık yüzü ak „შუბლგახსნილი და პირნათელი“ - *პატიოსანი, შუბლნათელი, მართალი.

Mahkeme huzuruna alını açık, yüzü ak çıktı.

სასამართლოს წინაშე პირნათელი წარდგა.

Alından teri boşanıyor ◇ „შუბლიდან ოფლი ღვარად ჩამოსდის“ - *მძიმე შრომაშია; ◇ შუბლიდან ოფლს იწურავს, დღე და ღამეს ასწორებს, წელებზე ფეხს იდგამს, წელში წყდება, ოფლს ღვრის.

Alnımızdan teri boşanıyorduk, sonuç bu mu olacaktı?

წლებზე ფეხს ვიდგამდით და ბოლო ასეთი უნდა ყოფილიყო?

Alnından teri döker ob.: Alnından teri boşanıyor.

Alnının damarı çatladı „შუბლის ძარღვი გაუწყდა“ -

*1. (წარმატების მისაღწევად) ბევრი იწვალა, იჯახირა;

◇ დღე და ღამე გაასწორა, ოფლი ღვარა, თავი დააკლა.

Çalışırken alnının damarı çatlayanlar sınavda belli oldu.

*ვინც მეკადინეობას თავი დააკლა, გამოცდაზე გამოინდა. 2.

*„უხინდისოდ, უნამუსოდ მოიქცა“; ◇ შუბლის ძარღვი გაიწყვიტა, ნამუსზე ხელი აიღო.

Halide, yine mi size yemeğe geldi? Hem de dâvetsiz... Onun alnının damarı çatlamış gâliba!....

ჰალიდე საჭმელად კვლავ თქვენთან მოვიდა? თანაც დაუბატოებლად... ნამდვილად შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი!...

Alnının teriyle ◇ „თავისი (შუბლის) ოფლით“ - *საკუთარი შრომით, დიდი შრომით, დიდი წვალებით, ჯახირით;

◇ ოფლის ღვრით, წლებზე ფეხის დადგმით.

O bunca yıl çalışıp alnının teriyle seni nasıl büyüttü?

მან ამდენი წლის შრომით, ოფლის ღვრით, როგორ გაგზარდა?

Altın keser „ოქროს ჭრის“ - *ბევრ ფულს შოულობს; ◇ ფულს ჭრის.

Çok güzel bir yerde tutmuş, altın kesiyor.

ძალიან კარგ (თბილ) ადგილზე მოკალათებულა, ფულს ჭრის.

Altında kalmaz „ქვეშ არ დარჩება“ - *სიკეთესა და ბოროტებაზე სამაგიეროს გადაუხდის; ◇ ვალში არ დარჩება.

O bu iyiliğinin altında kesinlikle kalmaz.

ამ სიკეთისთვის არავითარ შემთხვევაში ვალში არ დარჩება.

Altını üstüne getirdi „ქვევითა ზევით მოაქცია“ - *ყველაფერი გადააყირავა, გადააქოთა, ყველაფერი აურ-დაურია;

◇ ყირამალა დააყენა, თავდაყირა დააყენა.

Çocuklar evin altını üstüne getirmişler.

ბავშვებს სახლი თავდაყირა დაუყენებიათ.

Altüst etti ob.: Altını üstüne getirdi.

Altüst oldu ◇ „თავდაყირა დადგა“ - *(ყველაფერი) აირ-დაირია; ◇
(ყველაფერი) თავდაყირა დადგა, აირია მონასტერი, ძაღლი
პატრონს ვეღარ ცნობდა.

Ortalık altüst oldu.

ირგვლივ ყველაფერი თავდაყირა დადგა.

Ana baba eline bakar „დედ-მამის ხელებს შესცქერის“ - *დედ-მამის
ხარჯზეა, უუნაროა, უსუსურია; ◇ დედ-მამას ხელებში შეს-
ცქერის.

Daha dün ana baba eline bakıyordu.

ჯერ კიდევ გუშინ დედ-მამას ხელებში შესცქეროდა.

Anadan (yeni) doğmuşa döndü „ახლადდაბადებულს დაემსგავსა“ -
*ყოველგვარი უსიამოვნებისაგან, ავადმყოფობისა და ტკივილი-
საგან გათავისუფლდა, შვებით ამოისუნთქა; ◇ ხელ-ახლა
დაიბადა.

O olaydan sonra anadan yeni doğmuşa döndü.

იმ შემთხვევის შემდეგ თითქოს ხელახლა დაიბადაო.

Anahtarını buldu ◇ „გასაღები მოუძებნა“ - *ვითარებაში გაერკვა,
მიძიე მდგომარეობას თავი დააღწია; ◇ გამოსა-ვალი იპოვა.

Ananın karnında dokuz ay nasıl durdun? „დედის მუცელში ცხრა თვე
როგორ გაჩერდი?“ - *რა სულსწრაფი ხარ! რა მოუთმენელი ხარ!

◇ სული ცხვირში გაქვს? შვიდთვიანი ხომ არ ხარ?

Anası kadir gecesi doğurmuş „დედამისს ყადირის (ბედნიერ) დამეს
უშობია“ - *ბედნიერია, იღბლიანია, ბედი (იღბალი) სწყალობს;

◇ ბედნიერ საათზე დაბადებულა, ბედნიერ ვარსკვლავზე
განენილა, ქედბედი დაჰყოლია.

Şanslı adam, anası Kadir gecesi doğurmuş.

იღბლიანი ადამიანია, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულა.

Anasından doğduğuna pişman eder „ნანობს, დედამ რომ შობა“ -

*სიცოცხლე მოჰპყრებია, აღარაფერი აინტერესებს; ◇

დაბადებას იწყევლის, დედას რატომ გაუუნდო, ბედს იწყევლის.

Kim ne derse desin, o, anasından doğduğuna pişman.

ვინც რა უნდა ისა თქვას, დაბადების დღეს კი იწყევლის.

Anasından emdiği süt burnundan geldi ◇ „დედის რძე ცხვირიდან

ამოუვიდა“ - *ყველაფერი წამწარდა, არაფერი შეერგო; ◇
ცხვირიდან ძმრად ამოუვიდა, შავი დღე დაადგა, დედის რძე
არმად შეერგო.

Bu durumlara karşılığınca **anasından emdiği süt burnundan geldi.**

ამ მდგომარეობას რომ წააწყდა, ყველაფერი ცხვირიდან ძმრად
წასდინდა.

Anasını ağlatırız „დედას ვუტირებთ“ - *ერთ უბედურებას დავაწევთ,
გავამწარებთ, ცუდ დღეში ჩავაგდებთ.

- Kim geri çekilirse, onun da **anasını ağlatırız!**

- ვინც უკან დაიხევეს, დედას ვუტირებთ.

Anasının ipini satar „დედამისის თოკს გაყიდის“ - *მისგან ყველაფერია
მოსალოდნელი, უსინდისოა, არამზადაა; ◇ ყველაფერზე მიდის,
ყველაფერზე ხელს აწერს, დედას გაყიდის.

Selim mi? Bırak onu. O her şey yapar. O **anasının ipini satanlardandır.**

სელიმი? მოეშვი. ის ყველაფრის ჩამდენია, დედას გაყიდის.

Anasının nikâhını ister „დედამისის ნიშნობას ითხოვს“ - *ძალიან
ძვირს აფასებს; ◇ მამა-სისხლად აფასებს, ცეცხლს უკიდებს.

O, dükkâna **anasının nikâhını istiyor.**

მაღაზიას მამა-სისხლად აფასებს.

Annem beni bir kere doğurdu „დედამ ერთხელ გამაჩინა“ - *დასადუპი
თავი არ მაქვს; ◇ დედამ იმისთვის კი არ დამბადა, ბალახი ხომ
არ ვარ, ხელმეორედ ამოვიდე? ამქვეყნად ერთხელ მოვსულვარ,
მეორედ კი არ მოვალ ამქვეყნად, თავი კი არ მომძულეებია!

- Hafta sonunda gene Ali'yi alıp bir yere gidelim mi?

- Yok oğlum, **annem beni bir kere doğurdu.**

- კვირის ბოლოს აღისთან ერთად კვლავ სადმე ხომ არ
წავიდე?

- არა, შვილო, თავი კი არ მომძულეებია.

Arabayı çekti „ურემი გასწია“ - *წავიდა, იქაურობას გაეცალა; ◇
გუდა-ნაბადი აიკრა.

Aralarından kara kedi geçti ◇ „მათ შორის შავმა კატამ გაირბინა“ -
*მათი ურთიერთობა გაფუჭდა; ◇ მათ შორის ბზარი გაჩნდა,
(მათ ურთიერთობას, მეგობრობას და ა.შ.) წყალი შეუდგა.

Aralarından su sızmaz „მათ შორის წყალი ვერ გაუნავს“ - *მათი მეგობრობა მტკიცეა, მათ ვერაფერი დააშორებს; ◇ მათ მეგობრობას წყალი არ გაუვა.

Ardından atlı mı geliyor? „ცხენოსანი ხომ არ მოგდევს?“ - *რატომ ჩქარობ? მოგდევნე? ◇ ვინმე ხომ არ მოგდევს? რა ცეცხლი გეკიდება?

Arka arkaya verdiler ◇ „მხარი მხარს მისცეს“ - *ერთმანეთს დაეხმარნენ; ◇ მხარში ამოუდგნენ, ერთმანეთს მხარი აუბეს.
Arka arkaya verince işi epey doğrulttular.
როდესაც ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ, საქმე კარგად წარმართეს.

Arka kapıdan çıkmış „უკანა კარებიდან გამოსული“ - *უეცი, უცოდინარი, ჩამორჩენილი, საზოგადოებას მოწყვეტილი; ◇ ჭურში მჯდომი.

Onlar hiç bir şey bilmezler. Böylelerine mektebin arka kapısından çıkmışlar derler.

მათ არაფერი გაეგებათ, ასეთებზე იტყვიან: „ჭურში სხედან“-ო.

Arkada bıraktı ◇ „უკან ჩამოიტოვა“ - *დაწინაურდა, (სხვას) გაასწრო, აჯობა.

Ahmed, arkadaşlarını epey arkada bıraktı.

აჰმედმა ამხანაგები საკმაოდ უკან ჩამოიტოვა.

Arkası pek ◇ „მაგარი ზურგი აქვს“ - *გავლენიანი მფარველი ან ძლიერი მოკავშირე ჰყავს.

Arkası pek görünce çevresindekiler biraz korktular.

როდესაც დაინახეს, რომ მაგარი ზურგი ჰქონდა, გარშემო მყოფნი ცოტათი დაფრთხნენ.

Arkasına bakmadan gitti ◇ „უკანმოუხედავად წავიდა“ - *სასწრაფოდ წავიდა, მოუსხა.

Arkasına dolaşır ◇ „უკან დასდევს“ - *უთვალთვალებს, ხელსაყრელი მომენტის ხელში ჩაგდებას ცდილობს; ◇ კუდში დასდევს.
Kaç gündür arkasında dolaşıyoruz.
რამდენი დღეა, უკან დავდევთ.

Arkasından vurdu ◇ „ზურგში ჩაარტყა“ - *ელაღლატა, გაიმეცა; ◇
ზურგში დანა ჩასცა, მახე დაუგო.

Arkasını aldı „(რისამე) დასასრული ხელთ იგდო“ - *საქმე
დაამთავრა, დაასრულა; ◇ (საქმე) ბოლომდე მიიყვანა, (საქმეს)
წერტილი დაუსვა.

İşin arkasını alınca bir oh çektik.

როდესაც საქმეს წერტილი დავუსვით, ერთი ამოვისუნთქეთ.

Arkasını çevirdi ◇ „ზურგი შეაქცია“ - *უარჰყო, განუღვა, მიატოვა;
◇ ხელი აიღო, პირი იბრუნა.

Arkasını çevirince bir daha yanına uğramadım.

როგორც კი ზურგი შევაქციე, მასთან ერთხელაც აღარ
შემივლია.

Arkasını getirdi *ob.:* **Arkasını aldı.**

Arkasını kesti „ბოლო მოჰკვეთა“ - *მოსპო, აღგავა, გაანადგურა,
დაამარცხა; ◇ ბოლო მოუღო.

Bu dedikoduların arkasını kesmek için bu mahalleden taşınmaktan başka çare yok.

ამ ჭორებისთვის ბოლოს მოსაღებად ამ უბნიდან გადასვლის
გარდა სხვა გზა არ არის.

Arkasını verdi ◇ „მხარი მისცა“ - *დაეხმარა, მიემხრო, უშველა,
თანაგრძნობა გაუწია; ◇ მხარი დაუჭირა, მხარში ამოუღვა.

O bana arkasını verince işlerimiz yoluna girdi.

როდესაც ის მხარში ამომიღვა, ჩვენი საქმეები კარგად წავიდა.

Arkasını yere getiremedi ◇ „(მისი) ზურგი მიწას ვერ გააკრა“ - *ვერ
მოერიო, ვერ დაამარცხა; ◇ ვერაფერი დააკლო.

Armudun sapı var, üzümün çöpü var, der „მსხალს ღერო აქვს, ყურძენს
კიდევ წიპწათ“ - *ყველაფერს იწუნებს, შარხეა, მიზეზზეა; ◇ დოს
მარილი აკლიაო.

Armudun sapı var, üzümün çöpü var diyenlerle iş yapılmaz...

ვინც ამბობს: „დოს მარილი აკლია“ - ო, იმასთან საქმე არ
გამოვა.

Armut piş, ağzıma düş diye „მსხალო, დამწიფდი, პირში ჩამივარდი“-ო -

*ზარმაცი, უქნარა, მსამზარეულის მომლოდინე; ◇ სხვისი ლუკმის მომლოდინე, სხვისი ხელის შემყურე.

Ben, senin gibi tembел bir adam görmedim. Her zaman „armut piş, ağzıma düş!“ diye bekliyorsun.

შენისთანა ზარმაცი ადამიანის მნახველი არა ვარ. სულ სხვას შეჰყურებ ხელებში.

Arslan ağzında oldu ◇ „ლომის ხახაში აღმოჩნდა“ - *საშიშ მდგომარეობაში, საფრთხეში აღმოჩნდა; ◇ ლომის კლანჭებში ჩავარდა.

Arslan gibi kükrer ◇ „ლომივით ბრდღვინავს“ - *განრისხებულია, გაცოფებულია, გადარეულია; ◇ ცოფებს ყრის, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს.

Arslan payı ◇ „ლომის წილი“ - *დიდი წილი, უმეტესი ნაწილი.

Arslan payı her zaman ona düşer.

ლომის წილი ყოველთვის მას ხვდება.

Asık suratlı oldu ◇ „სახე მოელუშა“ - *მოიწყინა, დაღონდა, დამწუხრდა, განაწყენდა, უკმაყოფილო დარჩა; ◇ ცხვირ-პირი ჩამოსტირის, ზეთი ჩამოსდის სახეზე.

Eskiden neşeli bir insan olan Can şimdi ne kadar değişti, âdetâ asık suratlı oldu. Hiç yüzü gülmüyor.

წინანდელი მხიარული ჯანი ახლა როგორ შეიცვალა, მუდამ ცხვირ-პირი ჩამოსტირის. აღარც კი იცინის.

Askıda bırakır „საკიდზე ტოვებს“ - *(საქმეს) არ ასრულებს, მიაგდება; ◇ (საქმეს) ჰაერში გამოკიდულს ტოვებს, ღვთის ანაბარა ტოვებს, შუა გზაზე ტოვებს.

Ahmed'e güvenme.... O, işi yaparım diye üzerine alır, sonra da aylarca askıda bırakır yapmaz.

- აჰმედს ნუ ენდობი.... იტყვის, საქმეს გავაკეთებო, აიღებს და შემდეგ კი თვეობით ჰაერში გადმოკიდულს ტოვებს, არ ასრულებს.

Aşağı tükürsem sakalım, yukarı tükürsem bıyığım „ქვევით დავაფურთხო ნემი წვერია, ზევით ავაფურთხო, ნემი უღვაშია“ - *გამოუვალ მდგომარეობაში ვარ; ◇ დავაფურ-რთხე წვერზე მომხვდა, ავაფურთხე - უღვაშებზე, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი, აქეთ გავიქეცი - წავიქეცი, იქით გავიქეცი - მაინც წავიქეცი, ორ

ცეცხლს შუა ვარ.

Annemle karım bir türlü geçinemiyorlar. Ben iki arada kalıyorum. **Aşağı tükürsem sakalım, yukarı tükürsem bıyığım.** Cidden ne yapacağımı şaşırmış durumdayım.

დედასემი და ჩემი ცოლი ერთმანეთს ვერ იტანენ. ორ ცეცხლს შუა ვარ. ნამდვილად დაბნეული ვარ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

At görür aksar, su görür susar „ცხენს დაინახავს, კოჭლობს, წყალს დაინახავს, სწყურია“ - *ხარბია, ყველაფერი თავისთვის უნდა; ◇ ყველაფერზე თვალი რჩება (მიუღობის), ყველაფერზე თვალები აქვს დაჭყეტილი, ყველაფერს თავისკენ მიითვლის.

O her zaman böyledir, **at görür aksar, su görür susar.**

ის ყოველთვის ასეთია, ყველაფერზე თვალი მიუღობის.

At izi it izine karışmış „ცხენის კვალი ძაღლის კვალში აირია“ - *დიდი არეულ-დარეულობაა, ქაოსია, გაუგებრობაა; ◇ აირია მონასტერი, ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს.

At izi it izine karışmış, kimse ne yaptığını bilmiyor.

ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს, ვინ რას აკეთებს, აღარავინ იცის.

At oynar yer „ცხენის გასაჭენებელი ადგილი“ - *დიდი, ვრცელი, გაშლილი ადგილი; ◇ ცხენი გაჭენდება, თვალს ვერ გააწვდენ, საბურთაო მოედანი.

Ata et, ite ot verir „ცხენს ხორცს აძლევს, ძაღლს – ბაღახს“ - *ყველაფერს უკუღმა აკეთებს; ◇ „იქით წადი!“ აქეთ წამოვა, „აქეთ მოდი!“ იქით წავა, უკუღმართი კაცია.

Ateş açtı ◇ „ცეცხლი გახსნა“ - *(ცეცხლსასროლი იარაღიდან) სროლა ატეხა.

Harpte taraflar birbirine **ateş açtılar.**

ომში მხარეებმა ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს.

Ateş almaya mı geldin? „ცეცხლის წახალებად მოხვედი?“ - *სად მიგუნქარება? მოგდევენ? ◇ ცეცხლი გეკიდება? ხომ არ მოგდევენ?

Biraz içeri buyurup dinlenmez misin? Böyle, **ateş almıya gelmiş** gibi kapıdan dönmek olur mu?

ცოტა ხნით შინ არ შემოხვალ, არ დაისვენებ? თითქოს ცეცხლი გეკიდებოდეს, კარიდან გაბრუნება იქნება?

Ateş pahasına ◇ „ცეცხლის ფასად“ - *ძალიან ძვირად.

Taze domates çıkmış, ama ateş pahasına satılıyor, alınır gibi değil.

ახალი პამიდორი შემოვიდა, მაგრამ ცეცხლის ფასად იყიდება, ვერ მიეკარები.

Ateş püskürür ◇ „ცეცხლს აფრქვევს“ - *განრისხებულია, გაცოფებულია, ჭკუა არ ეკითხება; ◇ ცოფებს ყრის, თვალებიდან ცეცხლს აკვებს.

Şef bugün ateş püskürüyor.

უფროსი დღეს ცოფებს ყრის.

Ateşe atıldı *ob.:* **Ateşe düştü.**

Ateşe benzin döker ◇ „ცეცხლზე ბენზინს ასხამს“ - *მდგომარეობას უფრო ართულებს, ამწვავებს; ◇ ცეცხლზე ნავთს ასხამს.

Ateşe düştü ◇ „ცეცხლში ჩავარდა“ - *დიდ განსაცდელში ჩავარდა; ◇ ჯოჯოხეთში ჩავარდა.

Ateşe gider „ცეცხლზე მიდის“ - *თავს დიდ განსაცდელში იგდებს; ◇ ცეცხლს ეთამაშება, ცეცხლში ვარდება, თავს წირავს, სიკვდილს ეთამაშება.

Onu sevdiğimi ispat için her an tereddütsüz ateşe gitmeye hazırım.

მისდამი სიყვარულის დასამტკიცებლად ყოველ წუთს მზად ვარ უყოყმანოდ ცეცხლში ჩავვარდე.

Ateşe körükle gider *ob.:* **Ateşe bezin döker.**

Ateşe verdi ◇ „ცეცხლს მისცა“ - *დაღუპა, მოსპო, გაანადგურა; ◇ ცეცხლი წაუკიდა.

İsyancılar evleri ateşe verdiler.

აჯანყებულებმა სახლები ცეცხლს მისცეს.

Ateşi söndürdü ◇ „ცეცხლი ჩააქრო“ - *მდეღვარება შეანელა, დააცხრო.

Ateşi uyandırdı ◇ „ცეცხლი გააღვივა“ - *გაახელა, გააღიოსიანა, წააქეხა; ◇ ცეცხლი შეუკეთა (შეუნთო), ცეცხლზე ნავთი დაასხა.

Ateşle oynar ◇ „ცეცხლს ეთამაშება“ - *თავს ხიფათში (განსაკვეთლში) იტყუებს.

- Sen ateşle oynuyorsun dostum. Hem otomobilin frenleri tutmuyor diyorsun, hem de derhal yola çıkmak istiyorsun.

- მეგობარო, ცეცხლს ეთამაშები. თან ამბობ, ავტომანქანის მუხრუჭი არ იჭერსო, თანაც სასწრაფოდ გინდა გზას გაუვლე.

Atı alan Üsküdarı geçti „ცხენის ქურდმა უსქედარი¹ გაიარა“ - *ხელსაყრელი მომენტი ხელიდანაა გაშვებული, უკვე დაგვიანებულია, საქმეს აღარაფერი ეშველება, საქმე დაღუპულია; ◇ ჩაილულის წყალი დალია, კაკას ხიდი გაიარა, უყარე კაკალი.

- Sen Şermini mi soruyorsun? Atı alan Üsküdarı geçti, oğlum , o dün evlendi.

- შერმინზე მეკითხები? უყარე კაკალი, შეიღო! ის გუშინ დაქორწინდა.

Atı eşkini kılıcı keskin „ცხენი ბედაური, ხმალი მჭრელი“ - *ყოველისშემძლეა, ძლიერია; ◇ ხმალიც უჭრის და სიტყვაც.

Atı eşkin, kılıcı keskin birisine benziyor.

ეტყობა, ხმალიც უჭრის და სიტყვაც.

Atlıyı atından indirir „მხედარს ცხენიდან ჩამოსვამს“ - *აწეობილ საქმეს ჩაშლის; ◇ საქმეს უკულმა დაატრიალებს.

Aziz, çok ileri-geri konuşuyor. Söylediği lâflar hani atlıyı atından indirir.

აზიზი ძალიან დაბნეულად ლაპარაკობს. დაიმახსოვრე, მისი სიტყვები საქმეს უკულმა დაატრიალებს.

Attan inip eşeğe bindi „ცხენიდან ჩამოხტა, ვირზე შეჯდა“ - *ძველი თანამდებობა დაკარგა, ჩამოაქვეითეს; ◇ სკამი (სავარძელი) დაკარგა, წინ-მედლები ჩამოართვეს.

Attan inip eşeğe binmek kimsenin hoşuna gitmez.

სკამის (სავარძლის) დაკარგვა არავის მოსწონს.

Attığı adım ◇ „მის მიერ გადადგმული ნაბიჯი“ - *მის მიერ შესრულებული საქმე.

Kendisine yaklaşmak için attığım her adım beni birçok yeni muammalarla karşılaştırıyordu.

1. უბანი სტამბოლის აზიურ ნაწილში.

მასთან დასაახლოებლად გადადგმული ყოველი ნაბიჯი ახალ-ახალი გამოცანის წინაშე მაყენებდა.

Attığı tırnağa benzenmez „იმის გადაგდებულ ფრჩხილსაც (კი) ვერ შეედრება“ - *მას ვერ შეედრება, მისგან შორსაა, ხად ის და ხად ეს; ◇ იმის ფრჩხილსაც არ ღირს.

Bu hizmetçi kızın bir işe yaradığı yok. Nazli'nin attığı tırnağa benzenmez.
ეს მოახლე გოგო არაფრის მაქნისია. ნაზლის ფრჩხილსაც არ ღირს.

Avucuna aldı ◇ „მუჭში მოიქცია“ - *თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია, დაიმორჩილა; ◇ ხელში დაიჭირა.

Hepsini avucunun içine almış, her dediğini yapıyor.
ყველა ხელში უჭირავს. რასაც ეტყვის, ყველაფერს აკეთებინებს.

Avucunu açar „მუჭს შლის“ - *მათხოვრობს; ◇ ხელს იშვერს.

Avucunu yalar ხეშ „მუჭს ილოკავს“ - *იმედი აღარ აქვს, იმედი გაუცრუვდა; ◇ ხელი ჩაიქნია, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

Bu işte de avucunu yalayınca epey akli başına geldi.
ამ საქმეშიც რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, გონს მხოლოდ მაშინ მოეგო.

Avucunun içi gibi bilir „თავის ხელისგულივით იცის [იცნობს]“ - *ხედმიწევნით კარგად იცის; ◇ თავისი ხუთი თითივით იცის [იცნობს], წყალივით იცის.

- Buraları avucumun içi gibi bilirim. Hava kararsa da, merak etme kaybolmayız!

- აქაურობას ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ. ამინდი კიდევაც რომ გაფუჭდეს, ნუ გეშინია, არ დავიკარგებით.

Avucunun içinde tutar ◇ „ხელისგულზე ისვამს“ - *დიდ პარტიკში (ფუფუნებაში) ჰკავს, მსრუნველობს; ◇ თავს ევლება.

Avucunun içine aldı *obs.* Avucuna aldı.

Avuç içi kadar ◇ „ხელისგულისოდენა“ - *პაწაწინა.

Avuç içi kadar dükkân, ama, çok iyi işliyor.
ხელისგულისოდენა მაღაზიაა, მაგრამ ძალიან კარგად მუშაობს.

Avurdu avurduna çökmuş ◇ „ყბა ყბაში ჩავარდნია“ - *ძალზე გამხდარია; ◇ ყბები ჩასცვივნია, ყურებში ლანდი გასდის, კისერი გაწყვეტაზე აქვს.

Zavallının avurdu avurduna geçmişti.

საცოდავს, ყბა ყბაში გასდის.

Avurdunu şisiriyor „ყბას იბერავს“ - *თავი მოსწონს; ◇ თავი მოაქვს, მამალი ინდაურივით იფხორება.

Ayağa kalktı ◇ „ფეხზე წამოდგა“ - 1. *მომაგრდა, მოღონიერდა, მოძლიერდა;

Hasta ayağa kalktı.

ავადმყოფი ფეხზე დადგა.

2. *აღშფოთდა, აჯანყდა, აღხდგა;

Tüm köylü ayağa kalktı.

გლეხობა ფეხზე დადგა.

Ayağı alıştı ◇ „ფეხი აუწყო“ - *მიეჩვია, გაუგო, შეეგუა.

Ayağı basacak yer yok ◇ „ფეხის დასადგმელი ადგილი არ არის“ - *ბევრი ხალხია, ჭედვაა, ტევა არ არის, დიდი ხალხმრავლობაა; ◇ ნემსი ვერ ჩავარდება.

Ayağı bu yerden kesildi ◇ „აქედან ფეხი ამოეკვეთა“ - *(ხადმე) მისვლის უფლება დაკარგა, აღარ მიესვლება.

Ayağı düştü „ფეხი მოეხვდა“ - *შეიარა; ◇ გზა იქით ჰქონდა.

Buraya ayağı düşseydi yanımıza uğrardı.

გზა თუ აქეთ ექნებოდა, ჩვენთან შემოივლიდა.

Ayağı ile geldi ◇ „თავისი ფეხით მოვიდა“ - *თავისი სერვილით მოვიდა, თავისით მოვიდა.

Sesini çıkarma, ayağı ile geldi.

ხმა არ ამოიღო, თავისი ფეხით მოვიდა.

Ayağı suya erdi „ფეხი წყალზე მიუწვდა“ - *მიხვდა, გაიგო, ჩაწვდა;

◇ აზრზე მოვიდა, გონება გაუნათდა.

Bu mektubu okuyunca, ayağım suya erdi.

როდესაც ეს წერილი წავიკითხე, აზრზე მოვედი.

Ayağı üzengide „ფეხი უზანგში აქვს“ - *წასვლაზეა, გაქცევაზეა; ◇
ცალი ფეხი გარეთ აქვს, ცალი ფეხი უზანგში აქვს.

Ayağına bağ oldu „ფეხზე კვანძად ექცა“ - *წინააღმდეგობა გაუწია, შეაფერხა, გადაეღობა; ◇ ბორკილად ექცა, ხელი შეუშალა, წინ გადაეღობა (წინ აღუდგა).

Annesi ayağına bağ olmasaydı, bu iş olacaktı.

დედამისს ხელი რომ არ შეეშალა, ეს საქმე მოხდებოდა.

Ayağına çelme taktı ◇ „კვანტი გამოსდო“ - *წინააღმდეგობა გაუწია, შეაფერხა, დააბრკოლა; ◇ ფეხი დაუდო, ფეხებში მოედო, ხელი შეუშალა.

- Ne yapmak istediysen sen ayağıma çelme taktın. Başarısızlığımın tek sebebi sensin.

- რისი გაკეთებაც მოვინდომე, ფეხი დამიდე. ჩემი წარუმატებლობის ერთადერთი მიზეზი შენა ხარ.

Ayağına düştü ◇ „ფეხებში ჩაუვარდა“ - *ეხვეწა, ემუდარა; ◇ ხელ-ფეხი დაუკოცნა, მუხლებში ჩაუვარდა.

Ayağına kara su indi „ფეხებში შავი წყალი ჩაუდგა“ - *(ფეხზე დიდხანს დგომისაგან, სიარულისაგან) ძალიან დაიღალა; ◇ ფეხები დააწყდა, ფეხზე ჩამოწყდა, მუხლებში წყალი ჩაუდგა, ფეხზე ვეღარ დგას.

Kapısında beklerken ayaklarıma kara su indi.

მის კარებთან ლოდინში ფეხზე ჩამოვწყდი.

Ayağına karpuz kabuğu koydu „ფეხქვეშ საზამთროს ქერქი დაედო“ - *დააბრკოლა, შეაფერხა; ◇ ფეხი გამოსდო, კვანტი გამოსდო.

Ayağına kira ister ◇ „ფეხის ქირას ითხოვს“ - *გასამრჯელოს ითხოვს.

- Oğlum, sana kaçtır git babana sigara al! Diyorum. Hâlâ buradasın. **Ayağına kira mı istiyorsun?**

- შვილო, რამდენჯერ გითხარი, წადი, მამაშენს სიგარეტი უყიდე. მეოქი. კიდევ აქ ხარ. ფეხის ქირას ითხოვ?

Ayağına sıcak su mu dökelim? „ფეხზე ცხელი წყალი ხომ არ დაგასხათ?“ - *აქამდე სად იყავი? როგორ მოხდა, რომ მოხვედი? ◇ კედელს ნახშირი! რომელმა ქარმა გადმოგადგო? რას (ან ვის)

ვუმაღლოდეთ? რას მივაწეროთ?

Ayağına sarıldı *sb.*: **Ayağına kapandı.**

Ayağına taş değdi „ფეხზე ქვა მოხვდა“ - *წინააღმდეგობა შეხვდა, დაბრკოლდა, შეფერხდა, წაიფორხიდა; ◇ ფეხი ქვას წამოჰკრა, ფეხი წაიტეხა.

Ayağını atmaz ◇ „(ხადმე) ფეხს არ დგამს“ - *(ხადმე) აღარ დადის.
Başına o iş gelince bir daha o mahalleye ayak atmamış.
როგორც კი ეს ამბავი შექმთხვა, იმ უბანში ფეხი აღარ დაუდგამს.

Ayağını basmaz *sb.*: **Ayağını atmaz.**

Ayağını diredi ◇ „ფეხი მიაჭირა“ - *გაჯიუტდა, გაკერპდა, არ დათმო; ◇ მაგრად დადგა, ფეხი არ მოიცვალა, თავისი გაიტანა.
Ayak diremekte fayda yok, teklifimizi kabul edin.
გაჯიუტებას აზრი არ აქვს, ჩვენს წინადადებაზე დათანხმდი.

Ayağını kaydırđı *sb.*: **Ayağına çelme taktı.**

Ayağını uyduruyor ◇ „ფეხს უწყობს“ - *ბაძავს, მიჰყვება.
Çok katı kuralları da yok mutlulğun. Dünya deđişiyor. Mutluluk nedenleri de deđişiyor. İnsan bu deđişikliklere ayak uydurabilirsin.
ბედნიერებას რაიმე განსაზღვრული კანონები არ გააჩნია. სამყარო იცვლება, ბედნიერებაც იცვლება. ადამიანმა ამ ცვლილებას ფეხი უნდა აუწყოს.

Ayağının altına aldı ◇ „ფეხქვეშ ამოიდო“ (მოიქცია) - *(ცემით) გათელა, გასრისა.
Yanına gelirse ayağının altına alırım!
თუ მოვედი, ფეხქვეშ ამოგიდებ.

Ayağının bađını çözdü ◇ „ფეხის კვანძი გაუხსნა“ - *გაათავისუფლა, იხსნა, თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა; ◇ ხელ-ფეხი გაუხსნა, ბორკილები შეახსნა.

Ayağının bastığı yerde ot bitmez ◇ „მის ნაფეხურზე ბალახი არ

ამოდის“ - *ცუდი, ბოროტი პიროვნებაა; ◇ ყველას შხამავს, ყველგან შხამს ანთხევს.

Ayağının pabucu olamaz „მის ფეხსაცმელად არ ივარგებს“ - *მისი შესაფერისი არ არის, მას არ გამოადგება; ◇ მისი ფეხის მტვრადაც არ ღირს, მასთან ახლოსაც ვერ მივა, მას ვერ შესწვდება.
O, Aydın'ın ayağının pabucu olmaz.
ის აიღინთან ახლოსაც ვერ მივა.

Ayağının pabucunu başına giydi ◇ „მისი ფეხსაცმელი თავზე დაიხურა“ - *თავის ღირსად (ტოლად) მიიხნია, იკადრა, გაიტოლა; ◇ თავი გაუტოლა, თავი გაუყადრა.

Ayağının tozu ile „თავისი ფეხის მტვრით“ - *მაშინვე, დაუყოვნებლივ; ◇ სულის მოუთქმელად.
İstanbul'a döndüğün gün ayağının tozu ile onu görmeğe gitti.
სტამბოლში დაბრუნებისთანავე სულის მოუთქმელად მის სანახავად წავიდა.

Ayak bastı ◇ „ფეხი დადგა“ - *მივიდა.
Kral, memleketimize ilk defa ayak bastı.
მეფემ წვენს ქვეყანაში ფეხი პირველად დადგა.

Ayak kütüphanesi „მოძრავი ბიბლიოთეკა“ - *ენციკლოპედიური ცოდნის მქონე; ◇ ცოცხალი ენციკლოპედია.

Ayakkaplarını (pabuçlarını) çevirdi „ფეხსაცმელები მიუბრუნა“ - *გააგდო; ◇ ფეხსაცმელები გარეთ გაულაგა, გუდა-ნაბადი აუკრა.

Ayaklar altına aldı ◇ „ფეხებზე დაიკიდა“ - *არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭა, არ ინაღვლა, არ შეწუხდა; ◇ არაფრად ჩააგდო.
Şerefini, namusunu ayaklar altına aldı.
სახელი და ნამუსი ფეხებზე დაიკიდა.

Ayakları geri geri gider ◇ „ფეხები უკან უკან რჩება“ - *(სადმე) წასვლის სურვილი არა აქვს.
Bu toplantıda bir hadise çıkacağı sanki bana mâlûm olmuştu. Gelirken ayaklarım hep geri geri gidiyordu.

თითქოს ვგრძნობდი, რომ ამ კრებაზე რაღაც უნდა მომხდარიყო. რომ მოვდიოდი, ფეხები უკან მრჩებოდა.

Ayaklarına düştü *ob.*: **Ayağına düştü.**

Ayaklarına kara su indi *ob.*: **Ayağına kara su indi.**

Ayaklarını dikti *ველგ.* ◇ „ფეხები გაფშოკა“ - *მოკვდა; ◇ ფეხები გაჭიმა, ჭირი მოგჭამა, შენი ჭირი წაიღო.

Ayaklarını sürer ◇ „ფეხს ითრევს“ - *განგებ იგვიანებს, წასვლა ეზარება.

Ayaklarını sürme, git çalışmaya.
ფეხს ნუ ითრევ, წადი სამუშაოდ.

Ayaklarını yere basmıyor ◇ „ მიწაზე ფეხს არ აკარებს“ - *ძალიან გახარებულია; ◇ მეცხრე ცაზეა, ფრთები გამოესხა.

Ayaklarının ucuna basarak yürür ◇ „ფეხის წვერებზე დადის“ - *ფრთხილად, ჩუმად, უხმოდ დადის.

B

Baba değil, trabzan babası „მამა კი არა მოაჯირის მამა“ - *შვილებისთვის უვარგისი, გამოუსადეგარი; ◇ მამა კი არა, მამინაცვალია.

- **Bırak şunu! O baba değil, trabzan babası.**

- მოეშვი მაგას!! ეგ მამა კი არა, მამინაცვალია; აბა, ერთი, მისი ბავშვების სილატაკეს შეხედე!

Babam mezardan çıksa ◇ „მამაჩემი საფლავიდანაც რომ წამოდგეს“ - *არაფრით, არავითარ შემთხვევაში; ◇ ქვეყანა რომ დაიქცეს.

- **Babam mezardan, çıksa, oraya gitmem.**

- მამაჩემი საფლავიდანაც რომ წამოდგეს, იქ არ წავალ.

Babamın adı Hıdır, elimden gelen budur! „მამაჩემს ჰადირი ჰქვია, ხელიდან რაც გამომდის, ესაა!“ - *მე სხვა არაფერი შემიძლია, ესა ვარ რაცა ვარ; ◇ ჩემგან სხვა არა გამოდნება რა, ჩემგან სხვა არაფერი გამოვა.

- Direktör üçüncü kere yazdığım raporu gene de beğenmeyince, kağıtlarını masaya fırlatıp „**Babanın adı Hıdır, elimden gelen budur!**“ dedim.
- როდესაც დირექტორმა მესამეჯერ დაწერილი მოხსენება კვლავ დამიწუნა, ქაღალდები მაგიდაზე მივუყარე და ჩემგან სხვა არა გამოდნება რა - მეოქი, ვუთხარი.

Babanın canı için „მამაშენის სულისათვის“ - *გთხოვ, გემუდარები; ◊ მამის სულს გაფიცებ! მამაშენსა აქვს ცხონება! ღვთის გულისათვის! თუ ღმერთი გწამს!
Babanın canı için duyduklarını kimseye söyleme!
მამის სულს გაფიცებ, რაც გაიგე არავის უთხრა!

Bacakları koptu ◊ „ფეხები დააწყდა“ - *დაიღალა (დგომით), დაიქანცა, ძალა გამოეღია; ◊ მუხლებში წყალი ჩაუდგა, ქანცი გამოეღია, ფეხზე ჩამოწყდა.
Bayram alışverişinde bacaklarım koptu.
სადღესასწაულო ვაჭრობაზე ფეხები დამაწყდა.

Bacakları tutmaz „ფეხები არ ემორჩილება“ - *ეშინია; ◊ ფეხები ეკვეთება (უკანკალებს), მუხლები ეკვეთება (ეკეცება), მუხლი ეჭრება.
Haberi duyunca bir an bacaklarım tutmadı.
როდესაც ეს ამბავი გავიგე, უცებ ფეხები მომეკვეთა.

Bacası tütmez „საკვამური აღარ უბოლავს“ - *ოჯახი გაუნადგურდა, ამოწყდა; ◊ მისი ბუხრიდან კვამლი აღარ ამოდის, კერა გაუცივდა, კერა გაუქრა, ფუტი გაუცივდა, კერაზე წყალი დაესხა.
Son olaylardan sonra zavallının bacası tütmez oldu.
ბოლო ამბების შემდეგ საცოდავს კერა გაუცივდა.

Bağlandığı yerde otluyor „სადაც დააბეს, ისევ იქ ძოვს“ - *ჩამორჩა, განვითარება შეწყვიტა; ◊ ერთ ადგილს ტკეპნის, ერთ ადგილზე (წერტილზე) გაიყინა, წინ ვერ წაიწია.
Bağlandığı yerde otlayanlardan bir tek o kaldı.
ერთადერთი ის დარჩა, რომელიც ერთ წერტილზე გაიყინა.

Bağrı yanık „გულდამწვარი“ - *დარდიანი, გულდათუთქელი; ◊ გული აქვს დამწვარი, გულზე ცეცხლი ეკიდება, გული

ეთუთქება, გული უდულს, გულში ცეცხლი უნთია, გულზე ცეცხლი ედება.

Bağrını deldi ◇ „გული დაუსერა“ - *გააწამა, დატანჯა, შეაწუხა; ◇ გული ატკინა, გული დაუკოდა, გული მოუკლა, გულში ისარი გაუყარა.

Kardeşinin söyledikleri **bağrını delmiş**.

ძმის ნათქვამმა გული დაუკოდა.

Bahtı bağılıdır ◇ „ბედი შეკრული აქვს“ - *უიღბლოა, ბედშეკრულია, უბედოა; ◇ ბედი არ სწყალობს, ბედი არ უღიმის, ბედი შემოსწყრა, ბედი შეეკრა.

Bahtı kara ◇ „შავი ბედის მქონე“ - *უბედური, ბედშავი, ბედუკუდმართი; ◇ შავ დღეზე გაჩენილი, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული.

Ne **bahtı kara** adamım.

რა შავ დღეზე ვარ გაჩენილი.

Baklayı ağzından çıkarır „პირიდან მიუხუდოს ყრის“ - *საიდუმლოს ვერ ინახავს; ◇ საიდუმლოს კაკლავს (ფქვავს), ენაზე არაფერი ამაგრდება, ენაზე არა დაადგება რა.

Bir gün **baklayı ağzından çıkaracağımı** biliyordum.

ვიცოდი, რომ ერთ დღეს საიდუმლოს დაფქვავდა.

Bal alacak çiçeği bilir „იცის, რომელი ყვავილიც იძლევა თაფლს“ - *იცის, რომელია სარფიანი საქმე; ◇ იცის, რისგან რა გამოდნება. O, **bal alacağı çiçeği çok iyi bilir**.

ძალიან კარგად იცის, საიდან რა გამოდნება.

Bal alacak çiçeği buldu „თაფლის მომცემი ყვავილი იპოვნა“ - *სარფიან, შემოსავლიან ადგილზე მოხვდა; ◇ თბილი ადგილი იპოვა, ქერის ორმოში ჩავარდა, დოვრანში ჩავარდა.

Aral bir petrol şirketine kapılanmış. Şimdi tam **bal alacak çiçeği buldu** işte....

არალი ნავთობის კომპანიაში ჩაერთო. აი, ახლა კი ქერის ორმოში ჩავარდა.

V **Balık kavağa çıkınca** „როდესაც თევზი ალვის ხეზე ავა“ - *არც არასდროს, არასოდეს; ◇ როცა ვირი ხეზე ავა, როცა ბაყაყს კბილი ამოუვა, როდინობის კვირაში.
Senin dediklerin ancak **balık kavağa çıkınca** olur.
შენი ნათქვამი მხოლოდ მაშინ შესრულდება, როცა ვირი ხეზე ავა.

Barut kesildi ◇ „დენტად იქცა“ - *განრისხდა, გაცოფდა, იფეთქა. გადაირია; ◇ თოფის წამალივით აფეთქდა, პირიდან ცეცხლი ყარა.
Beni karşısında görüverince **barut kesildi**.
როგორც კი მის წინ დამინახა, თოფის წამალივით იფეთქა.

Barut kokusu geliyor ◇ „დენტის სუნი მოდის“ - *ომის საშიშროებაა; ◇ ომის სუნი დგას, იარაღის უღარუნი ისმის.
Iraktan **barut kokusu geliyor**.
ერაყიდან დენტის სუნი მოდის.

Barutla oynar „დენტს ეთამაშება“ - *თავს ხიფათში იგდება; ◇ ცეცხლს ეთამაშება.
Kızım, bu gençle böyle her akşam dışarı çıkma! **Barutla oynamak** tehlikelidir.
ჩემო გოგონავ! ამ ყმაწვილთან ერთად ასე ყოველ საღამოს გარეთ ნუ გადიხარ! ცეცხლთან თამაში სახიფათოა.

V **Bastığı yerde ot bitmez** ◇ „მის ნაფეხურზე ბალახი აღარ ამოდის“ - *ბოროტი ადამიანია; სადაც მივა, ყველგან უბედურება მიაქვს; ◇ ცუდი ფეხი აქვს.

V **Bastığı yeri bilmez** „ფეხი სად დაადგას, არ იცის“ - *სიხარულისაგან გაოგნებულია; ◇ ადგილს ვერ პოულობს, მიწაზე ფეხს არ ადგამს, ადგილზე ცქმუტავს.
İstanbul'a gideceği için **bastığı yeri bilmiyor**.
სტამბოლში წასვლის გამო მიწაზე ფეხს არ ადგამს.

Baş başa verdiler „თავი თავს მისცეს“ - *ერთმანეთს დაეხმარნენ; ◇ ერთმანეთს მხარი აუბეს, მხარში ამოუდგნენ, გვერდში ამოუდგნენ.

Baş başa vererek sorunlarımıza çözüm aradık.
ერთმანეთს მხარში ამოუდგეით და ჩვენი პრობლემები მოვაგვარეთ.

Baş kıç belli değil ◇ „თავი და ბოლო არ უჩანს“ - *დიდი არეულობაა; ◇ თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო თავსა, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, აირია მონასტერი.
Fabrikada baş kıç belli değilmiş.
ფაბრიკაში ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა.

Baş gösterdi ◇ „თავი იჩინა“ - *განხდა; ◇ თავი წამოყო.
Şehirde kıtlık baş göstermişti. Herkes düşünceli idi.
ქალაქში შიმშილმა იჩინა თავი. ყველა შეფიქრიანდა.

Başa çıktı „თავში ავიდა“ - *საქმე დაძლია, მოათავიანა; ◇ თავი გაართვა, თავი მოაბა, ფონს გავიდა.
Çevresinden destek görmeden başa çıktı.
სხვების დაუსმარებლად ფონს გავიდა.

Başa geçti ◇ „თავში მოექცა“ - *დაწინაურდა; ◇ მაღალი ადგილი დაიკავა, წინ წავიდა.
Ne etti etti sonunda başa geçti.
რეები არ მოიმოქმედა და ბოლოს თავში მოექცა.

Başasağı gitti ◇ „თავდაყირა დადგა“ - *საქმეები აირია; ◇ ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს.
Eski başkan öldüğünden sonra bizim cemiyetin işleri hep başasağı gitti.
ძველი პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი ასოციაციის საქმეები სულ თავდაყირა დადგა.

Başı açık - *თავშიშველი, უსირცხვილო, უნამუსო, შუბლმაგარი, ნამუსგარეცხილი, თავაწყვეტილი, თავაშვებული, თავსეხელაღებული; ◇ ნამუსის ძარღვი გაწყვეტილი აქვს, მაგარი შუბლის პატრონია.
- Ben kimim? **Başı açık** bir fahise!...
- მე ვინ ვარ? ნამუსგარეცხილი ერთი კახპა!

Başı beyni kalmadı ◇ „თავი, ტვინი არ შერჩა“ - *ბევრი ლაპარაკით ან ხმაურით ძლიერ შეწუხდა; ◇ თავი გამოულაყდა, ტვინი გამოულაყდა, თავი გაუსივდა.
Onu dinlemekten kimsede başı beyni kalmadı.
მისი მოსმენით ყველას თავი გაუსივდა.

Başı göğe erdi „თავი ცახ მიაბჯინა“ - *გაყოყონდა, გამედიდურდა: ◊
თავი მაღლა დაიჭირა, ცხვირი აიბზუა, ზემოდან იყურება.

Başı havada oldu *ახ.*: **Başı yukarıda.**

Başı kazan oldu „თავი ქვაბად ექცა“ - *დიდი ხმაურისაგან ძლიერ შეწუხდა: ◊ თავი გაუსივდა, თავი გამოულაყდა, ტვინი გამოულაყდა.

Gürültüden başım kazan oldu.
ხმაურისაგან თავი გამისივდა.

Başı nara yanar „თავი ცეცხლზე ეწვის“ - *სხვის გამო თავს არ ზოგავს: ◊ (სხვისთვის) თავს ცეცხლში იგდებს, თავს იკლავს, თავს სწირავს, თავი გადაუდვია.

Başkaşı uğrunda başı nara yanar.
სხვისთვის თავს სწირავს.

Başı yastık yüzü görmemiş „მის თავს ბალიში არ უნახავს“ - *დიდი ხნის უძილოა. ◊ თავი ბალიშზე არ დაუდვია, თვალი არ მოუხუჭავს.

Üç gündür başı yastık yüzü görmemiş.
სამი დღეა, ბალიშზე თავი არ დაუდვია.

Başı yerine gelir „თავი თავის ადგილზე მოუდის“ - *გრძნობაზე მოდის, აზროვნების უნარი უბრუნდება: ◊ გონს მოდის.

Birkaç saat uyursa başı yerine gelir.
რამდენიმე საათს თუ დაიძინებს, გონს მოვა.

Başı yukarıda „თავი მაღლა უჭირავს“ - *ყოყონობს: ◊ ცხვირს მაღლა სწევს.

Bu günlerde başı yukarıda tutuyor.
ამ დღეებში თავი მაღლა უჭირავს.

Başı yumuşak „რბილი თავის მქონე“ - *რბილი ხასიათისა, მორჩილი, დამკლავი, თვინიერი: ◊ დაბალი ღობე.

Başı yumuşak adamı bulmuşlar her şey yaptırıyorlar.
დაბალი ღობე უპოვნიათ და ყველაფერს მას აკეთებინებენ.

Başına ateş yandı ◊ „თავზე ცეცხლი მოეკიდა“ - *დიდი უბედურება დაატყდა: ◊ თავზე მეხი დაეცა.

Başına çadır yıktı „თავზე კარავი დაემხო“ - *გაუბედურდა, განანაგდა, განადგურდა; ◇ სახლი თავზე დაექცა, მეხი დაეცა, ოჯახი დაექცა.

Başına çıkardı ◇ „თავზე დაისვა“ - *გათამამა, გაანებივრა, თავის ნებაზე მიუშვა.

Başına çıktı ◇ „თავს გავიდა (გაუვიდა)“ - *გათამამდა, გათავსედდა; ◇ თავი აიშვა, თავი აიწყვიტა.
Bütün sınıf başına çıktı. Artık kimse sözünü dinlemiyor.
მთელი კლასი თავს გავიდა. მის სიტყვას აღარავინ უსმენს.

Başına çorap örür „მის თავზე წინდას ქსოვს“ - *საფროსხეს უქმნის; ◇ მახეს უგებს, ხრიკებს უწყობს, სამარეს უთხრის.
Bu adam evini bize ucuz satıyor ama bana öyle geliyor ki başımıza bir çorap örüyor.
ეს კაცი თავის სახლს იაფად გვაძლევს, მაგრამ მეჩვენება, რომ რაღაც მახეში გვაბამს.

Başına devlet kuşu kondu „თავზე ბედნიერების ჩიტი დააჯდა“ - *მოულოდნელ წარმატებას მიაღწია; ◇ ბედმა გაუღიმა, დუშაში გაუგორდა, კოჭი აღჩუზე დაუჯდა.
Başına devlet kuşu konunca bizi görmez oldu.
რაც ბედმა გაუღიმა, ჩვენსკენ აღარ იხედება.

Başına doladı ◇ „თავს მოახვია“ - *იძულებით ძნელი საქმე დაავალა, ძნელი საქმის გაკეთება აიძულა.
Bu sorunları da başına dolayıp onu terk ettiler.
ეს საკითხებიც თავზე მოახვიეს და მიატოვეს.

Başına geldi ◇ „თავს დაატყდა“ - *(რაღაც) დაემართა, გადაიტანა.
Senin yüzünden başıma çok dertler geldi.
შენს გამო ბევრი წამება გადავიტანე.

Başına gün doğdu „თავზე მზე ამოუვიდა“ - *ბედნიერებას ეწია; ◇ ბედმა გაუღიმა.

Başına kına yaktı „თავზე ინა დაიდო“ - *გაიხარა; ◇ ფრთები გამოესხა (შეესხა), ცას ეწია.

Başına vur, ekmeğini elinden al „თავში ჩაართვი და ლუკმა ხელიდან წართვი“ - *უენოა, საწყალია, ადვილად დასაჩაგრავია; ◇ თავში რომ ჩაართვა, ხმას არ ამოიღებს.

Başına vur, ekmeğini elinden al türünden bir adamdı.
ისეთი ადამიანი იყო, თავში რომ ჩაგერტყა, ხმას არ ამოიღებდა.

Başında değirmen çevirir „მის თავზე წისკვილი ტრიალებს“ - 1. *(ხმაურისაგან) მოსვენება ეკარგება; ◇ თავი ეხდება; 2. *დიდი უბედურება დაატყდა; ◇ (მის) თავზე წისკვილის ქვა დატრიალებულა, (მის) თავზე კვერი დატრიალებულა.

Başında kavak yeli eser „თავში ალვის ხის ქარი უქრის“ - *(ახალგაზრდობით) ანგარიშიშუკვმილად ერთობა, თავის მოქმედებას ანგარიშს არ უწევს; ◇ თავში უქრის.

Ne yapmalı ki, başında kavak yeli eser.
რა ქნას, თავში უქრის.

Başından atar ◇ „თავიდან იშორებს“ - *იშორებს, იცილებს.

Birkaç söz söyleyip beni başından attı.

რამდენიმე სიტყვა მითხრა და თავიდან მომიშორა.

Başından bir telini bile düşürmez „თავიდან ერთ ბეწვსაც კი არ ჩამოიგდებს“ - *ამაყია, ამპარტავანია; ◇ თავზე ბუზსაც არ დაისვამს, თავზე ბუზსაც ვერ აუფრენ, თავზე ჩიტსაც არ გადაიფრენს და ფეხქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებს, უბატონოდ ხმას ვერ გასცემ, თითსაც არ დაიკარებს.

Başından kaynar sular döküldü „თავზე მდულარე გადაეხსა“ - *შერცხვა, დაიბნა; ◇ ცივი წყალი გადაეხსა, ცივმა ოფლმა დაასხა, საქციელი წაუხდა.

Onunla karşılaşınca başından kaynar sular dökülmüş.

მის შეხვედრაზე ცივმა ოფლმა დაასხა.

Başını ağrıttı ◇ „თავი აატკივა“ - *ბევრი ლაპარაკით ძალიან შეაწუხა; ◇ თავი გაუსივა, თავი შეაწყინა, თავი გამოულაყა, გული გაუწყალა.

- Neden bu köpekler kuyruksuz, cinsi mi böyle? – diye sordum.

İhtiyar güldü:

- Onun hikâyesi vardır, başınızı ağrıtmazsam, anlatayım, - diyerek anlatmaya başladı.

- რატომ არიან ეს ძაღლები უკუდობი, მათი ჯიშია ასეთი? - ვკითხე.

მოხუცს გაეცინა:

- ამას თავისი ისტორია აქვს, თავს თუ არ შეგაწყენთ, მოგიყვებითო და მოყოლა დაიწყო.

Başını alamadı ◇ „თავი ვერ აიყვანა“ - *თავს ვერ აჯობა; ◇ თავს ვერ მოერია.

Dertten başını alamadı.

ღარდისგან თავი ხელში ვერ აიყვანა.

Başını ateşlere yakar „თავს ცეცხლში იწვავს“ - *დიდ საფრთხეში იგდებს თავს; ◇ თავს ცეცხლში იგდებს.

Bu işe atılmakla başını ateşlere yaktı.

ამ საქმეში ჩარევით თავი ცეცხლში ჩაიგდო.

Başını edemedi ◇ „თავი ვერ მოაბა“ - *(საქმე) ვერ შეასრულა, ვერ დაძლია, ბოლომდე ვერ მიიყვანა; ◇ თავი ვერ გაართვა.

Çocuklarımız o derece yaramaz ki dostum, karım onlarla bir türlü baş edemiyor.

ჩემი შვილები იმდენად ცუდები არიან, ჩემო მეგობარო, რომ ჩემი მეუღლე მათ თავს ვერ ართმევს.

Başını istiyor „მის თავს ითხოვს“ - *მისი მოკვლა სწადია; ◇ მისი სისხლი სწყურია.

Başını kaldırdı ◇ „თავი ასწია“ - *წინააღმდეგობა გაუწია, აუჯანყდა, დაუმორჩილებლობა გამოაცხადა; ◇ ხმა აიმაღლა, თავი წამოყო.

Halk hükümetinin karşısına başını kaldırdı.

ხალხმა მთავრობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა.

Başını kaldırmaz ◇ „თავს არ იღებს“ - *შეუსვენებლად, თავაუღებლად შრომობს; ◇ დღე და ღამეს ასწორებს.

Başını kaldırmaz, bir haftadır böyle çalışıyor.

თავს არ იღებს, ერთი კვირაა, რაც ასე მუშაობს.

Başını kaşımaya vakti yok ◇ „თავის მოსაფხანნი დრო არა აქვს“ - *ძალიან დაკავებულია; ◇ თავის მოსაფხანად არა სცაღია.

Bu günlerde başını kaşımaya vakti olmuyor.

ამ დღეებში თავის მოსაფხანად არა სცაღია.

Başını kayaya çarpar „თავს კლდეს ახლის“ - *ძალიან ნანობს; ◇
თავს ქვას ახლის, თავს კედელს ახლის, თავს იკლავს.

Başını koltuğunun altına alır „თავს იღლიის ქვეშ მოიქცევს“ - *(რაიმე
საქმეს) გადაჰყვება, გადააკვდება, ყოველ ღონეს იხმარს; ◇ თავს
გადადებს, თავს გაწირავს.

Bu iş uğruna başını koltuğa almışa benziyordu.
ეტიუბოდა, ამ საქმისათვის თავს გადადებდა.

Başını koyar *ob.:* **Başını koltuğunun altına alır.**

Başını kurtardı ◇ „თავი დაიხსნა“ - *თავს უშველა, გათავისუფლდა;
◇ თავი დააღწია.

Başını nâra yakar „თავზე ცეცხლს წაუკიდებს“ - *ცუდ დღეში
ჩააგდება, თავზე დიდ უბედურებას დააწევს; ◇ შავ დღეს
დააყრის, ცეცხლში ჩააგდება.

Sokak işi benim, ev işi onun.... Ben karımın işine karışır da, başımı nâra
yakar.

საგარეო საქმე ჩემია. სახლის საქმე – მისი... ჩემი მეუღლის
საქმეში თუ ჩავეერიე, შავ დღეს დამაყრის.

Başını ortaya koyar *ob.:* **Başını koyar.**

Başını saçını koyar ◇ „თავს, თმას იგლეჯს“ - *ძლიერ წუხს; ◇ თავს
იკლავს.

Başını sallar ◇ „თავს იქნევს (უქნევს)“ - *ეთანხმება.

Başını soktu ◇ „თავი შერგო“ - *თავი შეაფარა.

Başını taştan taşa vurur *ob.:* **Başını kayaya çarpar.**

Başını verir ◇ „თავს შესწირავს“ - *ყოველგვარ ღონეს იხმარს; ◇
თავს გადადებს, თავს შეაკლავს.

Bu topraklar uğruna pek çok insan başını vermiş.
ამ მიწისთვის ბევრ ადამიანს თავი შეუწირავს.

Başını vurdu ◇ „თავი დაუკრა“ - *თხოვნით მიმართა.
Baş vurmuş da bir sonuç alamamış.

თავიც დაუკრავს, მაგრამ შედეგი ვერ მიუღია.

Başını yıkar „თავს უტეხს“ - *საქვეყნოდ არცხვენს; ◇ თავს სჭრის, სახელს უტეხს, თავზე ლაფს ასხამს.

Baştan aşağı ◇ „თავიდან ბოლომდე“ - *მთლიანად, სრულიად.
O Kadar uğraştım baştan aşağı yanlış olmuş.
იმდენი ვეცადე და თავიდან ბოლომდე შეცდომა ყოფილა.

Baştan aşar ◇ „თავზე გადასდის“ - *ბევრი აქვს; ◇ თავს ასდის, თავზე საყრელი აქვს.
Yanına yaklaşmayın, işi baştan aşmışa benziyor.
არ მიეკაროთ, ეტყობა, საქმე თავზე გადასდის.

Baştan ayağa *ob.:* **Baştan aşağı.**

Baştan defetti ◇ „თავიდან მოიშორა“ - *მოიცილა, მოიშორა.

Baştan savdı *ob.:* **Baştan defetti.**

Baştan yukarı ◇ „თავს ზემოთ“ - *ზომაზე მეტად, მეტისმეტად, გადაჭარბებით.

Beline kadar kızardı „წელამდე გაწითლდა“ - *შერცხვა; ◇ ყურებამდე გაწითლდა, თმის ძირებამდე გაწითლდა.

Belini büktü ◇ „წელში მოხარა“ - *დაასუსტა, დააუძლურა; ◇ წელში გაწყვიტა, წელში გატეხა.
İşsizlik belimi fena halde büktü.
ემუშევრობამ წელში ცუდად გამწყვიტა.

Belini doğrulttu ◇ „წელში გაიმართა“ - *მოღონიერდა, გაძლიერდა; ◇ ფეხზე დადგა.
Bu işten sonra belki belini doğrultur.
ამ საქმის შემდეგ, იქნებ, წელში გაიმართოს.

Belini kırdı ◇ „წელში გატეხა“ - * 1. იხ.: **Belini büktü**; 2. მიბეგვა, სცემა.
Onun da belini kırmışlar, ayağa duramaz.
ისიც წელში გადატეხეს, ფეხზე ვეღარ დგება.

Ben bu sakalı değırmende ağırtmadım „ეს წვერი წისკვილში კი არ
ვაკითხობრე“ - *ქვერე აღვიღად ვერ მოვტყუვდები; ◇ შენი
მოსაბტყუვებელი კბილი კარგა ხანია, მოვიცვალე.

Benzi atıldı ◇ „ვერი დაეკარგა“ - *შექმინდა, გაფითრდა; ◇
ფერფერი წაუვიდა, ვერი ეცვალა, მიტკლის ვერი დაედო.
Karşısında babasını görünce epey benzi atıldı.
მასძიხი რომ დაინახა, ვერი ეცვალა.

Beş para etmez „ხუთ ფარას არ იზამს“ - *უვარგისია, ფასი არა
აქვს; ◇ კაპიკია მისი ფასი, გახვრეტილ შაურიანადაც არა
ღირს, ჩირადაც არ ღირს.

Beş paraya almaz „ხუთ ფარად არ იყიდის“ - *არაფრად აგდებს; ◇
ჩირად არ უღირს, ზედაც არ უყურებს.

Beş paralık etti „ხუთ ფარად აქცია“ - *შეარცხვინა, დაამცირა; ◇
არად ჩააგდო, ფასი დაუკარგა, თავლაფი დაახსა.
Beni komşuların yanında beş paralık etti.
მეზობლებთან არად ჩამაგდო.

Beyni bulandı ◇ „ტვინი აემღვრა“ - *საღად აზროვნების უნარი
დაკარგა, გადაირია, თავგზა აებნა.
Bu iş benim epey beynimi bulandırdı.
ამ საქმემ ტვინი საკმაოდ ამირია.

Beyni delindi ◇ „ტვინი გაეხვრიტა“ - *შექლუხდა, აფორიაქდა,
მოსვენება დაკარგა; ◇ ტვინი აერია.

Beyni sulandı „ტვინი გაუწყაღდა“ - *გამოშტერდა, გამოხერხეტდა; ◇
ტვინი გამოულაყდა.
Zavallının yaşlılıktan beyni sulanmış.
საბრალოს სიბერით ტვინი გამოულაყდა.

Beynine girdi ◇ „ტვინში შეუვიდა“ - *გაიგო, მიხვდა. ◇ თავში
შეუვიდა.
Anlatılanlar kolay kolay beynine girmez.
რახაც უხსნიან, ტვინში იოღად არ შესდის.

Beynini kemirir ◇ „ტვინს უღრღნის“ - *აფორიაქებს, მოსვენებას უკარგავს; ◇ ტვინს უხერხებს, ტვინს ურევს.
İste birkaç zamandır bu şuphe beynimi kemirir.
აი, რა ხანია, ეს ეჭვი ტვინს მიღრღნის.

Bıçak bıcağa geldi „დანა დანაზე მივიდა“ - *საქმე ჩხუბამდე მივიდა; ◇ საქმე დანამდე მივიდა, დანა დატრიალდა.

Bıçak kemiğe dayandı „დანა ძვალს მიებჯინა“ - *მეტის მოთმენა შეუძლებელი გახდა; ◇ სული ყელში მოებჯინა, მოთმინების ფიალა აევსო.

Bıçak kemiğe dayanınca ayrılmak zorunda kaldım.

როდესაც სული ყელში მომებჯინა, იძულებული გახდი დავშორებოდი.

Bırakıldığı yerde otlar „იქვე ძოვს, სადაც დატოვეს“ - *ჩამორჩა, განვითარება შეწყვიტა; ◇ ერთ წერტილზე გაიყინა, ჭურში ზის.
Ahmed hâlâ bırakıldığı yerde otuyor. Millet otomobil hastalığına tutulmuş, o atlı bir araba almağa kalkmış.

აჰმედი ჯერ ისევ ჭურში ზის. ხალხი ავტომანქანის ავადმყოფობამ შეიპყრო, მას კი ეტლის ყიდვა განუზრახავს.

Bıyığını sildi „ულვაშები ჩამოიწმინდა“ - *არ ჩაერია; ◇ ხელები დაიბანა, განზე გადგა.

Bıyık altından gülür ◇ „ულვაშებში იცინის“ - *ჩუმად დასცინის.

Hoca da bu anda orada imiş, bu söze bıyık altından gülecek olmuş.

ამ დროს ხოჯაც იქ ყოფილა და ამ სიტყვებზე ულვაშებში ჩასცინებია.

Bıyıklarını balta kesmez „ულვაშს ნაჯახი არ უჭრის“ - *მედიდურია, ამაყოფს, ყოყონობს; ◇ ვერავინ მიეკარება, თავი მოაქვს, თავზე ჩიტს არ გადაიფრენს, თავზე ბუზს არ ისვამს.

İşler iyi gidip bıyığını balta kesmez oldu.

საქმეები კარგად წაუვიდა და თავი მოაქვს.

Bıyıklarını ele aldı „ულვაში ხელში დაიჭირა“ - *დავაუკაცვლა; ◇ წვერ-ულვაში დაიყენა, კაცობაში შევიდა.

Binde bir ◇ „ათასში ერთხელ“ - *ძალზე იშვიათად.

Binde bir yolu buralara düşer.
ათახში ერთხელ აქეთკენ შემოივლის.

Biçilmiş kaftan „გამოჭრილი ხალათი“ - *მხგავსი, ზედგამოჭრილი; ◇
ზედაა გამოჭრილი.

Bu iş onun için biçilmiş kaftan gibi.
ეს საქმე მისთვის ზედაა გამოჭრილი.

Bildiğini okur „რაც იცის, იმას კითხულობს“ - *მხოლოდ თავისი
სურვილით მოქმედებს; ◇ თავისას მიერეკება.

Kim ne derse desin, o bildiğini okur.
ვინც რა უნდა ისა თქვას, ის მასინც თავისას მიერეკება.

Bin ayak bir ayak üstünde „ათახი ფეხი ერთ ფეხზე“ - *ჭკეღვა,
ხალხმრავლობა; ◇ ნემსი არ ჩავარდება.

Miting öyle kalabalıktı, ki, bin ayak bir ayak üstünde.
ისეთი ხალხმრავალი მიტინგი იყო, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა.

Bin dereden suyu getirir „ათახი წყაროდან მოაქვს წყალი“ - *რადას
არ იმიზეზებს; ◇ რეებს აღარ იგონებს, ღობე-ყორეს ედება.

- Kısaca: olmaz, hayır! deyiver olsun bitsin. Ne diye bin dereden su getiririyorsun?

- მოკლედ: არ შეიძლება, არა! - თქვი სწრაფად და დამთავრდეს.
რა ღობე-ყორეს ედება?

Bin kalıba girer „ათახ ელიბში შედის“ - *ბევრ სხვადასხვა
საბჭოების ასრულებს; ◇ ათახად იჭრება.

İyi bir yaşam uğruna bin kalıba giriyorum.

არაა თუ ცხოვრებისათვის ათახად ვიჭრებით.

Bildiği dalı kever / „იმ ტოტს ჭრის, რომელზედაც ზის“ - *თავისი
თემს მკერძავს.

Ö. bildiği dalı kever mi hiç?

ჯერ იმ ტოტს ჭოჭრის, რომელზედაც თვითონ ზის?

Bir arat / „ერთი ზეგა“ - *მ.დ.ს.ზე მკერძავს, ცოტა.

Bir arat vardı, tek başına önünde toplanmıştı.

ერთი ზეგა ის დამოუკიდებლად სკოლის წინ შეკრდიდა.

Bir aratın arkasında „ერთი ზეგის ორძოში აქვს“ - *ხიკვდილის

პირასაა; ◇ ცალი ფეხი სამარეში აქვს (უღვას), სამარისკენ იყურება.

Bir daha yüzüne bakmaz „ერთხელაც არ შეხედავს სახეზე“ - *ეურადღებას არ აქცევს; ◇ ზედაც არ უყურებს, მისკენ არც კი იყურება, არაფრად აგდებს.

Bir dalda durmaz „ერთ ტოტზე არ ჩერდება“ - *მერყევია; ◇ კვირაში შვიდი პარასკევი აქვს, მარტის თვესავითაა.

Bir dalda durmayan insan başarılı olmaz.

ადამიანი, რომელსაც კვირაში შვიდი პარასკევი აქვს, წარმატებული არ იქნება.

Bir damla ◇ „ერთი წვეთი“ - *ძალიან ცოტა, მცირედი.

Bir damla yağ yeterli olacak.

ერთი წვეთი ცხიმო საკმარისი იქნება.

Bir deri bir kemik kaldı ◇ „ძვალი და ტყავი დარჩა“ - *ძალზე გახდა;

◇ ნეკნები დაეთვლება, ჩონჩხადაა ქცეული.

Hastalık yüzünden bir deri bir kemik kalmıştı.

ავადმყოფობისაგან ძვალი და ტყავი დარჩა.

Bir dikili ağacı yok „ერთი დარგული ხეც არ გააჩნია“ - *ღატაკია; ◇ თითზე დასახვევი ძაფიც არ გააჩნია.

Bir dikili ağacı olmadığını biliyordu.

იცოდა, რომ მას თითზე დასახვევი ძაფიც არ გააჩნდა.

Bir dudağı yerde bir dudağı gökte „ერთი ტუჩი მიწაზე აქვს, მეორე ტუჩი – ცაზე“ - *უშნოა, მახინჯია; ◇ ეშმაკის მაშხალაა, ჯოჯოხეთის მაშხალაა.

Karşıma bir dudağı yerde bir dudağı gökte bir kadın çıkmasın mı?

ჩემთვის ერთი ეშმაკის მაშხალასავით ქალი არ უნდა გამოჩნდეს?

Bir eli yağda, bir eli balda „ერთი ხელი ერბოში აქვს, ერთი - თაფლში“ - *ძალიან მდიდარია, (ქონება) ბლომად აქვს; ◇ (ქონება) დუღს და გადმოდის.

Bir eli yağda, bir eli balda olarak yaşamayı ben de isterim.

მეც მინდა ისეთი ცხოვრება, ვდუღდე და გადმოდოდეს.

Bir göz yumup açıncaya kadar „თვალის ერთ დახუჭვა და გახელამდე“
- *სწრაფად; ◇ თვალის დახამხამებაში, თვალსა და ხელს შუა.

Bir gözünü kör, bir kulağını sağır etti ◇ „ცალი თვალი დაიბრმავა, ცალი ყური დაიყრუა“ - *განგებ არ შეიმჩნია; ◇ თვალები დაიბრმავა, თვალი დახუჭვა, ყურებში ბამბა დაიცო, ვერც ვერაფერს ხედავს, არც არაფერი ესმის.

Çok kez bir gözünü kör, bir kulağı sağır etmiş görünür.

ხშირად ისე გამოიყურება, თითქოს ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმისო.

Bir içim su „ერთი ელუბი წყალი“ - *მომხიბვლელი, ღამაში; ◇ მარწყვივით გოგო, ვარდივით გაფურჩქნილი, ავ თვალს არ დაენახება, ვარსკვლავებს ეთამაშება, ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი.

Görmeyeli sen büsbütün bir içim su olmuşsun.

მას შემდეგ, რაც არ მინახიხარ, გაფურჩქნილ ვარდს დამსგავსებხარ.

Bir iğne bir iplik kaldı „ნემსი და ძაფი დარჩა“ - *ნამოხმა; ◇ კისერი გაწყდომაზე აქვს, ყურებში ლანდი გასდის, ყბა ყბაში გასდის, ჩხირივით (ჩონჩხივით) იქცა.

Hastalıktan iğne ipliğe dönmüş.

ავადმყოფობისაგან ჩხირივით იქცა.

Bir iki demeden „ერთის, ორის უთქმელად“ - *ძალიან მაღე, სწრაფად; ◇ ერთ ამოსუნთქვაზე, თვალის დახამხამებაში, სულის მოუთქმელად, ერთ წამში.

Bir incir çekirdeğini doldurmaz „ლეღვის ერთ თესლსაც არ აავსებს“ - *გამოუსადეგარი; 1. ◇ კაპიკია მისი ფასი, ჩირადაც არ ღირს; 2. ◇ იოტის ოდენა.

Hepsi incir çekirdeğini doldurmayacak ufak, pek ufak sebeplere dayanıyordu.

ყველაფერი ეს იოტის ოდენა, უმნიშვნელო მიზეზებს ეყრდნობოდა.

Bir kalemde ◇ „კალმის ერთი მოსმით“ - *სწრაფად; ◇ ერთ წამში, თვალის დახამხამებაში.

Her şey bir kalemde bitti.

ყველაფერი კალმის ერთი მოსმით დამთავრდა.

Bir kulağndan girip öbür kulagından çıkar ◇ „ერთი ყურიდან შედის, მეორედან გადის“ - *ნათქვამს ყურადღებას არ აქცევს; ◇ ყურს არ უგდებს, ყურს არ ათხოვებს.
Söylediklerimiz bir kulağndan girip öbür kulağndan çıkıyor.
ჩვენი ნათქვამი ერთი ყურიდან შედის, მეორედან გადის.

Bir nefeste ob.: Bir kalemde.

Bir solukta ob.: Bir kalemde.

Bir tahta eksik „ერთი ფიცარი აკლია“ - *უჭკუოა, არაფერი იცის; ◇ ცხრიანი აკლია, ერთი კრამიტი დაცურებული აქვს.

Bir taşla iki kuş vurur „ერთი ქვით ორ ჩიტს კლავს“ - *მოხერხებულია; ◇ ერთი გასროლით ორ კურდღელს იჭერს.
Böylece bir taşla iki kuş vurmuş olduk.
ამგვარად, ერთი გასროლით ორი კურდღელი დავიჭირეთ.

Bir zeyitin verir ağzına, bir tulum tutar ardına „პირში ერთ ზეთისხილს ჩაუდებს - [სამაგიეროდ] ზურგზე ტომარას აჰკიდებს“ - ცოტას გაუკეთებს, ბევრს მოსთხოვს; ◇ ცხვირიდან ძმრად ადენს.

Bire bin atar ◇ „ერთს ათასად ხდის“ - *აზვიადებს, ართულებს; ◇ ფერებს ამუქებს, ბუზს სპილოდ აქცევს.

Birini sulu dereye götürüp susuz getirir „კაცს მდინარეზე წაიყვანს და იქიდან უწყლოდ წამოიყვანს“ - *მოატყუებს, გააცურებს; ◇ მწყურვალს წყაროზე წაიყვანს და იქიდან მწყურვალსავე წამოიყვანს, მშრალზე დატოვებს, პირში ჩაღას გამოავლებს.

Bize de mi lololo yapıyorsun? „ჩვენთანაც თვალთმაქცობ?“ - *გვატყუებ განა? ◇ თვალეში ნაცარს გვაყრი? თვალს გვიხვევ? [ყინულზე] უნდა გაგვაცურო?
Başkalarını da anladık da bize de mi lololo yapıyorsun?
სხვა რამეებიც გავიგეთ და ახლა ჩვენც თვალეებს გვიხვევ?

Boğaz boğaza geldiler ◇ „ერთმანეთს ყელში სწვდნენ“ - *ინხუბეს.
Ne olduğunu anlayamadık, **boğaz boğaza geliverdiler.**

რა მოხდა ვერ გავიგეთ, უცვებ ერთმანეთს ყელში სწვდნენ.

Bohçasını koltuğuna verdi „ფეთა იღლიაში ამოსწარა“ - *გააგლო, გააძევა; ◇ ბარგი-ბარხანა აუკრა, ფოსტლები მიუბრუნა.
Yeni gittiği işten de bohçasını koltuğuna vermişler.
ახალი სამსახურიდანაც ბარგი-ბარხანა აუკრეს.

Borusuna otu tıkadı „საყვირში ბაღახი ნაუტენა“ - *გაანუმა, ხმა ნააწვევტინა; ◇ პირში ბურთი ჩასწარა, პირი აუკრა, პირში ლაგამი ამოსდო.

Borusunu çalar „მის საყვირზე უკრავს“ - *მის სურვილზე დადის; ◇ სხვის დაკრულზე ცეკვავს.
Başkasının borusunu çalmak sana ne yarar sağlayacak?
სხვის დაკრულზე ცეკვა შენ რას გამოგადგება?

Boş atıp dolu tuttu „ცარიელი ისროლა, სავსე დაიჭირა“ - *(საქმეში) გაუმართლა; ◇ ბედმა გაუღიმა, კოჭი აღწეზე დაუჯდა.
Boş atıp dolu tutmak diye buna denir.
ბედმა გაუღიმაო, ამაზე იტყვიან სწორედ.

Boş döndü ◇ „ცარიელი დაბრუნდა“ - *უშედეგოდ დაბრუნდა, უარაფროდ დაბრუნდა.

Boş kafalı ◇ „ცარიელი თავის პატრონი“ - *უჭკუო, უცოდინარი; ◇ თავში არაფერი უყრია, თავში ბზე უყრია, თავი ჩალითა აქვს გამოტენილი.

Boş küp *sh.*: Boş kafalı.

Boşa gitti ◇ „(დახარჯული ამაგი, ფული) ფუჭად წავიდა“ - *უხარგებლოდ, უშედეგოდ დაიკარგა, (ამაგი, სიკეთე) არ დაფასდა; ◇ წყალში ჩაიყარა.
Hiç biriniz insan olmadınız. Artık ölüyoruz, yazık oldu emeklerimizi boşa gitti.
არცერთი თქვენგანი ადამიანი არ დადგა. უკვე ვიხოცებით. მენანება, რომ სვენი ამაგი წყალში ჩაიყარა.

Boyacı küpü değil, bu! „მღებავის ქილა კი არ არის!“ - *ეს ადვილი საქმე კი არ არის; ◇ ეს ხუმრობა კი არ არის, ეს ფაფის ჭამა

ნუ გგონია.

- Senin şu meşhur kitap hâlâ bitmedi mi?

- Ne zannedin? **Boyacı küpü değil bu beğim....**

- ეგ შენი ცნობილი წიგნი კიდევ არ დასრულდა?

- შენ რა გეგონა? ეს ფაფის ჭამა კი არ არის, ჩემო ბატონო!

Boynu armut sapına döndü „კისერი მსხლის ყუნწად ექცა“ - *ძალიან გახდა, ჩამოხმა; ◇ კისერი გაუწვრილდა, კისერი გაწყვეტაზე აქვს, ყურებში ლანდი გასდის.

Hastalık yuzünden boynu armut sapına döndü.

ავადმყოფობისაგან კისერი გაწყვეტაზე აქვს.

Boynu eğri „კისერწახრილი“ - *მორჩილი, თავწახრილი, უბრეტენიო; ◇ ქედმოხრილი, ქედი აქვს მოდრეკილი, თავი აქვს წახრილი.

Müdüre boynu eğri olduğu için sesini çıkaramıyor.

იმის გამო, რომ დირექტორის წინაშე თავი აქვს წახრილი, ხმას ვერ იღებს.

Boynuna aldı ◇ „თავის კისერზე აიღო“ - *ვალდებულება აიღო, დაივალა; ◇ თავის თავზე აიღო, თავს იღო.

Boynuna atıldı ◇ „კისერზე ჩამოეკიდა“ - *ეხვეწა, ემუდარა, სთხოვა; ◇ ფეხებში ჩაუვარდა, ხელ-ფეხი დაუკოცნა.

Boynuna yük oldu „კისერზე ტვირთად ექცა (დააწვა)“ - *იმის საზრუნავი გახდა.

Esmâ yirmi yaşına girince teyzesinin boynuna daha fazla yük olmamak için bir iş aramağa başladı.

ესმამ, როდესაც ოცი წლისა შესრულდა, დეიდას კისერზე ტვირთად რომ არ დასწოლოდა, სამუშაოს ძებნა დაიწყო.

Bugün yarın ◇ „დღეს, ხვალ“ - *მალე, უახლოეს ხანებში; ◇ დღეს თუ არა – ხვალ, რა დღეს, რა ხვალ, ამ ორ დღეში.

Arkadaşım bugün yarın gelir.

ჩემი ამხანაგი დღეს თუ არა, ხვალ ჩამოვა.

Bulanık suda balığı avlar ◇ „მღვრიე წყალში თევზს იჭერს“ - *არეულობის დროს თავის სარგებლობაზე ფიქრობს.

Yine bulanık suda balık avlamaya çalışıyor.

კვლავ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობს.

Bunun üstüne bir bardak soğuk su iç! „ამას ერთი ჭიქა ცივი წყალი დააყოლე“ - *დაკარგულია, დაღუპულია; ◇ ჩაიღულის წყალი დალია.

Burnu düştü ◇ „ცხვირი მოენგრა“ - *ცუდმა სუნმა შეაწუხა.
Çöplarin kokusundan burnu düşmüş.
ნაგვის სუნით ცხვირი მოენგრა.

Burnu havada „ცხვირი ჰაერში აქვს“ - *მედიდური, ამპარტავანი; ◇ ცხვირს მაღლა წევს, ცხვირს იბზეკს, თავი მაღლა უჭირავს.
Her zaman burnu havada olan insanı kim sever?
ვის უყვარს ისეთი ადამიანი, რომელსაც ცხვირი მუდამ აწეული აქვს?

Burnu Kaf Dağında *sb.* **Burnu havada.**

Burnu kanamadan „ცხვირის გაუსისხლიანებლად“ - *მშვიდობიანად, უსისხლოდ; ◇ სისხლის დაუღერელად.
Burnuları bile kanamadan ganimete kavuşacaklardı.
ნადავლი სისხლის დაუღერელად ჩაიგდეს ხელში.

Burnuna çıkar „ცხვირში ამოსდის“ - *ველარ იტანს; ◇ ყელში ამოსდის.

Burnunda tüter „ცხვირში უბოლავს“ - *ძალიან ენატრება; ◇ თვალწინ უდგას.
Gençliğim burnumda tütmeğe başladı.
ჩემი ახალგაზრდობა თვალწინ დამიდგა.

Burnundan ateşi püskürür „ცხვირიდან ცეცხლს აფრქვევს“ - *ბრაზობს, ბობოქრობს; ◇ პირიდან ცეცხლს აფრქვევს, თვალებიდან ცეცხლს აკვესებს.

Burnundan fitil fitil geldi „ცხვირიდან პატრუქად წამოუვიდა“ - *წაშხამდა, წამწარდა; ◇ ცხვირიდან ძმრად წამოუვიდა.
On beş gün izne ayrıldı, burnundan fitil fitil geldi.
თხუთმეტი დღით, შუკბულებაში გავიდა. ცხვირიდან ძმრად წამოუვიდა.

Burnundan kıl aldırılmaz „ცხვირიდან ბეწვის ვერ ააცლევინებს“ - *არავის დაენაგვრინება; ◇ ბეწვსაც ვერ ჩამოუგდება, თითსაც ვერ დააკარებს.

Sana, onun **burnundan kıl aldırmadığını** söylemiştim.

შენთვის მითქვამს, ბეწვსაც ვერ ჩამოუგდება - მეთქი.

Burnundan ötesini görmez ◇ „თავისი ცხვირის იქეთ არ იხედება“ - *არავინ ეღარღება, არავისუე წუხს; ◇ ყველა ფეხებზე ჰკივია.

Burnunu burur ◇ „ცხვირს ბზეკს“ - *მედიდურობს, ამპარტავნობს.

Burnunu büyür *ob.*: **Burnunu burur.**

Burnunu çekti ◇ „ცხვირი (განზე) გასწია“ - *უკმაყოფილო დარწია.

Burnunu her işe sokar ◇ „ყველაფერში ცხვირს ჰყოფს“ - *ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იწყენს, მეტინარაა; ◇ არამკითხე მოამბეა.

Burnunu kabarır *ob.*: **Burnunu büyür.**

Burnunu kıvrır ◇ „ცხვირს იბზუებს“ - *არ მოსწონს.

- Öyleyse size fındık satabiliriz.

- Ayşe ona da **burnunu kıvrırdı.**

- თუ ეგრეა, შეგვიძლია თხილი მოგყიდოთ.

- აიშემ ამაზეც ცხვირი აიბზუა.

Burnunun ucunu görmez „თავისი ცხვირის წვერს არ ხედავს“ - *მთვრალია, გაღეშილია; ◇ (სიმთვრალისგან) თვალში ვერ იხედება, ერთი ორად ეჩვენება.

Burnunun ucunu görmeyecek kadar sarhostu.

ისეთი მთვრალი იყო, ერთი ორად ეჩვენებოდა.

Burnunun yeli harman savuruyor „მისი ცხვირის ქარი კალოს ლეწავს“ - *მედიდურობს, იფხორება; ◇ ცხვირს მაღლა წევს, თავი მაღლა უჭირავს.

Buz kesildi ◇ „ყინულად იქცა“ - *გაოგნდა, გაშეშდა, გაიყინა; ◇ ძარღვებში სისხლი გაეყინა.

Beni karşısında görünce **buz kesildi.**

თავის წინაშე რომ დამინახა, ძარღვებში სისხლი გაეყინა.

Buz üstüne yazı yazar „ყინულზე წერს“ - *ამაოდ შრომობს; ◇
კედელს ცერცვს აყრის.
Onun söyledikleri **buz üstüne yazı yazmak gibiydi.**
მისი ნათქვამი კედელზე ცერცვის შეყრას ჰგავდა.

Buzlar çözülür ◇ „ყინული დნება“ - *მათი ურთიერთობა
უმჯობესდება.
Böyle konuşunca aramızdaki **buzlar çözüldü.**
ასე რომ ვისაუბრეთ, ჩვენს შორის ყინული გადნა.

C

Cami yıkılmış ama mihrap yerinde „მენეთი დანგრეულა, მაგრამ
მიძრაბი¹ ადგილზეა“ - *კვლავ ღამაზია, მის სიღამაზეს წლებმა
ვერაფერი დააკლო; ◇ ის კვლავ თვალს იტაცებს.
Ziya Bey'in karısı 60 yaşında olmağına rağmen hâlâ güzel... **camı yıkılmış
ama mihrap yerinde.**
მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ზიას მეუღლე 60 წლისაა, ის
კვლავ თვალს იტაცებს.

Can atar ◇ „სულს იმეტებს“ - *რაიმე მიზნის მისაღწევად თავსაც
გაწირავს; ◇ სულს არ დაიშურებს, თავს გადადებს, თავს არ
ზოგავს.
Sınıf birincisi olmaya **can atıyordum.** Ama Fikret'i geride bırakmak mümkün
değildi.
თავს არ ვზოგავდი, რომ კლასში პირველი ვყოფილიყავი, მაგრამ
ფიქრეთის უკან ნამოტოვება შეუძლებელი გახდა.

Can borcunu ödedi „სულის ვალი მოიხადა“ - *გარდაიცვალა, ამ
ქვეყნიდან წავიდა; ◇ სიკვდილის ბეგარა გადაიხადა, სული
უფალს მიაბარა, სული დალია [განუტევა], ამ ქვეყნის ვალი
მოიხადა.
Sırası gelince **can borcunu ödedi.**
როცა მისი ჯერი დადგა, სული უფალს მიაბარა.

1. მენეთის ნიში.

Can damarına basar „გულის ძარღვზე აჭერს“ - *(ვისმეს) გულის წადილს ხედება, (ვისმეს) უგებს; ◇ (ვისმეს) სულის (გულის) სიღრმეში სწვდება, სულში იხედება, გულში იხედება.

Babama avdan laf açtın mı tam **can damarına bastın** demektir. Artık sabaha kadar anlatır.

როდესაც მამაჩემს ნადირობაზე ჩამოუგდებ საუბარს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის გულში ჩაიხედე. ახლა უკვე დილაამდე ამაზე ილაპარაკებს.

Can evinden vurur ◇ „გულის სიღრმეში ჭრილობას აყენებს“ - *აფორიაქებს, სიმშვიდეს ურღვევს, სკობს, ანადგურებს; ◇ გულს უკოდავს, გულს სტკენს, სულს შეურყევს, სულს შეუძრავს, სულს უფორიაქებს.

Nimet'e eski günlerden bahsetmek **can evinden vurmak** olacaktı sustum.

წარსულ დღეებზე საუბარი ნიმეთს გულს ატკენდა, (ამიტომაც) გაჩნემდი.

Can kulağıyla dinler ◇ „გულისყურით უსმენს“ - *დიდი ყურადღებით უსმენს, მონდომებით უსმენს, სულით და გულით უსმენს.

Kendisini her zaman **can kulağıyla dinliyorum**, o kadar güzel konuşuyor ki...

მას ყოველთვის დიდი გულისყურით ვუსმენ, ისე ლამაზად საუბრობს, რომ...

Can pahasına „სულის ფასად“ - *თავგანწირვით, თავდაუზოგავად, მეღვრად, უშიშრად; ◇ სიცოცხლის ფასად.

Can pahasına arkadaşını boğulmaktan kurtardı.

ამხანაგი მან საკუთარი სიცოცხლის ფასად დახრჩობას გადაარჩინა.

Can yoldaşı ◇ „სულიერი მეგობარი“ - ◇ ცხოვრების თანამგზავრი.

Kedisi onun için bir **can yoldaşı** idi.

კატა მისთვის ცხოვრების თანამგზავრი იყო.

Candan yürekten [gönülden] ◇ „სულით, გულით“ - *მონდომებით, გულიანად, სულითა და გულით; ◇ მთელი გულით.

O her vakit **candan yürekten** çalışır.

ის ყოველთვის მთელი სულითა და გულით მუშაობს.

Canı acıyor ◇ „სული უმწარდება“ - 1. *ძლიერ ტკივილს განიცდის.

Баşı canı acıdığına kadar ağrıyor.

თავი ისე ტკივა, რომ სული უმწარდება.

2. *ეცოდება; ◇ გული ეთუთქება, გული ეწვის, გული შესტკივა.

Arkadaşının durumundan canı acıyor.

ამხანაგის მდგომარეობით გული ეთუთქება.

Canı ağzına gelir ◇ „სული პირთან მოსდის“ - 1. *ძალიან დაღლილია, ეს-ესაა სული ამოუვა; ◇ სიქა ეცლება, ქანცი უწყდება; 2. *ეძინია; ◇ სული ყელში ებჯინება, სული უკრთის, გული უსკდება, ერთ სიცოცხლეს ათაგებს, სული ელევა.

Öyle bunaldım ki, canım ağzıma geldi.

სუნთქვა ისე შემეკრა, რომ სული ყელში მომეებჯინა.

Canı boğaza gelir ◇ „სული ყელში ამოსდის“ [ეებჯინება] - *იტანჯება, წვალობს.

Canı burnuna gelir ◇ „სული ცხვირში ამოსდის“ - *მოთმინება ეკარგება, ვეღარ ითმენს; ◇ სული ყელში ებჯინება.

Sınıf yine gürlütye başlayınca, hocanın canı burnuna geldi. Beş kişiyi dışarıya attı.

როდესაც კლასში ხმაური ისევ ატყდა, მასწავლებელს მოთმინება დაეკარგა და ხუთი მოსწავლე გარეთ გააგდო.

Canı cebinde „სული ჯიბეში უდევს“ - *ძალიან გამხდარია, დაღუულია; ◇ სული აღარ უდგას, ყურებში ლანდი გასდის, სული რომ შეუბერო წაიქცევა, ყელი გაწყვეტაზე აქვს.

Zavallının canı cebinde.

საცოდავს სული აღარ უდგას.

Canı çeker ◇ „გული (სული) მიუწევს [მისდის]“ - *მოთმინება ეკარგება, ვეღარ ითმენს.

Canı ona çekiyordu, ama söylemeğe karar veremiyordu.

გული მისკენ მიუწევდა, მაგრამ თქმას ვერ უბედავდა.

Canı çekişiyor „მისი სული გაწვე-გამოწევაშია“ - *სულთმობრძავია, სიკვდილის პირასაა, სიკვდილს ებრძვის, აგონიაშია; ◇ სული ამოსდის, სულს ებრძვის, სულს ღაფავს (ღევს), სული ერთმევა [ელევა].

Naci Bey on gündür canı çekişiyormuş.

ბატონი ნაჯი ათი დღეა სულს ებრძვის.

Canı çıkar ◇ „სული სძვრება, სული ამოხდის“ - 1. *კვდება; ◇ სულს ღაფავს.

- Kabahat benim mi? – dedi. Her zaman oğlan mı olurmuş!

- Olsa **canın mı çıkar**?

- ჩემი ბრალია? – თქვა. განა ყოველთვის ბიჭი იქნებოდა?

- რომ ყოფილიყო, სული გაგძვრებოდა?

2. *იღლება, იქანცება; ◇ სული სძვრება.

Çalışmaktan canım çıktı.

მუშაობით სული გამძვრა.

3. *(ქსოვილი, ტანსაცმელი) გაცვდა; ◇ სული აღარ უდგას.

Her gün giyinmekten elbisenin canı çıktı.

ყოველდღიური ჩაცმით ტანსაცმელს სული აღარ უდგას.

Canı findık kabuğuna sığacak kadar ufalmıştı „სული ისე დაჰპატარავებია, თხილის ნატუკში ჩაეტევა“ - *მოთმინება გამოეულია; ◇ სული კბილით უჭირავს, სული მისდის (სძვრება), გული ელევა.

Bir saat kadar dolaştı böyle. Kanter içinde kaldı. Artık canı findık kabuğuna sığacak kadar ufalmıştı.

ერთი საათი ასე ისეტიალა. ოფლად გაიწურა. გული გადაეულია.

Canı geldi „სული მოუვიდა“ - 1. *მოსულიერდა; ◇ გონს მოეგო (მოვიდა), გონება დაუბრუნდა.

Canı geldiğinde her şeyi bitmişti.

როდესაც გონს მოეგო, ყველაფერი დამთავრებული იყო.

2. *გამოკეთდა, გამოძჯობინდა; ◇ სული მოითქვა, ადამიანს დაემსგავსა.

Birkaç günden sonra canı geldi..

რამდენიმე დღის შემდეგ სული მოითქვა.

Canı gider ◇ „სული მისდის“ - *კვდება; ◇ სულს ღაფავს, სული ელევა.

Ben gelirim, eğer gelmezsem, canım gitti bilesin.

მოვალ, მაგრამ თუ არ მოვედი, იცოდე, სული დაველიე.

Canı hulkumuna gelir „სული ხორხამდე მოხდის“ - *კვდება, სიკვდილის პირასაა, უკანასკნელ წუთებშია; ◇ სული ამოხდომაზე აქვს, სული ამოხდის, სულს ებრძვის, სულს ღაფავს.

Canı içine sığmaz ◇ „გული საგულეში არ ეტევა“ - *ვერ ითმენს, მოთმინება ეკარგება; ◇ სული კბილით უჭირავს, სული სძლევს, სული წინ უსწრებს.

Onun geleceğine kadar canı içine sığmaz.

მის მოსვლამდე სული კბილით უჭირავს.

Canı isterse... ◇ „გულს თუ უნდა...“ - *თუ სურვილი აქვს; ◇ თუ გული გულობს.

- Ali o gece size gelemedi.

- Canı isterse, gelecekti.

- ალი იმ ღამეს თქვენთან ვერ მოვიდა.

- თუ გული გულობდა, მოვიდოდა.

Canı kalmadı ◇ „სული არ შერჩა“ - *გასავათდა, ძალ-ღონე გამოვლია; ◇ სულს ძლივს ითქვამს [იბრუნებს], სული სძვრება, სიქა გამოვლია, არაქათი გამოვლია.

Çarşı pazar dolaşma sonucu canı kalmamıştı.

ბაზარ-ბაზარ ხეტიალში სული გასძვრა.

Canı oynadı ◇ „გული შეუთამაშდა“ - *შექვინდა; ◇ გული გადაუქანდა (შეუკრთა), გული გადაუბრუნდა.

Onun gördüğünden canı oynadı.

მის დანახვაზე გული გადაუქანდა.

Canı pek ◇ „ძლიერი სულია“ - *გაჭირვების (უბედურების) ამტანი, მტკიცე, გამძლე, შეურყეველი, მტკიცე ნებისყოფისა; ◇ სულით მტკიცე.

Celâl bey canı pek bir insan olduğunu herkes bilir.

ყველამ იცის, რომ ბატონი ჯელალის სულით მტკიცე ადამიანია.

Canı sıkılır ◇ „სული უწუხს“ - *მოწყენილია, გაბეზრებულია.

Ne kadar canım sıkılıyor, bir bilseniz!

რომ იცოდეს, სული როგორ მიწუხს!

Canı yanar ◇ „გული ეწვის“ - *ძალიან წუხს, იტანჯება, დარდობს; ◇ გული ეთუთქება, გული ედაგვის, გული უკვდება.

- Onu bana hatırmayın! Canım yanıyor.

- მას ნუღარ გამახსენებ, გული მეწვის.

Canı yerine gelir ◇ „გული საგულეს უდგება“ - *დამშვიდდა,

დაწქნარდა, აღარ დარდობს; ◇ გული საგულესა აქვს.

Arkadaşının iyileştiğini görünce canı yerine geldi.

როდესაც დაინახა, რომ ამხანაგი გამოკეთდა, გული საგულეში ჩაუდგა.

Canımı sokakta bulmadım „სული ქუჩაში არ მიპოვია“ - *სიცოცხლე ჯერ არ მომძულებია, მეორედ კი არ მოვალ ამ ქვეყანაზე; ◇ თავი კი არ მომბეზრებია, თავი სანახევრე კი არ მიპოვია.

Ben bundan sonra onunla fazla çalışmam. **Canımı sokakta bulmadım.**

ამის შემდეგ მასთან მეტს ვეღარ ვიმუშავე. თავი კი არ მომძულებია.

Canına ezan okur „მის სულზე ეზანს¹ კითხულობს“ - *(კარგ რამეს) აფუჭებს, აზარალებს, ზიანს აყენებს; ◇ წირვას გამოუყვანს, სულს ამოაძრობს (ამოართმევს).

Bu otomobil benim canıma ezan okudu. Her ay en azından 200 lira masrafı var.

ამ მანქანამ სული ამომართვა. ყოველ თვეში სულ ცოტა 200 ლირა ხარჯი აქვს.

Canına geçer „მის სულზე [გულზე] მოქმედებს“ - *აწუხებს, აწვალებს, თავს აბეზრებს, თავს აძულებს; ◇ სულსა და გულს უჭამს, სულს უხუთავს, გულს უწუხებს, ნერვებზე მოქმედებს, გულს უწყალებს.

Yalnızlık canıma geçti, bilmem neylesem.

მარტობამ გული შემიწუხა, არ ვიცი, რა ვქნა.

Canına işler *ob.*: **Canına geçer.**

Canına kâr eder *ob.*: **Canına geçer.**

Canına uğraşır ◇ „სულს ებრძვის“ - *სიკედილის პირასაა, აგონიაშია; ◇ სულს ღაფავს.

Canına uğraştığını görmesini istemezdi.

არ უნდოდა დაენახა, როგორ ებრძოდა სულს.

Canına yatar ◇ „მის გულში ისადგურებს“ - *მოსწონს; ◇ ჭკუაში უჯდება, (მის) სულსა და გულს ეკარება.

1. მეხლამთა დოცკად მოწოდება მინარეთიდან.

Ne yazık ki. bazen **canına** yatmaz bir şeyi yaparsın!

რა ხამწუხაროა, რომ ზოგჯერ აკეთებ იმას, რაც შენ სულსა და გულს არ ეკარება!

Canını alır ◇ „(ღმერთი) მის სულს მიიბარებს“ - *იმ ქვეყნად წაიყვანს.

Tanrı **canını** aldı da kurtuldu.

ღმერთმა მისი სული მიიბარა და გათავისუფლდა.

Canını burnuna getirdi ◇ „სული ცხვირში ამოუყვანა“ - *მოსვენება დაუკარგა, გააწვალა, შეაწუხა, დატანჯა; ◇ სული ამოართვა, გული გაუწყალა, აღარ დააყენა.

Çocuk dövmesini sevmem, ama benimki dün **canımı burnuma** getirdi, bir iki tokat aşkettim.

ბავშვის ცემა არ მიყვარს, მაგრამ ჩემმა გუშინ არ დამაყენა და ერთი-ორი ხელა გავაწანი.

Canını cehenneme gönderdi ◇ „(მისი) სული ჯოჯოხეთში გაისტუმრა (გააგზავნა)“ - *მოკლა, სიცოცხლე მოესპო; ◇ წუთისოფელს გამოასალმა.

Tabancasını çektiği gibi haydudun **canını cehenneme gönderdi.**

როგორც კი დამბანას გამოჰკრა, ყანალის სული ჯოჯოხეთში გაისტუმრა.

Canını feda eder „სულს მსხვერპლად გაიდებს“ - *ემსხვერპლება, შეეწირება; ◇ სულს არ დაიშურებს, თავს არ დაზოგავს, თავს გაწირავს, თავს შესწირავს, თავს გადადებს.

Canını kurtarır ◇ „(თავის) სულს გადაირჩენს“ - * თავს უშველის; ◇ თავს გადაირჩენს.

Ali Baba yere inip **canını kurtarmaya** düşündü.

ალი ბაბა ძირს ჩამოხვლასა და თავის გადარჩენაზე დაფიქრდა.

(Birinin) Canını okur „(სხვის) გულს კითხულობს“ - *(სხვის) ფარულ აზრებს ამოიცნობს; ◇ (სხვისი) გულის ნადებს კითხულობს, გულში იხედება, სულში სწვდება.

Mademki her adamın **canını okuyordu**, nasıl olup da etrafı saran dalkavukların iki yüzlüğüünü anlayamadı.

თითქოს ყველას გულის ნადებს კითხულობდა და როგორ

მოხდა, რომ მის გარშემო მყოფ მლიქვნელთა ორპირობას ვერ მიხვდა.

Canını sıkar ◇ „გულს უწვრილებს“ - *აწუხებს, ხასიათს უფუჭებს, ანადვლიანებს; ◇ სულს (გულს) უწუხებს [უხუთავს], გულს უწყალებს.

Bu yağmurlar da artık canı sıkmağa başladı.
ამ წვიმებმა(ც) უკვე გული გააწყალა.

Canını şeytana satar ◇ „სულს ეშმაკს მიჰყიდის“ - *გაბოროტდება, ავ გზას დაადგება, ავკაცობას ჩაიდენს; ◇ ეშმაკის გზას დაადგება, ეშმაკს აჰყვება.

Canını verir ◇ „სულს მისცემს“ - 1. *შექწირება; ◇ სულს გასცემს (არ დაიშურებს), თავს გაწირავს.

2. *ძლიერ სურს, ესწრაფვის; ◇ სულს ღვეს, სული მისდის.
Onunla buluşmak için can verir.

მასთან შეხვედრაზე სულს ღვეს.

3. *მოაღონიერებს, გააძლიერებს, გამოაცოცხლებს; ◇ სულს ჩაუდგამს (შთაბერავს), ფეხზე დააყენებს.

Bu sözleriniz bana can verdi.

თქვენმა სიტყვებმა სული ჩამიდგა.

Canını yakar „სულს სწვავს“ - *აწუხებს, ტანჯავს, უსიამოვნებას აყენებს; ◇ სულს უმწარებს, გულს უწუხებს.

Her zaman can yakar, ağlatır.

ყოველთვის სულს უმწარებს, ატირებს.

Canla başla „სულით, თავით“ - *გულწრფელად; ◇ წრფელი (მთელი) გულით, მთელი სულითა და გულით.

Sizin için canla başla çalışacağımı söyledi.

თქვა, რომ თქვენთვის მთელი სულითა და გულით იმუშავებს.

Ce demeye mi geldin? „ჯე“-ს სათქმელად მოხვედი?“ - *ახე ცოტა ხნით მოხვედი? სად გეჩქარება?; ◇ ხომ არ მოგდევნ? ცეცხლი ხომ არ გეკიდება?.

Ce demeye mi geldin, nereye gidiyorsun?

ცეცხლი ხომ არ გეკიდება, სად მიდიხარ?

Cebi delik ◇ „ჯიბეგახვრეტილი“ - *უფულო, დარიბი, უქონელი, ლატაკი.

Ona pek inanma, cebi deliğin biridir.

მას ძალიან ნუ დაუჯერებ, ერთი ჯიბეგახვრეტილი ვინმეა.

Cebinden çıkarır „თავისი ჯიბიდან ამოიყვანს“ - *სხვას გაცილებით სჯობია, სხვაზე გაცილებით უკეთესია; ◇ ჯიბეში ჩაისვამს, (სხვაზე) მაღლა დგას, (ვერავენ) მასთან ახლოსაც ვერ მივა, სად ეს და სად ის.

Aydın onu her zaman cebinden çıkarır.

აიღინი მას ყოველთვის ჯიბეში ჩაისვამს.

Cebine indirir ◇ „(სხვის) ჯიბეში მიძვრება“ - *სხვის ფულს ითვისებს; ◇ სხვის ჯიბეში ხელებს აფათურებს.

Cebine indirmek onun huyudur.

სხვის ჯიბეში ხელების ფათური სწევია.

Cebini doldurur ◇ „ჯიბეს ივსებს“ - *მდიდრდება, ბევრ ფულს შოულობს; ◇ ჯიბეს ისქელებს, ხელს ითბობს.

Bizim durumumuzdan yararlanıp cebini doldurdu.

ჩვენი მდგომარეობით ისარგებლა და ჯიბე გაისქელა.

Cehenneme kadar yolu var ◇ „ჯოჯოხეთამდე გზა აქვს“ - *წავიდეს, დაიკარგოს აქედან, აქაურობას მოშორდეს; ◇ ჯანდაბამდის გზა ჰქონია!

Cehenneme kadar yolu var, nasıl yaparsa yapsın!

ჯანდაბამდის გზა ჰქონია, რაც უნდა, ის ქნას.

Cehennemin dibine gönderir ◇ „ჯოჯოხეთისკენ აგზავნის“ - *შორეულ და ძნელად მისასვლელ, სახიფათო გზაზე აგზავნის; ◇ ცხრა მთას იქით აგზავნის, მოუსვლელში აგზავნის, ჯანდაბაში აგზავნის, შაბზე აგზავნის.

Beni ta cehenneme gönderdiler.

ჯოჯოხეთის გზას გამიყენეს.

Cennetin kapısını açar „სამოთხის კარს შეადებს“ - *კეთილ საქმეს გააკეთებს და შემდეგ ღვთისგან წყალობას მიიღებს; ◇ სამოთხეში მოხვდება.

Bu davranışla kendine cennetin kapısını açar.

ასეთი მოქმედებით სამოთხის კარებს შეადებს.

Cep harçlığı „ჯიბის ხარჯი“ - *ყოველდღიური სახარჯო; ◇ ჯიბის ფული.

Cep harçlığı kalmayınca yanımıza gelir.

როგორც კი ჯიბის ფული გამოვლევთ, ჩვენთან მოდის.

Cevahiri yumurtlar ◇ „მარგალიტებს აბნევს“ - *ლამაზ, მომხიბვლელ სიტყვებს ამბობს.

Hatibin sözlerinde hiç bir fevkaladelik yoktu. Ama o bir **cevher yumurtladığını** sanarak arada duruyor ve alkış bekliyordu.

ორატორის სიტყვებში ისეთი განსაკუთრებული არაფერი იყო, მაგრამ ეგონა, მარგალიტები დავაფრქვიეთ და ერთ ხანს ტაშს ელოდებოდა.

Ceviz kabuğuna sokar „კაკლის ნაჭუჭში ნატენის“ - *შეავიწროებს, შეზღუდავს, მიძიმე მდგომარეობაში წააყენებს; ◇ წიხლს დააჭერს.

Ceviz kabuğunu doldurmaz *იხ.*: **İncir çekirdeği doldurmaz.**

Ceza günü ◇ „განკითხვის დღე [უამი]“ - *დანაშაულზე პასუხისგების დრო.

Ceza günü de yakın.

განკითხვის დღეც ახლოა.

Ciğeri beş para etmez „მისი ღვიძლი ხუთი ფული არ ღირს“ - *ყოვლად უვარგისი, გამოუსადეგარი; ◇ კაპიკია მისი ფასი.

Sen öyle zannet; o, **ciğeri beş para etmez**in biridir.

შენ ეგრე გეგონოს; კაპიკია მისი ფასი.

Ciğeri parçalanır „ღვიძლი ეფლითება“ - *წუხს, იტანჯება, დარდობს; ◇ გულ-მუცელი ეწვის, გული ეფლითება, გული ეგლიჯება, გული უკვდება.

Onların durumunu görünce **yüreğimiz parçalandı.**

მათი მდგომარეობა რომ დავინახეთ, გული დაგვეწვა.

Ciğeri sızlar *იხ.*: **Ciğeri parçalanır.**

Ciğeri yanar „ღვიძლი ეწვის“ - *წუხს, დარდობს, იტანჯება, გამწარებულია; ◇ გული სწყდება.

Nerimanın bir başkasıyla evlendiğini duyunca **ciğirim yandı.**

როდესაც გავიგე, რომ ჩერიმანი სხვაზე დაქორწინდა, გული ჩამწყდა.

Ciğerimin köşesi „ჩემი ღვიძლის კუნჭული“ - *(ჩემთვის) უსაყვარლესი, უძვირფასესი; ◇ ჩემი სულის ნაწილი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სულის კოკორი.

Seni unutabilir miyim, **ciğerimin köşesi?**

ჩემო სიცოცხლე! განა შემიძლია, დაგივიწყო?

Ciğerine geçer „მის ღვიძლზე მოქმედებს“ - *მკვეთრად განიცდის, სწყინს; ◇ გულზე ხედება.

Söylediği sözler **ciğerime geçti.**

მისი ნათქვამი გულზე მომხედა.

Ciğerine işler *sh.*: **Ciğerine geçer.**

Ciğerini delir „ღვიძლს უსერავს“ - *ამწარებს, ტანჯავს, აწვალავს; ◇ გულს უსერავს, გულს უკლავს, გულს უკოდავს.

Kardeşinin hastalığı onun da **ciğerini deldi.**

ძმის ავადმყოფობამ მასაც გული მოუკლა.

Ciğerini okur *sh.*: **Canını okur.**

Ciğerini yakar „სულსა და გულს წვავს“ - *ტანჯავს, ამწარავს; ◇ გულს უწვავს, გულს უწიწვინს, გულს სტკენს, გულზე ცეცხლს უკიდებს, გულს უთუთქავს.

Bu olay hepimizin **ciğeri yaktı.**

ამ შემთხვევამ ყველას გული გვატკინა.

Cihandan el çıkar ◇ „ამ ქვეყნიდან ხელს იღებს“ - *სიკვდილს ესწრაფვის, სიცოცხლე აღარ უნდა; ◇ ამ ქვეყანაზე (ცხოვრებაზე) ხელი ჩაიქნია.

O olaydan sonra **cihandan elini çıkı.**

იმ შემთხვევის შემდეგ ამ ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია.

Cin atına biner „ეშმაკის ცხენზე ჯდება“ - *განრისხებულა, გაცოფებულა; ◇ ყალყზე დგება, ჩახმახზე დგება, ფაფარი ეშლება, პირიდან ცოფებს ყრის.

Hasan Ayşe'nin Tevfik ile nişanlandığı duyunca **cin atına bindi.**

როდესაც პასანმა გაიგო, აიშე თვეფიქსე დანიშნულაო, ცოფები ყარა.

Cinler cirit oynıyorlar ◇ „ეშმაკები დაჯირითობენ“ - *იქაურობა უკაცრიელთა; ◇ იქაურობას ავი სულები დაპატრონებიან, კაცის ჭაჭანება არაა.
Köyde cinler cirit oynıyordu.
სოფელში კაცის ჭაჭანება არ იყო.

Cinleri ayağa kalktılar „ეშმაკები წამოეშალნენ“ - *განრისხდა, გაცოფდა, მოუარეს; ◇ ყალფზე შედგა.

Ç

Çalmadan oynar „დაუკრავად ცეკვავს“ - *ძალიან გახარებულია, უხომოდ ხარობს; ◇ ცალ ფეხზე ხტუნავს, ფრთებს ისხამს, ცას ეწვევა, მყარს ველარ გრძნობს ფეხქვეშ, (სიხარულისაგან) აღარ არის, აღარ იცის, რა ქნას, ქუდს ჭერსა ჰკრავს, მიწაზე ფეხს არ აკარებს.
Dur, bakalım, çalmadan oynamam için daha çok erken.
მოიცადე, ჩემთვის ცას რომ ვეწიო, ჯერ ადრეა.

Çam devirir „ფიჭვს აბრუნებს“ - *როშავს, ნმახავს, უაზროდ (უადგილოდ) პახუხობს, ბოდავს; ◇ ღობე-ყორეს ედება, კედელ-ყორეს ედება, აბდა-უბდა გადასკუპდა.
Öyle bir çam devirdi ki, hiç sorma.
ისე მოედო ღობე-ყორეს, ჩუღარ მკითხავ!

Çamurdan çekip çıkarır ◇ „ტალახიდან ამოიყვანს“ - *შერცხვენისაგან, დამცირებისგან იხსნის.

Çamuru atar ◇ „ტალახს ესვრის“ - *არცხვენს, ამცირებს, ავტორიტეტს უფუჭებს; ◇ ტალახში სვრის, ლაფში სვრის, ჩირქს სცხებს, სახელს უტებს [უფუჭებს].
Herkese çamur atmaktan sanki zevk alıyor.
ყველას ტალახში გასვრით თითქოს სიამოვნებას იღებს.

Çanak ağzılı „ჯამივით პირის პატრონი“ - *ებედი, პირმოშვებული, ლაქლაქა; ◇ პირი მუდამ მოშვებული აქვს, მისი პირი (ენა) არ

ჩერდება, ენა მხარზე აქვს გადაკიდებული, ენა აქვს წაგდებული, რაც პირზე მოადგება, ყველაფერს ფქვავს.

Onunla bir sır söylenmez, **çanak gibi** bir ağzı var.

მასთან საიდუმლო არ ითქმება, ყველაფერს ფქვავს.

Çanak yalayıcı „[სხვისი] ჯამის მლოკველი“ - 1. *პირფერი, მლიქვნელი, ფლიდი; ◇ (სხვისი) ფეხის მლოკველი.

Çanak yalayıcının biri olduğunu herkes biliyordu.

ყველამ იცოდა, რომ ის სხვისი ფეხის მლოკველი იყო.

2. *მუქთახორა, მუქთამჭამელი, სხვის ხარჯზე მცხოვრები; ◇ სხვისი ცხოვრების შემყურე, სხვის ხელებში შემყურე.

Çanı çalar ◇ „ზარს შემოკრავს“ - *ყველას გააგებინებს, გააერცვლებს; ◇ ქვეყანას მოსდებს [შეპყრის].

Ona söylesen, hemen çanı çalar.

მას თუ ეტყვი, მაშინვე ქვეყანას შეყრის!

Çanına ot tıkar „ზარში ბალახს უტენის“ - *ანუმებს, ხმას აკმენდინებს; ◇ პირში ბურთს სწრის, პირს უკრავს, პირში ლაგამს ამოსდებს, პირში კაპს ამოსდებს, პირზე ბოქლომს ადებს.

Sonunda onun da çanına ot tıkayaverdi.

ბოლოს მასაც უმალ პირში ბურთი ჩასწარა.

Çantada keklik „ჩანთაში კაკაბი [ჰყავს]“ - *არხეინადაა, მშვიდადაა, თავს არხეინად, უზრუნველად, საიმედოდ გრძნობს, უდარდელადაა; ◇ თავი ქუდში აქვს, გული საგულესა აქვს.

Söylediğin kadarı zaten çantada keklik.

ისე ლაპარაკობ, თითქოს თავი ქუდში გქონდეს.

Çapak sileyim derken göz çıkardı „(თვალიდან) წირპლი ამოეუწმინდო და თვალი ამოსახარა“ - *(უნებლიედ) დაღუპა, ცუდი საქმე გაუქმთა; ◇ დათეური სამსახური გაუწია.

Nazım beni müdafaa etmek için direktörle öyle bir konuştu ki, **çapağını sileyim derken, gözümü çıkardı.** Direktör ertesi gün bana yol verdi.

ნაზიმმა ჩემ დასაცავად დირექტორთან ისე ილაპარაკა, რომ დათეური სამსახური გამიწია. დირექტორმა მეორე დღეს გამიგდო.

Çapraza sardı „გზაჯვარედინზე შეუხვია“ - *მძიმე, გამოუვალ

მდგომარეობაში ჩაეარდა; ◇ ჩიხში აღმოჩნდა [მოექცა], ხაფანგში გაეხა.

Çapraz sardı, ne yapacağını bilmiyordu.
ჩიხში მოექცა, რა ექნა, აღარ იცოდა.

Çaptan düştü ob: Çarkı bozuldu.

Çarkı bozuldu „ჩარხი მოეშალა“ - *საქმე გაუფუჭდა, საქმე ჩაეშალა, საქმე ცუდად წაუვიდა, დამარცხდა; ◇ ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა, ბედი აეწეწა, ბედის ბორბალი მოეშალა.
Birkaç yıldır çarkı bozuldu.
რამდენიმე წელია ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა.

Çarşamba pazarı „ოთხშაბათის ბაზარი“ - *დიდი არეულ-დარეულობა, მიმოფანტულობა, სრული უწესრიგობა; ◇ ძალღი პატრონს ვერა ცნობს, აირია მონასტერი, ნამდვილი ბაზარია.
Ortalık çarşamba pazarına dönmüştü.
ირგვლივ ძალღი პატრონს ვერა ცნობს.

Çatlasa da patlasa da ◇ „რომც გასკდეს და გაიგლიჯოს“ - *რაც არ უნდა დაემართოს, როგორი წინააღმდეგიც არ უნდა იყოს; ◇ გულზეც რომ გასკდეს.
Çatlasa da patlasa da bu iş böyle sürecektir.
გულზეც რომ გასკდეს, ეს საქმე ასე გაგრძელდება.

Çay görmeden paçalarını sıvar „სანამ მდინარეს დაინახავდეს, წინასწარ შარვლის ტოტებს იკარწახებს“ - *წინასწარ ემზადება, წინდახედულობას იჩენს; ◇ თადარიგს იჭერს.
Bu konuda çay görmeden paçaları sıvamıştı.
ამ საკითხთან დაკავშირებით წინასწარ თადარიგი დაიჭირა.

Çehre asmış „სახეჩამოშვებული“ - *მოწყენილი, დაღონებული, ცუდ ხასიათზე მყოფი, ცხვირჩამოშვებული, სახემოდუშული, ცხვირპირჩამომტირალი; ◇ ცხვირ-პირი ჩამოსტირის.
Çehre asmış adamı sevmem.
არ მიყვარს ადამიანი, რომელსაც ცხვირ-პირი ჩამოსტირის.

Çehresi ateş kesildi ◇ „სახეზე ცეცხლი მოედო“ - *განრისხდა, გაბრაზდა, გაცოფდა; ◇ სახეზე აღმური მოედო.
Bunu duyunca çehresi ateş kesildi.

ამის გაგონებაზე სახეზე აღმური მოედო.

Çek arabanı! „გასწიე შენი ურემი!“ - *გამეცალე, დამეკარგე მომშორდი, მოესვი; ◇ აიკარი გუდა-ნაბადი.

Çek arabanı! Benim artık seninle konuşacak bir şeyim yok!

აიკარი გუდა-ნაბადი! შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს.

Çelme atar ◇ „კვანტს გამოსდებს“ - *შეაფერხებს, დააბრკოლებს; ◇ ხელს შეუშლის.

Bana yardım etmeden vaz geçtin, hiç değilse çelme atma!

როცა ჩემს დახმარებაზე უარი თქვი, სხვა თუ არაფერი, ხელს მაინც ნუ შემიშლი!

Çelme takar *sh.*: Çelme atar.

Çeneni tut! ◇ „ყბა გააჩერე!“ - 1. *განიუმდი.

- Çeneni tut, ne okuduğumu anlıyamıyorum!

- ეგ ყბა გააჩერე, რას ვკითხულობ, ვერ ვ გებ!

2. *საიდუმლოდ შეინახე, არ გაამხილო, არსად თქვა; ◇ ენას მოუჭირე! ენას კბილი დააჭირე!

- Çeneni tut ha!! Bu laf aramızda kalsın!

ენას კბილი დააჭირე, ეს სიტყვა ჩვენს შორის დარჩეს!

Çenesi açıldı „ყბა გაეხსნა“ - *აღაპარაკდა, აყბედდა; ◇ ყბა მოაღო, ყბა აღარ გააჩერა, ქადაგად დაეცა.

Çenesi açıldı. Böyle durmadan ne söylüyor?

ყბა მოაღო, ასე გაუჩერებლად რას ლაპარაკობს?

Çenesi çalar „მისი ყბა უკრავს“ - *ლაპარაკის ხასიათზეა; ◇ ენა ექავება, ენა აეცრა, ყბას არ აჩერებს.

Bir arkadaşımızla sabaha kadar çene çalmışız.

ამხანაგთან ერთად დილაამდე ყბა არ გაგვიჩერებია.

Çenesi durmaz ◇ „მისი ყბა არ ჩერდება“ - *გაუთავებლად ლაპარაკობს; ◇ ენა წაიგდო, ენად გაიკრიფა (გადაიქცა), ქადაგად დაეცა.

Çenesi düşük ◇ „ყბად დაცემული“ - *ლაქლაქა, ყბედი, ენაჭარტალა;

◇ ენას არ აჩერებს, ქადაგადაა დაცემული.

Mediha'nın da annesi gibi çenesi düşük. Nokta koyması bilmiyor.

მედიკა დედამისით ქადაგად არის დაცემული. წერტილის დასმა არ იცის.

Çenesi gevşek *იხ.*: Ağzı gevşek.

Çenesi makine gibi işliyor „ეზა მანქანასავით უმუშავებს“ - *გაუხერებლად ებედობს; ◇ ეზას არ ახერებს.

Çenesi bıçak açmıyor ◇ „დანა ეზას არ უხსნის“ - *გაჯავრებელია, ცუდ ხასიათზეა, კრიჭაშეკრულია; ◇ დანა კბილს [პირს] არ უხსნის, კრიჭა აქვს შეკრული.

Ali dün fena bir kaza yapmış. Bugün çenesini bıçak açmıyor.

აღლიმ გუშინ საშინელი ავარია მოახდინა. დღეს დანა კბილს არ უხსნის.

Çenesini kapattı „ეზა დაუხურა“ - *გაანუმა, დაადუმა; ◇ პირი აუკრა (აულაგმა), პირში ბურთი ჩასჩარა.

Çenesini satar „თავის ეზას ყიდის“ - *ბაქიაობს, თავს იწონებს, ტრაბახობს; ◇ თავი მოაქვს.

Çenesini tutmaz *იხ.*: Çenesini durmaz.

Çenesini uzattı „ეზა წაიგრძელა“ - *ბეერი იყბედა, ილაქლაქა; ◇ ენა წაიგრძელა (გაიბრტყელა), პირი არ გააჩერა.

Çenesini yorar „ეზას იღლის“ - *ამაოდ, ტყუილუბრალოდ ლაპარაკობს; ◇ ენას ამაოდ იღლის.

Boş yere çenesini yorma sevgilim! Bu yaz İtalya'ya değil, Norveç'e gideceğiz.

ენას ამაოდ ნუ იღლი, ჩემო საყვარელო! ამ ზაფხულს იტალიაში კი არა, ნორვეგიაში წავალთ.

Çengel takar „ჩანგალს ჩაურჭობს“ - *ამოინემებს, გადაეკიდება, ჩააცვივდება, აითვალისწუნებს; ◇ კბილს ჩაასობს, მიზანში ამოიღებს.

Çıbanın başını kopardı „მუწუკს თავი გაუხეთქა“ - *რთული მდგომარეობიდან გამოვიდა, ამოისუნთქა; ◇ ხელ-ფეხი გაიხსნა.

Çığırından çıktı „ბილიკს ასცდა“ - *(საქმე) გართულდა, გაფუჭდა, ნაიშალა. (საქმე) არასწორი გზით წარიმართა; ◇ (საქმემ) არასწორი მიმართულება მიიღო, გზა გამრუდდა.
Böyle konuşunca iş çığırından çıktı.
როდესაც ასე ილაპარაკა, საქმემ არასწორი მიმართულება მიიღო.

Çıkar yol bulur ◇ „გამოსავალ გზას პოულობს“ - *თავის დახსნის საშუალებას პოულობს.
Başım bu belâdan kurtarmak için, memleketten çıkmaktan başka çıkar yol bulamadım.
ამ უბედურებიდან თავის დასახსნელად სამშობლოდან წასვლის გარდა სხვა გზა ვერ ვიპოვე.

Çıkmaz ayın son çarşambasında „დაუმთავრებელი თვის ბოლო ოთხშაბათს“ - *არასოდეს; ◇ როდინობის კვირაში, როცა ვირი ხეზე ავა.
- Selma'nın evlenmesi artık çıkmaz ayın son çarşambasına kaldı.
- ხელმას ქორწილი უკვე როდინობის კვირისთვის გადაიდო.

Çıkmaza girdi ◇ „ჩიხში შევიდა“ - *გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

Çıktı dokuza, inmez sekize „ავიდა ცხრაზე, არ ჩამოდის რვაზე“ - *გაჯიუტდა; ◇ თავისას არ იშლის, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ეშმაკის ცხენზე შეჯდა, ვირზე შეჯდა.
- Sen Ömer'e fikrini kabul ettiremezsin, o, bir kere „**çıktı dokuza, inmez sekize**“.
- ომერს შენ აზრზე ვერ დაიყოლიებ. ის თუ ერთხელ ვირზე შეჯდა, აღარ ჩამოვა.

Çırpıdan çıktı ◇ „ზღვარს გადავიდა“ - *გადააჭარბა, გადაამეტა, გადაამლაშა, (ზომიერების) ფარგლებს გასცდა, ზედმეტი მოუვიდა; ◇ წრეს გადავიდა.

Çıt çıkarmadan ◇ „ჩქამის გაუღებლად“ - *უჩემრად, უხიბველად; ◇ ხმის ამოუღებლად, კრინტის დაუძრავად.
Çıt çıkarmadan söylediklerimi dinledi.
ჩემი ნათქვამი ხმის ამოუღებლად მოისმინა.

Çiçeği burnunda „ყვავილი ცხვირზე აქვს“ - *ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, ნორსია; ◇ გაუშლელი კოკორია, გაუშლელი ყვავილია.

Evlendiğimiz zaman henüz çiçeği burnunda idim.

როდესაც დაქორწინდით, მე ჯერ კიდევ გაუშლელი კოკორი ვიყავი.

Çivisi çıktı „მას ლურსმანი გამოსძვრა“ - *არანორმალურია, აკლია, სუღელია, ჭკუანაკლებადია; ◇ თავში აკლია, თავში დაკრულია, ავი ქარი აქვს ნაცემი.

Çorap söküğü gibi gider „წინდის გაქცეული თვალივით წავა“ - *ადვილად, წინააღმდეგობის გარეშე წავა; ◇ წყალივით წავა.

- Türkçeyi öğrenmek için bir kere grameri bellediğiniz mi artık arkası **çorap söküğü gibi gider**.

- თურქული ენის შესასწავლად გრამატიკა თუ ერთხელ დაიხეპირე, მერე ყველაფერი წყალივით წავა.

Çorbada tuzu bulunur „წვნიანში მისი მარილია“ - *საქმეში მისი მცირე წვლილიც არის, (რაიმე საქმეში) მისი ხელიც ურევია, მისი ხელიც ატყვია.

Bu işte onunla beraber **çorbada tuzumuz bulunursun**.

ამ საქმეში მასთან ერთად (ჩემი) ჩვენი ხელიც ერიოს.

Çöp atlamaz „(რისიმე) ღეროს (ნაფოტს, ჩხირს) არ გადააბიჯებს“ - *ფხიზელი თვალები აქვს, ყურადღებითაა, ადვილად არ ტყუვდება; ◇ მის თვალს არაფერი გამოეპარება, ვერაფერს გამოაპარებ.

Çöpe döndü ◇ „ჩხირად იქცა“ - *ძალიან გახდა, ჩამოხმა, დაილია; ◇ თოკზე გადასაკიდებელი გახდა, ცარიელი ძვალი და ჩონჩხია.

Çukura düştü ◇ „ორმოში ჩავარდა“ - *გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა; ◇ მახეში გაება.

Çukurunu kazar ◇ „ორმოს უთხრის“ - *მგრობს, საფროთხეს უმსაღებს; ◇ მახეს უგებს, სამარეს უთხრის.

Başkasının **çukurunu kazarken** kendisi zor duruma düştü.

სამარეს სხვას რომ უთხრიდა, თავად აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში.

Çürük tahtaya bastı „ღამპალ ფიცარზე დააბიჯა“ - *თავი საფრთხეში ჩაიგდო, თავი განსაცდელში ჩაიგდო; ◇ ბეწვის ხიდზე გაიარა, მოლიპულ გზას დაადგა.
Onun çürük tahtaya basmayacağını sen de biliyordun.
ბეწვის ხიდზე რომ არ გაივლიდა, შენც იცოდი.

D

Dağda büyümüş „მთაში გაზრდილი“ - *გამოუსვლელი, ხეპრე, გაუთლელი, უნახავი; ◇ ტყიდან გამოვარდნილი, ტყეში გაზრდილი.
Onun dağda büyüdüğünü herkes biliyor.
ყველამ იცის, რომ ტყეშია გაზრდილი.

Dağdan gelip bağdakini kovdu „მთიდან ჩამოვიდა და ბაღში მყოფი გააგდო“ - *უღირსმა ღირსეულის ადგილი დაიკავა; ◇ გარეულმა შინაური გააგდო.
Onun yaptığı da dağdan gelip bağdakini kovmaktır.
მისი საქციელი ის არის, გარეულმა შინაური რომ გააგდო.

Dağlar dayanmaz „მთები ვერ უძლებენ“ - *გაუსაძლისი მდგომარეობაა, აუტანელი სატანჯველია, დიდი (საშინელი) უბედურებაა, საშინელება; ◇ ქვაც კი ატირდება, ქვაც დაიწვება.
Bu yıkıma dağlar dayanmaz.
ამ კატასტროფაზე ქვაც კი ატირდება.

Dağlar misafir almaya başlıyor „მთები სტუმრების მიღებას იწყებს“ - *გაზაფხული დგება; ◇ მთა იღვიძებს, ხეში წყალი დგება, ბუნება იღვიძებს.

Dağlara düştü „მთას მიაშურა“ - *განმარტოვდა, ხალხს გაერიდა; ◇ მთაში (კლდე-ღრეში) დაეხეტება.
Zavallı, üzüntüsünden dağlara düşer.
საცოდავი, დარდისაგან კლდე-ღრეში დაეხეტება.

Dağları devirir ◇ „მთებს აბრუნებს“ - *ძნელ საქმეს წარმატებით დააგვირგვინებს, შეუძლებელს შეძლებს; ◇ მთებს დაძრავს.

Engel tanımıyor, dağları deviriyordu.
დაბრკოლებას არ ცნობდა, მთებს აბრუნებდა.

Dakikası dakikasına ◇ „წუთი წუთზე“ - *სუესტად ერთდროულად.
Gecikmemiş, onunla görüşmeye dakikası dakikasına geldi.
არ დაუგვიანია, მასთან შესახვედრად წუთი წუთზე მოვიდა.

Dal gibi oldu „ტოტივით იქცა“ - *დაილია; გახდა; ◇ ჩხირით
გახდა, ძვალი და ტყავია, ნეკნები დაეთვლება, ჩონჩხად იქცა,
ყურებში ლანდი გასდის, სანთელივით დაილია.

Daldan dala konar „ტოტიდან ტოტზე გადადის“ - *აზრებს ხშირად
იკვლის, მერყეობს; ◇ კვირაში ცხრა პარასკევი აქვს, აქეთ-იქით
დახტუნავს.

Daldan dala konmayı bırakmalısın!
აქეთ-იქით ხტუნვას თავი უნდა გაანებო!

Dalga geçirir „ტალღას უშვებს“ - 1. *უყურადღებოდაა, სხვა რამეებზე
ფიქრობს; ◇ განზე იყურება.

Dalga geçirme! Göreceksin bu sefer dediğimi yapacağım.
განზე ნუ იყურები. ამჯერად ნემს ნათქვამს შევასრულებ.

2. *დასცინის, ამასხარავეებს; ◇ მასხარად იგდებს.

Bizimle dalga geçirmeyi bırak.
ნვენს მასხარად აგდებას თავი გაანებე.

Dalina bastı „(სხვის) ტოტს დააჭირა“ - *(სხვაზე) ზემოქმედება
მოახდინა, მოთმინებიდან გამოიყვანა, შეაწუხა; ◇ ტვინი წაუღო,
თავი მოაბეზრა.

Dalina basınca istediğimi vermek zorunda kaldı.
როდესაც თავი მოვაბეზრე, იძულებული შეიქნა მოეცა, რაც
მინდოდა.

Dama çıkıyor „სახურავზე ადის“ - *(სიბრაზისაგან) ისტერიკაში
ვარდება, გიჟდება, ცოფდება; ◇ კედლებზე გადის, დანას ეხევა,
თმებს იგლეჯს, ცოფებს ყრის.

Damarı çatlak „ძარღვაწვევტილი“ - *ნამესგარეცხილი, ურცხვი,
კადნიერი, შუბლმაგარი; ◇ შუბლის ძარღვი გაწვევტილი აქვს,
მაგარი შუბლი აქვს.

Damarlarına işledi ◇ „ძარღვებში გაუჯდა“ - *ჩვეულებად ექცა, შეისისხლხორცა; ◇ ძვალ-რბილში გაუჯდა, სისხლ-ხორცში გაუჯდა.

Yalan söylemek arkadaşımın damarlarına işlemiş.

ტყუილის თქმა ჩემს ამხანაგს ძვალ-რბილში გაუჯდა.

Damdan çardağa atlar *anc*: **Daldan dala konar.**

Damoklesin kılıcı ◇ „დამოკლეს მახვილი“ - *ყოველ წუთს მოხალოდნელი საფრთხე.

Müdürün baskısı **Damoklesin Kılıcı** gibi başımızda duruyor.

დირექტორის წნეხი დამოკლეს მახვილივითაა ჩვენს თავზე.

Dana baş „ხბოსთავა“ - *შტერი, ყვეყნი, ნერწყვი, ბატიტვინა, სუღელი, ხისთავა; ◇ თავში დაკრული (დარტყმული).

Dar kafalı „ვიწრო თავისა“ - *ხისთავა, შტერი, ბოთე; ◇ მოკლე ჭკუისა.

Daraya attı „ტარას მიათვალა“ - *ეურადღების ღირსადაც არ ჩათვალა; ◇ სათვალავში არ ჩააგდო, არაფრად ჩააგდო (ჩათვალა).

Darısı başına „მისი ფეტი შენს თავზე“ - *შენც იგივე სიკეთე მოგცეს ღმერთმა; ◇ მისი წყალი შენც გადაგსხმოდეს!

Bizim oğlan evlendi, **darısı başına!**

ჩვენი ბიჭი დაქორწინდა, მისი წყალი შენც გადაგსხმოდეს!

Davul çalacak „დოღს დაუკრავს“ - *გაახმაურებს, ყველას გააგებინებს; ◇ ქვეყანას მოსდებს, ქვეყანას შეყრის.

Dayak yedi „ჯოხი ჭამა“ - *გაილახა; ◇ ჯოხი იწვნია, ზურგზე ბოლი ასდინდა, სიგრძე სიგანედ ექცა, ზურგი აუჭრელდა.

Hasan, çünkü kavgada **dayak yemiş.**

ჰასანი გუშინდელ ჩხუბში გალახულა.

Dayısı dümende „ბიძამისი საჭესთან არის“ - *ძლიერი, გავლენიანი მფარველი პყავს; ◇ მაგარი ზურგი აქვს, დიდი გული აქვს.

Dayısı dümende olduğu için böyle davranıyor.

მაგარი ზურგი რომ აქვს, ასე იმიტომ იქცევა.

Dediği dedik, çaldığı düdük „მისი ნათქვამი ნათქვამია, მისი დაკრული ღუდუკია“ - *ყველამ მისი სურვილი უნდა შეასრულოს, ყველამ მის სურვილზე (ჭკუაზე) უნდა იაროს; ◇ მისი სიტყვა კანონია, ყველა მის დაკრულზე ცეკვავს, ყველა მას მისჩერებია თვალეში.

Evde onun dediği dedik, çaldığı düdüktür.

სახლში ყველა მის დაკრულზე ცეკვავს.

Defterden siler „დავთრიდან ამოშლის“ - *დაივიწყებს; ◇ სიიდან ამოშლის, გულიდან ამოირეცხავს (ამოიგდებს, ამოიღებს).

Onu defterden sildiğini söyledi.

თქვა, გულიდან ამოირეცხეო.

Defteri dürüldü „მისი დავთარი დაიგრაგნა [დაიხურა]“ - *მოკვდა; ◇ წერილი წაიღო, სული დალია, თქვენი ჭირი წაიღო.

Beklenmedik bir anda defteri dürüldü.

მოულოდნელად, უცებ წერილი წაიღო.

Defteri kapadı „დავთარი დახურა“ - *მუშაობა (ზრუნვა, ფიქრი) შეწყვიტა; ◇ საქმე დახურა, საქმე შეწყვიტა, წერტილი დასვა.

Biz o defteri çoktan kapadık.

იმ საქმეს დიდი ხანია წერტილი დაეუსვით.

Değirmen taşının altından diri çıkar „წისკვილის ქვიდან ცოცხალი გამოდის“ - *ყველა სიტუაციიდან [უვნებლად] გამოდის; ◇ ზურგზე არ ეცემა.

Deliğe girdi „ხვრელში შეიძრა“ - *სატყუარაში, საპერობილეში აღმოჩნდა; ◇ ვირის აბანოში მოხვდა.

Deliğe girince akli başına gelir.

როდესაც ვირის აბანოში მოხვდება, ჭკუაზე მაშინ მოვა (ჭკუას მოეგება).

Denizden bir avuç su gibi „ზღვიდან ერთი პეშვი წყალივით“ - *ძალიან პატარა, მცირედი, უმნიშვნელო; ◇ ზღვაში წვეთი.

Yaptığı yardım denizden bir avuç su gibiydi.

მისი დახმარება ზღვაში წვეთივით იყო.

Derdini Marko Paşa'ya anlat! „შენი დარდი მარკო ფაშას¹ უამბე“ -
*არავის ედარდები, ვის რაში ენადვლები, შენი გამკითხავი
არავინაა; ◇ თავი ქვას ახალე!
Bundan sonra derdini Marko Paşa'ya anlatsın!
ამას იქეთ თავი ქვას ახალოს!

Deri kemik kaldı ◇ „ძვალი და ტყავი დარჩა“ - *ძალიან გახდა; ◇
ჩონჩხად იქცა.
Eşek bir deri, bir kemik kalmış.
სახელარი ძვალი და ტყავი დარჩენილა.

Derisine sığmaz ◇ „(თავის) ტყავში არ ეტევა“ - *ამპარტაენობს,
ამაყობს, ყოყონობს, მედიდურობს; ◇ თავს მალლა იჭერს, თავი
მოაქვს, ზემოდან იყურება, თავის კანში ვერ ეტევა.

Derisini soyar ◇ „ტყავს გააძრობს“ - *დასჯის, ცუდ მდგომარეობაში
ჩააყენებს; ◇ შავ დღეს დააყრის.

Ders alır ◇ „გაკვეთილს იღებს“ - *ჭკვიანდება; ◇ ჭკუას სწავლობს,
ჭკუაში შედის.
Bu otomobil kazasından ders aldım. Bir daha sisli havada o kadar hızlı
gitmeyeceğim.
ამ ავტოკატასტოვის შემდეგ ჭკუა ვისწავლე. ნისლიან ამინდში
სწრაფად აღარ ვივლი.

Dertsiz başını derde sokar „უდარდელ თავს დარდში ყოფს“ - *ძალით
იჭირვებს; ◇ აუტკივარ თავს იტკივებს.
Rıza ile ahbaplık etmek dertsiz başı derde sokmaktır. Adam her gün bir
mesele yaratıyor.
რისასთან დამოყვრება აუტკივარი თავის ატკივებაა. ის ყოველ
დღე რაღაც პრობლემას წამოჭრის.

Devede kulak „აქლემზე ყური“ - *ძალიან პატარა, მცირედი,
უმნიშვნელო; ◇ ზღვაში წვეთი.
Senin yaptıklarının yanında benimkiler **devede kulak gibi görünüyor!**
რასაც შენ აკეთებ, ჩემი [გაკეთებულ] იმასთან ზღვაში წვეთია.

1. ოსმალეთის სულთანის აბდულ-აზიზის (1830-1876) პირადი
ექიმი.

Deveye hendek atlatır „აქლემს თხრილზე გადაახტუნებს“ - *შეეცდება შეუძლებელი გააკეთოს; ◇ ტყაეში გაძვრება, გველის ხვრელში გაძვრება.
Ona bu işi yaptırmak **deveye hendek atlatmaktan** güçtür.
მისთვის ამ საქმის გაკეთებინება გველის ხვრელში გაძვრებაზე ძნელია.

Dibi görünür ◇ „ფსკერი (ძირი) უჩანს“ - *თავდება, იღუკება; ◇ ძირზე დავიდა.
Baktım ki, tencerenin **dibi görünüyor!**
ვხედავ, ქვაბს ძირი უჩანს.

Dibine darı eker „(რისამე) ძირზე (ფსკერზე) ფეტვს თესავს“ - *სპობს, ანადგურებს, ანანავებს; ◇ ძირიანად თხრის, ძირს უთხრის, ბოლოს უღებს.
- Hiç sıkılmadan sucukların dibine darı ekmişsiniz. Şimdi ben ne yiyeceğim?
ურცხვად ძეხვისთვის ბოლო მოგიღიათ, ახლა რა ვჭამო?

Diken üstünde oturur ◇ „ეკლებზე ზის“ - *მოუსვენრადია, ფორიაქობს, ღელავს, შფოთავს.
İki saat **diken üstünde oturuyordum.**
ორი საათი ეკლებზე ვიჯექი.

Dikili ağacı yok „დარგული ხე არ გააჩნია“ - *ცარიელ-ტარიელია, ღარიბ-ღატაკია, არაფერი გააჩნია, წყალწაღებულია; ◇ თითზე დასახვევი ძაფიც არ გააჩნია, კატაც არ უკნავის.
Dikili ağacı olmadığını bilmiyordum.
არ ვიცოდი, თითზე დასახვევი ძაფიც თუ არ გააჩნდა.

Dil birliği „ენის ერთობა“ - *ერთსულოვნება, შეთანხმებულობა; ◇ ერთი პირის ქონა.

Dil döktü ◇ „ენად დაიღვარა“ - *(სიტყვებით) მოთაფლა; ◇ ენა დაითაფლა, ენად გაიკრიფა, ენად იქცა.
Nafile dil dökme yavrum! Ben bugün oturup çalışacağım sinemaya gidemem.
ტყუილად ენად ნუ გაიკრიფე, შვილო, დღეს უნდა დაეჯდუ და ვიმუშაო, კინოში ვერ წამოვალ.

Dil ebesidir „ენის ბებია ქალია“ - *ენამჭევრია, მახვილგონივრულად

ღა ბევრის მოლაპარაკეა, ენამოსწრებუელია, ენამახვილია; ◇
სიტყვისთვის ჯობეში ხელს არ ჩაიყოფს, ენა უჭრის.
Dil ebesi bir insan olduğunu herkes bilir.
ენა რომ უჭრის, ყველამ იცის.

Dilden dile dolaşır „ენიღან ენაზე გადავა“ - *სალაპარაკო გახდება,
ყველა გაიგებს; ◇ ქვეყანას მოედება.
Yâr adını desem olmaz dilden dile dolaşır.
სატრფოს სახელი რომ ვთქვა, არ შეიძლება, ქვეყანას მოედება.

Dile düşer „ენაზე ეცემა“ - *სხვისი სატორაო (სალაპარაკო) ხდება;
◇ ხალხის ყბაში ვარდება.
Karısının hafifmeşreplik yüzünden dile düşmesinden beri zavallı Ali
herkesten kaçıyor.
საბრალო ალი, მას შემდეგ რაც თავისი ცოლის მსუბუქი
ყოფაქცევის გამო ხალხის ყბაში ჩავარდა, ყველას გაურბის.

Dile kolay „ენისთვის ადვილი“ - *ძნელად შესასრულებელი საქმე; ◇
სათქმელად ადვილი.
„Senin bu yaptığın imtihan hiç bir şey değildi“ demek dile kolay. Sen onu
bir de bana sor!
„შენ, რომ გამოცდა ჩააბარე, ეგ არაფერიაო“, – სათქმელად
ადვილია, ერთი მეც მკითხე!

Dile perhiz etti „ენით იმარხულა“ - *გაჩემდა, დადემდა; ◇ ენა
მუცელში ჩაიგდო, ენას კბილი დააჭირა, პირში წყალი ჩაიგუბა.

Dile verdi „ენას მისცა“ - *საიდუმლო გაამხილა (გათქვა,
გაახმაურა), სალაპარაკო გახადა; ◇ სხვების ყბაში ჩააგდო,
ქვეყანას მოსდო.
Yaptıklarımı arkadaşları dile verdi.
მისი ჩამოქმედარი ამხანაგმა ქვეყანას მოსდო.

Dili açıldı ◇ „ენა გაეხსნა“ - *(დიდი ხნის დუმულის შემდეგ) ხმა
ამოიღო, აღაპარაკდა; ◇ ენა ამოიღება.
Orada beni görünce dili açıldı.
იქ რომ დამინახა, ენა ამოიღება.

Dili ağır „მძიმე ენის მქონე“ - *ენამწარე, ენაგესლიანი; ◇ მწარე
(გესლიანი) ენის პატრონი.

Dili ağırlaştı „ენა დაუქმძიმდა“ - *თქმა (ლაპარაკი) გაუჭირდა; ◇ ენა დაება, ენას ვერ აბრუნებს.

Ona bir şeyi demek istiyordu, ama ansızın **dili ağırlaştı**.

მისთვის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უცებ ენა დაება.

Dili bir karış (kadar) ◇ „ერთი მტკაველი ენის პატრონი“ - *ებელი, ენაწაგდებული, ენაჭარტალა; ◇ ენად გაკრეფილი.

Dili çözüldü „ენა მოეშვა“ - *ალაპარაკდა, აკებლდა; ◇ პირი მოუშვა, ენად იქცა.

Dili damağına yapıştı ◇ „ენა სახას მიეკრა“ - *(ბევრი ლაპარაკით ან ხიჩუმით) პირი გაუშრა.

Dili dönmüyor ◇ „ენა არ უბრუნდება“ - *სიმართლეს, სინამდვილეს ვერ ამბობს.

Bizimle konuşurken nedense buna bir türlü **dili dönmüyor**.

როდესაც ჩვენთან საუბრობს, რატომღაც ამაზე ენა არ უბრუნდება.

Dili tutuldu ◇ „ენა წაერთვა“ - *(შიშისაგან) ლაპარაკის უნარი წაერთვა; ◇ ენა ჩაუვარდა.

Zehirli bir yılan birdebire karşıma çıkınca korkudan **dilim tutuldu**.

როდესაც შხამიანი გველი უცერად ჩემსკენ გამოემართა, შიშისაგან ენა წამერთვა.

Dili uzun *nb.*: **Dili bir karış**.

Dili varmaz „ენა არ უწვდება“ - *ცუდი რამის თქმას ვერ ახერხებს, ვერ ბედავს; ◇ ენა არ უბრუნდება, ენა არ უტრიალდება.

Bazı şeyler söyleyecektim bir türlü **dilim varmadı**.

‘ხოგიერთ რაღაცეებს ვიტყვოდი, მაგრამ არაფრით ენა არ მომიბრუნდა.

Dilinde tüy bitti „ენაზე ბეწვი გამოეღია“ - *ბევრი ილაპარაკა; ◇ ენა გაუცვდა.

- Sana durumu anlatmak için saatlerdir konuşuyorum, **dilimde tüy bitti**, ama sen hâlâ kavramadın.

- ჩემი მდგომარეობის ასახსნელად მთელი საათია გელაპარაკები, ენა გამოიცვდა, მაგრამ შენ მაინც ვერაფერს მიხვდი.

Dilinden düşürmez „ენიდან არ ჩამოუვარდება“ - *მუდმივად ლაპარაკობს, (ვისმეს) ხშირად ახსენებს; ◇ ენაზე აკერია, პირზე აკერია, ენაზე უტრიალებს.

Bu adamın Allahı dilinden düşürdüğü yok ama yapmadığı edepsizlik te yok. ამ კაცს ალლის სახელი მუდამ პირზე აკერია, მაგრამ, მას რომ არ ჩაედინოს, ისეთი უნამუსობაც არ არსებობს.

Dilinden kurtulamaz ◇ „მის ენას ვერ გადაურჩება“ - *ბოროტი (გესლიანი) ენა აქვს; ◇ იმის ყბიდან ვერ ამოვა, ჩემი მტერი ჩავარდა იმის ყბაში.

Ne yaptımса dilinden kurtulamadım.

რა არ ვიღონე, მის ენას ვერ გადავურჩი.

Diline dolar ◇ „ენაზე იხვევს“ - *ყველგან ერთი და იგივე აუქმებია; ◇ პირზე აკერია.

Bir türküyü diline dolamış, hep onu söylüyor.

ერთი სიმღერა აკერია პირზე და სულ იმას მღერის.

Diline kilit vurdu ◇ „ენაზე კლიტე დაადო“ - *გააჩუმა; ◇ პირში ბურთი ჩასჩარა, პირი აუკრა.

Herkesin diline kilit vuramam ki.... istediklerini söylesin.

ყველას პირს ხომ ვერ ავუკრავ, რაც უნდათ, ის თქვან.

Dilini bağladı „ენა შეუკრა“ - *გააჩუმა, ლაპარაკის საშუალება მოუსპო; ◇ ენა ჩაუგდო, პირში ლაგამი ამოსდო, პირში კაპი ამოსდო, პირი აუკრა, პირში ბურთი ჩასჩარა.

Dilini fare mi yedi? „ენა თაგვმა შეგიჭამა?“ - *რამ გაგაჩუმა?; ◇ ენა მუცელში ჩაგივარდა? ენა ჩაყლაპე?

Dilini kesti „ენა მოაჭრა“ - *გააჩუმა; ◇ ენა დაუმოკლა, პირი აუკრა, პირში ლაგამი ამოსდო.

Ben onun dilini kesmesini bilirim!

ვიცი, ენა როგორ დავეუმოკლო!

Dilini peynir ekmekle mi yedin? „ენა ყველსა და პურს 'შეატანე?“ - *რატომ გაჩემდი?; ◇ ენა მუცელში ჩაგივარდა? ენა დაგიობდა? ენა ჩაყლაპე?

Dilini peynir ekmekle mi yedin? Bir şeyler söyle!

ენა ჩაყლაპე? თქვი რამე!

Dilini tutar ◇ „ენას აკავებს“ - *საიდუმლოს ინახავს; ◇ ენას კბილს აჭერს.

Bu işten Ali'ye bahsetme. O dilini tutmasını bilmez, herkese yayar.

ამ საქმეზე აღისთან ნუ ილაპარაკებ. ენაზე კბილის დაჭერა არ იცის, ყველას მოსდებს.

Dilini uzattı ◇ „ენა წაიგრძელა“ - *ბევრი, ზედმეტი ილაპარაკა, იებელა; ◇ ენა აიშვა, ენა წაიგდო, ააბრუნა წისქვილი.

Naciye'nin huyu çok kötü. Hemen hemen herkese dil uzatıyor. Daha bir kişi için iyi bir kelime kullandığını duymadım.

ნაჯიეს ცუდი ხასიათი აქვს. ყველასთან ენას წაიგრძელებს. ჯერ არ გამიგონია ვისმეზე კარგი ეთქვას.

Dilini yuttu ◇ „ენა გადაყლაპა“ - *(შიშისაგან, გაოცებისაგან და ა.შ.) განუმდა, დამუნჯდა; ◇ ენა ჩაუვარდა, ენა მუცელში ჩაუვარდა, ენა ჩაიგდო.

Dilinin altında bir bakla var „ენის ქვეშ ცერცვი აქვს“ -

*სათქმელისაგან თავს ვერ იკავებს; ◇ ენა ექავება, ენა უსწრებს.

Senin dilinin altında bir bakla olduğu belli, haydi söyle!

გეტყობა, ენა გექავება, მიდი, თქვი!

Dilinin altında bir şey var *იხ.*: **Dilinin altında bir bakla var.**

✓ **Dilinin ucunda oluyor** ◇ „ენის წვერზე ადგას“ - *იცის, მაგრამ არ აგონდება; ◇ ენაზე ადგას.

Dilimin ucunda olduğu halde bir türlü adını çıkaramadım.

მიუხედავად იმისა, რომ ენის წვერზე მადგას, მისი სახელი ვერაფრით გავიხსენე.

Dilinin ucuyla „ენის წვერით“ - *ცალეზად, გულგრილად, უზულოდ, ყასიდად; ◇ ცალი ყბით, სხვათა შორის.

Diller ile tabir olunmaz ◇ „ენით აუწერელი“ - *სათქმელად ძნელი, გამოუთქმელი, საოცარი, დაუჯერებელი; ◇ ენით უთქმელი.

Dillerde dolaşır *იხ.*: **Dillerde gezer.**

Dirhem dirhem konuşur „ღირჰემობით ლაპარაკობს“ - *დაკვირვებით,

დაფიქრებით, გამოხოშილად ლაპარაკობს; ◇ მძიმე-მძიმედ
ლაპარაკობს, ყოველ სიტყვას წონის.

Dirsek çevirdi „იდაყვი მიაბრუნა“ - *ურთიერთობა შეწყვიტა; ◇
ხელი აიღო, ზურგი შეაქცია, პირი შეაბრუნა, თავი გაანება.
İstedigi kitabı vermeyince, Turgut bana **dirsek çevirdi**.
როდესაც ის წიგნი არ მივეცი, რომელიც მოხოვა, თურგუთმა
ზურგი შემაქცია.

Dirsek çürütmüş „იდაყვაცვეთილი“ - *განსწავლული, ნაკითხი; ◇
წიგნის ჭია.
Dirsek çürütmüş bir adam olduğunu biliyordum.
წიგნის ჭია რომ იყო, ვიცოდდი.

Diş biler ◇ „კბილებს იღესავს“ - *სამტროდ, სანხუბრად ემზადება.
Kendisini kızdırdığım günden beri bana **diş biliyor**.
იმ დღიდან მოყოლებული, რაც გავაჯავრე, ნემზე კბილებს
იღესავს.

Diş gıcırdatır ◇ „კბილებს აღრჭიალებს“ - *იმუქრება, იქადნება.
Herkese diş gıcırdatıp duruyor.
ყველას გამუქმებით კბილებს უღრჭიალებს.

Diş gösterdi ◇ „კბილი აჩვენა“ - *დაემუქრა, დაექადნა, დააშინა; ◇
თვალები დაუბრიალა.

Dişine dokunur „მის კბილს ეხება“ - *მისთვის ვარგისია,
გამოსადეგია; ◇ მისი საკბილოა.
Kitabı okudu ama, içinde **dişine dokunur** bir şey yoktu.
წიგნი კი წაიკითხა, მაგრამ მისი საკბილო იქ არაფერი იყო.

Dişine geçmiyor „მის კბილზე არ მოქმედებს“ - *მისთვის გამოსადეგო
არ არის; ◇ მისი საკბილო არ არის.

Dişinin kovuğuna yetmez „მისი კბილის დრმულს არ ყოფნის“ -
*ძალიან პატარაა, პაწაწინაა, ერთი ბეწოა, უმნიშვნელოა; ◇
პირის ქარად არ ეყოფა.
Bu para onun dişinin kovuğuna yetmez.
ეს ფული მას პირის ქარად არ ეყოფა.

Diz çöktü ◇ „მუხლი მოიყარა“ - *დაინოქა, დანებდა.

Dize getirir ◇ „მუხლზე დააჩოქებს“ - *დაამარცხებს, დააჩოქებს; ◇
კისერს მოუდრეკს.

Yeni müdür herkesi dize getirdi.

ახალმა დირექტორმა ყველა მუხლზე დააჩოქა.

Dizginlerini ele alır ◇ „მის სადავეებს ხელში იგდებს“ -
*უხელმძღვანელებს, თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს.

- Hanım, çocukların gidişini pek beğenmiyorum. Ben yarından itibaren dizginleri tekrar ele alacağım.

- ქალბატონო, ბავშვების საქციელი ძალიან არ მომწონს, ხვალეიდან მათ სადავეებს კვლავ ხელში ავიღებ.

Dizine derman gelmiş ◇ „მუხლში ძალა მოუვიდა“ - *მოლონიერდა,
ძალა მოემატა; ◇ ფეხზე დადგა.

Dizini döver ◇ „მუხლებზე იცემს“ - *ნანობს; ◇ თავში იცემს.

- Hastalığın için önce hiç bir tedbir almadım, şimdi dizini dövüyorsun.

- ავადმყოფობისათვის თავიდანვე არავითარი ზომები არ მიიღე, ახლა კი თავში იცემ.

Dizini öptü ◇ „მუხლები დაუკოცნა“ - *ეხვეწა, ემუდარა, ძალიან
სთხოვა; ◇ ხელ-ფეხი დაუკოცნა, მუხლებში ჩაუვარდა.

Dizleri kesildi ◇ „მუხლები მოეკვეთა“ - *(დაღლილობისაგან და ა.შ.)
ფეხზე დგომის (სიარულის) უნარი წაერთვა.

- Bana da sıra geldi. Dizlerim kesiliyor, yanaklarım ateş gibi yanıyordu.

ჩემი ჯერიც დადგა, მუხლები შეკვეთებოდა, ლოყები მქვოდა.

Dizlerine kapanır ◇ „მუხლებში უვარდება“ - *ეხვეწება, ემუდარება,
სთხოვს; ◇ მუხლებზე ეხვევა, ხელ-ფეხს უკოცნის.

Dizlerine kapanınca kendisini affetti.

როდესაც მუხლებში ჩაუვარდა, აპატიო.

Dizlerinin bağı çözüldü *sh.*: Dizleri kesildi.

Doğru yola koyar ◇ „სწორ გზაზე აყენებს“ - *ეხმარება, ეშველება; ◇
გზაზე აყენებს, გზას უჩვენებს.

Babası Hasanı doğru yola koydu.

მამამისმა პასანი სწორ გზაზე დააყენა.

Doğru yoldan saptırdı ◇ „სწორი გზიდან გადააცდინა“ - *დააბნია, შეაცდინა; ◇ გზა გაუმრუდა, გზა-კვალი აურია, თავგზა აუბნია.

Doksan kapının ipini çekti „ოთხმოცდაათი კარის თოკი გამოსწია“ - *ბევრ ადგილას იყო (სამათხოვროდ); ◇ ყველას კართან იყო ატუზული, რამდენ კარს მიადგა, ვის არ მიადგა.
100 lira borç almak için **doskan kapının ipini çektim**, nâfile...
100 ლირის სასესხებლად რამდენ კარს მივაღექი, მაგრამ ამოდ.

Dokuz ay nasıl bekledin? ◇ „ცხრა თვე როგორ მოიცადე?“ - *რა მოუთმენელი ხარ? მოთმინება არ გყოფნის; ◇ დედის მუცელში ცხრა თვე როგორ გაძელი? სული ცხვირში გიზის?
- Yahu, kahve hâlâ olmadı mı?
- Hay Allahım, bu kaçınıcı sorarsın kuzum?! Sen **dokuz ay nasıl bekledin** Allahaşkına?
- ყავა კიდევ არ გამზადდა?
- ოჰ, ღმერთო, ეს მერამდენედ მეკითხები, საყვარელო? ღვთის გულისათვის, დედის მუცელში ცხრა თვე როგორ გაძელი?

Dokuz dereden on su getirir „ცხრა მდინარიდან ათნაირ წყალს მოიტანს“ - *ძალიან მოხერხებულია, (მიზნის მისაღწევად) ყოველ ღონეს იხმარს, შეუძლებელს ახერხებს; ◇ ქვას გახეთქავს, ტყავში გაძვრება.

Dokuz doğurdum „ცხრაჯერ ვიმშობიარე“ - *დიდი ინტერესით, ღელვით, შიშით, მოუთმენლად ველოდე; ◇ მე ჩემი გადამწყდა, ჩემი დამემართა.
Vekilden cevap gelinceye kadar sanki dokuz doğurdum.
ვიდრე მიხისტრისგან პასუხი მოვიდოდა, ჩემი გადამწყდა.

Dokuz körün bir değneği „ცხრა ბრმის ერთი ჯოხი“ - *ყველას მშველელი; ◇ გაჭირვების ტალკვესი, ყველას მამიდა.
Ay maşallah dokuz körün bir değneği.... Ev işlerinden başka kocasının iş mektuplarını Almanca olarak o yazıyor, annesinin iğnelerini o yapıyor, üstelik büyükannesine de günlük gazeteleri okuyor.
აი, ყოხად! ყველას გაჭირვების ტალ-კვესია. სახლის საქმეების გარდა მეუღლეს საქმიან წერილებს გერმანულად უწერს, დედას

ნემსებს უკეთებს, გარდა ამისა, ბებიას ყოველდღიურ გაზეთებს უკითხავს.

Dokuz köyden kovulmuş „ცხრა სოფლიდან გამოგდებული, გარიყული“ - *ყველასაგან გარიყული, მოძულეებული; ◇ აღარსად მისასვლელი პირი არა აქვს, ყველამ კარი გამოუკეტა.
Ali dokuz köyden kovulduktan sonra artık onu burada kimse görmemiş.
მას შემდეგ, რაც ყველამ კარი გამოუკეტა, ალი აქ აღარავის უნახავს.

Dokuz parça oluyor „ცხრა ნაწილად იქცევა“ - *ბევრ საქმეს აკეთებს, ყველაფერს ასწრებს; ◇ ათასად იჭრება.

Dokuz yorgan eskitir [paralar] „ცხრა საბანს დააძველებს“ - *დღეგრძელი იქნება; ◇ ბევრი საცრის პურს შეჭამს, წინ ბევრს გაიძლოლებს.
- Sen onun hastayım deyip durduğuna bakma! O daha dokuz yorgan paralar.
- სულ რომ იძახის, ცუდად ვარო, ყურს ნუ უგდებ! კიდევ ბევრს გაიძლოლებს.

Dolabı çevirir „ბორბალს ატრიალებს“ - *თაღლითობს, ეშმაკობს; ◇ ხრიკებს აწყობს.
Ne dolaplar çeviriyor kim bilir?
ვინ იცის, რა ხრიკებს აწყობს.

Dolma yutturur „ტოლმას გადააყლაპებს“ - *მოატყუებს, აჭმევს, გააცურებს; ◇ ანკესზე წამოაგებს, პირში ჩაღას გამოავლებს, მშრალზე დასვამს.
Bizi yine dolmayı yutturdular.
კვლავ ცარიელზე დაგვტოვეს.

Dört ayağını bir yere getiriyor „ოთხ ფეხს ერთ ადგილზე დგამს“ - *ძალიან მონდომებულია, თავგამოდებულია, ყოველ ღონეს ხმარობს; ◇ თავს არ ზოგავს, წელებზე ფეხს იდგამს.

Dört ayak üstüne düşer „ოთხ ფეხზე ეცემა“ - *საშიში, სახიფათო მდგომარეობიდან უვნებლად გამოდის; ◇ მაგრად დგას, წყლიდან მშრალად ამოდის.
O, her zaman dört ayak üstüne düşmeyi başarır.

წყლიდან მშრალად ამოსვლას ყოველთვის წარმატებით ახერხებს.

Dört duvar arasında kapandı ◇ „ოთხ კედელში ჩაიკეტა“ - *გარეთ არ გამოდის, გარე სამყაროს მოსწყდა.

Dört duvar arasında kapanıp yalnız kitaplar okumakla eğleniyordu.

ოთხ კედელში ჩაიკეტა და მხოლოდ წიგნების კითხვით ერთობოდა.

Dört elle sarılır ◇ „ოთხი ხელით ეჭიდება“ - *საქმეს მონდომებით აკეთებს.

Kendi işlerine dört elle sarıldı.

თავის საქმეებს მთელი გულსყურით მოეკიდა.

Dört gözle baktı „ოთხი თვალით შეხედა“ - *დიდი ინტერესით, ყურადღებით შეხედა; ◇ თვალები დაჭყიტა, ოთხი თვალი გამოიბა, ცქერად იქცა.

Dört yanı deniz kesildi „ოთხივე მხარე ზღვად ექცა“ - *უსაშველო დაემართა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა; ◇ წინ წყალი, უკან – მეწყერი, ოთხივე მხრიდან გზა მოეჭრა, ორ ცეცხლშუა ჩავარდა, ჩიხში აღმოჩნდა.

Dört yanı deniz kesilmiş, elinden ne gelir?

ოთხივე მხრიდან გზა მოეჭრა, რაღა გამოუვა?

Dudak büktü ◇ „ტუჩები აპრუწა (აიბზუა)“ - *დაიწუნა, იუკადრისა.

O kadar uğraşımıza dudak büküp gitti.

ჩვენს ამდენ ცდაზე (მონდომობაზე) ტუჩი აიბზუა და წავიდა.

Dudak ısırıldı ◇ „ტუჩი მოიკვნითა“ - *(საშიში მდგომარეობის გამო) შეშფოთდა, აღელდა.

Dudak sarkıttı „ტუჩები ჩამოეშვა“ - *მოიწყინა, ხასიათი გაუფუჭდა, ცუდ ხასიათზე დადგა; ◇ ყურები ჩამოყარა, ცხვირი ჩამოეშვა.

Dudak sarkıtmasının nedenini anlayamadım.

ვერ გავიგე, ცხვირი რატომ ჩამოეშვა.

Dut yemiş bülbüle döndü „თეთანაჭამ ბუღბუღლს დაემსგავსა“ - *განიქმდა, დაღუქმდა; ◇ სიტყვა გაუშრა, ენა ჩაუვარდა.

O geveze Fatma ondan sonra dut yemiş bülbüle döndü.

ომის შემდეგ ებედ ფატმას სიტყვა გაუშრა.

Düğüm üstüne düğüm vurur „ნასკვზე ნასკვს ადებს“ - *ფულს არ ხარჯავს, ფულს ზოგავს (ინახავს); ◇ კაპიკს კაპიკზე ამატებს, ფულს ხელს უჭერს.

Düğüm üstüne düğüm vuruyor, ama bir şey biriktiremedi.
კაპიკს კაპიკზე ადებს, მაგრამ ვერაფერი მოაგროვია.

Dümen ele alır „საჭკეს ხელში იღებს“ - *მართავს, უძღვება, ხელმძღვანელობს; ◇ სადავეებს ხელში იღებს.

Dün gibi ortada „გუშინდელივით სახეზეა“ - *აშკარაა, ცხადზე ცხადია, ნათელია; ◇ დღესავით ნათელია.

Onun yeneceği dün gibi ortada.

მისი გამარჯვება დღესავით ნათელია.

Dünya başına yıkıldı ◇ „ქვეყანა თავზე დაექცა (დაემხო)“ - *დიდი უბედურება დაატყდა, დიდ განსაცდელში ჩავარდა; ◇ თავზე მესი დაექცა.

Dünya gözüne zindan oldu ◇ „ქვეყანა საპყრობილედ ექცა“ - *ძალიან დარდობს, წუხს, მისთვის სიცოცხლემ ფასი დაკარგა.

Zavallı Ali karısı öldükten sonra dünya gözüne zindan oldu.

საბრალო ალი! რაც ცოლი მოუკვდა, ქვეყანა საპყრობილედ ექცა.

Dünya yıkılsa ◇ „ქვეყანა რომ დაიქცეს“ - *არაფრით, არავითარ შემთხვევაში, რაც არ უნდა მოხდეს.

Dünya yıkılsa onunla barışmaz.

ქვეყანა რომ დაიქცეს, მას არ შეუერივდება.

Dünyadan el çeker ◇ „ამ ქვეყანაზე ხელს იღებს“ - *სიცოცხლეზე უარს ამბობს; ◇ სიცოცხლეზე გული აიყარა.

Mahallemizde beş aydır yatan o hasta kadın bugün sabahleyin artık dünyadan el çekmiş.

ჩვენს უბანში ხუთი თვის განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილმა ავადმყოფმა ქალმა დღეს დილით უკვე სიცოცხლეზე ხელი აიღო.

Dünyanın öbür ucu ◇ „ქვეყნის დასალიერი“ - *ძალიან შორი,

მიუსვლელი; ◇ ცხრა მთას იქით.

Dünyaya gözlerini kapamış „ქვეყანას თვალები დაუხუჭა“ - *მოკვდა;
◇ ამ ქვეყნიდან წავიდა, პირი იმ ქვეყნისაკენ ქნა, დღე დაელია.
Her işini bitirmiş insanın huzuruyla dünyaya gözlerini kapadı.
ამ ქვეყნიდან იმ კაცის სიმშვიდით წავიდა, რომელმაც ყველა
საქმე მოითავა.

Dünyaya kazık kaktı „ამ ქვეყანაზე პალო დაარტო“ - *დიდხანს
იცოცხლა; ◇ ცას გამოეკერა.
Hangimiz dünyaya kazık kakacağız ki?
რომელი ჩვენგანი გამოეკერება ცას?.

Dünyayı görecek gözü yok „ქვეყნის მაცურებელი თვალი არა აქვს“ -
*არაფრის ან აღარავის დანახვა არ უნდა, აღარაფერი ან
აღარავინ აინტერესებს; ◇ თვალში აღარავინ (არაფერი) უჩანს
(მოსდის).
- **Aşimi tanıdığından beri Yağmur'un Dünyayı görecek gözü yok.**
- მას შემდეგ, რაც აშიმი გაიცნო, იაღმურს თვალში აღარავინ
მოსდის.

Dünyayı gözü görmüyor *იხ.* **Dünyayı görecek gözü yok.**

Dünyayı toz pembe görür ◇ „ქვეყანას ვარდისფრად ხედავს“ -
*ყველაფერი კარგად ეჩვენება; ◇ ქვეყანას ფერადი სათვალეებით
უყურებს.
Bu kadar zorluklarına karşın dünyayı toz pembe görmeye çalışıyordu.
ცდილობდა, ამდენი სიმძნელების მიუხედავად, ამ ქვეყნისთვის
ვარდისფერი სათვალეებით შეეხედა.

Düşüş attı ◇ „დუშაში გააგორა“ - *უცებ (მოულოდნელად) დიდ
წარმატებას მიაღწია; ◇ კოჭი აღჩუზე დაუჯდა.

Ecel teri döker „სიკვდილის ოფლი ასხამს“ - *შიშისაგან როულ, გამოუკვალ მდგომარეობაში ვარდება; ◇ ჭირის (სიმწრის) ოფლი ასხამს, სიმწრის ოფლში იწურება.

Sen konuşurken ben ecel teri döküyordum.

შენს ლაპარაკზე ჭირის ოფლი მასხამდა.

Efendim nerede, ben nerede „სად ჩემი ბატონი, სად მე“ - *მე რას ვამბობ და შენ რას; ◇ მე ალთას, შენ ბალთას.

- Ayol, ben sana fakülteyi bitirmene kaç sömestir kaldı, diyorum, sen bana: Yarın akşam sinemaya gidelim mi? - diyorsun. **Efendim nerde, ben nerde?**

- ეჰე, მე გეკითხები, ფაკულტეტის დამთავრებამდე რამდენი სემესტრი დაგრჩა მეთქი, შენ მპასუხობ: „ხვალ საღამოს კინოში წავიდეო“-ო? მე ალთას, შენ ბალთას!

Eğri eğri bakıyor ◇ „ალმაცერად იყურება“ - *დამამცირებლად, აგდებულად, მტრულად, ეჭვის თვალთ (ეჭვით) იყურება.

- Gece yarısı ikide sır sıklam ötele döndüğüm zaman kapıcı yüzüme **eğri eğri baktı.**

- ნაშუაღამევს, ორ საათზე, სასტუმროში თავიდან ბოლომდე გაწუწული რომ დაგებრუნდი, მეკარემ ალმაცერად შემომხედა.

Ekmediğin yerde biter „სადაც არ დაგითესავს, იქ ამოდის“ - *მოულოდნელად, არასასურველ დროს გამოჩნდება, სადაც არ ელოდები, იქ განნდება; ◇ მიწიდან ამოძვრება.

- Ali ekmediğin yerde biter. Yarın karşımıza çıkacağından emin olabilirsin.

ალი მიწიდან ამოძვრება. შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ ხვალ გამოგვეცხადება.

Ekmeğine kan doğrandı „მის პურს სისხლი დაეწვეთა“ - *საშიშ, სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა, განსაცდელში ჩავარდა; ◇ ცუდ (ავ) დღეში ჩავარდა, ცუდი [შავი] დღე დაადგა [დაატყდა].

- Sınıra mayın döşemişler. **Ekmeğimize kan doğrandı, sayılır.**

- საზღვარი დაუნადმავთ. შეიძლება ითქვას, ცუდი დღე დაგვადგა.

Ekmeğine yağ sürer „მის პურზე კარაქს უხვამს“ - *დაუფიქრებლად, წინასწარი განზრახვის გარეშე სხვისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს; ◇ წყალს სხვის წისქვილზე ასხამს.

Böyle yapmakla onun ekmeğine yağ sürdün.

ასეთი საქციელით წყალი მის წისქვილზე დაასხი.

Ekmeğini taştan çıkarır „პურს ქვიდან გამოიღებს“ - *კველაფერს მოახერხებს, შეუძლებელს გააკეთებს; ◇ ქვას გახეთქავს და მაინც იშოვის, ქვას წყალს გამოადენს, ადამიანს ცივ ქვაზე დაასახლებს.

- Ya sen ona bak, ekmeğini taştan çıkarır.

- აბა, შეხედე, ქვას წყალს გამოადენს.

Ekmek parası ◇ „პურის ფული“ - *საარსებო ფული.

Ekmek parası kazanmayı kolay mı, sanıyorsun?

შენ გგონია, პურის ფულის შოვნა ადვილია?

Ekşi suratlı ◇ „დაძმარებული სახისა“ - *მოწყენილი, მოღუშული, დაღვრემილი, ცხვირპირნამომტირალი; ◇ ცხვირ-პირი ჩამოსტირის, სახე ჩამოსტირის, მუავე ხასიათზეა.

- Mahmud'u asla memnun edemezsin. O daima böyle ekşi suratlıdır.

- მაჰმუდს ვერასდროს აამებ. მას ყოველთვის ცხვირ-პირი ჩამოსტირის.

El açar ◇ „ხელს შლის“ - *მათხოვრობს; ◇ ხელს იშვერს (იწვდის).

Oturup kör gibi el açmak iyi mi?

ბრმასავით ჯდომა და ხელის გაშვერა განა კარგია?

El değmemiş ◇ „ხელი არ შეხებია“ - *ხელშეუხებელი, ხელუხლებელი, გამოუყენებელი.

Harp üzünden tarlalarımıza yıllarca hiç kimse el değmemiş.

ომის გამო ჩვენი ყანებისთვის წლობით ხელი არავის უხლია.

El el üstünde oturur ◇ „ხელი ხელზე დაუდვია და ზის“ - *ემოქმედოდაა, უსაქმურადაა; ◇ თითს თითზე არ აკარებს, გულხელდაკრეფილი ზის, ნაცარს ქექავს.

- Hem bütün gün el el üstünde oturuyorsun hem de hayatından memnun değilsin! Sen dayak istiyorsun.

- თან მთელი დღე გულხელდაკრეფილი ზიხარ, თან შენი ცხოვრებით უკმაყოფილო ხარ! ცემა გინდა.

El ele verdiler ◇ „ხელი ხელს მისცეს“ - *ერთმანეთს დაეხმარნენ; ◇ ხელი გაუწოდეს, ხელი შეუწყეს, გვერდში ამოუდგნენ.

- Eğer el ele vermezsek bu kitabın biteceği yok!

- თუ ერთმანეთს ხელი არ შევუწყეთ, ამ წიგნის დამთავრება არ იქნება!

El eteğini öper ◇ „ხელს, კალთას უკოცნის“ - *ეხვეწება, ემუდარება, სთხოვს; ◇ ფეხებში უვარდება, მუხლებზე ეხვევა.

El etek öpmekle başaramıyacağımı anladı.

მიხვდა, რომ ხელების კოცნით წარმატებას ვერ მიაღწევდა.

El kiri ◇ „ხელის ჭუჭყი“ - *ადვილად მოსაცილებელი რამ, ფული.

Kazandı, el kiri, onu da birkaç yılda tüketti.

რაც მოიგო, ხელის ჭუჭყი იყო, ისიც რამდენიმე წელიწადში გაათავა.

Elde avuçta bir şey kalmadı ◇ „ხელში არაფერი შერჩა“ - *აღარაფერი შერჩა; ◇ ხელცარიელი დარჩა, ცარიელზე დარჩა.

Harp yıllarında hemen her şeyimizi kaybettik. Elde avuçta bir şey kalmadı.

ომიანობის წლებში უცებ ყველაფერი დავეკარგეთ. ხელში აღარაფერი შეგვრჩა.

Elde değil ◇ „ხელთ (ხელში) არ არის“ - *(მის) უფლებებში არ შედის, (მასზე) დამოკიდებული არ არის; ◇ ხელთ არ ეწიფება.

O herifi yakalatıp hapse yatırtmak lüzumunu çoktanberi duyuyoruz ama, bunu yaptırmak elimizde değildir.

დიდი ხანია ვგრძნობდი, რომ ამ პიროვნების დაჭერა და ციხეში ჩასმა იყო საჭირო, მაგრამ ეს ჩვენს ხელთ არ იყო.

Elde tutar ◇ „ხელში უჭირავს“ - *ეპატრონება, ეუფლება, ისაკუთრებს, მბრძანებლობს; ◇ ხელში ჰყავს ჩაგდებული.

Elde yok avuçta yok „ხელში არა, მიჯში არა“ - *უფულოა, ღარიბია, ჯიბეცარიელია; ◇ ხელში არაფერი უჭირავს, ჯიბეში თავგები უთამაშებენ.

Elden ayaktan düşer ◇ „ხელ-ფეხი ერთმევა“ - *უძღურდება (ხანშიშესულობით, ავადმყოფობით), ღონე ეცლება, ვეღარ დადის, ფეხზე ვერ დგას; ◇ ხელ-ფეხი ჰღალატობს.

En korktuğum şey ihtiyarlayıp elden ayaktan düşmek. O zaman beni kim bakar.

ყველაზე უფრო რისაც მეშინია, დაბერება და ხელ-ფეხის წართმევაა. მამინ ვინ მომივლის?

Elden çıkarır ◇ „ხელიდან უშვებს“ - *კარგავს, ყიდის.

Bu eski aile mücevherlerini elden çıkarmak istemezdim, ama ne yapayım?

Paraya ihtiyacım var.

ამ ძველი საოჯახო ძვირფასეულობის ხელიდან გაშვება არ მინდოდა, მაგრამ რა ვქნა? ფული მჭირდება.

Elden ele dolaşır ◇ „ხელიდან ხელში გადადის“ - *დიდ ინტერესს იწვევს, მოწონებაშია.

Son romanı elden ele dolaşiyor.

ბოლო მისი რომანი ხელიდან ხელში გადადის.

Elden gitti ◇ „ხელიდან წავიდა“ - *დაიღუპა, დაიკარგა; გაფუჭდა.

Toprağın bir küçük parçası da elden gitti.

მიწის ერთი პატარა ნაკვეთიც ხელიდან წავიდა.

Ele alınmaz ◇ „ხელში არ აიღება“ - *ძალიან ცუდია, ყოვლად უუარგისია; ◇ შეხედვაც არ ღირს, ზედ არ შეეხედება.

Ele alır ◇ „ხელში იღებს“ - *(საქმეს) იწვევს, განიხილავს, მოუელის, შეისწავლის, მიხედავს; ◇ ხელს მოჰკიდებს.

- Bu işi lütfen sen ele al! Neclâ bunu yapacak kadar becerikli değil.

- გეთაყვა, ამ საქმეს შენ მოჰკიდე ხელი! ნუჯლა ამის გამკეთებელი არ არის.

Ele avuca sığmıyor ◇ „ხელში არ ჩერდება (არ კავდება)“ - *ვერცხლისწყალივითაა, ცელქია, დაუდგრომელია, ანცია; ◇ არ მოგყვება, ხელიდან გასხლტება, ვერაფრით მოთოკავ.

O ele avuca sığmayan Sevim evlendikten sonra mükemmel bir ev kadını oldu.

სევიმი, რომელსაც ვერაფრით მოთოკავდი, ქორწინების შემდეგ შესანიშნავი დიასახლისი დადგა.

Eleğini böğazına geçirdi „ცხრილი ყელზე გადაუტარა“ - *მოატყუა, გააცურა; ◇ მშრალზე (ცარიელზე) დატოვა, პირში ჩალა გამოავლო.

Elekten geçirir ◇ „ცხრილში ატარებს“ - *ზედმიწვევით ამოწმებს, კარგად სინჯავს, ათასნაირად ამოწმებს, ცხრილავს.

Eli açık „ხელგაშლილი“ - *გულუხვი; ფულის მხარჯველი; ◇

ფულზე უკან არ იხევეს; ფული ხელში არ უჩერდება.

Eli ağır „მიძიმე ხელის მქონე“ - * 1. საქმეში ნელი; ◇ ნელი ხელი აქვს.

Senin **elin** çok ağır, bir sayfayı yarım saatla yazıyorsun. ·
ნელი ხელი გაქვს, ერთ გვერდს ნახევარ საათს წერ.

2. ◇ მწარე ხელი აქვს, მწარე ხელის პატრონი.

Off!! **Elin** ne kadar ağır. Kolum çok ağırıyor.

- ოჰ!! რა მწარე ხელი გაქვს. მკლავი ძალიან მტკივა.

Eli armut devşirmiyor ya „მისი ხელი მსხალს ხომ არ კრეფს“ - *ის თუ დაარტყამს, ამას ხელები არა აქვს? სამაგიეროს გადაუხდის, სამაგიერო პასუხს გასცემს; ◇ ხელ-ფეხი შეკრული კი არა აქვს, ამას კი არ სძინავს, ხელები გაქირავებული კი არა აქვს.

Sen bana vurursan benim **elim armut devşirmiyor ya!**

თუ დამარტყამ, ხელები გაქირავებული კი არა მაქვს.

Eli ayağı çözüldü *იხ.*: **Eli ayağı gevşedi.**

Eli ayağı oldu „მის ხელ-ფეხად გადაიქცა“ - *ყოველგვარ საქმეში მისთვის საიმედო ერთგულ დასაყრდენად იქცა; ◇ მისი მარჯვენა ხელი გახდა.

Eli ayağı bağlıdır ◇ „ხელ-ფეხი შეკრული აქვს“ - *გასაკეთებელს ვერ აკეთებს, შეზღუდულია, შებოჭილია, შევიწროვებულია, თავისუფლად ვერ მოქმედებს.

Eli ayağı bağlı olduğundan kimseye yardım edemiyor.

ვინაიდან ხელ-ფეხი შეკრული აქვს, ვერავის ეხმარება.

Eli ayağı boşandı ◇ „ხელ-ფეხი წაერთვა“ - *(ძლიერი განცდისაგან) შეშინდა, გაოგნდა; ◇ მუხლები მოეკვეთა (აუკანკალდა, მოეჭრა).
Telgrafa bir göz atar atma **elim ayağım dolaştı** vallahi...
როგორც კი დეპეშას თვალი მოეკარი, მუხლები მომეკვეთა, ღმერთმანი.

Eli ayağı buz kesildi ◇ „ხელ-ფეხი გაყინა“ - *(ძლიერი უსიამოვნო განცდის გამო) გაოგნდა, გაშეშდა, გაითიშა, აღარ იცოდა რა ექნა, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა; ◇ ხელ-ფეხი წაერთვა.

Babasını dinleyince eli ayağı buz kesildi.

როდესაც მამას მოესმინა, ხელ-ფეხი გაყინა.

Eli ayağı gevşedi ◇ „ხელ-ფეხი მოუდუნდა (მოეკვეთა)“ - *(შიშისაგან, დაღლილობისაგან) ფეხებში ძალა წაერთვა, სიარული ვეღარ შეძლო; ◇ მუხლები წაერთვა [მოეკვეთა, აუკანკალდა], მუხლები ჩაეკეცა.

Köpekle karşılayınca eli ayağı gevşeyiverdi.

როგორც კი ძაღლის პირისპირ აღმოჩნდა, უცებ მუხლები მოეკვეთა.

Eli ayağı titrer ◇ „ხელ-ფეხი უკანკალებს“ - *ეშინია.

Eli ayağı tutmaz ◇ „ხელ-ფეხს ვერ იმორჩილებს“ - *ძალ-ღონე ელევა, ღონე აღარ აქვს; ◇ მუხლები აღარ ემორჩილება.

Artık zavallı adamın eli ayağı tutmaz.

საბრალოს უკვე ხელ-ფეხი არ ემორჩილება.

Eli ayağı tutulmuştur ◇ „ხელ-ფეხი გაუკავდა“ - *(სიცოცხისაგან, შიშისაგან) გაშეშდა, მოძრაობის უნარი წაერთვა; ◇ ხელ-ფეხი წაერთვა.

Onun gördüğümünden eli ayağım tutulmuştur.

მის დანახვაზე ხელ-ფეხი წამერთვა.

Eli bayraklı „ხელდროშიანი“ - *მონსუბარი, ჩხუბისთავი, ბუნტისთავი, ჭირვეული; ◇ მუდამ ჩახმახზე შემდგარი, თოფის წამალივითაა.

Eli bayraklı olduğundan herkes ondan çekiniyor.

თოფის წამალივითაა, ამიტომ ყველა ერიდება.

Eli bol „ხელსავესე“ - *ფულიანი; ◇ სავესე ჯიბე აქვს, სქელი ჯიბე აქვს.

Eli bol olduğu için sıkıntıya düşmüyor.

ვინაიდან სქელი ჯიბე აქვს, გაჭირვებაში არ ვარდება.

Eli boş çıktı ◇ „ხელცარიელი დარჩა“ - *უარაფროდ დარჩა; ◇ მშრალზე დარჩა.

Sağa döndü, sola baktı, eli boş çıktı, parasız oldu.

მარჯვნივ ეცა, მარცხნივ ეცა, ხელცარიელი დარჩა, უფულიოდ დარჩა.

Eli çabuk ◇ „სწრაფი ხელის მქონე“ - *ხელსწრაფი, ხელმარჯვე-მარდი; ◇ მარჯვე ხელის პატრონი.

- Yeni hizmetçiniz pek eline çabuk bir kız gibi görünüyor.
- თქვენი ახალი მოსამსახურე გოგონა მარჯვე ხელისა ჩანს.

Eli dardır „ვიწრო ხელი აქვს“ - *ძუნწია, ქვაწვია, ხელმოტკერილია, დამწვარია, წყურაქია; ◇ კაპიკს ვერ გააგდებინებ, კაპიკს ვერ იმეტებს, ყოველ კაპიკს მისტირის.

Eli dursa ayağı durmaz „იმისი ხელი რომ განერდეს, ფეხი არ ნერდება“ - *ძალიან მოძრავია, ენერგიულია, მშრომელია, დაუდგრომელია; ◇ მისი განერება (მოსვენება) არ არის.

Eli ekmek tutuyor „მის ხელს პური უჭირავს“ - *თავს თვითონ ირნენს; ◇ პურის ფული აქვს.

İşi var eli ekmek tutuyor. İyi çocuktur.

სამუშაო აქვს, პურის ფულს შოულობს. კარგი ბავშვია.

Eli hafif ◇ „მსუბუქი ხელის მქონე“ - *უმტკივნეულო ხელი აქვს; ◇ კარგი ხელი აქვს.

- Aman, dışıye gideceksen Mustafa'ya git. **Eli o kadar hafif ki, hiç bir şey duymuyorsun.**

- ოჰ! კბილის ექიმთან თუ წახვალ, მუსტაფასთან წადი. ისეთი მსუბუქი ხელი აქვს, ვერაფერს გაიგებ.

Eli işe yatıyor ◇ „(რაიმე საქმეს) ხელს აწვევს“ - *(რაიმე საქმეს) ეწვევა, ხელოვნდება; ◇ ხელს იწაფავს.

Selma iki haftada mükemmel dikiş dikmesini öğrendi. Bu işe eli pek yattı.

სელმამ ორ კვირაში შესანიშნავი კერვა ისწავლა, ამ საქმეში ხელი ძალიან გაიწაფა.

Eli işte, gözü oynaşta var „ხელი საქმეში, თვალი კი საყვარლისკენ აქვს“ - *საქმის კეთებისას სხვა რამეზე ფიქრობს; ◇ თვალები აქეთ-იქით გაურბის, თვალები ეშმაკებისკენ აქვს, თვალი სხვისკენ უჭირავს.

Bizim hizmetçi kızın eli işte gözü oynaşta. Hemen her gün bir iki tabak kırıyor.

ჩვენს მოახლეს თვალები ეშმაკებისკენ აქვს. თითქმის ყოველდღე ერთ-ორ თევზს ტყხავს.

Eli kalem tutuyor „ხელში კალამი უჭირავს“ - *წერა ემარჯვება (ეხერხება), კარგად წერს; ◇ კალამი უჭირს, წერა იცის.

- Bu listeyi neden ben doldurayım? Senin de elin kalem tutuyor, kendin yaz!
- ეს სია მე რატომ უნდა შევავსო? შენც იცი წერა და თავად დაწერე!

. **Eli maşalı** *ob.*: **Eli bayraklı.**

Eli olur ◇ „მისი ხელი იქნება“ - *(რაიმე საქმეში) ფარულ მონაწილეობას მიიღებს; ◇ მისი ხელი ურევია.

Ahmed Samim'in ölümünde de eli olur.

აჰმედ სამიმის სიკვდილშიც მისი ხელი ურევია.

Eli sakalında kalmış „ხელი წვერზე შერნა“ - *გაოცდა, გაუკვირდა; ◇ პირლია დარჩა.

Hoca'nın eli sakalında kalmış: - Hakkın var, karıcığım bu ince hesaplar benim aklıma gelmemiştii.

ხოჯას პირი ღია დარჩა: - მართალი ხარ, ჩემო ცოლო, ამ უბრალო ანგარიშს ჩემი გონება ვერ ნახწვდა.

Eli sıkı *ob.*: **Eli dardır.**

Eli uzun ◇ „გრძელი ხელების მქონე“ - *ხელმრუდე; ◇ მრუდე ხელის პატრონი.

Eli varmaz „ხელი არ მისდის“ - *(რისამე კეთების) სურვილი არა აქვს; ◇ გული არ მიუდის, გული არ უშვებს.

Ben avlanmaya hiç gitmem. Meselâ bana mahzun mahzun bakan bir karacayı vurmaya asla elim varmaz.

სანადიროდ არასოდეს წავალ. გული არ მიშვებს ვესროლო შეველს, რომელიც ნაღვლიანად შემომცქერის.

Eli yatkın ◇ „გაწაფული ხელისა“ - *ხელგაწაფული, (რაიმე საქმე) ეხერხება, ხელიდან ყველაფერი გამოხდის.

Eli yatkın olduğundan iş kolay yürür.

ვინაიდან ხელი გაწაფული აქვს, საქმე ადვილად გამოხდის.

Elifi görse mertek sanır „აღუვს¹ რომ ხელავს, სარი ჰგონია“ -

*უცოდინარია, გაუნათლებელია, უბირია, არაფერი გაუგება, წერა-კითხვის უცოდინარია; ◇ ანა-ბანა არ იცის.

1. არაბული ანბანის პირველი ასო.

Bu civarın köylüleri elifi görseler mertek sanırlar.
ამ კუთხის სოფლებში ანა-ბანა არ იციან.

✓ **Elime doğdu** ◇ „ჩემს ხელში დაიბადა“ - *ჩემ თვალწინ გაიზარდა. *კანა*

Elimizden gitti ◇ „ხელიდან გამოგვეცალა“ - *მოკვდა. *გეხე*
- Bir haftadan sonra hastamız elimizden gitti.
- ერთი კვირის შემდეგ ავადმყოფი ხელიდან გამოგვეცალა.

Elinde kaldı ◇ „(იმის) ხელში დარჩა“ - 1. *იმის ხელმძღვანელობის ქვეშ დარჩა. *სესე*
Sonunda dayılarının elinde kaldılar.
ბოლოს ბიძის ხელში დარჩნენ.
2. *გაუყვიდავი დაურჩა, ვერ გაყიდა.
Son aldığı araba, ne kadar uğraştıysa, elinde kaldı.
რამდენს არ ეცადა, მაგრამ ბოლო დროს ნაყიდი მანქანა მაინც ხელში შერჩა.

Elinden bir iş gelmiyor ◇ „ხელიდან არაფერი გამოსდის“ - *არაფრის გაკეთება არ იცის, უქნარაა, ხელთუპყარია. *გეხე*
Matbu kâğıtları doldurmaktan başka elinden bir iş gelmez.
ბლანკების შევსების გარდა ხელიდან არაფერი გამოსდის.

Elinden geleni yapar ◇ „რაც ხელიდან გამოსდის, ყველაფერს აკეთებს“ - * ყველაფერს აკეთებს; ◇ თავს არ იშურებს (არ ზოგავს).
Yazın güneş her gün erken doğar, geç batar ve yerüzünü aydınlatmak, ısıtmak için çok çalışır, âdeta elinden geleni yapar.
ზაფხულში მზე ყოველდღე ადრე ამოდის, გვიან ჩადის და ცდილობს დედამიწა გაანათოს და გაათბოს. ასე რომ, თავს არ ზოგავს.

Elinden her iş gelir ◇ „ხელიდან ყველაფერი (ყველანაირი საქმე) გამოსდის“ - *ყველაფერი ეხერხება.
Nuran'ın elinden her iş gelir.
ნურანს ხელიდან ყველანაირი საქმე გამოსდის.

Elinden hiç bir şey kurtulmaz „მის ხელს არაფერი გადაურჩება“ - *ყველანაირ საქმეს ძღვეს, მისმა ხელმა რომ ვერ გააკეთოს, ისეთი არაფერია; ◇ ხელიდან ყველაფერი გამოსდის.

Ali gelecek olimpiyatlarda muhakkak bir madalya almayı kafasına koymuş. Onun elinden hiç bir şey kurtulmaz, görürsünüz bunu alacaktır.
ალიმ მომავალ ოლიმპიადაზე აუცილებლად მედლის მოპოვება განიზრახა. მას ყველაფერი გამოსდის. ნახავთ, მოიპოვებს კიდეც.

Elinden iş çıkmaz ◇ „ხელიდან საქმე არ გამოსდის“ - *მოუხერხებელია, უგერგილოა.
Elinden bir şey çıkmayan birisi olduğumu biliyordum.
ვიცოდი, რომ ხელიდან არაფერი გამოსდიოდა.

Elinden kaçtı ◇ „ხელიდან დაუსხლტა (წაუვიდა)“ - *გაეპარა.
Hırsız elinden kaçtı.
ქერდი ხელიდან დაუსხლტა.

Elinden kurtuldu ◇ „მისი ხელიდან გათავისუფლდა“ - *ეშველა, გათავისუფლდა; ◇ თავი დაიხსნა.
Hırsız, polisin elinden kurtulmak için çok çalıştı.
ქერდი ბევრს ეცადა, რომ პოლიციელის ხელიდან თავი დაეხსნა.

Eline aldı ◇ „ხელში აიღო“ - *რისამე კეთება თვითონ იტვირთა, გადაიბარა; ◇ თავის თავზე აიღო.
Böylelikle, benim yürütmekte olduğum birçok işi kızım eline aldı.
ამრიგად, ბევრი საქმის კეთება, რასაც მე აქამდე ვასრულებდი, ნემმა გოგონამ თავის თავზე აიღო.

Eline ayağına düşer ◇ „ხელებში (ფეხებში) უვარდება“ - *ეხვეწება, ეშუქდება; ◇ ფეხებში. უვარდება, კალთებს უკოცნის, ხელებს უკოცნის.

Eline bakar ◇ „ხელში შესცქერის“ - *სხვის იმედზეა; ◇ სხვის ხელებში შემყურა.
Babaları öldüğünden beri bütün aile Ali'nin eline bakıyor.
მამის გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახი აღის ხელს შესჩერებია.

Eline bir tas su verecek kimsesi yokmuş ◇ „ხელში ერთი ფინჯანი წყლის მიმწოდებელი არავინა ჰყავს“ - *მარტოხელაა.
Hocanın karısı hastalanmış. Biçarenin eline bir tas su verecek kimsesi yokmuş.

ხოჯას ცოლი ავად გამხდარა. საბრალოს ერთი ჭიქა წყლის მიმწოდებელი არავენ ჰყოლია.

Eline çabuk ◇ „სწრაფი ხელის პატრონი“ - *ხელსწრაფი, მარჯვე, ხელმარჯვე.

Annem, her zaman yemeği göz açıp kapayıncaya kadar hazır ederdi, **eline çabuk**.

დედაჩემი საჭმელს ყოველთვის თვალის დახამხამებაში ამზადებდა, სწრაფი ხელი ჰქონდა.

Eline düştü ◇ „ხელში ჩაუვარდა“ - *(ვისიმე) მფლობელობაში, განკარგულებაში აღმოჩნდა.

Kale düşman **eline düştü**.

ციხესიმაგრე მტერს ჩაუვარდა ხელში.

Eline eteğine doğru „თავისი ხელით, თავისი კალთით მართალი“ - *მართალი, უმწიკვლო, უდანაშაულო; ◇ სუფთა ხელების მქონე, მართალი გულის, სუფთა სინდისისა, წმინდა წყლის.

Eline eteğine doğru bir insan olduğunu biliyordum.

ვიცოდი, რომ სუფთა სინდისის ადამიანი იყო.

Eline eteğine sarıldı ◇ „ხელზე, კალთაზე შემოეხვია“ - *ეხვეწა, ემუდარა; ◇ ხელ-ფეხი დაუკოცნა, ფეხებში ჩაუვარდა, მუხლებზე შემოეხვია, მუხლებზე დაუწოქა.

Eline geçirir ◇ „ხელში იგდებს“ - *იჭერს.

Kaçan hırsız Adana'da **ele geçirmişler**.

გაქცეული ქურდი ადანაში¹ ხელთ იგდეს.

Eline geçti ◇ „ხელში ჩაუვარდა“ - *მოიპოვა, დაეუფლა, დაეპატრონა.

Böyle bir fırsat her zaman **ele geçmez**.

ასეთი შემთხვევა ყოველთვის არ ჩაგივარდება ხელში.

Eline kına yakar „ხელზე ინას იდებს“ - *ხარობს, დაფრინავს; ◇ მეცხრე ცაზეა, ცას ეწევა, მაღლა მაღლა დაფრინავს.

- Ayşe ile Ali dedikoduları yüzünden boşandılar. Şimdi **eline kına yakar** bakalım.

1. ქალაქი თურქეთში.

- აიშე და ალი ჭორების გამო ერთმანეთს დაცვილდნენ. აჰა, ცას ეწიოს ახლა!

Eline su döker „ხელზე წყალს უსხამს“ - *ეგარისეველება, ეპირფერება, ელაქეცება; ◇ ხელებს ულოკავს, ფეხქვეშ ეგება, თვალბში შესციცინებს (შეჰყურებს), (ვისმეს წინაშე) ფეხის წვერებზე დადის.

Eline verdi ◇ „ხელში მისცა (ჩააბარა)“ - *დააბეჭდა, დაასმინა, გათქვა.

Eline vur ekmeğini al „ხელზე დაარტყი, პური წაართვი“ - *ჩუშია, უენოა, ადვილი დასაჩაგრავია; ◇ თავში რომ ჩაარტყა, ხმას არ ამოიღებს, (ყველასათვის) დაბალი ღობეა.

„Eline vur, ekmeğini al“ türünden birisidir.

ეგ ისეთია, თავში რომ ჩაარტყა, ხმას არ ამოიღებს.

Elini ayağını kesti „ხელი, ფეხი ამოიკვეთა“ - *მოშორდა, გაეცალა, (ხაღმე) სიარული, მისვლა შეწყვიტა; ◇ ფეხი ამოიკვეთა.

O olaydan sonra evimizden elini ayağını kesti.

იმ შემთხვევის შემდეგ ჩვენი სახლიდან ფეხი ამოიკვეთა.

Elini cebine attı ◇ „ხელი ჯიბეზე იკრა“ - *ფული ამოიღო.

İki gündür beraberiz, Hasan daha bir kere bile elini cebine atmadı. Bütün masrafı ben gördüm.

ორი დღეა, ერთად ვართ. ჰასანს ჯერ ერთხელაც ჯიბეზე ხელი არ გაუკრავს. ყველა ხარჯი მე გაეწიე.

Elini çeker ◇ „ხელს იღებს“ - *ეარს ამბობს; ◇ თავს ანებებს.

Babasıyla çatışınca her şeyden el çektı.

როდესაც მამამისს დაუპირისპირდა, ყველაფერზე ხელი აიღო.

Elini genişledi ◇ „ხელები ფართოდ გაშალა“ - *ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესა; ◇ ხელი მოიმართა, წელში გაიშალა.

Elim biraz genişleyince kütüphaneme iki raf daha ısmarlayacağım.

როდესაც ცოტათი ხელს მოვიმართავ, ჩემი ბიბლიოთეკისათვის კიდევ ორ თაროს შეუძევეთაფ.

Elini kaldırır ◇ „ხელს ასწევს (აღმართავს)“ - *სცემს.

- Öz babana el kaldırmağa nasıl cesaret ediyorsun?

- საკუთარ მამაზე ხელის აღმართვას როგორ ბედავ?

Elini kana buladı ◇ „ხელები სისხლში გაისვარა“ - *მოკლა.

Onun elini kana bulâftılar.

მას ხელები სისხლში გაასვრევენ.

Elini katar ◇ „თავის ხელს უერთებს“ - *რაიმე საქმეში

მონაწილეობს, (ვისმეს) ეხმარება; ◇ ხელს უმართავს, ხელს

უწყობს, ხელს აშველებს, ხელს წაუკრავს.

Elini kolunu bağladı ◇ „ხელები შეუკრა“ - *მოქმედების საშუალება

მოუესპო, შეზღუდა, შებოჭა; ◇ ხელ-ფეხი შეუბოჭა (შეუკრა).

Elini kolunu sallaya sallaya geldi „ხელების ქნევა-ქნევით მოვიდა“ -

*უშედევოდ, უიმედოდ, იმედგაცრუებული დაბრუნდა; ◇

ხელცარიელი დაბრუნდა.

Bir olumlu sonuç beklerken o elini kolunu sallaya sallaya çıkıp geldi.

ჩვენ დადებით შედეგს ველოდით, ის კი ხელცარიელი დაბრუნდა.

Elini kolunu sallaya sallaya gezer „ხელების ქნევა-ქნევით დასეირნობს

(დადის)“ - *უდარდელად დადის (დასეირნობს); ◇

დონინჯ შემოყრილი დადის, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

Suçlu olduğu halde elini kolunu sallaya sallaya geziyor.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეა, დონინჯ შემოყრილი დადის.

Elini koyar ◇ „ხელს ადებს“ - 1. *დამნაშავედ ცნობს,

ადანაშაულებს, ამხელს.

Savcı bu şahısa el koydu.

პროკურორმა ამ პიროვნებას დაადო ხელი.

2. *თავის განკარგულებაში აქცევს, ხელყოფს.

Onlar çoluk çocuğumuzun nafakasına el koymaya kalkıştılar.

ისინი ჩვენი შიშველ-ტიტველი ბავშვების აღიშენების ხელყოფას შეეცადნენ.

Elini sıcak sudan soğuk suya sokmuyor „ხელს ცხელი წყლიდან ცივ

წყალში არ ჩაყოფს“ - *უსაქმურადაა, არაფერს აკეთებს; ◇

ხელს არ ანძრევს, თითს თითზე არ აკარებს.

Kocası, Nermin'i, elini sıcak sudan soğuk suya sokmadan yaşatır.

მეუღლე ნერმინს ისე აცხოვრებს, რომ ხელს არ ანძრევინებს.

Elini sokar ◇ „ხელებს ყოფს“ - *სხვის საქმეში ერევა; ◇ ხელებს აფათურებს, ცხვირს ყოფს.

Elini sürmez ◇ „ხელს არ აკარებს“ - *არ აკეთებს; ◇ ხელს არ ახლებს.

Aradan kaç gün geçtiği halde işe el sürmemiş.

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ რამდენი დღე გავიდა, საქმისთვის ხელი არ უხლია.

Elini tuttu ◇ „ხელი მოჰკიდა“ - *საქმეს შეუღლა, საქმე დაიწყო.

Bu kadının iyi bir oyunca olabileceğini düşündüm, zamanında bir kimse elinin tutsaymış eğer.

დავფიქრდი იმაზე, რომ ეს ქალი შესაძლოა კარგი მსახიობი დამდგარიყო, თუკი თავის დროზე მას ვინმე ხელს მოჰკიდებდა.

Elini uzatır ◇ „ხელს უწვდის“ - *ეხმარება, ეშველება; ◇ ხელს უმართავს, მხარში უდგას, გვერდში უდგას.

Kötü günlerimde kimse bana el uzatmadı.

მძიმე დღეებში ხელი არავინ გამომიწოდა.

Elini verir *oh.*: **Elini uzatır.**

Elini vicdanına koydu „ხელი სინდისზე დაიდო“ - *დაიფიცა; ◇ გულზე ხელი დაიდო.

- Ali aleyhinde konuşmadan önce elini bir kere vicdanına koy, onun senin için yaptığın iyilikleri düşün!

- სანამ ალის წინააღმდეგ ილაპარაკებდე, ერთხელ გულზე ხელი დაიდე და იმ სიკეთეზე დაფიქრდი, რაც შენთვის გაუკეთებია.

Elini vurmaz *oh.*: **Elini sürmez.**

Elinin üstünde tutar ◇ „ხელზე ისევამს“ - *ძალიან უფროთხილდება, დიდ პატივში (ფეუფუნებაში) ჰყავს, ანებივრებს; ◇ ხელის გულზე ატარებს, ცივ ნიავეს არ აკარებს.

Halük karısını el üstünde tuttuğu halde kadın altı ay sonra boşanma dâvâsı açtı.

მიუხედავად იმისა, რომ ჰალუკი თავის მეუღლეს ხელის გულზე

ატარებდა, ექვსი თვის შემდეგ ქალმა განქორწინებაზე სარჩელი შეიტანა.

Elle tutulur, gözle görülür „ხელით დასაჭერი, თვალით დასანახი“ -

*ნათელი, ცხადი, ადვილად მისახვედრი; ◇ ამას რა ტარჭრელი დანა უნდა? ამას ბევრი ლარი და ხაზი არ სჭირდება.

Sadi kendini çok karışık işlere vermiş. Bunlar elle tutulur, gözle görülür şeyler.

სადიმ ძალიან რთულ საქმეში ჩაივლო თავი. ამას რა ლარი და ხაზი უნდა?

Elleri tutmaz ◇ „ხელები არ ემორჩილება“ - *მოქმედების საშუალება არა აქვს, შეიზღუდა, შეიბოჭა; ◇ ხელები შეეკრა.

- Ya Rabbi, bana ne oluyor? Nefes alamıyorum, ellerim tutmuyor.

- ოჰ, ღმერთო, ეს რა შემართება? სუნთქვა მეკვრის, ხელები არ მემორჩილება.

Elmanın yarısı bu, yarısı o „ვაშლის ერთი ნახევარი ესაა, მეორე ნახევარი ის“ - *ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, ერთმანეთის მსგავსნი არიან, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევი; ◇ გაჭრილი ვაშლივით არიან, ერთმანეთის ალი-კვალი არიან.

Emret, fındık kabuğuna gireyim „მიბრძანე და თხილის ნაჭუჭში ჩავძვრები“ - *ოღონდ მიბრძანე და შეუძლებელს შევძლებ; ◇ შენთვის ნემსის ყუნწშიც გავძვრები, ჩემი ყელი, თქვენი საბელი, თქვენი ხმალი, ჩემი კისერი.

En tepe varır ◇ „ყველაზე დიდ მწვერვალს მიაღწევს“ - *დიდ წარმატებას მიაღწევს; ◇ შორს წავა.

En tepe varmak için geceyarılarına kadar çalışıyoruz. Ama bakıyoruz mutlu değiliz. Neden? Çünkü bir kez yaşamın başka yonlerini ıskalamışız.

დიდი სიმაღლეების დასაპყრობად შეუღამემდე ვშრომობთ. მაგრამ, ვხედავთ, ბედნიერები მაინც არა ვართ. რატომ? იმიტომ, რომ ამასობაში ცხოვრების სხვა მხარეები ყურადღების მიღმა დაგვრჩენია.

Enini boyunu ölçtü „(რისამე) სიგრძე-სიგანე გაზომა“ - *კარგად დაფიქრდა, წინასწარ განსაზღვრა; ◇ კარგად აწონ-დაწონა, ასჯერ გაზომა, ერთხელ გაჭრა.

Ensesinde boza pişirir ხალხ. „მის ზურგზე ბოზას! ხარშავს“ - *ამწარებს, უწყრება, ტუქსავს; ◇ შავ დღეს აყენებს, შავ დღეს აყრის, ზურგზე ბოლს ადენს.

- Yeni müdür sözünü dinlemeyenlerin ensesinde boza pişiriyormuş diye duyduğum.

- გავიგე, თურმე ახალი დირექტორი, ვინც მის სიტყვას არ უსმენს, შავ დღეს აყრის.

Esamisi okunmaz „მისი სახელი არ იკითხება“ - *მას არხად მოიხსენებენ, დაივიწყეს; ◇ დავიწყებას მისცეს.

Son olimpiyatlarda rekoru kırdıktan sonra Rıza'nın esâmisi okunmaz oldu. ბოლო ოლიმპიადაზე მისი რეკორდის მოხსნის შემდეგ რიზას სახელი დავიწყებას მიეცა.

Eski defterlerini karıştırır ◇ „ძველ დაეთრებს უქექავს“ - *ძველ ცოდვებს უხსენებს; ◇ ძველ დაეთრებს უშლის.

- Eski defterleri karıştırmanın manası yok. Bunlar artık kimseyi ilgilendirmiyor.

- შენს მიერ ძველი დაეთრების ქექვას აზრი არა აქვს. ესენი უკვე აღარავის აინტერესებს.

Eski hamam, eski tas „ძველი აბანო, ძველი თასი“ - *ყველაფერი ისევ ძველებურადაა, არაფერი შეცვლილა, სიახლისა არაფერი ეტყობა, წინ ერთი ნაბიჯითაც არ წასულან; ◇ ახალ სიოს არ დაუქროლაეს, წინ არ წასულან, ჯერ ისევ ჭურში სხედან, ერთ წერტილზეა გაყინული.

Yöneticiler değişti ama şirkette eski hamam, eski tas.

ხელმძღვანელები შეიცვალნენ, მაგრამ ფირმაში არაფერი შეცვლილა.

Eşeğe ters bindirir ◇ „ვირზე უკულმა შესვამს“ - *შეარცხვენს, დაამცირებს, სახალხოდ სასაცილოდ აიგდებს, გაამასხარავენს; ◇ ვირის ბაგაზე დააბამს, საქვეყნოდ თავს მოსჭრის.

Eşek anırmıyor „ვირი კი არ ყროყინებს“ - *ყურადღება! სმენა იყოს! ◇ ბუზი კი არ ბუზის!

1. ფერეისიგან დამზადებული სახმელი.

- Efendiler! Burada eşek anırmıyor, hususî meselelerinizi başka yerde görüşürsünüz.

- ბატონებო! აქ ბუზი კი არ ბზუის, მე ვლაპარაკობ. გთხოვთ, თქვენი პირადი საკითხები სხვაგან გაარკვიოთ.

Eşekbaşı mıyım? „ვირის თავი ვარ?“ - *არარაობა ვარ? არავინ ვარ? არაფერს წარმოვადგენ? არაფერი მეკითხება? ◇ ცარიელი ადგილი ვარ?!

- Bana sormadan firmanın adına bu mektubu nasıl olur da yazarsınız? Ben burada eşekbaşı mıyım?

- ფირმის სახელით ამ წერილს უნემოდ როგორ წერთ? მე აქ არავინ ვარ?

Eşiğini aşındırır „(ვისიმე კარის) ზღურბლს ცვეთს“ - *(სადმე) ხშირად, მომაბეზრებლად დადის; ◇ კარებს უტალახებს.

Bu işi sona erdirinceye kadar vekilin eşiğini aşındırdım.

სანამ ეს საქმე დამთავრდებოდა, მინისტრს კარები ავუტალახე.

Eşref saatta doğmuş ◇ „ბედნიერ საათზე დაბადებული“ - *ბედნიერი, ქუდბედიანი, იღბლიანი, სვე-ბედიანი; ◇ ბედი სწყალობს (უღიმის), ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული.

Eteğine yapışır ◇ „კალთაზე ეკრობა“ - *ეხვეწება, ემუდარება; ◇ კალთებს აგლეჯს, კალთაში უფარდება, ფეხებში უფარდება.

Eteğini öper ◇ „კალთებს უკოცნის“ - *ელაქუცება, (მასთან) მლიქვნელობს; პირმოთხოვს; ◇ ფეხქვეშ ეგება.

Etekleri tutuşur „კალთები ეწვის“ - *ღელავს, შფოთავს, ბობოქრობს; ◇ ცეცხლი ეკიდება.

Haftaya imihanı olduğunu öğrenince Ali'nin etekleri tutuştu.

როდესაც აღნიშნული შეიქცა, რომ ერთ კვირაში გამოცდები ექნებოდა, ცეცხლი მოეკიდა.

Etekleri zil çalar „მისი კალთები ზარს რეკავს“ - *ხარობს, სიხარულსაგან აღარაა, ცქმუკტავს; ◇ მალლა მალლა დაფრინავს, ფრთებს ისხამს, მეცხრე ცაზეა, მიწაზე ფეხს არ აკარებს.

Nermin evlenme teklifini kabul etti diye Necdet'in etekleri zil çalıyordu.

ნეჯდეთმა რომ გაიგო, ნერმინი დაქორწინების წინადადებას

Fatiha oku „ფათიჰა! წაიკითხე“ - *(რისამე) დაბრუნების იმედი
ნულარ გექნება, გამოეთხოვე, შეგიძლია გამოიტირო; ◇ კარგად
მეყოლე, ჭირი მოგჭამა, ჩაილულის წყალი დალია.
- Süleyman'a borç para mı verdin? Sen o paraya artık bir **Fatiha oku!**
- სულეიმანს ფული ასესხე? იმ ფულმა უკვე ჭირი მოგჭამა.

Feleğin çemberinden geçmiş „ბედის საღტეში გამოუვლია“ - *ბევრი
გაჭირვება უნახავს, რა არ გადაუტანია; ◇ წისქვილის ქვა
დატრიალებულა მის თავზე.
Feleğin çemberinden geçmiş birisine benziyor.
ისე გამოიყურება, თითქოს მის თავზე წისქვილის ქვა
დატრიალებულა.

Feleğin sillesini yedi ◇ „ბედისგან სილა იგემა“ - *(ცუდ, მძიმე
მდგომარეობაში ჩავარდა; ◇ ბედმა ჩაწიხლა, ბედმა უმუხთლა,
ბედმა უღალატა, ბედმა დასცინა.
Feleğin sillesini yiyince epey zor duruma düştü.
როდესაც ბედმა ჩაწიხლა, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში
ჩავარდა.

Felek yüzüne güldü „ბედმა სახეში შესცინა“ - *გაბედნიერდა,
ბედნიერებას ეწია; ◇ ბედმა გაულიმა, ზეცის კარი გაეხსნა.
Bunca felâketten sonra felek en nihayet Ahmed'in yüzüne güldü.
ამდენი უბედურების შემდეგ ბოლოს აჰმედსაც ბედმა გაულიმა.

Fena gözle bakar ◇ „ცუდი თვალით იყურება“ - *ბოროტი
განზრახვა აქვს.
Herkese fena gözle bakıyor.
ყველას ცუდი თვალით უყურებს.

Fena kalpli ◇ „ცუდი გულის მქონე“ - *გულბოროტი; ◇ ბოროტი
(ცუდი) გული აქვს.

Feneri nerede söndürdün? „ფანარი სად ჩააქრე?“ - *რატომ
დაგაგვიანდა?
- O! Küçük bey, **feneri nerede söndürdünüz?** Neredeyse dersten çıkacağız.

1. ეურანის პირველი სურა (კითხვობენ მიცვალებულთა
სულის მოსახსენებლად).

- ოჰ! ბატონო ქუჩუქ, რაღა დროსია, სადაცაა გაკვეთილიდან გამოვალთ.

Fenerle arar „ფანრიოთ ექებს“ - *დიდხანს ექებს, მოძებნა უჭირს; ◇ სანთლით ექებს.

Onun gibi uzmanı bugün fenerle arasan bulamazsın.

მისნაირ სპეციალისტს დღეს სანთლით რომ ექებო, ვერსად იპოვი.

Fes düştü kel açıldı „ქუდი ჩამოვარდა, სიქანლე გამოჩნდა“ - *ყველაფერი გამოაშკარავდა; ◇ ნილაბი ჩამოსძვრა, ფარდა აეხადა.

Fesini havaya attı ◇ „ქუდი ჰაერში ისროლა“ - *გაიხარა; ◇ ქუდი ისროლა, ქუდი ჭერსა ჰკრა, ფრთები შეისხა, ცას ეწია.

- Eğer ben bu yeri alabilirsem, fesimi havaya atarım.

თუ ამ ადგილის მიღება შეუძელი, ქუდს ჭერსა ვკრავ.

Findık kabuğunu doldurmaz „თხილის ნაჭუჭს ვერ აავსებს“ - *მცირედია, პატარაა, უმნიშვნელოა; ◇ ზღვაში წვეთია.

Onun yardım etmesi findık kabuğunu doldurmaz.

მისი დახმარება ზღვაში წვეთია.

Fırıncı küreği kadar dili var „ენა მეფურნის ნინაბივით აქვს“ - *ენაგრძელია, ენატარტარაა, ებედია; ◇ ენა მხარზე აქვს გადაკიდული, გრძელი ენა აქვს.

Samiha'nın evde kalmasının asıl sebebi, fırıncı küreği kadar bir dili olmasından.

სამიჰას შინაბერად დარჩენის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ გრძელი ენა აქვს.

Fincanı soğumaz „ფინჯანს არ აცივებს“ - *სადმე დიდხანს განერება არ უყვარს, დიდხანს არ ჩერდება; ◇ არ მოსულა, უკვე მიდის, გული არ უდგება.

Ali nereye gitse bir türlü uzun boylu oturamaz! Daha fincanı soğumadan kalkar.

ალი სადაც არ უნდა მივიდეს, დიდხანს ვერ ჩერდება! მოსული არ არის, უკვე მიდის.

Fitil fitil burnundan gelecek „ცხვირიდან პატრუქივით ამოუვა“ -

*წამწარდება, ნაწხამდება, არ შეერგება; ◇ ცხვირიდან ძმრად წასდინდება.

Fitil gibidir „პატრუქივითა“ - *მთვრალია, გაღუშლია; ◇ ფეხზე ვერ დგება, ფეხი ერევა.
Akşam eve geldiğinde fitil fitil gibiydi.
სალამით, როდესაც შინ მოვიდა, ფეხზე ვერ იდგა.

Fitil soktu „პატრუქი ნატენა“ - *მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა, წააქეზა. შეაგულიანა; ◇ ცეცხლზე ნავთი დაასხა.
Hasan her yerde fitil sokan birisidir.
პასანი ყველგან ცეცხლზე ნავთის დამსხმელია.

Fitil verir „პატრუქს აძლევს“ - *აქეზებს, აგულიანებს, უსისინებს; ◇ ცეცხლს უკიდებს [უნთებს].

Fitili aldı „პატრუქი აიღო“ - *განრისხდა; ◇ ცეცხლი მოედო, გულზე შემოენთო.
Ahmet, Necmi'nin nişanlısı hakkında dedikodu ettiğini işitince, fitili aldı ve gidip ona haddini bildirdi.
როდესაც აჰმედმა გაიგო, რომ ნეჯმი მის დანიშნულზე ჭორაობდა, გულზე შემოენთო, მივიდა და მას თავისი ადგილი მიუჩინა.

Foyası meydana çıktı „მისი ფოლგა გამოაშკარავდა“ - *გამომჟღავნდა, გამოჩნდა, გამოაშკარავდა; ◇ ფარდა აეხადა, ნიღაბი ჩამოეხსნა.
- Kendisini namuslu bir insan olarak tanıdığım Ali'nin bu seyahat esnasında bütün foyası meydana çıktı.
- აღის პიროვნებას, რომელსაც აქამდე ნამუსიან ადამიანად ვიცნობდი, ამ მოგზაურობის დროს მთლიანად ნიღაბი ჩამოეხსნა.

Fülüsü ahmere muhtaç olur „მისი წერილი ფული წითელს (ოქროს) საჭიროებს“ - *ფული არ აქვს, უფულაა, ღარიბია; ◇ ჯიბე გახვრეტილი აქვს.

Gagasını kapattı „ნისკარტი მოუკუმა“ - *გაანუმა, დაადუმა; ◇ პირი მოუკუმა, პირი აუკრა, პირში ბურთი ჩასჩარა.

Gam yemez „დარდს არ ჭამს“ - *არ დარდობს; ◇ გულს დარდს არ შეაჭმევინებს, გულზე არ იკარებს.

Şu kitabı bari yeni seneden önce bitirebilseydim **gam yemezdim**.

ამ წიგნის დამთავრება ახალ წლამდე მაინც რომ შემძლებოდა, გულზე დარდს არ გავიკარებდი.

Gazel okur „ლაზელს¹ კითხულობს“ - *ცარიელი სიტყვებით ვისმეს რაიმეში არწმუნებს, რაღაცეებს ჩმახავს; ◇ ზღაპრებს ყვება, მიედ-მოედება.

Biraz sıkışınca **gazel okumağa** başladı.

როცა ოღნავ გაუჭირდა, რაღაცეებს მიედ-მოედო.

Gece silâhlı, gündüz külâhlı „ღამით შეიარაღებული, დღისით ქუდიანი“ - *სხვებისთვის ცუდი საქმეების ფარულად მკეთებელი, ვითომც უცოდველი, ჩუმჩუმელა; ◇ მამა აბრამის ბატკნად მოაქვს თავი, თეთრ კბილს გიჩვენებს.

Sen onun mâsum görünüşüne bakma! O **gece silâhlı, gündüz külâhlılardandır**.

მის უცოდველ გამომეტყველებას ყურადღებას ნუ მიაქცევ! მამა აბრამის ბატკნად მოაქვს თავი.

Geceyi gündüze katar „ღამეს დღეზე აბამს“ - *შეუსვენებლად შრომობს; ◇ დღე და ღამეს ასწორებს.

Bu ödev için **geceyi gündüze kattık**.

ამ დავალების შესასრულებლად დღე და ღამე გავასწორეთ.

Geçti Bor'un¹ pazarı, sür eşeğini Niğde'ye²! „ბორის ბაზრობა დამთავრდა, გარეკე შენი სახედარი ნიგდესკენ!“ - *რაღად როსია, უკვე დაგვიანებულია; ◇ ჩაიღულის წყალი დალია, ხელიდან გაშვებულია.

- Bu resim için bana 500 lira mı teklif ediyorsun? **Geçti Bor'un pazarı, yavrum sür eşeğini Niğde'ye!** Resim şimdi 5000 lira!

1. ღირიკული ლექსი.

- ამ სურათში 500 ლირას მთავაზობ? ხელიდან გაუშვი, შეიღო, სურათი ახლა 5000 ლირა ღირს.

Geleceği varsa, göreceği de var „მომსვლელი თუა, დამნახავიც არის“ -

*მოვა და, საკადრის პასუხსაც მიიღებს, გავუქვორდებით; ◇ მოვა და თავისას მიიღებს, მოვა და, ვალში არ დაურჩებით, მოვა და, თავის ადგილზე დაესვამთ, მოვა და, აქ დავხვდებით.

- Ahmed'in sana bir çift sözü varmış, bugün gelecekmiş halletmeğe...

- **Geleceği varsa, göreceği de var!**

- აჰმედს შენთან ერთი ორი სიტყვა აქვს სათქმელი. საქმის გახარწევად თურმე დღეს მოვა.

- მოვა და, აქ დავხვდებით.

Gem vurdu „აღვირი ამოსდო“ - *დაიმორჩილა, მოთოკა, თავის ნებაზე არ მიუშვა; ◇ აღვირი მოუჭირა, საზღვარი დაუდო.

Babası çocukların davranışına gem vurmaya başladı.

მამამ თავისი შვილების საქციელს საზღვარი დაუდო.

Gemini kıstı *იხ.*: Gem vurdu.

Gemisini yürüttü „თავისი გემი დაძრა“ - *საქმე მოიგვარა, თავისუფლად ამოქმედდა, თავისუფლება მოიპოვა; ◇ ფრთები გაშალა, იალქნები გაშალა.

Naci, gemisini yürütmek için hiç bir şeyden çekinmiyor.

ნაჯი, ოღონდ კი ფრთები გაშალოს და, არაფერზე უკან არ იხევს.

Gençliğine doyamamış „თავისი ახალგაზრდობით ვერ გაძდა“ -

*ამ ქვეყნიდან ნაადრევად წავიდა; ◇ სიცოცხლით ვერ დატკბა.

Seniha daha gençliğine doyamadan 21 yaşında öldü gitti.

სენიზა 21 წლისა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ თავისი სიცოცხლით ვერ დატკბა.

Geniş bir nefes aldı ◇ „ღრმად ამოისუნთქა“ - *თავისუფლად ამოისუნთქა, დარღისაგან განთავისუფლდა, დამშვიდდა; ◇ გულს მოეშვა.

Onu sağlıklı görünce geniş bir nefes aldım.

როდესაც ვნახე, რომ კარგად იყო, გულს მომეშვა.

1. ქალაქი თურქეთში.

2. ქალაქი თურქეთში.

Geri aldı ◇ „(ხიტყვა, ნათქვამი) უკან წაიღო“.

Bu adam beni hayret etti, dediğini nasıl **geri aldı**?

ამ ადამიანმა გამაოცა, თავისი ნათქვამი უკან როგორ წაიღო?

Geri gitti ◇ „უკან წავიდა“ - *ნამორჩა, რეგრესი განიცადა; ◇ უკან-უკან წავიდა.

İşlerinin **geri gittiğinden** çok üzülürüm.

ძალიან ვწუხვარ, რომ მისი საქმეები უკან-უკან წავიდა.

Geri çekildi ◇ „უკან დაიხია“ - *თავის განზრახვაზე უარი თქვა; ◇ ხელი აიღო.

Uzun uzadıya düşündüğünden sonra bu kızdan **geri çekildi**.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ამ გოგონაზე ხელი აიღო.

Geri kafalı „ნამორჩენილი თავის პატრონი“ - *უვიცი, რეგვენი, არაფრის მცოდნე; ◇ რეგვენი თავი აბია.

Bildiğimden de **geri kafalı** birisiymiş.

ჩემი აზრითაც, მას რეგვენი თავი აბია.

Geride iz bırakmaz ◇ „უკან კვალს არ ტოვებს“ - *შეუმჩნევლად ქრება; ◇ უკვალოდ ქრება.

Ben çok üzülüyordum, çünkü bu **güzellik iz bırakmadan** kaybolacaktı.

ძალიან ვწუხდით, ვინაიდან ეს სილამაზე უკვალოდ გაქრებოდა.

Geride kaldı ◇ „უკან დარჩა“ - *დავიწყებას მიეცა, წავიდა, გაქრა.

- Şimdi ağrılarını seni rahatsız etmiyor değil mi?

- Hayır. Her şey **geride kaldı**.

- ახლა ტკივილები აღარ გაწუხებს, არა?

- არა, ყველაფერი უკან დარჩა.

Gevşek ağızlı „მოშვებულნი პირის მქონე“ - *ებელი, ლაქლაქა; ◇ ენაზე არაფერი დაადგება, ენა წინ უსწრებს.

Nuriye'ye hiç bir şeyi söyleme, **gevşek ağızlı** bir kadın.

ნურიეს არაფერი უთხრა, ენაზე არაფერი აკავდება.

Geyik etine girdi „ირმის ხორცი შეისხა“ - *(ქალიშვილი) ხიმწიფის ასაკში შევიდა, დაქალდა; ◇ ხორცი შეისხა.

Aynur yavaş yavaş **geyik etine girerdi**.

აინური ნელ-ნელა ხორცს ისხამდა!

Gezip tozar „დასკირნობს და ამტკვერებს“ - *უსაქმურად დაეხეტება, დაწანწალდება; ◇ ქუჩებს ტკეპნის, ქუჩებს ზომავს, კოდალას უსტვენს.

- Çocuğum, bütün gün gezip tozacağına otur da biraz çalış!

- შვილო, მთელი დღე ქუჩების ზომავს, დაჯექი და ცოტა იმეცადინე.

Gık dedi ◇ „ხმა ამოიღო“ - *წინააღმდეგობა გაუწია, შეეპრძოლა, არ შეეპუა; ◇ ხმა აიმაღლა, ხმა გაიღო.

Onun da gık dediğinden hepimiz şaşakaldık.

მანაც რომ ხმა აიმაღლა, ყველანი გაოგნებულნი დავრჩით.

Gık diyemez ◇ „კრინტს არ ძრავს“ - *წინააღმდეგობას არ უწევს, ნებდება, ემორჩილება; ◇ ხმას არ იღებს.

Gıkı çıkmaz „მისი ხმა არ ისმის“ - *ჩემადია; ◇ ხმას არ იღებს, კრინტს არ ძრავს, ენა აქვს ჩაწყვეტილი.

Bugün sana ne oldu. böyle? Hiç gıkın çıkmıyor?

- დღეს ისეთი რა დაგემართა, შენი ხმა რომ არ ისმის?

Gırtlığına basar ◇ „ხორხზე აწვება“ - *მძიმე, უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს, ძალას ატანს; ◇ ყელზე დანას აჭერს, ყელში თოკს უჭერს.

Girdisini çıktısını bilir „(რისამე) შესასვლელ-გასასვლელი იცის“ - *ყველაფერი იცის; ◇ ყველაფრის ასავალ-დასავალი გაეგება, იცის, რისგან რა გამოდნება, მიწაში რა დევს, ისიც იცის, ძაღლის თავი სად მარხია, ისიც იცის.

Nevin çok meraklı insan. Her şeyin girdisini çıktısını öğrenmek istiyor.

ნევის ძალიან ინტერესიანი ადამიანია! ყველაფრის ასავალ-დასავალი სურს გაიგოს.

Gitti de geldi „წავიდა და მოვიდა კიდევ“ - *(უიმედო ავადმყოფმა) მოიხედა, მობრუნდა, მომჯობინდა, მოიკეთა; ◇ იმ ქვეყნიდან მობრუნდა, საიქიოდან მობრუნდა, ხელახლა დაიბადა.

Hastanın durumu nasıl?

- Gitti de geldi.

- ავადმყოფის მდგომარეობა როგორია?

- საიქიოდან მობრუნდა.

Göbeği beraber kesilmiş ◇ „ჭიპლარი ერთად აქვთ მოჭრილი“ - *ერთმანეთს ვერ შორდებიან, განუყრელები არიან, მუდამ ერთად არიან; ◇ ტყუპის ცალებივით არიან, გადასკენილები (გადაბმულები) დადიან.

Nezihe ile Cahide'nin göbekleri sanki beraber kesilmiş. Hemen her yerde beraberler.

ნეზიჰე და ჯაჰიდე თითქოს გადასკენილები არიანო, ყველგან ერთად არიან.

Göbeği sokakta kesilmiş „ქუჩაში ჭიპმოჭრილი“ - *მეძავი, როსკიპი; ◇ ქუჩის ქალი.

Süleyha'nın göbeği muhakkak sokakta kesilmiş. Eve girdiği yok.

სულეიჰას ნამდვილად ქუჩაში აქვს ჭიპი მოჭრილი. მისი შინ შესვლა არ არის.

Göbeğini çatlar ◇ „ჭიპს იწყვეტს“ - *მიზნის მისაღწევად ყველა ღონეს ხმარობს; ◇ წელებზე ფეხს იდგამს.

Akşama kadar göbeği çatlamış.

საღამომდე ჭიპი აქვს მოწყვეტილი.

Göğsünü kabarır „მკერდს იბერავს“ - *მედიდურობს, იფხორება; ◇ თავს მაღლა სწევს, თავაწეული დადის, მამალი ინდაურივით იფხორება.

Göklere çıkar „ცამდე ადის“ - *ხარობს; ◇ მეცხრე ცაზეა, ცას ეწევა, მიწას ფეხს არ აკარებს, ფრთებს ისხამს.

- Şermin sevincinden göklere çıktı.

შერმინი სიხარულისაგან ცას ეწია.

Göklere çıkarır ◇ „ცამდე აყვავს“ - *აქებს, ხოტბას ასხამს.

Dün Nihad'ı göklere çıkarıyordun, bugün hakkında kötü kötü şeyler söylüyorsun.

გუშინ ნიჰადი ცამდე აყვავდა, დღეს კი მასზე ცუდ რამეებს ლაპარაკობ.

Göklere uçurur *sh.*: **Göklere çıkarır.**

Gökten zembille indi „ვიდან ზემბილით¹ ჩამოვიდა“ - *(რაიმე)

1. ივივეა, რაც ზამბილი (ჭილის, დაფნის და მისი. კალათი.

უმრომლად, შეუწუხებლად, მოულოდნელად მიიღო; ◇ ზეციდან მიიღო, ღვთისგან ებოძა, ციდან ჩამოუვარდა.

Bu getirdiğin para sanki gökten zembille inmiş gibi oldu, o kadar lâzımdı.

- შენი მოტანილი ფული თითქოს ციდან ჩამომივიდა, ძალიან მჭირდებოდა.

Gölge düştü ◇ „ჩრდილი დაეცა“ - *დამცირდა, ღირსება შეელახა, გაუფასურდა; ◇ ჩრდილში აღმოჩნდა.

Bu olaydan sonra ona gölge düştü.

ამ შემთხვევის შემდეგ ის ჩრდილში აღმოჩნდა. ..

Gölge düşürür ◇ „ჩრდილს აყენებს“ - *(მის) ღირსებას, მნიშვნელობას ამცირებს, ჩრდილავს, აუფასურებს; ◇ ფასს უკარგავს.

Böyle davranınca bütün başarılarına gölge düşürdü.

როდესაც ასე მოიქცა, მთელ თავის წარმატებას ჩრდილი მიაყენა.

Gölge etme, başka ihsan istemem „ნუ მიჩრდილავ და სხვა შენი დახმარება არ მინდა“ - *ოღონდ ხელს ნუ შემშიშლი; ◇ ოღონდ წინ ნუ გადამელობები!

Gölgede bırakır ◇ „ჩრდილში ტოვებს“ - *სჯობნის, ჩრდილავს. ◇ უკან იტოვებს, ჩრდილში აყენებს, წინ უსწრებს.

Sınıfın en başarılı öğrencisini bile gölgede bıraktı.

კლასის ყველაზე მოწინავე მოსწავლეს კი უკან მოიტოვა.

Gölgesinden korkar ◇ „თავისი ჩრდილისა ეშინია“ - *მშიშარაა, მხდალია, ღანჩარია.

Güngörü bu işi için kullanamayız, o gölgesinden korkar bir adamdır.

გუნგორს ამ საქმეში ვერ გამოვიყენებთ, ისეთი კაცია; საკუთარი ჩრდილისა რომ ეშინია.

Gölü görmeden paçaları sıvar „ტბა არ დაუნახავს და შარვლის ტოტებს იკარწახებს“ - *(საქმისათვის) ჩაადრევედ ეშაადება, (საქმეს) სერიოზულად უდგება; ◇ (წინასწარ) თადარიგს იჭერს.

Her şeyde gölü görmeden paçaları sıvamak severdi.

მას ყველა საქმეში თადარიგის დაჭერა უყვარდა.

Gönlü açıldı ◇ „გული გაეხსნა“ - *გამხიარულდა, მოილხინა, კარგ გუნებაზე დადგა; ◇ გული გაუნათდა, გულში ნათელი ჩაუდგა, გული აუმღერდა, შუბლი გაეხსნა, ცის კარი გაეხსნა.
Onun geldiğinden hepimizin gönlümüz açıldı.
მისი მოსვლით ყველას გული გაგვინათდა.

Gönlü akar ◇ „გული მისდის (მიუწევს)“ - *მოსწონს.
Kim olursa olsun, ona gönlüm akar.
ვინც არ უნდა იყოს, გული მისკენ მიმიწევს.

Gönlü çekti ◇ „გულმა გაუწია“ - *სურვილი აღეძრა, მოეწონა.
Üç aydır sigarayı bıraktım amma, hâlâ gönlüm çekiyor.
სამი თვეა, რაც სიგარეტს თავი დავანებე, მაგრამ მისკენ ჯერ კიდევ მიმიწევს გული.

Gönlü çöktü ◇ „გული ჩაუვარდა“ - *იმედი დაკარგა; ◇ გული გაუტყდა, გული ჩასწყდა.
Onun gönlü çökmüş olduğu yüzünden okunuyordu!
გული რომ ჩასწყდა, სახეზე ეტყობოდა.

Gönlü geniş „ფართე გულისა“ - *გულუხვი, კეთილი, ხელგაშლილი;
◇ საესე გული აქვს.

Gönlü gözü açılır ◇ „გული ეხსნება“ - *ხარობს, მხიარულობს, ერთობა, ილხენს; ◇ გული უნათდება, გულზე ვარდი ეფინება, გული უმღერის.
Ayşeyle her karşılaştığımda gönlü gözü nasıl açıldığımı kendi de iyice hissedirdi!
თავადაც კარგად გრძნობდა, აიშეს ყოველ შეხვედრაზე გული როგორ უნათდებოდა.

Gönlü ile öynar ◇ „(მისი) გულით თამაშობს“ - *მის გრძნობებთან თამაშობს.
Başkalarının gönlü ile oynamak pek hayır getirmez.
სხვისი გულით თამაში კარგს ვერაფერს მოიტანს.

Gönlü kalır ◇ „(მისი) გული რჩება“ - *1. მოსწონს. ◇ გული მიუწევს, თვალი რჩება.
Mağazada gördüğümüz çay takımında gözüm kaldı.
მაღაზიაში ჩაის კომპლექტზე თვალი დამრჩა.
*2. სწყინს, გულდაწყვეტილია; ◇ გული სწყდება.

- O akşam seni bekledik, gelmediğinden **gönlümüz çok kaldı.**

იმ საღამოს გელოდებოდით, რომ არ მოხვედი გული ძალიან დაგვწყდა.

Gönlü kara „შავი გულისა“ - *ბოროტი, ავი, ავის მსრახველი, მავნე, გულბოროტი; ◇ ბოროტი გული აქვს, ცუდი გული აქვს.

Gönlü kara kimsenin biriydi.

ერთი ბოროტი გულის პატრონი იყო.

Gönlü karardı „გული გაუშავდა“ - *იმედი (რწმენა) დაკარგა, სასოწარკვეთილებაში ნავარდა, ცხოვრებისადმი ინტერესი დაკარგა; ◇ გული გაუტყდა, სულით დაეცა, ხელი ჩაიქნია.

Ömerle yarım saat konuştu mu, insanın gönlü kararıyor. Kara haber elçisi mübarek.

ომერთან ნახევარ საათს როგორც კი ისაუბრებ, კაცს გული უტყდება. დალოცვილი, მუდამ ცუდი ამბების მაუწყებელია.

Gönlü bulandı ◇ „გული ამემღრა“ - *აღელდა, აფორიაქდა, შეშფოთდა, ცუდ ხასიათზე დადგა, ხასიათი გაუფუჭდა.

Nermin ile Ayşe'nin birbirlerine göz kırptıklarını görünce gönlüm bulandı, bunun arkasında bir iş var diye düşündüm.

როცა დავინახე, რომ ნერმინმა და აიშემ ერთმანეთს თვალი ნაუკრეს, გული ამემღრა, ამის უკან რაღაც იმალება-მეთქი, გავიფიქრე.

Gönlü kırık ◇ „გული აქვს გატეხილი“ - *უიმედოა, გულგატეხილია, სასოწარკვეთილია.

- O gece bize geldiysen hayatımız muhakkak başka yola gidip her şeye böyle **gönlüm kırık** olmuycaktım.

*იმ საღამოს ჩვენთან რომ მოსულიყავი, ჩვენი ცხოვრება სხვანაირად წარიმართებოდა და ყველაფერზე გული ასე გატეხილი არ მექნებოდა.

Gönlü söndü „გული ჩაუქრა“ - *სიყვარული გაუქრა (გაუნელდა), (რისამე) ინტერესი დაკარგა; ◇ გული გაუცივდა.

Artık gönlüm söndü, bu işi hiç sevmem.

უკვე გული გამიცივდა, ეს საქმე სულაც არ მიზიდავს.

Gönlü yok ◇ „გული არა აქვს“ - *სურვილი არა აქვს; ◇ გული არ მიუწევს.

Hiç iş yapmağa gönlüm yok.

არანაირი საქმისკენ არ მიმიწევს გული.

Gönlü yufka ◇ „სუსტი გულია“ - *მგრძობიარე, გულწვილი; ◇
ჩვილი (ნაზი) გულის პატრონი.

Gönlü yumuşak *sh.*: **Gönlü yufka.**

Gönlü var „გული აქვს“ - *სურვილი აქვს; ◇ გული მიუდის, გული მიუწევს.

Oraya gitmeğe gönlüm vardı.

იქით გული მიმიწევდა.

Gönlü zengin ◇ „მდიდარი გულის (პატრონი)“ - *შესაძლებლობების ფარგლებში ფულისა და ქონების დაუნახებლად გამცემი; ◇ გულით მდიდარი.

Gönlü zengin bir adam olduğundan dolayı Mehmed'i herkes severdi.

ამჟღად გულით მდიდარი იყო, ამიტომ ყველას უყვარდა.

Gönlünden çıkarır ◇ „გულიდან ამოიღებს“ - *დაივიწყებს, შეიძულებს; ◇ გულიდან ამოირეცხავს (ამოიშლის).

O kızı gönlünden bir türlü çıkaramadım.

ის გოგონა გულიდან ვერაფრით ამოვიგდე.

Gönlünden geçirir ◇ „გულში გაიტარებს“ - *გაიფიქრებს.

Boşuna o kızı gönlünden geçirme, sana vermezler.

იმ გოგონაზე ფიქრი გულში არ გაიტარო, მას არ მოგცემენ.

Gönlünden kopar „გულიდან მოსწყდება“ - *არ დაენახება, ემეტება.

◇ გულით გასცემს, გულით გამოსდის, გულს უნდა.

Gönlünüzden ne koparsa, veriniz!

თქვენს გულს რაც სურდეს, ის მიმეცით.

Gönlüne battı „გულში ჩაებუჭდა“ - *დაამახსოვრდა, შეუყვარდა. ◇
გულში ჩაუვარდა.

Olan olmuştu artık. Gözünde, çızgiler gönlüne battı, Osman'a sevdalandı.

მოსახდენი უკვე მომხდარიყო. მისი თვალების გამომეტყველება გულში ჩავარდნოდა, ოსმანი შეყვარებოდა.

Gönlüne danışır ◇ „(თავის) გულს დაეკითხება“ - *საკუთარი სურვილით იმოქმედებს. ◇ გულის კარნახით იმოქმედებს, გულის ხმას აჟღერებს.

İnsan gönlüne danışırsa bahtiyar olacak.

ადამიანი გულის კარნახს თუ აჟღერებს, ბედნიერი იქნება.

Gönlüne doğar ◇ „მის გულში იბადება“ - *წინასწარ გრძნობს. ◇ გული უთქვამს.

Gönlünü avlar ◇ „(ვისიმე) გულს ინადირებს“ - *მიიმხრობს, გადაიბირებს, თავისადმი კეთილად განაწყოებს; ◇ (მის) გულს მოიგებს, გულს მოიპოვებს.

Bu sözleriyle gönlünü avladı.

ამ სიტყვებით მისი გული მოინადირა.

Gönlünü eder ◇ „გულს (გა)უკეთებს“ - *სიამოვნებას (კმაყოფილებას) ანიჭებს, ახარებს, ამშვიდებს.

Gönlünü geniş tut! „გული ფართოდ (გაშლილად) იქონიე“ - *ნუ იდარდებ, ნუ ინაღვლებ! ◇ გული გახსენი! გულთან ახლოსაც არ გაიკარო!

Öyle olmuş oldu, amma gönlünü geniş tut!

ასე მოხდა, მაგრამ გულთან ახლოსაც არ გაიკარო!

Gönlünü kabarır ◇ „გულს უსივებს“ - ◇ აბრაზებს, აწუხებს.

Herkes onun gönlünü kabarırdı.

ყველა მას უსივებდა გულს.

Gönlünü kaptırır ◇ „(მის) გულს ატყვევებს“ - *თავს ძლიერ აყვარებს.

Gönlünü kırar ◇ „გულს გაუტებს“ - *აწყენინებს; ◇ გულს ატკენს, გულს მოუკლავს.

Gönlünü okşayor „(მის) გულს ეფერება“ - *ახარებს, სიამოვნებას ანიჭებს. ◇ გულს უხარებს.

Gönlünü verdi ◇ „გული მისცა“ - *შეიყვარა; ◇ გული დაუკავშირა.
Erkek olsaydım ona gönlüm verirdim.

მამაკაცი რომ ვყოფილიყავი, მას გულს მივცემდი [ვაჩუქებდი].

Gönlünü yapar ob.: Gönlünü eder.

Gönlünü yaralır ◇ „გულს უკოდავს“ - *აწყენინებს; ◇ გულს სტკენს.

Onun bizden gitmesini gönlümüzü yaraladığını bilmiyorduk.
არ გვეგონა, თუ მისი წასვლა გულს გვატკენდა.

Gönül yarası „გულის ჭრილობა“ - *დარდი, ნაღველი, მწუხარება; ◇ გულის ტკივილი.

Onun durumu hepimiz için gönül yarası oldu.
მისი მდგომარეობა ყველა ჩვენგანის გულის ტკივილი გახდა.

Göreyim seni! - *მე შენ გიჩვენებ; ◇ ნახე, რას გიზამ!

Hele, ödevini yapma da göreyim seni!

აბა, ერთი დავალება არ შეასრულო, მე შენ გიჩვენებ!

Görmüş geçirmiş! „უნახავს, გამოუვლია“ - *კარგად უცხოვრია; ◇ კარგი დღეები უნახავს (გამოუვლია).

Göründü Sivas'ın dağları „გამოინდა სივასის¹ მთები“ - *მოულოდნელად სამშიში (უსიამოვნო) ვითარება შეიქმნა; ◇ შავი დღე დადგა, განკითხვის დღე დადგა, განკითხვის უამი დადგა.

Telgraf aldım, Pazartesiye Orhanlar, Salıya da Mustafalar geliyorlarmış.
Haydi bakalım göründü Sivas'ın dağları.

- დეკემბა მივიღე, ორშაბათს თურმე ორპანიანი ჩამოდიან, სამშაბათს კი მესტაფაანი. ესეც შენ! განკითხვის დღე დაგვიდგა.

Göz açıp kapayıncaya kadar „თვალის გახელა დახუჭვამდე“ - *სწრაფად, უმოკლეს დროში; ◇ თვალის დახამხამებაში, ერთ წამში.

Bütün hadise Göz açıp kapayıncaya kadar oldu bitti.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა და დასრულდა.

1. ქალაქი თურქეთში.

Göz alıcı „თვალწარმტაცვი“ - *მომხიბველელი, მომაჯადოებელი.

Göz banyosu yapar „თვალის აბაზანას იკეთებს“ - *ერთობა; ◇
თვალს წყალს ალევინებს, გულს აყოლებს.
Ahmet pilaja yüzmeğe değil, göz banyosu yapmağa gidiyor.
აჰმედი პლაჟზე საცურაოდ კი არა, იმისათვის მიდის, რომ
თვალს წყალი დააღვინოს.

Göz etti ◇ „თვალი ჩაუკრა“ - *თვალით მიანიშნა.
- Bunun şaka olduğuna inanmalısın, Orhan lâfa başlamadan bana göz etti.
- ეს რომ ხუმრობაა, უნდა დაიჯერო, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ორჰანმა თვალი ჩამიკრა.

Göz göre göre „ეყრებ-ეყრებით“ - *თვალნათლივ, ცხადად, თვალწინ, აშკარად; ◇ თვალსა და ხელს შუა.
Geçen hafta göz göre göre daha ucuz malı kaçırdım.
გასულ კვირას უფრო იაფი საქონელი თვალსა და ხელს შუა გამომეპარა.

Göz göze geldi ◇ „თვალი თვალს მოხედა“ - *ერთმანეთს შეხედეს, ერთმანეთი დაინახეს; ◇ თვალი თვალში გაუყარეს.
Salonun zayıf ışığında Afife ile göz göze geldik.
სალონის მკრთალ სინათლეზე მე და აფიფემ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეთ.

Göz gözü görmez „თვალი თვალს ვერ ხედავს“ - *უკუნი სიბნელეა, ძალიან ბნელა; ◇ თვალთან თითს ვერ მიიტან.
Birdenbire öyle bir sis bastı ki göz gözü görmez oldu.
უცებ ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

Göz hapsinde tutar *nb.* **Göz hapsine alır.**

Göz hapsine alır „თვალის ტყვეობაში აქეავს“ - *ეთვალთვალეებს, თვალს ადევნებს, ეურადღების ქვეშ ჰყავს; ◇ თვალს არ აცილებს, ფხიზელი (მახვილი) თვალით უყურებს.
Nedense onu göz hapsine alıyordu.
რატომღაც თვალს არ აცილებდა.

Göz kesildi „თვალად იქცა“ - *დიდი გულისწყურით, ეურადღებით

უყურებს; ◇ მზერად იქცა, თვალს არ აშორებს.
Hepimiz göz kesilmiştik.
ყველანი მზერად ვიქეცით.

Göz kırpmadan ◇ „თვალის დაუხამხამებლად“ - *ყოველგვარი ფიქრის გარეშე, უყოყმანოდ; ◇ უკან მოუხედავად.
Onun kurtarmağa göz kırpmadan denize daldı.
მის გადასარჩენად თვალის დაუხამხამებლად ზღვაში ჩაყვინთა.

Göz koyar ◇ „თვალს ადგამს“ - *მოსწონს, იხიბლება.
Sahir Sevim'e göz koydu, muhakkak evleneceğim diyor.
საპირმა სევიმს თვალი დაადგა. აუცილებლად ვითხოვო, - ამბობს.

Göz kulak olun „თვალყურიანად იყავით“ - *უთვალთვალეთ, ყურადღებით იყავით; ◇ თვალყური ადევნეთ.
Serbest bırakın gitsin, ama göz kulak olun.
- გაათავისუფლეთ, წავიდეს, მაგრამ თვალყური ადევნეთ.

Göz kuyruğuyla bakar *ob.:* **Göz ucuyla bakar.**

Göz nuru döker „თვალის წინს ღვრის“ - *დიდხანს ყურადღებით მიუშაობს; ◇ თვალებს იღამებს (იწყალებს), თვალები დათხრაზე აქვს.
Buna göz nuru döktüm, nasıl vazgeçerim.
ამაზე თვალები ამოვიღამე, თავს როგორ დავანებებ.

Göz önünde kaçıır „თვალწინ უშვებს“ - *უყურადღებობით კარგავს; ◇ ხელიდან უშვებს, მხედველობიდან გამორჩება, თვალსა და ხელს შუა ეკარგება.
Bu olay göz önünden kaçırdı.
ეს შემთხვევა ხელიდან გაუშვა.

Göz önünde tutar *ob.:* **Göz önünde bulundurur.**

Göz ucuyla bakar „გვერდულად უყურებს“ - *წყმად, მალულად უყურებს; ◇ ცერად უყურებს.
Resimlere göz ucuyla baktı.
სურათებს ცერად შეხედა.

Göz yumar ◇ „თვალებს ხუჭავს“ - *(რაიმეს) განგებ არ ამჩნევს, (განგებ) ყურადღებას არ აქცევს.
Oğlanın her gece geç vakitlerde eve gelişine göz yummamalıyız.
ბიჭი რომ ყოველ ღამეს გვიან მოდის, ამაზე თვალი არ უნდა დაეხუჭოთ.

Göz yumup açıncaaya kadar *ob.:* **Göz açıp kapayıncaya kadar.**

Gözden çıkarır „თვალიდან ამოიღებს“ - *გაიმეტებს, არაფერს დახოვავს; ◇ თავზე შემოივლებს.
- Bu arabanın fiyatı on bin marka. Ama o kadar hoşuma gitti ki, bu parayı gözden çıkardım.
- ამ ავტომანქანის ფასი ათი ათასი მარკაა. მაგრამ იმდენად მომეწონა, რომ ეს ფული თავზე შემოვივლე.

Gözden kaçır ◇ „თვალიდან გამოეპარება“ - *ვერ შეამჩნევს; ◇ მხედველობიდან გამორჩება.
Nasılsa gözümden kaçmış... Demek sizi sıkmış ha...
როგორ მოხდა, რომ მხედველობიდან გამომრჩა... ესე იგი, გაწუხებენ ხომ...

Gözden kayboldu „თვალიდან დაიკარგა“ - *დაიკარგა, გაუჩინარდა, გაქრა; ◇ თვალს მიეფარა.
Seniha ile Faik Bey uzun bir müddet gözden kayboldular.
სენიზა და ბატიონი ფაიქი დიდხანს თვალს მიეფარნენ.

Gözden sürmeyi çalar „თვალიდან სურმას იპარავს“ - *მოხერხებელია, დაოსტატებული ქურდია; ◇ თვალიდან ბეწვს აცლის.
- Ben böylesine hilekâr adam görmedim. Neredeyse gözden sürmeyi çalacak.
- ასეთი დაოსტატებული ქურდი არ მინახავს. საცაა თვალიდან ბეწვს ააცლის.

Gözden uzaklaşır ◇ „თვალს შორდება“ - *მიდის, იმალება; ◇ თვალს ეფარება.

Göze alır „თვალში იღებს“ - *მოსწონს; ◇ თვალში მოსდის, ჭკუაში უჯდება.
Ben bu havada bu otomobille yola çıkmayı göze alamam.

ასეთ ამინდში ამ ავტომანქანით მგზავრობა ნამდვილად თვალში არ მომდის.

Göze batar ◇ „თვალში ეხხირება“ - *არ მოსწონს; ◇ თვალში ეკლად ესობა.

İlk kocamdan olan çocuğum bizim Beyin her zaman **gözüne batıyordu.**

პირველი ქმრიდან ჩემი შვილი ჩვენს ბატონს მუდამ თვალში ეხხირებოდა.

Göze çarpacak kadar ◇ „თვალში საცემად“ - *შესამჩნევად; ◇ თვალში მოსახვედრად.

Göze çarpar ◇ „თვალში ხედება“ - *ადვილად ამჩნევს.

Kitabı elime alır almaz imlâ yanlışları **gözümce çarptı.**

როგორც კი წიგნი ხელში ავიღე, კორექტურული შეცდომები თვალში მომხვდა.

Göze diken oldu ◇ „თვალში ეკლად ექცა“ - *არ მოეწონა; ◇ თვალში ეკლად ჩაესო.

Ali bizim Beyin her zaman **gözüne batıyordu.**

ალი ჩვენს ბატონს ყოველთვის თვალში ეკლად ესობოდა.

Göze gelir (girer) ◇ „თვალში მოსდის“ - *მოსწონს.

Ahmet şefin **gözüne gelir için çok çalışıyor.**

აჰმედი ბევრს მუშაობს, რათა უფროსს თვალში მოუვიდეს.

Göze göz, dişe diş ◇ „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ - *სამაგიეროს გადახდა, შურისძიება.

Göze göz, dişe diş ... Beni aldattığını haber alırsam, derhal ben de seni aldatırım.

თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ. თუ გავიგე, რომ მიდალატე, მეც მაშინვე გიდალატებ.

Gözle kaş arasında „თვალსა და წარბს შორის“ - *შეუმჩნევლად; ◇ თვალსა და ხელს შუა.

Gözle yer ◇ „თვალით ჭამს“ - *ხარბად, დაჟინებით, თვალმოუშორებლად უყურებს.

Ona **gözle yer gibi bakıyordu.**

მას ისე უეჭურება, თითქოს თვალებით ჭამდა.

Gözleri arkada kaldı ◇ „(მას) თვალები უკან დარჩა“ - *მოეწონა; ◇
თვალი ზედ დარჩა.

Gözleri bayılıyor „თვალები ეხუჭება“ - *ეძინება, ძილი ერეკა.

- Hayıdı sen git yat! **Gözlerin bayılıyor.**

- აბა, წადი, დაწევი! თვალები გეხუჭება.

Gözleri buğulanır (bulutlanır) ◇ „თვალები ენამება (ედრუბლება)“ -

*თვალეზე ცრემლი ადგება; ◇ თვალები ებინდება, თვალეში
ნისლი აწება, თვალები უწყლიანდება.

Yanımdan ayrılırken **gözleri buğulandı.**

როდესაც გამშორდა, თვალები ავესო.

Gözleri bulanır *nb.* **Gözleri buğulanır.**

Gözleri çukura gitti „თვალები ფოსოში ჩაუცვივდა“ - *გახდა; ◇

თვალები ჩასცვივდა, თვალები ამოულამდა.

İyileşmiş görünüyor ama **gözleri çukura gitmiş.**

ეტეობა გამოკეთდა, მაგრამ თვალები ჩასცვენია.

Gözleri dolu dolu olur ◇ „თვალები ევსება“ - *თვალეზე ცრემლი
ადგება.

Beni görünce **gözleri dolmuş.**

ჩემს დანახვაზე თვალები (ცრემლით) ავესო.

Gözleri döndü ◇ „თვალები გადაუტრიალდა“ - *გაბრაზდა,

განრისხდა; ◇ თვალები გადმოსცვივდა.

Sınıftaki durumu görünce müdürün **gözleri döndü.**

კლასის მდგომარეობა რომ დაინახა, დირექტორს თვალები
გადმოუტრიალდა.

Gözleri evinden (yuvarlarından) fırladı *nb.* **Gözleri döndü.**

Gözleri fal taşı gibi açıldı „თვალები სამკითხაო ქვასავით გაეხსნა“ -

* (გაოცებისაგან ან განრისხებისაგან) თვალები გაუფართოვდა; ◇
თვალები გადმოეკარკლა.

Hayretten **gözleri fal taşı gibi açıldı.**

გაოცებისაგან თვალები გადმოეკარკლა.

Gözleri kan çanağına döndü „თვალეები სისხლის ფიალად ექცა“ - *გაბრაზდა, განრისხდა, გავოფდა, გაცეცხლდა; ◇ თვალეებში სისხლი მოაწვა, თვალეები სისხლით აევსო.

Gözleri kapandı ◇ „თვალეები დაეხუჭა“ - *გარდაიცვალა.
Zavallı ihtiyar! gözleri kapandı.
საბრალო მოხუცი! თვალეები დაეხუჭა.

Gözleri kararır ◇ „თვალთ უბნელდება“ - *(დაღლილობის, შიმშილის ან ტირილისგან) თვალეებში მხედველობა უქვეითდება.
Açlıktan kadının gözleri karardı.
შიმშილით ქაღს თვალთ დაუბნელდა.

Gözleri parlar ◇ „თვალეები უბრწყინავს“ - *ხარობს, თავს ბედნიერად გრძნობს; ◇ თვალში ნათელი უდგას.
Annesini görünce gözleri parladı.
როდესაც დედა დაინახა, თვალეები გაუბრწყინდა.

Gözleri şuraya buraya kaçıyor „თვალეები აქეთ-იქით გაურბის“ - *მოუხსვენრადაა; ◇ თვალეებს აქეთ-იქით აცეცებს.

Gözleri yollarda kalır „თვალეები გზაზე რჩება“ - *დიდხანს მოუთმენლად ელოდება; ◇ თვალეები გზისკენ უჭირავს, თვალეები გზაზე აწყდება.
Neredesin kardeşim? Gözlerimiz yollarda kaldı.
სად ხარ, ჩემო ძმაო? თვალეები გზაზე დამაწყდა.

Gözlerimin ipi sarardı „თვალეების ძარღვი ჩამიყვითლდა“ - *ლოდინისაგან დავიდალე; ◇ თვალეები ამომიღამდა.
O akşam onun beklediğimde gözlerimin ipi sarardı, amma o gelmedi.
იმ საღამოს მის ლოდინში თვალეები ამომიღამდა, მაგრამ არ მოვიდა.

Gözlerinde ateş parıldandı ◇ „თვალეებში ცეცხლი აუკიაფდა“ - *გამხიარულდა; ◇ თვალეებში ნაპერწკალმა გაუელვა, თვალეებში ნათელი ჩაუდგა.
Onun ihtiyarlıktan uçan gözlerinde ateş parıldadı.
სიბერისაგან ჩამქრალ მის თვალეებში ნაპერწკალმა გაიელვა.

Gözlerinde şimşekler çakar ◇ „თვალეbs აკვესებს“ - *ბრაზობს, ცოფდება; ◇ თვალებიდან ცეცხლს აკვესებს.

Gözlerinden okur ◇ „მის თვალეbsში კითხულობს“ - *თვალეbsის გამოძეტყველებით იგებს მის აზრებს.

Doktor, Sevim hanımın içinden geçenleri gözlerinden okuyarak, söze karıştıđına pişman oldu.

ექიმმა ქალბატონ სევიმის თვალეbsში ამოიკითხა მისი თავგადასავალი და ლაპარაკში წარევა ინანა.

Gözlerine inanmıyor ◇ „თვალეbs არ უჯერებს“ - *ნანახი არ სჯერა.

İyi bir sonuca ulaşınca gözlerine inanmıyordu.

კარგ შედეგებს რომ მიადწია, თვალეbsს არ უჯერებდა.

Gözlerini devirdi ◇ „თვალეbsი გადმოატრიალა“ - *განრისხდა,

გაცოფდა, გაბრაზდა; ◇ თვალეbsი დააბრიალა.

Babası ođluna gözlerini devirdi.

მამამ ვაჟიშვილს თვალეbsი დაუბრიალა.

Gözlerini dikti ◇ „თვალეbsი დაასო“ - *ხელში წაგდება მოინდომა; ◇

თვალი დაადგა.

Kardeşim kendi kalemimi kaybedince benim kalemime göz dikti.

წემმა ძმამ, როდესაც თავისი კალამი დაკარგა, წემს კალამს დაადგა თვალი.

Gözlerini dört açar „თვალეbsს ოთხად ახელს“ - *ყურადღებით არის,

ფხიზლობს; ◇ ას თვალსა და ას ყურს იბამს.

Gözlerini dört aç, eve hırsız girmesin!

ასი თვალი და ასი ყური გამოიბი, სახლში ქურდი არ შევიდეს.

Gözü aç „მშიერი თვალისა“ - *ხარბი, გაუმაძღარი; ◇ თვალი არ უძღება.

Bu kadar zengin olduđu halde Alinin gözü hâlâ paraya aç.

მოუხედავად იმისა, რომ ასეთი მდიდარია, ალის თვალი ფუქლით მაინც ვერა ძღება.

Gözü açık gitti „თვალგახელილი წავიდა“ - *დიდი ხნის ნატვრის

აუსრულებლად წავიდა; ◇ გულნაკლული წავიდა, (რადაცაზე) თვალი დარჩა.

Ođlu babasının son günlerine gelip yetişemediđi için zavallı adam

gözü açık gitti.

ვინაიდან შვილმა მამამისის ბოლო დღეებს ვერ მოესწრო, საბრალო კაცი გულნაკლული წავიდა.

Gözü açılır ◇ „თვალი აეხილება“ - *მიხედება, გამოერკვევა, შეიცნობს, კარგისა და ავის გარწევას დაიწყებს; ◇ გონს მოეგება.

Gözünün açılması için başına daha nelerin gelmesini bekliyorsun?

Anlamıyorum!

- თვალი რომ აეგხილოს, კიდევ რა უნდა გადაგხდეს, ვერ გამიგია!

Gözü almaz „მისი თვალი არ დებულობს“ - *არ მოსწონს; ◇ თვალში არ მოხდის.

Bu giyisileri pek gözüm almadı.

ეს მისი ტანსაცმელი თვალში დიდად არ მომივიდა.

Gözü bağlar ◇ „თვალს იხვევს“ - *სინამდვილეს განგებ არ იმნევეს; ◇ თვალებს იბრმავებს.

1914 ten önce, pek çok politikacılar yaklaşan tehlikeyi göremiyecek kadar **gözü bağladılar.**

1914 წლამდე ბევრ პოლიტიკოსს ისე ჰქონდა თვალები დაბრმავებული, რომ მოახლოებული საშიშროება ვერ დაინახა.

Gözü değdi ◇ „მისი თვალი ეცა“ - *ბოროტი თვალის გავლენით ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა; ◇ თვალი ეცა.

O günden sonra hastayım, galiba gözü bana değdi.

იმ დღის შემდეგ ავად ვარ, ალბათ მისი თვალი მეცა.

Gözü dışarda ◇ „თვალი გარეთა აქვს“ - *გარეთ სიარული უკვარს, ყოველთვის წასვლაზე ფიქრობს, გაქცევაზეა; ◇ თვალი გარეთ უჭირავს.

İşe pek özen göstermiyor, herhalde gözü dışarda.

საქმეს გულს ვერ უდებს, თვალი გარეთ უჭირავს.

Gözü doyar ◇ „თვალი უძღება“ - *კმაყოფილდება.

Gözü doyunca kabuğuna çekilir sanıyorum.

როდესაც თვალი გაუძღება, ვუფიქრობ, თავის ნატუკში ჩაძვრება.

Gözü dünyayı görmüyor „მისი თვალი ქვეყანას არ ხედავს (არ ამჩნევს)“ - *(სიხარულისაგან, სიბრაზისაგან) ველარავის (ველარაფერს) ხედავს (ამჩნევს); ◇ მისი თვალები ველარაფერს ამჩნევს, თავის ჭკუაზე აღარ არის.

Öyle kızmıştı ki gözü dünyayı görmüyordu.

ისე გაბრაზდა, რომ მისი თვალი ველარაფერს ხედავდა.

Gözü gibi korur ◇ „თვალივით უფრთხილდება“ - *კარგად უვლის, უფრთხილდება, პატრონობს; ◇ თვალის ჩინივით უფრთხილდება. **Kardeşlerini gözü gibi koruyordu.**

თავის ძმებს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა.

Gözü gitti „თვალი წაუვიდა“ - *ძალიან მოეწონა; ◇ თვალი გაექცა, თვალი ზედ დარჩა.

Bu güzel eşyalara gözüm gitti.

ამ ლამაზი ნივთებისკენ თვალი გამექცა.

Gözü gönlü açıldı ◇ „თვალები, გული გაეხსნა“ - *გამხიარულდა; ◇ გული გაეხსნა, გული გაუნათდა, გულში ნათელი ჩაუდგა. **Torunlarımı her görüşümde gözüm gönlüm açılıyor.**

შვილიშვილებთან ყოველ შეხვედრაზე გული მინათდება.

Gözü kaldı ◇ „თვალი დარჩა“ - *მოეწონა.

Şu yeni model arabaya bak! Gözüm kaldı.

ამ ახალი მოდელის ავტომანქანას შეხედე! თვალი ზედ დამრჩა.

Gözü kaçtı ◇ „თვალი გაექცა“ - *უნებურად შეხედა.

İstemeye istemeye gözleri lokantaya kaçtı.

უნებურად თვალი რესტორნისაკენ გაექცა.

Gözü kapıda *sh.*: **Gözü dışarda.**

Gözü keskin ◇ „თვალი უჭრის“ - *კარგი მხედველობა აქვს.

Gözü keskin biri olduğu için gelenleri üç kilometreden seçebildi.

ვინაიდან თვალი უჭრიდა, სამ კილომეტრზე შეძლო მომავლების გარჩევა.

Gözü pek „ძლიერი თვალების მქონე“ - *უშიშარი, მამაცი, შეუპოვარი, გამბედავი; ◇ თვალსაც არ ახამხამებს, წარბსაც არ შეიხრის.

Fethi gözü pek adamdır. Ona öyle kolay kolay kimse yıldıramaz.

ფეთხი წარბსაც არ შეიხრის. მას ეგრე ადვილად ვერავენ შეაშინებს.

Gözü pencerede *oh:* **Gözü kapıda.**

Gözü toprağa bakıyor „მისი თვალები მიწას ჩასწვრივია“ - *ხიკვდილის პირასაა; ◇ ცალი ფეხი სამარეში უდგას, პირი იმ ქვეყნისკენ აქვს.

Yaşlı komşumuzun gözü toprağa bakıyor.

ჩვენს მოხუც მეზობელს ცალი ფეხი სამარეში უდგას.

Gözü var „თვალი აქვს, სურვილი აქვს“ - ◇ თვალი უჭირავს.

Milletvekilliğinde de gözü vardır.

თვალი დეპუტატობაზეც უჭირავს.

Gözü yollarda kalır ◇ „თვალები გზაზე რჩება“ - *დიდხანს მოუთმენლად ელოდება.

- Tam iki saat geciktin azizim. Gözlerimiz yollarda kaldı.

- ზუსტად ორი საათი დაგაგვიანდა, ჩემო კარგო, თვალი გზაზე დაგვრჩა.

Gözü yüksekte „თვალები მაღლა აქვს“ - ◇ თავზე დიდი წარმოდგენისაა, ზევით-ზევით იყურება, თავი მოსწონს, თავს მაღლა სწევს.

- Nezihe'nin seninle evleneceğini sanma! Onun gözü çok yükseklere.

- ნურც იფიქრებ, რომ ჩეზიჰე შენ გამოგყევბა, ის ზევით-ზევით იყურება.

Gözünde büyüdü ◇ „მის თვალში გაიზარდა“ - *უფრო მეტად მოეწონა, თანდათან უფრო მოეწონა;

◇ მის თვალში ამაღლდა.

Kemal âşık olduğu için Ayşe'nin meziyetleri gözünde daha büyüyordu.

ვინაიდან ქემალის შეყვარებული იყო, აიშეს ღირსებები მის თვალში უფრო იზრდებოდა.

Gözünde (veya burnunda) tüter „(ის) მის თვალში ბოლავს“ - *(მასზე)

გამუდამებით ფიქრობს, დარდობს, ვერ ივიწყებს, ელანდება; ◇ თვალწინ უდგას, თვალიდან არ შორდება.

Yüzün gözümde tütüyor, niçin benden böyle uzaktasın?

შენი სახე თვალიდან არ მშორდება, რატომ ხარ ჩემგან ასე შორს?

Gözünden düşer „თვალიდან ევარდება“ - *ძველ სიყვარულს, ნდობას, პატივისცემას კარგავს; ◇ თვალში აღარ მოსდის.

Osman benim çoktan gözümde düştü.

ოსმანი, დიდი ხანია, თვალში აღარ მომდის.

Gözünden hiç bir şey kaçmaz ◇ „თვალიდან არაფერი გამოეპარება“ - *ეურადღებითაა, ფხიზლადაა.

Bizim müdür bir şeye aldırıyor gibi görünüyor, ama gözünden bir şey kaçmıyor.

ჩვენი დირექტორი თითქოს ეურადღებას არაფერს აქცევს, მაგრამ მის თვალს არაფერი გამოეპარება.

Gözünden kaçmamış ◇ „მის თვალს არ გამოჰპარვია“ - *შეუქმნეველი არ დაპრჩენია.

Hoca da bu anda orada imiş, bu söze bıyık altından gülecek olmuş. Bu hal Timur'un gözünden kaçmamış.

ხოჯაც ამ დროს იქ ყოფილა და ამ სიტყვებზე უღვაშებში ჩაუცივია. თემურის თვალს ეს არ გამოჰპარვია.

Gözüne bakıyor ◇ „თვალეში შესცქერის“ - *მისი სურვილით მოქმედებს; ◇ თვალეში შესცივინებს.

Bütün gün çevresinde dolanıp gözüne bakıyordu.

მთელი დღე მის ირგვლივ ტრიალებდა და თვალეში შესცივინებდა.

Gözüne hiç bir şey görünmez „თვალში აღარაფერი ეჩანს (მოსდის)“ - *აღარაფერი ახარებს, აღარაფერი აინტერესებს, დარდობს.

Hastalığından dolayı gözüne hiçbir şey görünmüyordu.

ავადმყოფობის გამო თვალში აღარაფერი მოსდიოდა.

Gözüne ilişti ◇ „თვალში მოხვდა“ - *შეამჩნია, ეურადღება მიაპყრო.

Gene etrafıma baktım. Nihayet çantam gözümde ilişti.

კვლავ ირგვლივ მიმოვიხედე, ბოლოს თვალში მომხვდა ჩემი ჩანთა.

Gözüne kara su iner „თვალში შავი წყალი უდგება“ - *დიდხანს ვისმეს მოლოდინშია; ◇ (დიდხანს ლოდინისგან) თვალეები

დააწყდა, თვალები ამოულამდა.

- Seni beklerken gözlerimize kara sular indi.

- შენს ღლოდინში თვალები ამოგვილამდა.

Gözüne uyku girmez ◇ „თვალზე ძილი არ ეკარება“ - *არ ეძინება.

Uykum kaçınca aklım bir şeye takılır ve o takınağı savuşturuncaya kadar gözüme uyku girmez.

როდესაც ძილი მიტყდება, ჩემი გონება ერთ რაღაცას აიკვიატებს და ვიდრე ამ აზრს არ გავფანტავ, თვალზე ძილი არ მეკარება.

Gözünü aç ◇ „თვალი გაახილე“ - *მიხვდი, გამოფხიზლდი!
გაიღვიძე! ◇ მიიხედ-მოიხედე.

Gözünü açtığında geç olacak.

როდესაც ის თვალს გაახელს, გვიან იქნება.

Gözünü açtıramaz „თვალს არ ახელინებს“ - *ზღუდავს, ავიწროებს, რისამე კეთების საშუალებას არ აძლევს; ◇ სულს არ ათქმევინებს, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

Gözünü alamaz *იხ.*: **Gözünü ayırmaz.**

Gözünü ayırmaz ◇ „თვალს არ აშორებს“ - *ძალიან მოსწონს. ◇ თვალს ვერ სწყვეტს.

Onun resimlerinden gözünü ayıramıyordü.

მის ნახატებს თვალს ვერ აშორებდა.

Gözünü boyar „თვალებს უღებავს“ - *ატყუებს, ცუდ რამეს კარგად ახვეწებს. ◇ თვალს უხვევს, თვალს უბამს, თვალში ნაცარს აყრის.

Bu adam gözlerimizi boyadı.

ამ კაცმა თვალში ნაცარი მოგვაყარა.

Gözünü daldan budaktan esirgemez „თვალს ტოტსა და ყლორტს არ არიდებს“ - *წარბშეუხსრელია, უშიშარია, გულადია; ◇ წარბს არ ხრის.

Gözünü değdirir ◇ „თვალს შეავლებს“ - *გადახედავს, გადაათვალიერებს.

Bu günlerde işlerim öyle fazla ki; ne bir gazeteye, ne bir kitaba göz

değdirecek vaktim olmuyor.

ამ დღეებში იმდენი საქმე მაქვს, გაზეთს და წიგნს თვალი რომ გადავაგელო, იმისი დროც არ მაქვს.

Gözünü dikti ◇ „თვალი დაადგა“ - *ძლიერ მოეწონა; ◇ თვალი ზედ დარჩა, თვალში მოუვიდა.

- Eh, sen elmaya nasıl olsa gözünü diktin, bâri al da ye!

- ოჰ, როგორ მოხდა, ამ ვაშლს რომ თვალი დაადგი, ბარემ აილე და ჭამე!

Gözünü doldurur *sh.*: **Gözünü doyurur.**

Gözünü doyurur ◇ „თვალს აძლობს“ - *(რაიმე სანახაობით) დიდ სიამოვნებას იღებს, კმაყოფილდება.

Gözünü dört açar „თვალს ოთხად ახელს“ - *ფხიზლობს, ფრთხილდება, ყურადღებითაა; ◇ თვალყური უჭირავს, თვალს არ აშორებს, ას თვალსა და ყურს გამოიბამს.

Bu çocuğa gözünüzü dört açın!...

ამ ბავშვს თვალი არ მოაშოროთ!...

Gözünü gezdirdi ◇ „თვალი გადაავლო“ - *გადაათვალიერა.

Yarın sınavım var, kitaplara şöyle bir göz gezdireyim.

ხვალ გამოცდა მაქვს, წიგნებს ისე თვალს გადავაგელებ.

Gözünü gözüne diker ◇ „თვალს თვალში უყრის“ - *თვალეებში დიდხანს უყურებს.

Gözünü kan bürümüş ◇ „თვალეები სისხლმა დაუფარა“ - *განრისხდა, გაცოფდა; ◇ თვალეებში სისხლი მოაწვა.

İki şeyi üst üste içince adamın gözünü kan bürümüş, tabancasını çekince gazinodaki camı çerçeveyi indirdi.

როგორც კი ორი ბოთლი ზედიზედ დალია, კაცს თვალეებში სისხლი მოაწვა, რევოლვერი ამოიღო და კაზინოს მინა და ჩარჩო ძირს დაუშვა.

Gözünü kapadı ◇ „თვალეები დახუჭა“ - *მოკვდა; ◇ დღე დაელია, სული განუტევა, სული დალია.

Babam gözünü kapadıktan sonra annem artık dünyayı görmez oldu.

მას შემდეგ, რაც მამანემმა თვალეები დახუჭა, დედანიემი დაბრმავდა.

Gözünü keser ◇ „თვალს ჭრის“ - *მოსწონს, იხიბლება.

Gözünü kesiyorsa, git, koşul bir dövene!

თვალს თუ გჭრის, წადი, შეეხები რომელიმე კვერში!

Gözünü yumar ◇ „თვალს ხუჭავს“ - *კვდება; ◇ ამ ქვეყნიდან მიდის.

- Acele etme! Ben **gözümü yumunca** bu kütüphane nasıl olsa, senin olacak.

- ნუ იჩქარებ! როცა თვალს დაეხუჭავ, ეს ბიბლიოთეკა, ასე თუ ისე, შენი იქნება.

Gözünün çapağını silmeden „წირპლის ამოუწმენდავად“ - *უთენია, გარიჟრაჟზე; ◇ მამლის ყვილზე.

Gözünün önünden geçti ◇ „თვალწინ ჩაუარა“ - *გაახსენდა, მოაგონდა; ◇ თვალწინ წარმოუდგა.

Gençliğim gözümün önünden geçti.

ჩემი ახალგაზრდობა თვალწინ წარმომიდგა.

Gözünün önünden gitmez ◇ „თვალიდან არ შორდება“ - *ვერ ივიწყებს; ◇ თვალწინ უდგას.

Onun yüzü gözümün önünden gitmiyor.

მისი სახე თვალიდან არ მშორდება.

Guguk gibi kaldı ◇ „გუგულივით დარჩა“ - *მარტო დარჩა, მარტო ცხოვრობს.

Gül gibi bakar „კარდივით უვლის“ - *კარგად უვლის, უფროთხილდება; ◇ თვალის ჩინივით უფროთხილდება, ცივ ნიავს არ აკარებს.

Çocuğuna gül gibi bakar.

ბავშვს თვალის ჩინივით უფროთხილდება.

Güme gider ◇ „ფუჭად მიდის“ - *უსარგებლოდ იხარჯება; ◇ წყალში იყრება.

Selim'in ticaretten falan anladığı yok. Benim verdiğim para da **güme gitti**.

სელიმს ვაჭრობისა არაფერი გაუგება. ჩემი მიცემული ფულიც წყალში ჩაიყარა.

Gün geldi ◇ „დღე მოვიდა“ - *დრო დადგა, დადგა უამი.

Gün gelip bakmışız ki, biz kendi hayatımızı yaşamamış, hep başkaları için yaşamışız.

დრო მოვიდა და დავინახეთ, რომ ჩვენი ცხოვრებით არ გვიცხოვრია, თურმე სულ სხვებისთვის ვცხოვრობდით.

Gün görmemiş ◇ „დღე არ უნახავს“ - *კარგი არაფერი უნახავს; ◇ ერთი კარგი დღე არ უნახავს.

Zavallı Leylâ evlendiğinden beri hiç gün görmedi.

საბრალო ლეილას გათხოვების შემდეგ ერთი [კარგი] დღეც არ უნახავს.

Gün görmüş ◇ „დღეები უნახავს“ - *კარგი, ბედნიერი ცხოვრება გაუტარებია; ◇ კარგი დღე უნახავს.

Zavallı çocuklar, biz yine epeyce gün gördük, fakat onlar hiç görmiycekler.

საბრალო ბავშვები, ჩვენ კიდევ გვინახავს კარგი დღეები, მაგრამ ისინი ვერასოდეს ნახავენ.

Gün ışığına vurur ◇ „დღის სინათლეზე გამოაქვს“ - *ააშკარავებს, ამხელს, გამოამწეურებს; ◇ საჯაროდ გამოაქვს.

Sonunda bütün oyunları gün ışığına çıkacak.

ბოლოს ყველა მათი ოინი დღის სინათლეზე გამოვა.

Gün yüzünü görür „დღის სახეს ნახავს“ - *დაიბეჭდება; ◇ დღის სინათლეს იხილავს.

Bir gün kitabımız acaba gün yüzüyü görecek mi?

ჩვენი წიგნი ოდესმე დღის სინათლეს იხილავს ნეტავ?

Gündüz külâhlı, gece silâhlı *sh.*: Gece silâhlı, gündüz külâhlı.

Güneşi doğdu *sh.*: Günü doğdu.

Günler günü kovalar ◇ „დღე დღეს მისდევს“ - *დრო მიდის.

Gece biter, gün doğar. Günler günü kovalar.

ღამე იღვევა, მზე ამოდის. დღეს დღე მიჰყვება.

Günleri sayar ◇ „დღეებს ითვლის“ - *სიკვდილის პირახაა; ◇ მისი დღეები დათვლილია.

Fehmi Bey'de kandilin yağı tükeniyor. Bence onun günleri artık sayılı.

ბატონ ფეთხის კანდელს სანთელი ელევა. ჩემი აზრით, მისი დღეები უკვე დათვლილია.

Günü geldi ◇ „დღე დაუდგა“ - *სიკვდილი მოუახლოვდა; ◇
აღსასრულის დღე დაუდგა, დრო მოუვიდა.

Günün adamı „დროების კაცი“ - *დროისა და ვითარების მიხედვით მოქმედი ადამიანი; ◇ მედროვე კაცი.
O, günün adamıdır, ne yapacağı belli olmaz.
ის მედროვე კაცია, რას მოიმოქმედებს, არავინ იცის.

Gününü doldurdu „თავისი დღეები აავსო“ - *საკმარისად იცხოვრა;
◇ თავისი დღეები გალია.
Doktor diyor ki dedem artık gününü doldürmüş, ümit yokmuş.
ექიმი ამბობს, რომ ბაბუქანემმა უკვე თავისი დღეები გალია, იმედი აღარაა.

Gününü gösterdi „დღე აჩვენა“ - *გაამწარა, ცუდ დღეში ჩააგდო; ◇
შავი დღე დააყარა, თავბედი აწყველინა.

Gürültüye papuç bırakır „ხმაურზე ფეხსაცმელს ტოვებს“ - *მხდალია, მშიშარაა; ◇ (შიშისაგან) მუხლები უკანკალებს.
Adnan öyle gürültüye papuç bırakan takımdan değildir. Onu korkutamazlar.
აღნანი ის კაცი არ არის, ვისაც ასეთ ხმაურზე მუხლები უკანკალებს. მას ვერ დააშინებენ.

Güvendiği dağlara kar yağdı „მთებზე, რომლის იმედად იყო, ჩამოთოვა“ - *(მათ შორის) ურთიერთობა გაფუჭდა, ნდობა დაიკარგა; ◇ (მათ შორის) ხიდი ჩატყდა, შავმა კატამ გაირბინა.
- Küçük hanım, güvendiğimiz dağlara kar yağıyor... Duydum ki elli lira verdiği için daha fazla bir firmaya geçiriyormuşsun!
- პატარა ქალბატონო, ჩვენ შორის ხიდი ტყდება. გავიგე, რომ 50 ლირის გამო სხვა ფირმაში გადასულხართ.

Habbesi kalmadı ◇ „(რისამე) მარცვალი არ დარჩა“ - *მთლიანად დამთავრდა, ამოიწურა, გამოილია.

Habbeyi kübbe yapar „მარცვალს გუმბათად აქცევს“ - *არაფრისგან რაღაცეებს იგონებს, უბრალო (უმნიშვნელო) რასმეს გააზვიადებს, ზედმეტად მოაჩვენებს; ◇ რწყილს აქლემად აქცევს.
- Sen böyle **habbeyi kuppe yapmakla** hayatı hem kendine hem de bize zehir ediyorsun.
ასე რწყილის აქლემად ქცევით შენც იწამლავ ცხოვრებას და ჩვენც გეწამლავ.

Haddini aşar ◇ „ზღვარს გადადის“ - *ამეტებს, აჭარბებს, ზომიერებას ვერ იცავს; ◇ ზღვარს სცილდება, საზღვარს გადადის.
Bu hafta ikinci sarhoş gecesi. Haddini aşmadı mı biraz?
ამ კვირაში უკვე მეორე ღამეა მოვრალი ხარ, ცოტა ზღვარს ხომ არ გადახვედი?

Haddini bildirir „ზღვარზე უთითებს“ - *ზომიერებაზე მიუთითებს, ჭკუას ასწავლის; ◇ თავის ადგილს მიუჩინს (ასწავლის).
Sabiha hanım, geline haddini bildirdi.
ქალბატონმა საბიჰამ პატარძალს თავისი ადგილი მიუჩინა.

Haddini bilir ◇ „(თავისი) ზღვარი იცის“ - *იცის, რისი გაკეთების უნარიც აქვს, იცის, რა უნდა აკეთოს; ◇ თავისი ადგილი იცის.
Haddini bilen adamdır, her söze karışmaz.
თავისი ადგილი იცის, ყველას ღაპარაკში არ ერევა.

Hafife alır „ეიოლება, მსუბუქად ეწვენება“ - *არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს, არაფრად აგდებს, უღირსად თვლის; ◇ აგდებულად უყურებს, აღმაცერად უყურებს, თვალში ეპატარავება.
Bu çocuğu hafife alma, okulu derece ile bitirmiş.
ამ ბავშვს ეგრე ნუ უყურებ, სკოლა თანრიგით დაამთავრა.

Hafta sekiz, gün dokuz burada „კვირაში რვაჯერ, დღეში ცხრაჯერ აქაა“ - *(სადმე) მომაბეზრებლად ხშირად დადის; ◇ კარს უტალახიანებს.

Bu adam artık sinirlerime dokunmağa başladı. **Hafta sekiz, gün dokuz burada. ...Bir daha gelirse ben evde yokum.**

ამ აღამიანმა უკვე ნერვები მომიშალა. კარებს მიტალახიანებს. კიდევ თუ მოვა, მე შინ არა ვარ.

Halep oradaysa arşın burada „ალექო¹ თუ იქ არის, არშინი აქაა“ - *ენახოთ, რასაც იხამ, რასაც გახდები; ვინ ვის აჯობებს; ◇ ეს ბურთი, ეს მოედანი.

Halep oradaysa arşın burada, başla da görelim.
ეს ბურთი, ეს მოედანი, დაიწყე და ვნახოთ.

Hali vakti yerinde „მისი მდგომარეობა და დრო ადგილზეა“ - *მდიდარია, შეძლებულია; ◇ ქვაცა აქვს და კაკალიც, სქელი ჯიბე აქვს.

- Necmi'nin hâli vakti yerinde. Kimin kızını isterse alabilir.

- ნეჯმის სქელი ჯიბე აქვს. ვის შეილსაც მოისურვებს, იმას შეირთავს.

Halkayı burnuna takar „რგოლს ცხვირში გაუყრის“ - *დაიმორჩილებს, დაიმონებს, თავის ჭკუაზე ატარებს; ◇ ხელში ჩაიგდებს (დაიჭერს), აღვირს ამოსდებს, უღელს დაადგამს.

Ayşe halkayı Ali'nin burnuna iyi takmış. Oğlanın sağa sola bakacak hâli yok!

აიშემ აღის მაგრად ამოსდო აღვირი. ბიჭს აქეთ-იქით გახედვის საშუალება არა აქვს!

Hamam namusunu kurtardı „აბანოს ნამუსი იხსნა“ - *შინაური უესიამოვნება არ გაამხილა; ◇ შარაზე არ გამოიტანა, ქვეყანას არ მოსდო, არ გაახმაურა.

Hangi akla hizmet ediyor? ◇ „რა ჭკუას ემსახურება?“ - *ხომ არ გასულელდა, ხომ არ გადაირია, რა ჭკუას ადგას? ◇ ჭკუა ხომ არ ეღრძო? ეგ რა ჭკუაა?

Çocuklarını okula göndermemekle hangi akla hizmet ediyorsun?

ბავშვებს სკოლაში რომ არ უშვებ, რა ჭკუას ემსახურები?

1. ქალაქი ხირიაში.

Hangi dağda kurt ölmüş „მგელი რომელ მთაში მომკვდარა?“ - **(მოულოდნელ და სახიხარულო ამბავზე)* ეს როგორ მოხდა? რა ხაოცარია! ◇ კედელს ნახშირი! ეს რას მივაწეროთ?
- **Hangi dağda kurt öldü?** Böyle kendi kendine oturmuş çalışıyorsun!
- კედელს ნახშირი, ასე შენით რომ დამჯდარხარ და მეცადინეობ!

Hangi rüzgâr attı? ◇ „რომელმა ქარმა გადმოაგდო?“ - **ასე მოულოდნელად საიდან გაინდა?* ◇ კედელს ნახშირი!
İki gözüm, seni böyle hangi rüzgâr attı burulara? İki senedir yüzünü görmemiştim.
ნემო თვალის სინათლევე, რომელმა ქარმა გადმოგაგდო აქეთ? ორი წელია, თვალით არ მინახიხარ.

Hangi taş pekse (katıysa), başını ona vur „რომელი ქვაც უფრო მაგარია, იმას ახალე თავი“ - **როგორც გინდა, ისე მოიქეცი, რაც გინდა, ისა ქენი;* ◇ თავში ქვა გიხლია, თავი ქვას ახალე, რომელ კედელსაც გინდა, თავი იმას ახალე, ახია შენზე.

Hangi taşı kaldırırsan, altından çıkar „რომელ ქვასაც ასწევ, ქვეშიდან ის გამოძერება, ყველა ქვის ქვეშ ისა ზის“ - * 1. ნებისმიერი საქმე ეხერხება; ◇ მარჯვე ხელი აქვს, ხელიდან ყველაფერი გამოსდის; 2. ყველანაირ საქმეს ხელს ჰკიდებს; ◇ ყველგან ეგაა, ყველგან მისი ხელია.
Her türlü çalışmayla ilgilenir, hangi taşı kaldırırsan altından çıkar.
ყველანაირი საქმით ინტერესდება, ყველგან ეგაა.

Hanya'dan Konya'dan haberi yok „არც ჰანიისა¹ გაუგება რამე, არც კონიისა²“ - **არაფერი გაუგება, სრულიად უვიცია;* ◇ ბაიბურში არ არის, ჭურში ზის, ანა-ბანა არ იცის.

Hapı yuttu „აბი გადაყლაპა“ - **მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, დაიღუპა;* ◇ ცუდ დღეში ჩავარდა, ყელზე დანა მიებჯინა.
- Eğer bu yazılı vazifeyi iki güne kadar bitiremezsen hapı yuttun demektir.
- ეს წერითი დავალება ორ დღეში თუ ვერ დაამთავრე, ცუდ დღეში ჩავარდები.

1. ქალაქი ხაბერმუსში.

2. ქალაქი თურქეთში.

Haral yer „ხარკს კამს“ - *სხვის ხარჯზე ცხოვრობს; ◇ სხვის ზურგზეა, სხვის კმაყოფაზეა.

Haritada yazılı „რუკაზე დაწერილი“ - *ბედისწერა, წინასწარ განსაზღვრული; ◇ შუბლზე რაც აწერია, მისი ბედიც ესა ყოფილა, ღმერთს ასე უნებებია, ღვთის ნება ესა ყოფილა, განგებას ასე განუსაზღვრავს.

Bunca felâketten sonra üstelik bir de evimiz yandı. Ne yapalım, **haritada bu da yazılmış!**

ამდენი უბედურების შემდეგ სახლიც დაგვეწვა. რას იზამ, თურმე ეს გვეწერა.

Haritadan sildi „რუკიდან ამოშალა“ - *დაივიწყა; ◇ სიიდან ამოშალა, გულიდან ამოირეცხა, გულიდან ამოიგდო, გულიდან ამოიფხიკა, გულიდან ამოიგლიჯა.

Ben Güner'i **haritadan sildim**. Artık adını bile duymak istemiyorum.

გუნერი გულიდან ამოვირეცხე. მისი სახელის გაგონებაც კი აღარ მინდა.

Havada kaldı ◇ „ჰაერში დარჩა“ - *ნათქვამი არ შესრულდა; ◇ ჰაერში ჩამოეკიდა.

Kimse desteklemeyince söylediklerim **havada kaldı**.

როდესაც მხარი არავინ დამიჭირა, ჩემი ნათქვამი ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

Havadan sudan konuştu „ამინდზე, წყალზე ისაუბრეს“ - *ეველაფერზე ისაუბრეს; ◇ ამ მთისა, იმ მთისა თქვეს.

Havadan sudan konuştuktan sonra Hoca bunun kim olduğunu öğrenmek istedi.

მას შემდეგ, რაც ამ მთისა და იმ მთისა თქვეს, ხოჯას მისი ვინაობის გაგება მოუწინდა.

Havanda su döver ◇ „ფილში წყალს ნაყავს“ - *ფუჭად, ამოდ ირჯება, ამოდ შრომიობს; ◇ წყალს ნაყავს, ცხრილით წყალს ეზიდება.

Bu vesikaları tasnif etmek **havanda su dövmeye benzer**.

ამ საბუთების დახარისხება წყლის ნაყვას ჰგავს.

Havaya gitti „ჰაერში წავიდა“ - *უხარგებლოდ დაიკარგა, დაიღუპა; ◇ წყალში ჩაიყარა.

Çalışmalarımız havaya gitti.
ჩვენი შრომა წყალში ჩაიყარა.

Havaya savurur „ჰაერში ანიავებს“ - *ფუელს ტყუილუბრალოდ ხარჯავს; ◇ ჰაერში ფანტავს.
O parayı havaya savurur.
ის ფუელს ჰაერში ფანტავს.

Havyar keser „ქვირიოს ჭრის“ - *უნაყოფოდ, უსარგებლოდ შრომობს; ◇ ბუზებს ითვლის, ნაცარს ქექავს.
Biz çalışıyoruz, sen havyar kesiyorsun, bu ne demektir?
ჩვენ ვმუშაობთ, შენ კი ბუზებს ითვლი, ეს რას ნიშნავს?

Hayat arkadaşı ◇ „ცხოვრების ამხანაგი (მეგობარი, თანამგზავრი)“ - *მეუღლე.
Kendisine iyi bir hayat arkadaşı seçti.
თავისთვის ცხოვრების კარგი მეგობარი აირჩია.

Hayata gözlerini kapadı „ცხოვრებას თვალები დაუხუჭა“ - *გარდაიცვალა; სული განუტევა, პირი იმ ქვეყნისაკენ ქნა, დღე დაეღია.

Hazıra konur ◇ „მზამზარეულზე ზის“ - *სხვის ხარჯზე ცხოვრობს.
Her işte hazıra konmak beceriyor.
ყველა საქმეში მზამზარეულზე ყოფნას ახერხებს.

Hedefe isabet eder ◇ „მიზანში ახვედრებს“ - *სათქმელს სუხტად ამბობს.

Helâl süt emmiş ◇ „ალალი რძე უწოვია“ - *სანდო პიროვნებაა, ალალმართალია, კეთილშობილია, უმწიკველია; ალალმართალი კაცია, ◇ ნამუსის ქუდი ხურებიან.
- Orhan'a binlerce lirayı emanet edebilirsin, helâl süt emmiştir.
- ორჰანს შეგიძლია ათასობით ლირა ანდო, ალალ-მართალი კაცია.

Hele şuna bak! ◇ „ერთი ამას დამიხედეთ!“ - *ეოსნად, თურმე რა შესძლებია.

Hem kaçar, hem davul çalar „თან გარბის, თან დოღს უკრავს“ - *რისამე გაკეთება კიდევ უნდა, კიდევ არა, ყოყმანობს; ◇ გული უკან ურჩება, გული ორად ეყოფა.
O her işte böyledir, **hem kaçar, hem davul çalar.**
ის ყველა საქმეში ასეა, გული ორად ეყოფა.

Hem suçlu, hem güçlü „თან დამნაშავეა, თან ძალაზეა“ - *თავს დამნაშავედ არ ცნობს; ◇ დიდ გულზეა.
- Herif **hem suçlu, hem güçlü!** Arabama arkadan çarpıp hem dünyanın zararını yaptı, hem yavaş gitmeseydin bu kaza olmayacaktı diyor.
- ეს კაცი რა დიდ გულზეა! ჩემ ავტომანქანას უკნიდან დაარტყა, დიდად დამაზარალა და თანაც ამბობს: ნელა რომ არ გეველო, ეს შეჯახება არ მოხდებოდაო.

Hem şamdan paklandı, hem pilav yağlandı „თან შანდალი გაიწმინდა, თან ფლავს ცხიმი მიეცა“ - *ორი საქმე ერთდოულად გაკეთდა; ◇ ორი კურდღელი ერთად დაიჭირა.

Her aşın kaşığı „ყველანაირი კერძის კოვზია“ - *ეხება თუ არ ეხება, ყველა საქმეში ერევა; ◇ ყველგან ცხვირს ყოფს, არამკითხე მოამბე.
Her aşın kaşığı olduğunu burada da gösterdi.
ყველგან რომ ცხვირს ჰყოფს, აქაც გამოამჟღავნა.

Her şeye burnunu sokar ◇ „ყველა საქმეში ცხვირს ყოფს“ - *ყველა საქმეში ერევა.

Her şeyi altüst etti ◇ „ყველაფერი თავდაყირა დააყენა“ - *ყველაფერი აურდაურიო.
Birdenbire, avuç içi kadar bir kâğıt, **her şeyi altüst etti.**
ხელისგულის ტოლა ერთმა ქალაქმა, უცებ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

Her şeyi gül gülistan görür „ყველაფერს ვარდის ბაღად (ვარდნარად) ხედავს“ - *ყველაფერი კარგად ეჩვენება; ◇ ყველაფერს ფერადი სათვალით უყურებს.

Her tarakta bezi var *ob.:* **Hangi taş kaldırısan altından çıkar 2).**

Her telden çalar „ყველა სიმზე უკრავს“ - *ყველას ჭკუაზე დადის; ◇ ყველას დაკრულზე ცეკვავს, ყველას მოერგება.
Ben öyle her telden çalan insanları pek sevmem.
ყველას დაკრულზე რომ ცეკვავენ ისეთები ადამიანი ძალზე არ მიყვარს.

Hesaba alır ◇ „ანგარიშში იღებს“ - *ითვალისწინებს, ყურადღებას აქცევს; ◇ ანგარიშს უწევს, მხედველობაში იღებს.
Bu durumu da hesaba almak gerekir.
ეს მდგომარეობაც მხედველობაშია მისაღები.

Hesaba katar *sh.*: Hesaba alır.

Hesabı keser ◇ „ანგარიშს წყვეტს“ - *ურთიერთობას წყვეტს; ◇ ანგარიშს ამთავრებს, საქმეს წყვეტს.
Onunla hesabı kesmenin zamanı geldi.
მასთან ურთიერთობის გაწყვეტის დრო დადგა.

Hesap sorar ◇ „ანგარიშს მოჰკითხავს“ - *თავისი საქციელისა და მოქმედების გამო პასუხს მოსთხოვს; ◇ პასუხს აგებინებს.
Bir gün senden de hesap sorarlar.
ერთ დღეს შენც პასუხს გაგებინებენ.

Hiç dolma yutar „ტოლმას არასდროს ელაპავს“ - *ადვილად არ ტყუუდება; ◇ ანკესზე არ წამოეგება, ვერ გააცურებს, ბადეში არ გაებმება, თვალს ვერ აუხვევ.

Hiç sayar ◇ „არაფრად თვლის“ - *მნიშვნელობას არ ანიჭებს, უგულებელყოფს; ◇ ანგარიშს არ უწევს, ანგარიშში არ აგდებს, ყურადღებასაც არ აქცევს.
Hasan babasının sözlerini hiç saydı.
ჰასანმა მამამისის სიტყვები არაფრად ჩააგდო.

Hop oturup hop kalkar „ჰოპ, წდება, ჰოპ, დგება“ - *გაბრაზებისაგან ადგილზე ვერ ჩერდება; ◇ ადგილს ვერ პოულობს.
Öfkesinden hop oturup hop kalkıyordu.
სიბრაზისაგან ადგილს ვერ პოულობდა.

Horoz akıllı „მამლის ჭკუისა“ - *ბატიტვინა, უჭკუო, სუფილი, ჩერჩეტი, ბენტერა; ◇ თავში ბზე უყრია, თავში ოფოფები ჰყავს;

თავში უქრის, თავში მწყერები ჰყავს.

Horozdan kaçar „მამალს გაურბის“ - *მშიშარაა, მხდალია, კურდღელივითაა; ◇ თავისი ჩრდილისა ეშინია.

Hoşafın yağı kesildi (Birinde) „კომპოტის ცხიმი აეჭრა“ - **(მოულოდნელი უსიამოვნებისაგან)* სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, შეწუხდა, საპასუხო სიტყვა ვეღარ მოუძებნა, დაიბნა, გაოგნდა, იმედი გადაეწურა; ◇ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.
- Çocuklar, işte şimdi hoşafın yağı kesildi. Benzinimiz bizi daha iki kilometre ya götürür ya götürmez.
- ბავშვებო, ახლა კი კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა! ბენზინი კიდევ ორ კილომეტრზე ან წაგვიყვანს, ან არა.

I

İciğünü ciciğünü sordu „ყველანაირი წვრილმანი გამოიკითხა“ - **ხედმიწევნით, საფუძვლიანად გაიგო, გამოიძია;* ◇ წვრილ-წვრილად გამოიკითხა, თავიდან ბოლომდე გამოიკითხა.
İşin bu kadar ıciğünü ciciğünü sorma! Pazar günü dâvetliyiz, o kadar...
ამ საქმის შესახებ ასე წვრილ-წვრილად ნუ მკითხავ! კვირას მიწვეულები ვართ, სულ ეს არის.

Irgat pazarında döndü „(იქაურობა) დღიური მუშების ბირჟად იქცა“ - **დიდი არეულ-დარეულობა შეიქნა;* ◇ აირია მონასტერი, თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო - თავს, ძაღლი პატრონს ვერა ცნობს.

Irmakları düzene soktu „მათი მდინარე წენარ დინებას შეუერთდა“ - **სამშვიდობოს გავიდნენ, საფრთხე უკან მოიტოვეს, გადარჩნენ,* ეშველათ; ◇ ფონს გავიდნენ.

Isıtıp ısıtıp önüne koyar „(ერთსა და იმავე კერძს) შეათბობს და წინ უდებს“ - **მომაბეზრებლად (შემაწუხებლად) იქცევა, აწუხებს;* ◇ ძველ ლათაიებს უყვება, ძველ ზღაპრებს უყვება, თავს აბეზრებს, გულს უწუხებს.

Yaptığı yanlışlığı ısıtıp ısıtıp önüne koyarak arkadaşını küstürdü.

წავა, წამოვა და თავის შეცდომებზე თავიდან ყვება. ამხანაგს გული გაუწყალა.

Iskartaya çıkarır „სედმეტ კარტებში ისერის“ - *ივიწყებს, ჩამოწერს, უვარგისად თვლის; ◇ გვერდზე გადადებს, განზე გადადებს, სანაგვეზე გადაუძახებს.

Senin araban miadını doldurmuş, sen bunu artık **ıskartaya çıkabilirsin!**

შენს ავტომანქანას ყაველი გაუვიდა, შეგიძლია სანაგვეზე გადაუძახო.

Işığı gösterir ◇ „სინათლეს უჩვენებს“ - *გეზს, მიმართულებას აძლევს; ◇ გზას უნათებს, გზას უკვალავს (უკაფავს).

Başarılarına arkadaşları **ışık gösterdi.**

წარმატებისკენ გზა თავისმა ამხანაგებმა გაუკაფეს.

i

İbiği düştü „ბიბილო ჩამოუვარდა“ - *დამორჩილდა, დანებდა, წინააღმდეგობა შეწყვიტა; ◇ ქედი მოხარა (მოიღრიკა), თავი დახარა, ხელები ასწია.

Müdürle yaptığı hususi konuşmadan sonra Hüseyin'in **ibiği düştü.** Eskisi gibi böbürlenemiyor.

დირექტორთან შემდგარი კონფიდენციალური საუბრის შემდეგ პუსეინმა ქედი მოხარა. ძველებურად აღარ მედიდურობს.

İç tırmalayan „გულის დამკაწვრელი“ - *დამტანჯველი, დამაღონებელი, შემაწუხებელი; ◇ გულის მომკვლელი (დამთუთქველი).

İçim tırmalayan bir haberi duydum.

გულის მომკვლელი ამბავი გავიგე.

İçe bakış ◇ „გულში ჩახედვა“ - *(სხვის) გრძნობა-განცდათა შეცნობა, გაგება; ◇ გულის სიღრმეში ჩაწვდომა, სულის სიღრმეში ჩაწვდომა.

Başkanın **içine bakış çok zordur.**

სხვის გულში ჩახედვა ძალიან ძნელია.

İçi açıldı ◇ „გული გაეხსნა“ - *გამხიარულდა, გაერთო.

Arkadaşlarını görünce **içi açıldı.**

ამხანაგების დანახვაზე გული გაეხსნა.

İçi bayılır ◇ „(შიმშილისაგან) გული მისდის“ - *ძალიან შია.

İçim bayılıyor, kuru da olsa bana bir dilim ekmek ver!

- გული მიმდის, თუნდაც გამხმარი იყოს, ერთი ნატეხი პური მომეცი.

İçi cız etti ◇ „გულმა რეჩხი უყო“ - *აღელდა, აფორიაქდა, შეკრთა;

◇ გული შეუკრთა (აუტოკდა), გული გადაუქანდა.

İçi çeker ◇ „გული მიუწევს“ - *სურს, მოსწონს.

Ahmed'in içi her zaman ona çekiyordu.

აჰმედს გული ყოველთვის მისკენ მიუწევდა.

İçi çirkin ◇ „მახინჯი სულისა“ - *ბოროტი, ავის მზრახველი,

გულბოროტი; ◇ სულით მახინჯი, ბოროტი გულისა.

İçi dar „ვიწრო სულისა“ - *მოუთმენელი, სულწასული, სულსწრაფი;

◇ სული ცხვირში უზის.

- **İçi dar** adamsın, ne oluyorsun? Saat üçte telefon edeceklerini söylediler, daha saat henüz bir.

- სული ცხვირში გიზის, რა გჭირს, თქვეს, რომ სამ საათზე დარეკავენ, ჯერ მხოლოდ პირველია.

İçi dışı bir „მისი შიგნითა და გარეთა ერთია“ - *გულახდილი,

აღაღ-მართალი, რასაც ამბობს ეგაა, გულდია; ◇ რაც შიგნითაა, ის - გარეთ, მისი სიტყვა და საქმე ერთია, წმინდა წყლის ადამიანია.

Gizlisi saklısı yoktur, **İçi dışı bir** insandır.

დაფარული და საიდუმლო არაფერი აქვს, რაც შიგნითაა, ის - გარეთ.

İçi erir ◇ „გული უდნება“ - *ძლიერ წუხს, იტანჯება; ◇ გული

უწვრილდება, გული ეკუმშება.

Durumuna baktıkça **içim eriyordu.**

მის მდგომარეობას რომ ვუყურებდი, გული მეკუმშებოდა.

İçi gider ◇ „სული მისდის“ - *დიდი სურვილი აქვს, ძალიან უნდა;

◇ სული ელევა.

Şu kıza **içim gider**, bir yolunu bulsam da tanışsam.

- ამ გოგონაზე სული მიმდის, როგორმე უნდა გავიცნო.

- İçi götürmez** ◇ „მისი გული ვერ იტანს“ - *ვერ უძლებს, ვერ ითმენს.
Onu bu halde bırakmayı içim götürmez.
მის ასეთ მდგომარეობაში მიტოვებას ჩემი გული ვერ იტანს.
- İçi güler** ◇ „გული უცინის“ - *ჩემად, სხვისგან შეუმჩნეველად ხარობს; ◇ გული უხარის.
- İçi hop etti** ◇ „გული შეუქანდა [კადაუქანდა]“ - *შეეშინდა, შეკრთა;
◇ გული შეუკრთა, გული აუფანცქალდა, გული აუჩქარდა, გულმა რეჩხი უყო.
Onu gördüğümde içim hop etti.
მის დანახვაზე გული გადამიქანდა.
- İçi içine sığmaz** ◇ „გული საგულეში არ ეტევა“ - *ხარობს, დაფრინავეს; ◇ მეცხრე ცაზეა, ფრთებს შლის.
Bugün nişanlısı geliyormuş, Mehmed'in içi içine sığmıyor.
დღეს თურმე დანიშნული მოხდის, მეჩემდს გული საგულეში არ ეტევა.
- İçi içini yer** ◇ „გულს იჭამს“ - *მწარედ ნანობს, დარდობს; ◇ ხორცებს იგლეჯს, გულზე ხელებს იცემს, კბილებს იმტკრევს, თავისი ემართება.
Suzan bugün otomobille yapayalnız Ankaraya gitti. Telefon edinceye kadar içim içimi yedi.
სუზანი დღეს ავტომობილით ანკარაში მარტო წავიდა. ვიდრე დარეკავდა, ჩემი დამემართა.
- İçi kapanır** *oh:* İçî kararır.
- İçi kara** ◇ „შავი გულისა“ - *ავი, ავსული, ბოროტი, გულბოროტი;
◇ ბოროტი გულის პატრონი.
Onun içi kara olduğundan dolayı bu iş bozuldu.
ბოროტი გულისა რომ არის, ეს საქმე იმიტომ ჩაიშალა.
- İçi kararır** „გული უშავდება“ - *წუხს, დარდობს; ◇ გული უძძიმდება, გული ეკუმშება, გული უწუხს.
- İçi paralanır** ◇ „გული ეფლითება“ - *წუხს, იტანჯება; ◇ გული უკვდება (ეწიწკნება), გული ეთუთქება (ედაგება).
- Geçmiş günlerimi bana hatırlatma, içim paralanır.

- წარსულ დღეებს ნუ მომაგონებ, გული მიკედება.

İçi sıkılır ◇ „გული ეკუმშება“ - *წუხს, მოსვენება ეკარგება; ◇ გული უწვრილდება, გული უწყალდება, გული უწუხს.
Sekiz saattir trendeyim. Tren boş ve neşesiz. **İçim sıkılıyor.**
რვა საათია, რაც მატარებელში ვარ. მატარებელი ცარიელი და მოსაწყენია. გული მიწუხს.

İçi sızlar ◇ „გული ეწიწკნება“ - *წუხს, დარდობს, ნადვლობს; ◇ გული უტირის (ეფლითება), გული სტკივა, გული სწყდება.
Neriman' in bir başkasıyla evlendiğini duyunca **içim sızladı.**
როდესაც გავიგე, რომ ნერიმანი ვიღაც სხვაზე დაქორწინდა, გული ჩამწყდა.

İçi titrer ◇ „გული უკანკალებს“ - *მოთმინება ეკარგება, ძალიან უნდა; ◇ სული (გული) მისდის, კბილები უკაწკაწებს.
Şu yüzüğe **içim titriyor**, amma bu kadar çok param yok.
ამ ბეჭეტზე სული მიმდის, მაგრამ ამდენი ფული არა მაქვს.

İçi üzüdür ◇ „გული უწუხს“ - *წუხს, განიცდის.

İçi yandı ◇ „გული დაეწვა“ - *შეწუხდა, დადარდიანდა; ◇ გული დაეთუთქა.
Derdinizi anlayınca **içim yandı.**
როდესაც თქვენი დარდი გავიგე, გული დამეწვა.

İçinden geçirir ◇ „გულში გაივლებს“ - *გაიფიქრებს, განიზრახავს.
Problemin böyle de çözülebileceğini **içinden geçirmiş.**
გულში გაივლო, რომ პრობლემის გადაწყვეტა ასეც შეიძლებოდა.

İçinden gelir ◇ „გულიდან ამოსდის“ - *დიდი სურვილით, ინტერესით აკეთებს; ◇ გულით აკეთებს.
- Canım, içki paralarını dün de sen ödedin, bugün olmaz artık!
- Yok, yok, müsaade et, **içimden geldi**, gene ben vereceğim!
- ჩემო კარგო, სასმელის ფული გუშინაც შენ გადაიხადე, დღეს უკვე აღარ შეიძლება!
- არა, არა, გულით გავაკეთე, ნება მომეცი, ამჯერადაც მე გადავიხადო.

İçinden kan gider „გულიდან სისხლი სდის“ - *ღელავს, წუხს, ჯავრობს, შფოთავს; ◇ გულზე სისხლი ენთხევა, გულზე ცეცხლი ეკიდება.

Belli etmemeye çalıştım, ama içimden kan gidiyordu.

შევეცადე არ შემტყობოდა, მაგრამ გულზე ცეცხლი მეკიდებოდა.

İçinden konuşur ◇ „გულში ლაპარაკობს“ - *თავისთვის ფიქრობს; ◇ გულში გაივლებს.

O hepsine içinden: “yarın her şeyi görürsünüz” derken dışarıya çıktı.

„ხვალ ყველაფერს ნახავთ“-ო, ყველას მისამართით გულში გაივლო და გარეთ გავიდა.

İçinden pazarlıklı ◇ „ვაჭრული სულია“ - *ვერაგი, ცბიერი, სულგაყიდული, ორგული, მოღალატე; ◇ სულით ბოროტი.

İçinden söküp attı ◇ „გულიდან ამოიგლიჯა და გადააგდო“ - *დაივიწყა, შეიძულა; ◇ გულიდან ამოიგდო, გულიდან ამოირეცხა, გულიდან ამოიფხიკა.

Bu hadiseden sonra onu içinden söküp attı.

ამ შემთხვევის შემდეგ ის გულიდან ამოირეცხა.

İçine atar ◇ „გულში ჩაიდებს“ - *საიდუმლოდ შეინახავს, დაფარავს, არ გაამხელს; ◇ გულში ჩაიმარხავს, გულში შეინახავს.

Ali, karısı ne yaparsa yapsın hepsini içine atıyordu, ama sonundan korkuyordu.

ალი მეუღლის ყველა საქციელს გულში იმარხავდა, მაგრამ დასასრულისა ეშინოდა.

İçine ateş düştü ◇ „გულში ცეცხლი ჩაუვარდა“ - *გამწარდა, შეწუხდა, დიდ საგონებელში ჩავარდა; ◇ გულში ცეცხლი დაუტრიალდა, გულზე ცეცხლი მოეკიდა (მოედო), გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი დაუტრიალდა.

Kardeşinin durumuyla içine ateş düşmüştü.

ძმის მდგომარეობით გულზე ცეცხლი მოედო.

İçine doğar „გულში ებადება (უჩნდება)“ - *წინასწარ გრძნობს; ◇ გული უგრძნობს (უთქვამს), გული ეუბნება, გული ჰკარნახობს.

Bu kaza sabahtan içime doğmuştu. Sana “otomobille gitmiyelim” dedim.

ეს კატასტროფა გულმა დილიდანვე მიგრძნო. „მანქანით ნუ წავალთ-მეთქი, ვთქვი“.

İçine dokundu ◇ „გულზე მოხვდა“ - *აფორიაქდა, დადარდიანდა, შეწუხდა.

Onun dedikleri içine dokundu.

მისი ნათქვამი გულზე მოხვდა.

İçine işledi *ob.*: **İçine dokundu.**

İçini açar ◇ „გულს გადაშლის“ - *თვის ფიქრებს გაამხელს.

O bana içini açtı.

მან გული გადამიშალა.

İçini boşaltır ◇ „გულს დაიცლის“ - *თავის სადარდებელს სხვას ეტყვის და ამით დაწყნარდება, დამშვიდდება, შვებას იგრძნობს;
◇ გულს დაღვრის, გულს შეიმსუბუქებს.

Dertlerimi ona söyleyip içimi boşalttım.

ჩემი სადარდებელი მას ვუამბუ და გული დავიცალე.

İçini çekti ◇ „გული აუტოკა“ - *(მასში) რაღაც გრძნობა გამოიწვია;

◇ გული აუჩქროლა.

O yeşil gözlü kız içini çekti.

იმ მწვანეთვალება გოგონამ გული აუჩქროლა.

İçini döktü „გული დაღვარა“ - *გულისნადები გაამხილა (გაამქლავნა); ◇ გული გადაშალა.

İçini kemirir ◇ „გულს უღრღნის“ - *აწუხებს, მოსვენებას უკარგავს;
◇ გულს სტკენს, გულს უწიწკნის.

İçini (bir) kurt yer „გულს რაღაც ჭია უღრღნის“ - *რაღაც დარდი, ნაღველი მოსვენებას არ აძლევს; ◇ გულს რაღაც უღრღნის.

Kocasından şüphelenen Ayşe'nin içini aylardır bir kurt kemiriyor.

მეუღლეზე დაეჭვიანებულ აიშეს უკვე თვეებია, რაღაც ჭია გულს უღრღნის.

İçini okur „მის სულს კითხულობს“ - *მის გრძნობა-განცდას იგებს, თანაგრძნობას უწევს; ◇ მის გულში იხედება, მის სულში იხედება.

Yavrularım, biraz içimi de okurunuz.

შვილებო, ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედეთ.

İçini yer ◇ „გულს უჭამს“ - *ნერვებს უშლის, აწუხებს, თავს აბეზრებს; ◇ გულს უწუხებს, გულს უწყალებს, ტვინს უჭამს.
Ahmet o gün bu kaygı ile Kerim'in içini yedi.
აჰმედმა იმ დღეს ამდენი ზრუნვით ქერიმს თავი მოაბეზრა.

İçinin yağı erir „გულის ცხიმი უდნება“ - *წუხს, დარდობს; ◇ გული უწვრილდება (ელევა), გული უკვდება.
Babamın böyle her gün biraz daha çöktüğünü gördükçe içimin yağı eriyor.
როდესაც ვხედავ, რომ მამანემი დღითიდღე უძლურდება, გული მიკვდება.

İçten gelen ◇ „გულიდან ამოსული“ - *მართალი, წრფელი, გულწრფელი (ნათქვამი); ◇ გულიდან ამონახეთქი, გულით ნათქვამი.

İçtikleri su ayırır gitmez „მათი სასმელი წყალი ცალ-ცალკე არ მიუდინება“ - *განუერული მეგობრები არიან, ყოველთვის ერთად არიან; ◇ ერთად ჭამენ, ერთად სვამენ, ლუკმა გაყოფილი არა აქვთ, გულისსწორები არიან.
İkisinin içtiği su ayır gitmiyordu.
ამ ორს ლუკმა გაყოფილი არ ჰქონდა.

İfrit oldu „დემონად იქცა“ - *გაბოროტდა, გაცოფდა, გააფთრდა; ◇ ცოფები ყარა, თვალებიდან ცეცხლი ყარა, გიჟად იქცა.
Davranışlarına ifrit oldum.
იმათ საქციელზე გიჟად ვიქცევი.

İğne atsan yere düşmez ◇ „ნემსი რომ გადააგდო მიწაზე არ დაეცემა“ - *ხალხმრავლობაა, ჭედვია; ◇ ნემსი არ ჩავარდება.
Toplantıda öylesine kalabalık vardı ki, iğne atsan yere düşmezdi.
კრებაზე ისეთი ხალხმრავლობა იყო, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა.

İğne deliğinden Hindistan'ı gösteren „ნემსის ყუნწიდან ინდოეთის მანვენებელი“ - *თაღლითი, გაქნილი, ცბიერი, მატყუარა; ◇ თეთრს შავად მოგაჩვენებს და შავს-თეთრად, ჯიბიდან გავარდნილი, ცხრა თოკში გამძვრალი.
Senin ticarete pek tecrüben yok. Sakın, bu adamlarla işe girme! Onlar sana iğne deliğinden Hindistan'ı gösteren takımından...
ვაჭრობაში დიდი გამოცდილება არა გაქვს. ფროხილად! ამ

ადამიანებთან საქმეში ნუ გაერევი! ისინი ისეთი ჯიბიდან გაეარდნილები არიან, რომ შენ...

İğne deliğine kaçar ◇ „ნემსის ყუნწში ძვრება“ - *(მიწის მისაღწევად) ყოველ ღონეს მიმართავს, არაფერს ერიდება.

O iğne deliğine kaçıp öyle yaşıyordu.

ის ნემსის ყუნწში ძვრებოდა და ისე ცხოვრობდა.

İğne ile kuyu kazar „ნემსით ჭას თხრის“ - *ძნელ საქმეს ეჭიდება, შეუძლებელს აკეთებს; ◇ მთას ეჭიდება.

İğne ipliğe döndü „ნემსად და ძაფად იქცა“ - *ძალიან გახდა, დასუსტდა, ჩამოხმა; ◇ კისერი გაწყვეტაზე აქვს, ცარიელი ძვალი და ტყავია, კანი ხერხემალს ეკვრის, ყურებში ლანდი გახდის.

Bu hastalık yüzünden iğne ipliğe döndüm. Bakalım ne zaman düzelebileceğim.

ამ ავადმყოფობის გამო ძვალი და ტყავი გავხდი, ვნახოთ როდის შევძლებ მომჯობინებას.

İğne üstünde oturuyor ◇ „ნემსზე ზის“ - *მოუსვენრადაა, მოთმინება არ ჰყოფნის; ◇ ეკლებზე ზის.

Naciye aramızda bulunduğu müddette hep diken üstünde oturdum.

Çünkü onun patavatsızlığı mâlûm!

რაც ხანი ნაჯიე ჩვენთან იყო, ეკლებზე ვიჯექი, ვინაიდან მისი უტაქტობა ცნობილია.

İğne yutmuş köpeğe döndü „ნემსგადაყლაპულ ძაღლს დაემსგავსა“ -

*გახდა, გაძვალტყავდა, ღონე გამოეცალა; ◇ კატის ნათრევს ჰგავს, კისერი გაწყვეტაზე აქვს, ყბა ყბაში გახდის, მუცელი ხერხემალს მიჰკვრია.

O, hapisten çıktığında iğne yutmuş köpeğe dönmüştü.

როდესაც ციხიდან გამოვიდა, კისერი გაწყვეტაზე ჰქონდა.

İğneden ipliğe kadar „ნემსიდან ძაფამდე“ - *დაწვრილებით, ძირისძირობამდე; ◇ თავიდან ბოლომდე, კუნჭულ-კუნჭულ.

Sandık, sepet, bavul, çekmece, dolap, ne varsa, iğneden ipliğe kadar aradım.

სკივრი, კალათა, ჩემოდანი, უჯრა, კარადა - რაც კი იყო, ყველაფერი ძირისძირობამდე გადაეწვრიკე.

İki ahbap çavuşlar „ორი მეგობარი სერჟანტი“ - *განუყრელი მეგობრები; ◇ გადასკენილები დადიან.
Her yerde iki ahbap çavuşlar gibi giderler.
ყველგან გადასკენილები დადიან.

İki ateş arasına düştü ◇ „ორ ცეცხლს შუა ჩავარდა“ - *ძნელ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა; ◇ ორ წყალს შუა მოექცა.
İki ateş arasına düştü. Ne yapacağını bilmiyordu.
ორ ცეცხლს შუა ჩავარდა. როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა.

İki cami arasında kalmış beynamaz „ორ მეჩეთს შორის უნამა'სოდ¹ დარჩა“ - ◇ თავგზა (გზა-კვალ) არეული (აბნეული), დავთრები არეული აქვს.
Sorular karşısında iki cami arasında kalmış beynamaza döndük.
პრობლემების წინაშე თავგზა აგვებნა.

İki göz arasında „ორ თვალს შორის“ - *სწრაფად, უეცრად; ◇ თვალის დახამხამებაში, თვალსა და ხელს შუა.
Her şey iki göz arasında oldu.
ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

İki gözü iki çeşme „მისი ორი თვალი, ორი წყარო“ - *ცხარე ცრემლებით ტირის; ◇ ცრემლად იღვრება, ცრემლის ღვარი გადმოსდის.
Pehlivan Rüstem'e bir bavul hazırladılar. Karısının, anasının iki gözü iki çeşme...
ვალავან რუსთემს ჩემოდანი გაუმზადეს. მეუღლე და დედამისი ცრემლად იღვრებოდნენ.

İki gözüm „ჩემო ორო თვალო!“ - *ჩემო ძვირფასო, ჩემო სიკოცხლეკი; ◇ ჩემო თვალის სინათლე (ჩინო)!
İki gözüm, niçin üzülüyorsun?
ჩემო თვალის სინათლე, რაზედ მოგიწყენია?

1. მუსლიმოა ლოცვა.

İki kere iki dört eder gibi ◇ „ისე, როგორც ორჯერ ორი ოთხია“ - *აშკარაა, უეჭველია, ცხადია, უდავოა, ნამდვილია; ◇ დღესათნათელია, წყალი არ გაუვა.

O gece onu bize elbette geleceğinden iki kere iki dört eder gibi emin idim. Amma...

იმ საღამოს ჩვენთან რომ მოვიდოდა, ისე ვიყავი დარწმუნებული, როგორც ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ...

İleri geri konuşur ◇ „წაღმა-უკუღმა ლაპარაკობს“ - *ეაზროდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს, რომაეს, აყრანტალებს; ◇ აბღაუბდას ლაპარაკობს.

Sen her yerde ileri geri konuşma! Sonra başımıza büyük işler açacaksın!

შენ ყველგან წაღმა-უკუღმა ნუ ლაპარაკობ, შემდეგ თავსატეხს გაგვიჩენ.

İleri gitti „წინ წავიდა“ - *(სიტყვას, მოქმედებას) გადააჭარბა, გადაამეტა; ◇ შორს შეტოვა, საზღვარს გადასცილდა.

Fazla ileri gidince uyarmak zorunda kaldık.

როდესაც შორს შეტოვა, იძულებული გავეხდით, გაგვეფრთხილებინა.

İliğini kuruttu „ძვლის ტვინი გაუხმო“ - *გააწამა, გაამწარა, დატანჯა, შეავიწროვა, დაახრწო; ◇ ტვინი ამოსჭამა, სისხლი გაუშრო, სული ამოჰხადა.

Kaç yıldır tüm ailenin iliğini kuruttun.

რამდენი წელია, რაც ოჯახს სისხლი გაუშრე.

İlk göz ağrısı „თვალის პირველი ტკივილი“ - *პირველი ხიყვარული.

Nermin benim ilk göz ağrımıdır. Kendisini bir türlü unutamıyorum.

ნერმინი ჩემი პირველი ხიყვარულია. მას ვერაფრით ვივიწყებ.

İn cin top oynuyor „ემშაკები ბურთს თამაშობენ“ - *უკაცრიელი ადგილია; ◇ კაცის ჭაჭანება არაა.

İncileri saçar ◇ „მარგალიტებს აბნევს“ - *ღამაზ, მომხიბვლელ სიტყვებს ამბობს.

Ağzından incileri saçar.

პირიდან მარგალიტებს აბნევს.

İncir çekirdeğini doldurmaz „ლეღვის თესლს არ აავსებს“ - *ძალზე უმნიშვნელოა, პაწაწინაა, იოტისოდენაა; ◇ ბეწვის ოდენაა, ერთი ბეწოა.

Birçok ölümler olmuştu. Hepsi **incir çekirdeğini doldurmayacak** ufak, pek ufak sebeplere dayanıyordu.

ბევრი მკვლელობა მომხდარა. ყველა მათგანი ერთ ბეწო მიზეზს ეყრდნობოდა.

İpe un serir „თოკზე ფქვილს ფენს“ - *განზრახ რაიმეს იმიზეზებს;

◇ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

Bu söylediğin mâzeret değil. Seninki **ipe un sermek**.

შენს ნათქვამს გამართლება არა აქვს. მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

İpi kırır *იხ.*: **İpi koparır**.

İpi koparır „თოკს გაწყვეტს“ - *ურთიერთობას შეწყვეტს; ◇ ზურგს შეაქცევს.

Patronu ona kızıp **ipi kopardı**.

უფროსი მასზე გაბრაზდა და ზურგი შეაქცია.

İpin ucu elinde „თოკის ბოლო მის ხელშია“ - *ბატონობს, უფროსობს, მართავს; ◇ სადავეები ხელში უჭირავს.

İpinin ucu başka birinin elinde olunca sesini çıkaramadı.

როდესაც სადავეები სხვის ხელში აღმოჩნდა, ხმა ვეღარ ამოიღო.

İpin ucunu kaçırdı *ყამილ*. „თოკის ბოლო გაექცა“ - *ზღვარს გადააჭარბა და გამოუვალ, სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა, შეტოვა; ◇ ჩიხში აღმოჩნდა (მოემწყვდია), გზები მოეჭრა, მოუკრეფავში გადავიდა.

Babam şu evi yaptırmakla **ipin ucunu kaçırdı**. Şimdi bütçesini bir türlü yoluna koyamadı.

მამაჩემი ამ სახლის აშენებით ჩიხში აღმოჩნდა. ახლა ბიუჯეტის საქმე ვერაფრით ააწყო.

İpiyle kuyuya inilmez „მისი თოკით ჭაში არ ჩაისვლება“ - *არასანდო პიროვნებაა, მის იმედად ყოფნა არ შეიძლება; ◇ მასზე დაყრდნობა არ შეიძლება, მას ვერ დაენდობი.

Bu işi Fuad'a vermeni tavsiye etmem. Onun **ipiyle kuyuya inilmez**.

მე არ გირჩევ, რომ ეს საქმე ფუადს გადასცე. მასზე დაყრდნობა არ შეიძლება.

İpten kuşak kuşandı „თოკის ქამარი შემოირტყა“ - *გაღარიბდა, გაღატაკდა; ◇ თითზე გადასახვევი ძაფიც არ გააჩნია.

İsteddiği gibi at koşturur „ცხენს ისე მიაჭენებს, როგორც უნდა“ - *თავნებობს, თავის ჭკუაზე დადის; ◇ თავისას მიერეკება, თავისას არ იშლის.

Ben neyi söylerim, o gene istediği gibi at koşturur.

მე რას ვუკუბნები და ის კიდევ თავისას მიერეკება.

İş başına düştü „საქმე თავზე დაატყდა“ - *ყველა საქმე მისი გასაკეთებელი შეიქნა; ◇ ყველა საქმე მას დააწვა კისერზე.

Her iş başına düşünce, katlanmak zorunda kaldım.

როდესაც ყველა საქმე მას დააწვა კისერზე, იძულებული გახდი ჩავრეულიყავი.

İş işten geçti „საქმე საქმიდან გავიდა“ - *მარცხი განიცადა; ◇ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

Neriman en nihayet Cemal'le evlenmeye razı oldu. Ama iş işten geçti.

Cemal iki aydır, Suzan'la evli.

ნერიმინი, როგორც იქნა, ჯემალზე გათხოვებას დათანხმდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ჯემალი უკვე ორი თვეა, სუზანზე დაქორწინდა.

İşe daldı ◇ „საქმეში ჩაეფლო“ - *საქმეს დიდი ყურადღებით და მონღომებით შეუღვა.

Nermin işe dalış derdini unuttu.

ნერმინი საქმეში ჩაეფლო და დარდი დაივიწყა.

İşi başından açar ◇ „საქმე თავზე გადასდის“ - *ბევრი საქმე აქვს; ◇ საქმე თავზე საყრელი აქვს.

Ona bugün gidip rahatsız etme! Esasen işi başından açar.

დღეს მასთან ნუ წახვალ და ნუ შეაწუხებ! თავზე საყრელი საქმე აქვს.

İşi pişirdi „საქმე მოაგვარა“ - *საიდუმლოდ მოელაპარაკა, შეუთანხმდა; ◇ საქმე ჩააწყო.

Reşide'yle Necdat bütün yaz aramızdaydılar. Ama hiç birimiz onların

işini pişirdiklerinin farkına varmadık.

რემიდი და ნუჯდათი მთელი ზაფხული ნუნთან იყვნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ მიუხვდით, რომ საქმე ჩაწყობილი ჰქონდათ.

İşin elifini bile bilmiyor „საქმის აღუფიც კი არ გაეგება“ - *საქმის არაფერი გაეგება, უვიცია; ◇ საქმის ანა-ბანა არ გაეგება, საქმის აზრზე არ არის, ინჩი-ბინჩი არ გაეგება.

Daha işin elifini bile bilmeden işe karıştın ve her şeyi berbat ettin.

საქმეში ისე გაერიე, რომ მისი ანა-ბანაც კი არ გაეგება და ყველაფერი გააფუჭე.

İşin içinde iş var „საქმეში საქმეა“ - *აქ რაღაცაშია საქმე, ამში რაღაც საიდუმლოა; ◇ აქ რაღაც იმალება, ძაღლის თავი აქ მარხია.

İşini açtı „თავისი საქმე გახსნა“ - *თავის თავს სიძნელეები შეუქმნა, პრობლემები გაიწინა; ◇ საქმე გაირთულა (გაიჭირვა), აუტიკივარი თავი აიტიკივა.

İşkembesini düşünür ფამილ. „თავის ფაშვზე ფიქრობს“ - *მხოლოდ ჭამაზე, გაძღობაზე ფიქრობს; ◇ მხოლოდ თავის კუჭზე ფიქრობს, მხოლოდ თავის მუცელზე ფიქრობს.

İşkembesini şişirdi ფამილ. „ფაშვი გაიხივა“ - *უსომოდ ბევრი ჭამა, გასკდა; ◇ მუცელი გასკდომაზე გაიხადა, ჭამით გასკდა, მუცელი ამოიყორა.

İşleri çevirdi ◇ „საქმეები დაატრიალა“ - *ძნელი საქმეები აკეთა.
Öyle işler çeviriyor ki âdeta harika denebilir.
ისეთ საქმეებს ატრიალებს, რომ ჩამდვილად სასწაული ეთქმის.

İşte parmağı var „საქმეში მისი თითია“ - *საქმეში მონაწილეობს; ◇ მისი ხელი ურევია.

Hizmetçilerden birinin bu işte muhakkak parmağı olmalı! Yoksa hırsız paranın yerini böyle tastamam nasıl bilebilirdi?

ამ საქმეში ერთ-ერთი მოსამსახურის ხელი უნდა ერიოს, არა და, ქურდს ასე ზუსტად საიდან შეუძლო ცოდნოდა, ფულის ადგილი?

İt izi at izine karışır „ძაღლის კვალი ცხენის კვალში ირევა“ - *დიდი არეულ-დარეულობაა; ◇ თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო

თავსა, ძაღლი პარტონს ვერა ცნობს, ერთი ალთას, მეორე ბალთას, აირია მონასტერი.

İyi gözle bakmaz ◇ „კარგი თვალით არ უყურებს“ - *(რისამე შესახებ) კარგს არ ფიქრობს, არ მოსწონს, რაღაც ვუღს უმსადებს; ◇ ცუდი თვალით უყურებს.

Ben son olaylara iyi gözle bakmıyorum.

ბოლო მოვლენებს კარგი თვალით არ ვუყურებ.

İyi kalpli ◇ „კარგი გულისა“ - *კეთილი, გულკეთილი.

İyi kalpli birisi olduğumu biliyordum.

კარგი გულისა რომ იყო, ვიცოდი.

İzi belirsiz oldu ◇ „მისი კვალი გაქრა“ - *დაიკარგა, გაუჩინარდა; ◇ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ხსენებაც არ არის.

Birkaç yıldır onların izi belirsiz oldu.

რამდენიმე წელია, მათი კვალი გაქრა.

İzi silindi *ob.*: **İzi belirsiz oldu.**

İzinden yurur ◇ „მის კვალს მისდევს“ - *ბაძავს, მასავით იქცევა; ◇ კვალდაკვალ მისდევს, კვალდაკვალ მიჰყვება.

İzine düşer ◇ „კვალში უდგება“ - *ეთვალთვალვებს, დასდევს.

K

Kabak çiçeği gibi açılır „გოგრის ყვავილივით იშლება“ - *ძლიერდება, ღონეზე მოდის, შეუზღუდავ, თავისუფალ მოქმედებას იწყებს, იფურქნება, თამამდება; ◇ ფრთებს შლის.

Sekreterim işe başladıği zaman mahcup gibi görünüyordu. Ama iki hafta içinde kabuk çiçeği gibi açıldı.

ჩემი მდივანი მუშაობის დაწყებისას ძალიან მორცხვი ჩანდა, მაგრამ ორ კვირაში ფრთები გაშალა.

Kabak kafalı „გოგრისთავა“ - *ხისთავა, ჩერჩეტი, ბატიტვინა, ბენტერა, ვერაფერს გააგებინებ; ◇ თავში არაფერი შესდის,

თავში ბზე უყრია, ხის თავი აბია.
Bu adam gerçekten kabak kafalı biridir.
ეს ადამიანი ნამდვილად ხისთავაა.

Kabak tadını verdi „კოგრის გემო მისცა“ - *დააღონა, ხასიათი გაუფუჭა; ◇ გული შეუღონა (დასწყვიტა).
Anlattıkları herkese kabak tadını verdi.
მისმა ნაამბობმა ყველას გული დასწყვიტა.

Kabına sığmaz ◇ „თავის ნატუჯში არ ეტევა“ - *აღუღებელია, აფორიაქებულია, მოუსვენრადია; ◇ ადგილს ვერ პოულობს.
Son günlerde kabına sığmaz oluyordu.
ბოლო დღეებში ადგილს ვერ პოულობდა.

Kabuğuna çekilir ◇ „თავის ნატუჯში მიძვრება (იკეტება)“ - *თავისთვის, განმარტოებულად, კარნაკეტილად ცხოვრობს.
Nedim bugünlerde tamamıyla kabuğuna çekilmiş, herkesle münasebetini kesmiş diyorlar.
ამბობენ, ნელიმი ამ დღეებში მთლიანად თავის ნატუჯში ჩაიკეტა და ყველასთან ურთიერთობა გაწყვიტაო.

Kaburgaları çıktı ◇ „ნეკნები გამოუვიდა“ - *გახდა, გაძვალტყავდა; ◇ ნეკნები დაეთვლება, ცარიელი ძვალი და ტყავია.

Kaburgaları satılır *ob.* Kaburgaları çıktı.

Kaç parça olayım ◇ „რამდენ ნაწილად ვიქცე?“ - *რამდენი რამე მოვასწრო? ◇ რამდენად გავიჭრა? ასად ხომ ვერ გავიჭრები?
Çok işlerim var. Kaç parça olayım?
ბევრი საქმე მაქვს, რამდენად გავიჭრა?

Kadınlar hamamına döndü „ქალების აბანოდ იქცა“ - *ხმაური, აურზაური (აღლიაქოთი) ატყდა; ◇ ბაზარს დაემსგავსა, ნამდვილ ბაზრად იქცა.
O, sınıfa girince ortalık kadınlar hamamına döndü.
როგოც კი ის კლასში შევიდა, იქაურობა ნამდვილ ბაზარს დაემსგავსა.

Kadir gecesi doğmuş „ყადირის დამეს¹ დაბადებული“ - *იღბლიანი, ბედნიერი; ◇ ბედნიერ ვარსკვლავზე (საათზე) დაბადებული, ბედი სწეალობს, ქუდბედი დაჰყოლია.

Hüseyin hakikaten **Kadir gecesi doğmuş**. Neye elini atsa muvaffak oluyor.

ჰუსეინი მართლაც რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გამოხდის.

Kafa kafaya verdiler „თავი თავს მისცეს“ - *საიდუმლოდ ისაუბრეს, მოილაპარაკეს; ◇ პირისპირ ისაუბრეს.

Kafa kafaya vererek sorunlarına çözü aradılar.

პირისპირ ისაუბრეს და პრობლემა გადაწყვიტეს.

Kafadan attı „თავიდან ისროლა“ - *დაუფიქრებლად თქვა; ◇ ალაღბედზე თქვა, სიტყვა წამოისროლა.

Soruların yanıtları bilemeyince **kafadan attım.**

საკითხში გარკვეული არ ვიყავი, სიტყვა ისე წამოვისროლე.

Kafadan kontak *ხაღბ.* ◇ „თავში დარტყმული“ - *უჭკუო,

უგუნური, დარეხვილი, ტვინნაღრძობი; ◇ თავში დაკრული, ტვინი აქვს ნაღრძობი.

Kafadan kontak birisiydi.

ერთი თავში დარტყმული ვინმე იყო.

Kafası bulandı „თავი დაებინდა“ - *ველარ აზროვნებს, გადაიღალა; ◇ გონება დაებინდა, გონება გადაეკეტა.

Onlar da gene politikadan lâf etmeğe başlayınca **kafam bulandı.**

იმათაც რომ კვლავ პოლიტიკაზე დაიწყეს საუბარი, გონება დამებინდა.

Kafası çalışır *oh.*: **Kafası işler.**

Kafası durdu „თავი გაუქნერდა“ - *გადაიღალა; ◇ თავი აღარ უმუშავეს, ტვინი გადაეკეტა.

1. რამაზანის (მთვარის კალენდარის მეცხრე თვე, როცა მუხლიმები მარხულობენ) 27-ე დღე (როცა მუჰამედს ეწეა ყურანი).

Böylesi bir olay karşısında hepimizin **kafası durdu**.
ახეთი ფაქტის წინაშე ყველას ტვინი გადაგვეკეტა.

Kafası işler ◇ „თავი უმუშავებს“ - *ჭკვიანია, კარგად აზროვნებს; ◇
ტვინი უმუშავებს, ჭკუის კოლოფია.
Kafası işleyen birisi olduğunu sen de biliyordun.
თავი რომ უმუშავებდა, შენც იცოდლი.

Kafası kazan oldu „თავი ქვაბად ქცა“ - *(დიდი ხმაურისგან)
შეწუხდა, მოხვეწება დაკარგა; ◇ თავი გაუსივდა, თავი ფუთიანი
გაუხდა.
Bu müziği dinlemekten kafam kazan gibi oldu.
ამ მუსიკის მოსმენით თავი გამისივდა.

Kafası kızar „თავი უხურს, უვარვარებს“ - *ბრაზობს, ცოფდება, გიჟს
ემსგავსება; ◇ თავში სისხლი აწვება, თავში სისხლი უვარდება.
Kafası kızınca ne yapacağı belli olmaz.
როდესაც თავში სისხლი მოაწვება, რას მოიმოქმედებს, არავინ
იცის.

Kafası şişer ◇ „თავი უსივდება“ - *ხმაური აწუხებს.
Nihayet, gürültüden ikisinin de kafası şişti.
ბოლოს, ხმაურისაგან ორივეს თავი გაუსივდა.

Kafası ütülendi *კარგ.* „თავი გაუუთოვდა“ *სწორი აზროვნების უნარი
დაკარგა, დაიბნა, აღარ იცის, რა ქნას; ◇ თავგზა აებნა, ტვინი
აერია.
- Ahmed'in konferansı tam üç saat sürdü. Sonunda **kafamız ütülendi**,
bir şey anlamaz olduk.
ამჟამის დექცია სუსტად სამ საათს გაგრძელდა. ბოლოს ტვინი
აგვერია, ვეღარაფერი გავიგეთ.

Kafası yerine gelmez „თავი ადგილზე არა აქვს“ - *სათანადოდ ვერ
აზროვნებს; ◇ თავი არ უმუშავებს.
Kafası yerinde olmadığı için soruları karar veremedi.
ვინაიდან თავი არ უმუშავებს, საკითხი ვერ გადაწყვიტა.

Kafasına girer ◇ „თავში შესდის“ - *იგებს, ხვდება, სწვდება; ◇
ტვინში შესდის.
Benim söylediklerim beynine girmez.

Kafasına kaynak su döküldü ◇ „თავზე მდულარე [წყალი] გადაესხა“ - *დიდ განსაცდელში ჩავარდა, დასცეცხლა; ◇ ცეცხლი მოეკიდა, ცეცხლში ჩავარდა, თავზარი დაეცა.

Kafama kaynak su döküldü. Bu adamın maksadı iyi değil.
დამცეცხლა. ამ ადამიანს კარგი განზრახვა არ აქვს.

Kafasına koyar ◇ „თავში ჩაიდებს“ - *აიკვირებს, აინემებს.

Kafasına koyunca onu kimse engelleyemez.
რაიმეს რომ თავში ჩაიდებს, მერე მას წინ ვერავინ აღუდგება.

Kafasına takar *sb.* **Kafasına koyar.**

Kafasına vur, ekmeğini elinden al „თავში ჩაარტყი, პური ხელიდან წართვი“ - *ჩუმია, უენოა, უთქმელია; ◇ თავში რომ ჩაარტყა, ხმას არ ამოიღებს.

Kafasına vur, ekmeğini elinden al türünden bir adamdı.
ისეთი ადამიანი იყო, თავში რომ ჩაგერტყა, ხმას არ ამოიღებდა.

Kafasına vura vura „თავში ჩარტყმა – ჩარტყმით“ - *ძალისძაღად, ძალით, ძალდატანებით, იძულებით; ◇ თავზე დადგომით.

Kafasına vura vura yazdırmışlar.
თავზე დასდგომიან და ისე დაუწერინებიათ.

Kafasında şimşek çekti ◇ „თავში გაუელვა“ - *უცებ აზრად მოუვიდა.

Kafasından çıkardı ◇ „თავიდან ამოიგდო“ - *გადაივიწყა.

Bu fikir kafasından çıkaramadı.
ეს ფიქრი თავიდან ვერ ამოიგდო.

Kafasını kaldırdı ◇ „თავი წამოსწია“ - *წინააღმდეგობა გაუწია, არ დამორჩილდა; ◇ წინ აღუდგა.

Zavallı Nuri onunla evlenmeği istemiyordu, amma annesinin sözüne kafasını kaldıramadı.
საბრალო ჩურის მისი შერთვა არ უნდოდა, მაგრამ დედამისის სიტყვას წინ ვერ აღუდგა.

Kafasını kaşıyacak vakti yok ◇ „თავის მოსაფხანად არა სცალია“ - *ძალიან დაკავებულია, ბევრი საქმე აქვს.

Ahmet sabahtan akşama kadar çalışır, **kafasını kaşıyacak vakti yok.**

ამჟამად დილიდან საღამომდე მუშაობს, თავის მოსაფხანად არა სცალია.

Kafasını patlattı ◇ „თავი გაიხეთქა“ - *ძალიან ბევრი იფიქრა, ბევრი იწვალა; ◇ თავი იმტვრია, თავი გადააკლა, ტვინი იჭყლიტა.

Bu makaleyi yazıp bitirinceye kadar tam iki hafta **kafa patlattım.**

ვიდრე ამ სტატიას დავწერდი, სრული ორი კვირა თავი ვიმტვრიე.

Kafasını sallar ◇ „თავს იქნევს (აკანტურებს)“ - *მართაღსა თუ ტყუილს, ყველაფერს ეთანხმება; ◇ ყველაფერზე თავს იქნევს.

Onun sözüne dayanılmaz, her şeye **kafasını sallar.**

იმის სიტყვებს ვერ ენდობი, ყველაფერზე თავს აკანტურებს.

Kafasını taştan taşa çarpar ◇ „თავს ქვიდან ქვაზე ახლის“ - *ნანობს; ◇ თავში ქვას იცემს, თავს კედელს ახლის, თავში ხელებს იცემს.

- Kızım, beni dinlemeyip bu adamla evleniyorsun ama sonra **kafasını taştan taşa vuracaksın!**

- შვილო, არ მისმენ, ამ კაცზე კი თხოვდები, მაგრამ მერე თავში ქვას იცემ!

Kafasını toplar ◇ „გონებას იკრებს“ - *ცდილობს მიხედვს (გაერკვეს), აზრზე მოვიდეს; ◇ თავის თავში რაღაცეებს ალაგებს, აზრებს აწყობს.

Kafasını toplayıp bir türlü manasını çıkaramıyordu.

გონებას იკრებდა, მაგრამ აზრი ვერაფრით გამოეცანა.

Kafasını tutar ◇ „თავი უჭირავს“ - *არ ემორჩილება, წინააღმდეგობას უწევს; ◇ თავს არ იხრის, ქედს არ იხრის.

Kendisinden büyüklere kafasını tutuyordu.

თავისზე უფროსებს თავს არ უხრიდა.

Kafasını yordu *vb.*: **Kafasını patlattı.**

Kafayı abur cuburla doldurur ◇ „თავს ათასნაირი სისულელით იტენის“ - *უხარგებლო, უაზრო ნაწარმოებების კითხვით ზედმეტ, არასაჭირო ინფორმაციებს იღებს; ◇ თავს ნაგვით

ივსებს, თავს იტენის.

Her gün televizyonda seyretmediğinden **kafayı abur cuburla doldurur.**

მოელი დღე ტელევიზორის ყურებით თავს ნაგვით ივსებს.

Kafayı şişirir ◇ „თავს ასივებს“ - *დიდი ხმაურით ან ყბელობით ყველას აწუხებს; ◇ იქაურობას იკლებს.

O, abuk sabuk söylediğinden **kafamı şişirdi.**

სისულელეების მოყოლით თავი გამისივა.

Kafayı (yere) vurdu „თავი მიწას მიარტყა“ - *აგად გახდა; ◇ ლოგინად ჩავარდა.

Eğer bu tempo ile bir hafta daha çalışırsam, **kafayı vuracağım yüzde yüz.**

ასეთი ტემპებით ერთი კვირა კიდევ თუ ვიმუშავებ, ასი პროცენტით ლოგინად ჩავევარდები.

Kafdağının ardında „კაფის მთის¹ გადაღმა“ - *ძალიან შორს, მიუხვლელში, გადაკარგულში; ◇ ცხრა მთას იქით.

Kafese girdi *ჟარგ.* ◇ „მახეში გაება“ - *მოტყუვდა.

Bu alış verişte **kafese girdiğim** anlaşılıyor.

ირკვევა, რომ ამ აღებ-მიცემობისას მახეში გავები.

Kafese koydu *ჟარგ.* „გალიაში ჩასვა (მოაქცია)“ - *მოატყუა, გააცურა, „აჭამა“, ცუდ დღეში ჩააგდო; ◇ ბადეში გახვია, მახეში გააბა, მახე დაუგო, ანკესზე წამოაგო.

Kemal'le artık hiç bir iş yapmam. Geçenlerde beni **kafese koydu.**

ქემალთან არავითარ საქმეს არ დავიჭერ. ამას წინათ მახეში გამაბა.

Kağıt üzerinde kaldı ◇ „ქაღალდზე დარჩა“ - *არ შესრულდა.

Yapmak istediklerimiz **kâğıt üzerinde kaldı.**

რისი გაკეთებაც გვინდოდა, ქაღალდზე დარჩა.

Kâh şu daldan, kâh bu daldan dediler „ხან ამ ტოტისა თქვეს, ხან იმ ტოტისა“ - *რადაზე არ ისაუბრეს, ბევრი ისაუბრეს; ◇ ხან ამ მთისა თქვეს, ხან იმ მთისა.

Konuşmuşlar, konuşmuşlar, **kâh şu daldan, kâh bu daldan derken,**

1. 1) ლეგენდარული მთა, რეალურ და ირეალურ სამყაროს შორის.

2) კავკასიონი.

akşam olmus.

დიდხანს ისაუბრეს, ხან ამ მთისა თქვეს, ხან იმ მთისა და ამასობაში დაღამდა კიდეც.

Kalbi ağzına geldi „გული პირთან ამოუვიდა“ - *აღელდა, აფორიაქდა, გაბრაზდა; ◇ გული ყელში მოებჯინა.
Kızgınlıktan kalbi ağzına geldi.
სიბრაზისაგან გული ყელში მოებჯინა.

Kalbi bozuk ◇ „ავი გულის პატრონი“ - *ავგული, გულბოროტი, ავი, ღვარძლიანი.

Kalbi burulur ◇ „გული ჩხველვს“ - *წუხს, შფოთავს, დელავს; ◇ გული სტკივა, გული ეწიწკნება.
Onu düşünmekten kalbim burulur.
მასზე ფიქრით გული მეწიწკნება.

Kalbi çarpar ◇ „გული უცემს“ - *შფოთავს, წუხს, დელავს, შიშობს; ◇ გული უფანცქალებს (უკანკალებს).
Onu beklediğinden kalbi çarpar.
მის მოლოდინში გული უფანცქალებს.

Kalbi durdu ◇ „გული გაუჩერდა“ - *(დიდი განცდისაგან) აღელდა, აფორიაქდა; ◇ სუნთქვა შეეკრა.
Az kaldı kalbim duracaktı.
ცოტაც და გული გამიჩერდებოდა.

Kalbi geniş „ფართე გულისა“ - *უდარდელი, უზრუნველი, გულარხიანი; ◇ ცა ქულად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, არაფერს დაგიდევს.

Kalbi hopladı ◇ „გული შეუტოკდა“ - *შეკროთა; ◇ გული აუფანცქალდა (აუკანკალდა), გული გადაუქანდა.
Fadime korkuyla sordu:
- Kim o? Ne istersin?
- Benim, aç, Osman...
Fadimenin kalbi hopladı.
ფადიმემ შიშით იკითხა:
- ვინ ხარ? რა გინდა?
- მე ვარ, ოსმანი, გააღე!

უადიმეს გული შეუტოკდა.

Kalbi kararır „გული უშაფდება“ - *იმედს კარგავს, სასოწარკვეთილებაში ვარდება; ◇ გულზე ღრუბელი (ნისლი) აწვება, გული ეხურება.

Nuri'nin başka şehire gitmesi Osmanın kalbini kırdı.

ნურის სხვა ქალაქში გადასვლამ ოსმანს გული დაუხურა.

Kalbi kırık „გულგატეხილი“ - *ხელნაქნეული; ◇ გული აქვს გატეხილი, გული მკვდარი აქვს.

Onun gittiğinden sonra kalbim kırık.

მას შემდეგ, რაც ის წავიდა, ჩემი გული მკვდარია.

Kalbi olmayan „უგულო“ - *დაუნდობელი, გულქვა, უმოწყალო, მკაცრი; ◇ გული არა აქვს, ქვის გული აქვს, გულის მაგივრად ქვა უდევს.

Kalbi olmayan insandan ne beklersin?

გული რომ არა აქვს, ისეთი კაცისგან რას ელოდები?

Kalbi parçalanır ◇ „გული ეფლითება“ - *ძალიან დარდობს, წუხს, შფოთავს, დელავს; ◇ გული ეწიწკნება, გული ეთუთქება, გული ეგლიჯება.

Zavallı yavrucağı böyle paçavralar içinde soğuktan titrerken görünce kalbim parçalandı.

როდესაც დავინახე, რომ ძონძებში გამოხვეული საბრალო ბავშვი სიცივისგან კანკალებდა, გული დამეთუთქა.

Kalbi parça parça olur *იხ.*: **Kalbi parçalanır.**

Kalbi sızlar ◇ „გული უკვნესის“ - *წუხს, დიდ განცდაშია, მწარდება, იტანჯება; ◇ გული ეწიწკნება (ეფლითება).

- Zavallı kız böyle ağladığını görünce kalbim sızlıyordu.

- როცა ვხედავდი, რომ საბრალო გოგონა ასე ტიროდა, გული მეწიწკნებოდა.

Kalbi temiz ◇ „სუფთა გულისა“ - *უბოროტო, კეთილი.

kalbi temiz bir adamdır.

სუფთა გულის ადამიანია.

Kalbi yerinden oynar ◇ „გული საგულედან უვარდება“ - *ღელავს, კრთის, შიშობს; ◇ გული ამოვარდნაზე აქვს, გული უქანდება.
En hafif bir hareketi kalbimizi yerinden oynatmaya yeterdi.
მისი მცირე მოძრაობაც კი საკმარისი იყო, რომ გული საგულედან ამოგევარდნოდა.

Kalbi yumuşar ◇ „გული ულბება“ - *წყნარდება, მშვიდდება, შოშმინდება.

Kalbim kan ağlıyor „გული სისხლად მიტირის“ - *ვიტანჯები, ვიღაგები, გამწარებული ვარ; ◇ გული მიტირის, გულზე ცეცხლი შეკიდება, გული მეთუთქება, გული მიდულს.
- Affedersiniz, ihtiyar nasıl olduğunuzu biliyor musunuz?
- Ah, nasıl olabilir, durumundan **kalbim kan ağlıyor**.
- უკაცრავად, იცით, მოხუცი როგორ არის?
- ვჰ, როგორ იქნება?! მისი მდგომარეობით გული მეთუთქება.

Kalbine doğdu ◇ „გულში დაებადა (აზრი და ა.შ.)“ - *გაიფიქრა, აზრად მოუვიდა; ◇ თავში გაუელვა (მოუვიდა), გულში გაივლო (გაიფიქრა).
Onun böyle yapacağı kalbime doğmuştu.
გულში გაივლე, ასე იზამს-მეთქი.

Kalbine dokunur *ob.*: **Kalbine işler**.

Kalbine düştü ◇ „გულში ჩაუვარდა“ - *შეუყვარდა.
Bu kız Ahmedin kalbine düştü.
ეს გოგონა აჰმედს გულში ჩაუვარდა.

Kalbine girdi *ob.*: **Kalbine düştü**.

Kalbine işler ◇ „მის გულზე მოქმედებს“ - *ძალიან განიცდის, ღელავს; ◇ გულზე ხედება, გულის სიღრმეში სწვდება, გულთან ახლოს მიაქვს.
Sözlerin ta kalbime işledi.
შენი სიტყვები გულზე მომხედა.

Kalbine yeri eder ◇ „მის გულში ადგილს ჰპოვებს“ - *მოეწონება, დაისადგურებს; ◇ მის გულში დაისადგურებს, მის გულში ბინას ჰპოვებს.

O, kalbime yeri etmemişti.

მან ჩემს გულში ადგილი ვერ ჰპოვა.

Kalbini açar ◇ „გულს გადაშლის“ - *თავის ფიქრებს გაამხელს.

Bir gün kalbini Neclal'e açtı.

ერთ დღეს ნეჯლალს გული გადაუშალა.

Kalbini çalar „გულს მოსტაცებს“ - *მის სიყვარულს დაიმსახურებს.

◇ გულს მონადირებს, გულს მოიპოვებს.

Bir türlü kalbini çalamamıştı.

მისი გული ვერაფრით მონადირა.

Kalbini kazanır ◇ „(მის) გულს მოიგებს“ - *მიიმხრობს, გადაიბირებს, თავის სასარგებლოდ განაწყოებს; ◇ გულს მონადირებს.

O hiç bir türlü kalbini kazanamadı.

მისი გული ვერაფრით მოიგო.

Kalbini kırar ◇ „გულს უტეხს“ - *დიდ ტანჯვას, ტკივილს აყენებს;

◇ გულს უხეთქავს, გულს სტკენს, გულს უსერავს, გულს უკლავს, გულს უკოდავს.

Olumsuz davranışlarıyla çok kişinin kalbini kırdı.

თავისი უმსგავსო საქციელთ ბევრ ადამიანს გაუხეთქა გული.

Kalbini okur „(მის) გულს კითხულობს“ - *(მის) გულისნაღებს

(აზრებს) იგებს; ◇ (მის) გულში იხედება, გულში სწვდება, სულში (სულის სიღრმეში) სწვდება.

O hiç bir türlü kalbini okuyamadı.

ვერაფრით ჩასწვდა მის გულს.

Kalbur deliğinden düşer „ცხრილის ნასვრეტში ძვრება“ - *(მიზნის მისაღწევად) ყოველ დონეს ხმარობს; ◇ ნემსის ყუნწში ძვრება, გველის ხერეღში ძვრება.

Maksatlarını gerçekleştirmek için kalbur deliğinden düşer.

თავისი მიზნების განსახორციელებლად ნემსის ყუნწში ძვრება.

Kalburdan dökülür gibi „თითქოს ცხრილიდან იღვრებაო“ - *კოკისპირულად წვიმს, თავსხმა წვიმა მოდის; ◇ თითქოს ცა ჩამოიქცაო.
Kalburdan dökülür gibi yağmur yağıyordu.
ისე წვიმდა, თითქოს ცა ჩამოიქცაო.

Kalburla su taşırır ◇ „ცხრილით წყალს ეზიდება“ - *ეშედუგოდ (უნაყოფოდ, უაზროდ) შრომობს; ◇ წყალს ნაყავს.
Herkez iş yapıyor, o kalburla su taşır.
ყველა შრომობს, ის წყალს ნაყავს.

Kaldırım mühendisi *დაკირე* „ქვაფენილის (ასფალტის) ინჟინერი“ - *უხაქმურად მოყიადუ, მაწანწადა, შარახვეტია; ◇ ქუჩებს ზომავს, ქუჩას ტკეპნის.
- Leme ne iş yapıyor?
O kaldırım mühendisi oldu.
- ღემე რას აკეთებს?
- ის ქუჩებს ტკეპნის.

Kaldırım süpürgesi. *nb.:* Kaldırım mühendisi.

Kaldırımları aşındırır „ქვაფენილს ცვეთს“ - *უხაქმოდ დაეხეტება. ◇ ქუჩებს ზომავს (ტკეპნის), ნამდვილი შარახვეტიაა.
- Bütün gün kaldırımları aşındıracağına otur da faydalı bir iş yap!
- მთელი დღე ქუჩების ტკეპნას, დაჯექი და რაიმე სასარგებლო საქმე აკეთე!

Kalibini bozmadan „ფორმის შეუცვლელად“ - *ნირშეუცვლელად, ვითომ, აქ არაფერიაო, განზრახვის (სურვილის) შეუცვლელად; ◇ ნირის შეუცვლელად, სახის შეუცვლელად.
- Bu ne alçaklık, nasıl yapıyorlar bunu? demediniz mi? – **kalibini bozmadan** karşılık verdi:
- Dedim, ne olacak?
- ეგ რა სიმდაბლუა, ამას როგორ აკეთებენო, არ თქვით განა? მან ნირის შეუცვლელად უპასუხა: ვთქვი, მაგრამ მერე რა?

Kalibimi basarım „ჩემს ყალიბს ვწნებ“ - *დარწმუნებულად ვარ, უდავოა, უუჭველია; ◇ თავს დაედებ მოსაკლავად, თავს მოვიჭრი, წყალი არ გაუვა.
- Senin bu dâvâyı kaybedeceğine **kalibimi basarım.**
- თავს დაედებ მოსაკლავად, რომ ამ პროცესს წააგებ.

Kalın kafalı „სქელთაფა“ - *გონებახლუნგი, სულებლი, ჩერხეტი, ხისთაფა; ◇ რეგენი თავის პატრონი, ხის თავი აბია, თავში არაფერი შესდის.

Kardeşi kalın kafalı biriydi.

მისი ძმა ერთი ხისთაფა ვინმე იყო.

Kalkıp kalkıp oturur „დგება, დგება და ჯდება“ - *მოუსვენრადაა; ◇ ეკლებზე ზის, ცქმუტავს, ადგილს ვერ პოულობს.

Ofkesinden kalkıp kalkıp oturur.

სიბრაზისგან ადგილს ვერ პოულობდა.

Kalp ışıklarla dolar „გული სხივით ევსება“ - *ხარობს; ◇ გულში ნათელი (სხივი) უდგება, გულს ნათელი ეფინება.

Yeşil pencereden bir gül at bana, ışıklarla dolsun kalbimin içi.

მწვანე ფანჯრიდან მესროლე ვარდი, რათა ჩამიდგეს გულში ნათელი.

Kalpten gelen ◇ „გულიდან მომდინარე“ - *წრფელი, ნამდვილი, გულწრფელი; ◇ გულიდან ამონახეთქი, გულით ნათქვამი.

Kalpten gelen sözlerini hiç unutmam.

გულით ნათქვამ მის სიტყვებს ვერასოდეს დავივიწყებ.

Kan pahasına ◇ „სისხლის ფასად“ - *ძალიან ძვირად.

Her şeyi kan pahasına satarlar.

ყველაფერს სისხლის ფასად ყიდიან.

Kan tepesine sıçradı „სისხლი თხემზე აუვარდა“ - *გაცოფდა, განრისხდა; ◇ სისხლი თავში აუვარდა, სისხლი თავში მოაწვა.

Kan tepesine sıçradı, amma hiç bir şeyi söyleyemedi.

სისხლი თავში აუვარდა, მაგრამ ვერაფერი თქვა.

Kanadı gerer ◇ „ფრთას გადააფარებს“ - *დაიცავს, მზრუნველობას გაუწევს, უპატრონებს; ◇ კალთას გადააფარებს, (თავისი) ფრთის ქვეშ შეიფარებს.

- Kızınız için hiç merak etmeyiniz. Kendisi tahsil için Almanya'ya gelince ben ona bir baba gibi kanat gereceğim.

- თქვენი ქალიშვილის დარდი ნუ გექნებათ. როდესაც ის გერმანიაში სასწავლებლად ჩამოვა, მამასავით ფრთის ქვეშ შევიფარებ.

Kanatları açar ◇ „ფრთებს შლის“ - *თავისუფლად მოქმედებს.

Öyleyse kanatlarınızı açabilirsiniz.

თუ ეგრეა, შეგიძლიათ ფრთები გაშალოთ.

Kandilin yağı tükenir „მის კანდელს ზეთი უთავდება“ - *მალე მოკვდება: ◇ სანთელი მალე ჩაუქრება, დღე მალე დაელევა, მისი წუთები (დღეები) დათვლილია, დიდი დღე არა აქვს, დიდი ხანი არ უწერია.

Zavallının kandilin yağı tükenmekte... Yakında yolcudur.

საბრალოს დღეები დათვლილია, მალე გზას გაუდგება.

Kanı başına çıkar *ob.*: **Kanı beynine çıkar.**

Kanı başına sıçrar ◇ „სისხლი თავში უვარდება“ - *ბრაზობს, გიჟდება; ◇ სისხლი ტვინში უვარდება, სისხლი ყელში აწვება.

Beni karşısında görünce kan başına sıçradı.

მის წინ რომ დამინახა, სისხლი თავში აუვარდა.

Kanı Beynine çıkar *ob.*: **Kanı Başına sıçrar.**

Kanı donar ◇ „სისხლი ეყინება“ - *(გაოცებისგან, შიშისგან) შეშლება, ხევდება.

Korkudan kanım dondu.

შიშისგან სისხლი გამყინდა.

Kanı kaniyla yıkar „სისხლს მისი სისხლითვე იბანს“ - *მკვლევლობას მკვლევლობითვე პასუხობს, შურს იძიებს, სამაგიეროს გადაუხდის; ◇ სისხლს აიღებს.

Kanı kaynadı ◇ „სისხლი აუღუღდა“ - *უეცრად შეუყვარდა; ◇ სიყვარულის ცეცხლი მოედო, სისხლი აუჩქროლდა.

Kısa zamanda Murad'ın Kanı kaynamış.

მოკლე ხანში მურადს სიყვარულის ცეცხლი მოედო.

Kanı kaynar ◇ „სისხლი უღუღს“ - *დაუდგრომელია, მოესვენარია, ვერცხლისწყალივითაა; ◇ მისი გაჩერება არ არის.

Senin yaşındayken insanın kanı kaynar. Ama bir kere otuzu geçtin mi, durulursun.

შენს ასაკში ადამიანს სისხლი უღუღს, მაგრამ როგორც კი ოცდაათს გადააბიჯებ, დაღვინდება.

Kanı kurur ◇ „სისხლი უშრება“ - *შეწუხებულია, გაბრაზებულია;
◇ სისხლი უშრება, სული უწუხს, გული უწუხს.
Yıllardır ondan **kanım kurur**.
რამდენი წელია, რაც მისგან სისხლი მიშრება.

Kanı soğuk ◇ „ცივი სისხლისა“ - *გულგრილი, შეუბრალებელი,
უგულო; ◇ გულის მაგიერ ქვა უდევს.
Kanı soğuşun biri olduğunu geç anladık.
ცივი სისხლის პატრონი რომ იყო, გვიან გავიგეთ.

Kanı dokunur „(მის) სისხლზე მოქმედებს“ - *ძალიან აღიზიანებს,
მოთმინებიდან გამოოკავს; ◇ ნერვებზე მოქმედებს, სისხლს
უშრობს (სწოვს).
Bu hal onun kanına dokundu.
ამ მდგომარეობამ მას სისხლი გაუშრო.

Kanına ekmek dođradılar „(მის) სისხლში პურს ჩაფშენიან“ -
*სიცოცხლეს გამოასალმებენ, დაღუპავენ, სასიკვდილოდ
გაიმეტებენ; ◇ (მის) სისხლს დაღევენ, ბოლოს მოუღებენ.
- Sınıra mayın döşemişler, dedi. **Kanımıza ekmek dođrandı, sayılır**.
- საზღვარი დაუნადმავთო, - თქვა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ
ბოლო მოგვეღო.

Kanına girer „(მის) სისხლში გაერევა“ - *(მას) მოკლავს; ◇ სისხლს
დაიდებს, (მის) სისხლში ხელს გაისვრის.
Yok yere gencin kanına girdiler.
ტყუილუბრალოდ გაისვარეს ხელი ახალგაზრდის სისხლში.

Kanına susar ◇ „(მისი) სისხლი სწყურია“ - *(მისი) მოკვლა
(გაუბედურება, დაღუპვა) უნდა.
Adam kanına susamış gözü hiçbir şey görmüyordu.
ადამიანის სისხლს მოწყურებული მისი თვალები ვერაფერს
ხედავდა.

Kanını emer *nb.:* **Kanını kurutur**.

Kanını kurutur ◇ „სისხლს უშრობს“ - *აწვალებს, ამწარებს,
მოსვენებას არ აძლევს; ◇ გულს უწყალებს, სულს ართმევს.
Kendi davranışlarıyla kanını kurutur.
თავისი საქციელით სისხლს უშრობს.

Kanıyla ödedi ◇ „თავისი სისხლით ზღო“ - *თავის მიერ ჩადენილ საქმეს თავადვე შექწირა; ◇ სიცოცხლის ფასად დაწჯდა, თავი გადააყოლა.

Yaptığı yolsuzlukları kanıyla ödedi.

თავის მიერ ჩადენილი უსამართლობა საკუთარი სისხლით ზღო.

Kanlı bıçaklıdırlar ◇ „დანახისხლად არიან“ - *გადამტკერებულები არიან.

Bu olay yüzünden kanlı bıçaklı oldular.

ამ შემთხვევის გამო დანახისხლად იქცნენ.

Kantar belinde „სახწორი წელზე აქვს“ - *ფრთხილია, ფხიხულია, დაკვირვებუელია, აღვილად არ ტყუვდება; ◇ ასი თვალი და ყური აქვს გამობმული.

Kantarı belinde olduğu bir adamdı, ama gene aldı.

ასი თვალი და ყური ჰქონდა გამობმული, მაგრამ მაინც მოტყუვდა.

Kantara çeker „სახწორზე წონის“ - *დიდხნას ფიქრობს; ◇ კარგად აწონ-დაწონის, ასჯერ ზომავს, ერთხელ ჭრის.

Her şey iyice kantara çekti.

ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა.

Kantarin topunu kaçırdı „სახწორის გირი ხელიდან წაუვიდა“ - *უკიდურესობაში გადავარდა. ◇ ყოველგვარ ზღვარს გადააცილა, ვერ მოზომა.

Ahmet dün gece gene kantarin topunu kaçırdı, bir şeyi tatsız tuzsuz konuşup duruyordu.

გუშინ ამჟამა კვლავ ვერ მოზომა, დიდხანს რაღაცას უგემურად ყვებოდა.

Kapağı attı „ხევი ისროლა“ - *დაბანაკდა, დაბინავდა, მოთავსდა; ◇ თავი შეაფარა, ბინა დაიდო, კარავი დაიდო.

- Hava daha da fenalaşmadan eve bir kapağı atsak iyi olacak.

- ვიდრე ამინდი არ გაფუჭებულა, კარგი იქნება, სახლს თავს თუ შევაფარებთ.

Kapalı kaldı ◇ „დაფარული დარჩა“ - *ბუნდოვანი, გაურკვეველი დარჩა; ◇ ბურუსით მოცული დარჩა.

Dostluğumuz ne kadar ilerlerse ilersin, içi bana daima kapalı kalır.

ჩვენი მეგობრობა რაც არ უნდა გაღრმავდეს, მისი გული ჩემთვის მუდამ ბურუსით მოცული დარჩება.

Kapalı kutu „დახურული ყუთი“ - *იდუმალი, ამოუცნობი პიროვნება, იდუმალებით სავსე.

Necmiye öylesine bir kapalı kutudur ki onun yarın ne yapacağını kimse bilemez.

ნეჯმიე ისეთი იდუმალი პიროვნებაა, არავინ იცის, ხვალ რას მოიმოქმედებს.

Kapalı yetişir ◇ „კარნაკეტილად იზრდება“ - *გარე სამყაროსთან კავშირი არა აქვს; ◇ ოთხ კედელს შუა იზრდება, გარეთ არ იხედება, შინიდან არ გამოდის, სახლშია ჩაკეტილი.

Kapana düşer ◇ „მახეში ებმება“ - *საფრთხეში ვარდება; ◇ ხაფანგში ებმევა.

Bir gün kapana düşeceğimi biliyordum.

ვიცოდი, რომ ერთ დღეს, მახეში გაებმებოდა.

Kapana düşürür ◇ „მახეში გააბამს“ - *მოატყუებს; ◇ ხაფანგს დაუგებს, მახეს დაუგებს.

O beni kapana düşürdü.

მან მახეში გამაბა.

Kapı dışarı etti *ob.*: Kapıdan çevirdi.

Kapı kapı arar ◇ „კარდაკარ დაეძებს“ - *ყველგან ეძებს, გულდაგულ ეძებს.

Kapı kapı onu arıyordu, ama hiç bir yerde bulamadı.

მას კარდაკარ დაეძებდა, მაგრამ ვერსად მიაგნო.

Kapı kapı dolaşır ◇ „კარდაკარ დაეხეტება“ - *უსაქმურად დადის.

Kapı kapı dolaştığından utanmıyor musun?

კარდაკარ რომ დაეხეტები, არა გრცხვენია.

Kapıdan çevirdi ◇ „კარებიდან გააბრუნა“ - *გააგდო; ◇ კარი მიუჯახუნა, კარები მიუკეტა.

Görücüleri kapıdan çevirdi.

მნახველები კარიდანვე გააბრუნა.

Kapıdan kovsan bacadan düşer „კარიდან რომ გააგდო, ერდოდან წამოძვრება“ - *ვერაფრით მოიშორებ, უტიფარია, ურცხვია; ◇ კარიდან აგდებენ, ფანჯრიდან შედის, მოუშორებელი ჭირია.
Kapıdan kovsan bacadan düşer türden yüzüzün biriydi.
ერთი ურცხვი ვინმე იყო, კარიდან რომ გაგეგდო, ერდოდან წამოძვრებოდა.

Kapılar açık ◇ „კარები ღიაა“ - *სიამოვნებით დებულობენ.
Herkes bana saygı gösteriyor. Nereye gitsem kapılar açık.
ყველა პატივს მცემს. სადაც უნდა წავიდე, კარი ღიაა.

Kapılar yüzüne kapandı „კარი სახეში მიეხურა“ - *გააგდეს; ◇ კარი ცხვირწინ მიუხურეს, პანდური ამოჰკრეს.

Kapısı açık ◇ „მისი კარები ღიაა“ - *სტუმართმოყვარეა, პურ-მარილიანი; ◇ პურ-მარილი უყვარს.

Kapısını aşındırır „მის კარს ცვეთს“ - *ხშირად ეწვევა, მომამბეზრებლად ხშირად ესტუმრება; ◇ კარს უტალახებს.

Birkaç gündür kapısını aşındırıyoruz.

რამდენიმე დღეა, რაც მას კარს უტალახებთ.

Kapıya dayandı ◇ „კარზე მოდგა“ - *მოვიდა, მოახლოვდა.

Kış kapıya dayandı, daha kömür alamadık.

ზამთარი კარზე მოგვადგა, ნახშირი კი ჯერ ვერ გვიყიდა.

Kapıyı açtı „კარი გააღო“ - *შესავალი (წინასიტყვაობა) გააკეთა; ◇ ნიადაგი მოამზადა.

Ben kapıyı açınca herkes konuştu.

როდესაც შესავალი გაგაკეთე, ყველა აღაპარაკდა.

Kapıyı büyük açar ◇ „კარს დიდად (ფართოდ) აღებს“ - *(საკმეს) დიდი მონდომებით აკეთებს; ◇ თავს იქაჩლებს, თავს გამოიდებს, თავს იწონებს.

Kapıyı büyük açınca sıkıntıya düştüler.

თავი რომ გამოიდეს, ძალიან იწუხეს.

Kapıyı gösterdi ◇ „კარისკენ მიუთითა“ - *გააგლო, გააძევა.

Öğretmen öğrenciye kapıyı gösterdi.

მასწავლებელმა მოსწავლეს კარისკენ მიუთითა.

Kaplumbağa yürüşü ◇ „კუს ნაბიჯი“ - *ძლიერ ნელი სვლა, ნელი ტემპი.

Kara borsa ◇ „შავი ბაზარი“ - *ჩუმიად, მალეულად მალაღ ფასებში ვაჭრობა, სპეკულაცია.

Bu hükümet geleli her şey kara borsa oldu.

რაც ეს მთავრობა მოვიდა, ყველაფერი შავ ბაზრად იქცა.

Kara çalı „შავი ეკაღბარდი“ - *საქმის გამფუჭებელი, მავნე, ბოროტი; ◇ ეკლად ამოსული, შუაში განხირული.

Kaynanası kara çalı olmasa mutlu olurlardı.

დედინაცვალი ეკლად რომ არ ამოსვლოდათ, ბედნიერები იქნებოდნენ.

Karadeniz’de gemilerin mi battı? „შავ ზღვაში გემები ჩაგეძირა?“ -

*რას დაღონებულხარ? რამ ჩაგაფიქრა? ◇ რას ჩამოგიყრია ყურები?

Ne düşünüyorsun? Karadeniz’de gemilerin mi battı?

რას ჩაფიქრებულხარ? შავ ზღვაში გემები ჩაგეძირა?

Kara giydi ◇ „შავები ჩაიცვა“ - *მგლოვიარე გახდა; ◇ ძაძებით შეიმოსა.

Üzücü haberi gelince tüm köy karalar giydi.

როდესაც სამწუხარო ამბავი მოვიდა, მთელმა სოფელმა ძაძები ჩაიცვა.

Kara gün ◇ „შავი დღე“ - *უბედურების (გაჭირვების) დღეები.

Düşmanımıza kara gün doğdu.

ჩვენს მტერს შავი დღე გაუთენდა.

Kara kara düşünür „შავ-შავად ფიქრობს“ - *ცუდს ფიქრობს, დარდობს; ◇ შავი ფიქრები იპყრობს, შავი ფიქრები მოაწვა.

Durumu öğrenince kara kara düşünmeye başladı.

როდესაც ვითარება გავიგეთ, შავი ფიქრები მოგვეძალა.

Kara kedi geçti ◇ „შავმა კატამ გაირბინა“ - *მათი ურთიერთობა გაფუჭდა, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა.
Aralarında kara kedi geçti.
მათ შორის შავმა კატამ გაირბინა.

Kara kuvvet ◇ „შავი ძალა“ - *ბოროტი ძალა; ◇ შავბნელი ძალები.

Kara liste ◇ „შავი სია“ - *დასახეულთა სია.
Seni de kara listeye almışlar.
შენც შავ სიაში შეუყვანიხართ.

Kara sürer „შავს უსვამს“ - *არცხვენს, აშავებს; ◇ ჩირქს სცხებს, სირცხვილს ატმევს, თავს სჭრის.

Kara toprağa girdi ◇ „შავ მიწაში ჩავიდა“ - *მოკვდა; ◇ შავმა მიწამ მიიბარა, შავმა მიწამ პირი უყო.

Kara yazı ◇ „შავი ბედი“ - *უბედობა; ◇ შავი ბედისწერა.
Fadime bir köşeye büzülüp kara yazısına ağlamaya başladı.
ფადიმე ერთ კუთხეში მიიკუნჭა და თავის შავ ბედზე ატირდა.

Karanlığa kaldı ◇ „სიბნელეში დარჩა“ - *ჩამორჩა, განვითარება შეწყვიტა.
Meğer, yıllardır karanlığa kalıp hiç bir şeyi okumamıştı.
თურმე რამდენი წელია სიბნელეში დარჩენილა და არაფერი წაუკითხავს.

Karanlıktan silkinir ◇ „სიბნელიდან გამოვა“ - *ჩამორჩენილობას თავს დაადევს.
Halk muhakkak uyanıp karanlıktan silkinir.
ხალხი აუცილებლად გამოიღვიძებს და სიბნელიდან გამოვა.

Karda gezip izini belli etmez „თოვლში დასეირნობს, კვალს კი არ ტოვებს“ - *ფარულად, შეუმჩნეველად მოქმედებს; ◇ ნაკვალევს არ ტოვებს, დიდი ქვეშ-ქვეშა ვინმეა.
O, ne sinsidir, bilmezsin, karda gezip izini belli etmez.
არ იცით, რა ქვეშ-ქვეშაა. თოვლში დადის და კვალს არ ტოვებს.

Karıncaya incitmez gibiydi „ჭიანჭველას არ აწყენინებს“ - *ყოველად უწყინარი პიროვნებაა; ◇ ჭიანჭველას ფეხს არ ადგამს.

Zekeriya Bey biliyorsun **karıncayı incitmez**. Ama bu hadisede herifi öldürecek diye korktum.

ბატონი ზეკერია, შენც იცი, ჭიანჭველას ფეხს არ ადგამს, მაგრამ ამ ინციდენტში ვაითუ მოკლას ეს ტიპი-მეთქი, შემეშინდა.

Karnı burnunda ◇ „მუცელი ცხვირზე აქვს“ - *მშობიარობა მოახლოებული აქვს, დღე-დღეზე იმშობიარებს.

Son gördüğümde karnı burnundaydı.

ბოლოს, როდესაც ვნახე, მუცელი ცხვირზე ჰქონდა.

Karnı dolu sırtı pek „მუცელი სავსე აქვს, ზურგი - მაგარი“ - *ყველაფერი მოგვარებული აქვს, საქმეები კარგად აქვს აწყობილი, უსრუნველად, არხეინად ცხოვრობს; ◇ თავი ქუდში აქვს.

Karnı dümbelek çalıyor *ab.*: **Karnı zil çalıyor**.

Karnı karnına yapışık „მუცელი მუცელზე ეკვრის“ - 1. *ძალიან შია; ◇ მუცელი უქოთქოთებს.

Karnım karnıma yapışık, bir şeyi yiyelim.

მუცელი მიქოთქოთებს, რაიმე ვჭამოთ.

2. ძალიან გამხდარია, შიმშილით კვდება; ◇ ფერდი ფერდზე აქვს გაკრული.

Bize geldiğinde karnı karnına yapışık (geçmiş) idi.

როდესაც ჩვენთან მოვიდა, ფერდი ფერდზე ჰქონდა მიკრული.

Karnı zil çalıyor „მუცელი ზარს ურეკავს“ - *მოშიებულია, შია; ◇ მუცელი უქოთქოთებს.

Siz kahvaltıyı burada yapacağımızı söylemediğiniz mi? ben de çok az yedim. Şimdi karnım zil çalıyor.

თქვენ არა თქვით, აქ ვისაუზმებთო? მეც ცოტა ვჭამე. ახლა კი

მუცელი მიქოთქოთებს.

Karış karış bilir „მტკაველ-მტკაველ იცის“ - *ყველაფერი ზედმიწევნით იცის; ◇ ხუთი თითივით იცის.

Buraların girdisini çıkısını **karış karış bilir.**

აქაურობის შესასვლელ-გასასვლელ ხუთი თითივით იცის.

Karşı gelir ◇ „წინ აღუდგება“ - *წინააღმდეგობას გაუწევს.

Öğrenciler öğretmenine **karşı geldiler.**

მოსწავლეები მასწავლებელს წინ აღუდგნენ.

Kaşık düşmanı ხუმ „კოვზის მტერი“ - *მეუღლე; ◇ მეორე ნახევარი.
- Bana bak! Pazar günü bize yemeğe gel, ama senin kaşık düşmanını baraber getirmeyi unutma!
- მისმინე! კვირას სადილად ჩვენთან მოდი, ოღონდ შენი მეორე ნახევრის წამოყვანა არ დაგავიწყდეს!

Kaşıkla yedirip sapıyla gözünü çıkarır „კოვზით აჭმევს და მისი ტარიით თვალს სთხრის“ - *წაამწარებს, არ შეარგებს; ◇ ცხვირიდან ძმრად ადენს, შხამად შეარგებს.
Onun kaşıkla yedirip sapıyla göz çıkardığını herkes biliyordu.
ყველამ იცოდა, რომ შხამად შეარგებდა.

Kaşının altında gözüm var demez „წარბებქვეშ თვალები მაქვსო, არ იტყვის“ - *ყოვლად უწყინარი, მომთმენი, ყველაფრის უსიტყვოდ ამტანი; ◇ მე აქ ვდგავარ და შენ განზე გადექიო არ გეტყვის, ჭიანჭველას ფეხს არ ადგამს.

Kaşla göz arasında „წარბსა და თვალს შორის“ - *სწრაფად, ერთბაშად; ◇ ერთ წამში, თვალის დახამხამებაში, თვალსა და ხელს შუა.

Katı yürekli ◇ „მაგარი გულისა“ - *შეუბრალებელი, უმოწყალო, გულქვა; ◇ ქვის გული აქვს, ადამიანის გული არა აქვს.

Katır kuyruğu gibi kaldı „ჯორის კუდივით დარჩა“ - *(საქმეში) ჩამორჩა; ◇ ერთ წერტილზე გაიყინა.

Kav gibi „აბედივითაა“ - *ფიცხია, ასანთივითაა; ◇ დენთივით არის, სიტყვას ვერ ეტყვი.

Kavuk giydirir „ქაეუქს¹ დაახურავს“ - *გააბრიყვებს, გაასუფლებს, მოატყუებს, გააცურებს; ◇ პირში ჩალას გამოავლებს.

Kavuk sallar „ქაეუქს იქნევს“ - *(ხათრით) ყველაფერზე თანახმაა; ◇ თავს უქნევს, კვერს უკრავს.

1. ძველებური თავსაბურავი, რომელსედაც ჩაღმა ეხვეოდა.

O her şeye kavuk sallar.

ის ყველაფერზე კვერს უკრავს.

Kayışı ben çekiyorum „ღვედს მე ვეწევი“ - ყველა ძნელ საქმეს მე ვაკეთებ; ◊ ჭაპანს მე ვეწევი, ყველაფერი ჩემს ზურგზე გადადის, ყველაფერი მე მაწევს კისერზე.

Kaymağını alır ◊ „ნაღებს მოხდის“ - *მოგების დიდ, საუკეთესო ნაწილს ის იღებს ხელში.

Kaz kafalı „ბატის თავისა“ - *ბატიტვინა, უტვინო, რეგვენი; ◊ ქათმის ტვინისა.

Güzel kadınlar çoğunca hakikatten **kaz kafalıdır**lar.

ღამაზი ქალები უმეტესად მართლაც რომ ქათმის ტვინისანი არიან.

Kazan kaldırır (döndürür) *ახტ.* „ქვაბს ასწევს (გადააბრუნებს)“ -

*აჯანყდება, ამბობს ატეხს; ◊ ფეხზე დადგება.

İşçiler ücretlerini alamayınca **kazan kaldırmışlar**.

ხელფასები რომ ვერ მიიღეს, მუშები ფეხზე დადგნენ.

Kazanı kapalı kaynar „მისი ქვაბი თავდახურულად დუღს“ - *დიდი ჩუმჩუმელაა, იმისას ვერაფერს გაიგებ; ◊ ბნელი პიროვნებაა, დიდი ქვეშ-ქვეშაა.

Kazı koz anlar „ბატი კაკალი ჰგონია“ - *ძალიან ცდება, ეშლება, ტყუვდება; ◊ თეთრი შავად ეჩვენება.

Kazık kakar (Dünyaya) *ყამილ.* „(სამყაროს) პაღოს ჩაუსობს“ -

*დიდხანს იცოცხლებს; ◊ ცას გამოეკერება.

Hangimiz dünyaya **kazık kakacağız ya!**

რომელი ჩვენთაგანი გამოეკერებით ცას!

Kazın ayağı öyle değil „ბატის ფეხი ეგეთი არ არის“ - *რალაც გეშლება, არასწორად ფიქრობ; ◊ შენ სხვაგვარად ზომავე და ჭრი.

- 200 000 liraya bir villa yaptırabilirim sanıyorsun oğlum, ama **kazın ayağı öyle değil!!!**

- ჩემო შვილო, შენ გგონია, რომ 200 000 ლირად სახლის აშენებას შეუძლებ? შენ რალაც სხვაგვარად ზომავე და ჭრი.

Keçesini sudan çıkardı „(თავისი) ქენა წყლიდან ამოიღო“ -
*გაჭირვებიდან თავი დაიხსნა; ◇ წყლიდან მშრალად ამოვიდა,
თავი დაიძვრინა.

Keçesini suya attı „თავისი ქენა წყალში გადააგდო“ - *სირცხვილის
გრძნობა დაკარგა, ნამუსი არად წააგდო; ◇ ნამუსზე ხელი
აიღო, სინდის-ნამუსი ფეხებზე დაიკიდა.

Kedi gibi dört ayak üstüne düşer „კატასავით ოთხ ფეხზე ეცემა“ -
*არასოდეს არაფერი უშავდება, უვნებელი რჩება; ◇ წყლიდან
მშრალად გამოდის.

O, her zaman kedi gibi dört ayak üstünde düşer.

ის ყოველთვის მშრალად გამოდის.

Kedi ile köpek gibi ◇ „კატა და ძაღლივით“ - *ერთმანეთს ვერ ეშუ-
ებიან, ერთმანეთთან ცუდად არიან; ◇ ერთმანეთს ჭამენ.

Kel kâhya „ქანალი ადვოკატი“ - *ყველას საქმეში ერევა; ◇ ყველას
ადვოკატი, ყველგან ცხვირს ჰყოფს, არამკითხე მოამბე.

- Sen gel lütfen şu kel kahyalıktan vaz geç te, biraz kendi işlerinle uğraş!

- მოდი, გეთაყვა, ყველას ადვოკატობას შეეშვი და ცოტა შენს
საქმეებს მიხედუ!

Kelle kulak yerinde „თავი და ყური ადგილზე (აქვს)“ - *სანდომიანი
სახისა, კარგი გარეგნობისა; ◇ დაწყობილი სახე აქვს, ყველა-
ფერი ადგილზე აქვს.

- Ali'yi gördüm. Maşallah kelle kulak yerinde...

- ალი ვნახე. ღვთის წყალობით დაწყობილი სახე აქვს.

Kellesi koltuğunda olur „თავი სხვის იდლიაში ექნება“ - *საფრთხეში
აღმონნდება, დაიღუპება; ◇ მისი სიცოცხლე სასწორზე დაიდება.

Bu iş uğruna kelleyi koltuğa almışa benzıyordu.

ჩანს ამ საქმის გამო მისი სიცოცხლე სასწორზე დაიდო.

Kemerini sıkar „ქამარს იჭერს“ - *მომჭირნეობით ცხივრობს.

- Evimiz çok güzel oldu ama onu tamamliyabilmek için kemerlerimizi
sıkmak zorunda kaldık.

ჩვენი სახლი ძალიან ლამაზი გამოვიდა, მაგრამ მის
დასამთავრებლად იძულებული გაუხდით ქამრები შემოგვეჭირა.

Kemiği atar „ძვალს უგდებს“ - *ანუშებს, ატყუებს, იყოლიებს; ◇
საკენკს უყრის.

Başbakan onlara **kemiği atıp** susturdu.

პრემიერმინისტრმა მათ საკენკი გადაუყარა და გააჩუქა.

Kemik yalayıcı „ძვლის მლოკავი“ - *მლიქვნელი, პირფერი; ◇
(სხვისა) ფეხის მლოკავი.

Kemik yalayıcı adamlar hiç kimse sevmez.

სხვისა ფეხის მლოკავი არავის უყვარს.

Kemikleri sayılır ◇ „ძვლები დაეთვლება“ - *გამსდარია, განხინ-
კულია, ჩონჩხივითაა; ◇ ნეკნები დაეთვლება, ჩონჩხადაა ქცეული.

Kenara atar „ნაპირისკენ ისვრის“ - *უურადლების ღირსად არ
თვლის, არ მოსწონს, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს; ◇
არაფრად თვლის, ზედაც არ უყურებს, სათვალავში არ აგდებს.

Bunun gibi eşyaları **kenara atar**.

ასეთ ნივთებს ზედაც არ უყურებს.

Kenara çekilir ◇ „განზე იწევს“ - *(რაიმე საქმეში) არ ერევა; ◇
განზე დგება, თავს იკავებს, თავს არიდებს.

Kenarda durur *ob.:* **Kenara çekilir.**

Kenarda kaldı ◇ „განზე დარჩა“ - *რისამე გარეშე დარჩა,
ვერაფრით ისარგებლა, რასაც ელოდა, ვერ მიიღო.

- Herkes ondan yararlandı, sen ise **kenarda kaldın**.

- ყველამ მისგან ისარგებლა, შენ კი განზე დარჩი.

Kendi ağzıyla tutuldu ◇ „თავისი ენით დაემართა“ - *თავისი თავი
თავადვე გასცა, თავისმა ენამ დაღუპა; ◇ რაც უყო, თავისმა
ენამ უყო.

Böyle konuşunca **kendi ağzıyla tutuldu**.

ასე რომ ილაპარაკა, რაც უყო, თავისმა ენამ უყო.

Kendi kabuğuna çekilir *ob.:* **Kabuğuna çekilir.**

Kendi kendini yer ◇ „თავის თავს იჭამს“ - *წყმად იტანჯება,
წამებაშია; ◇ თავის ხორცს იგლეჯს, თავს იკლავს.

Bu borcun altından nasıl kalkacağım diye kendini yiyip duruyordu.
ამ ვალიდან როგორ გამოვალო, თავს იკლავდა.

Kendi miktarını bilir „თავისი დონე იცის“ - *იცის, რასაც წარმოადგენს; ◇ თავისი ფასი იცის.

Kendi yağıyla kavrulur „თავის ცხიმში იწვის“ - *სადარდებელს ჩემად, უხმოდ, სხვის შეუწუხებლად იტანს; ◇ საკუთარ კანში იწვის, საკუთარ წვენში იხარშება.

Tüm yardım tekliflerine karşın kendi yağıyla kavrulmayı yeğledi.

ყველა შემოთავაზებულ დახმარებას საკუთარ კანში წვა ამჯობინა.

Kendine geldi ◇ „გონზე მოვიდა“ - *გამოერკვა, გამოფხიზლდა, მოსულიერდა; ◇ გონს მოეგო.

Olayın etkisinden kurtulunca yavaş yavaş kendine geldi.

როდესაც მომხდარი ფაქტის გავლენისაგან გათავისუფლდა, ნელ-ნელა გონს მოვიდა.

Kendine yediremedi ◇ „თავის თავს ვერ აჭამა (მოერია)“ - *(უსიამოვნო რამ) ვერ მოითმინა; ◇ ვერ გადახარშა, ვერ მოინელა, ვერ აიტანა.

Bu durumu kendine yediremeyince evini satıp borcunu ödedi.

თავისი ეს მდგომარეობა რომ ვერ აიტანა, სახლი გაყიდა და ვალი გადაიხადა.

Kendine yontar ◇ „თავისკენ ითლის“ - *მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, მომხვეჭელია, ყველაფერს სათავისოდ აკეთებს, ეგოისტია; ◇ სულ “მე”, “მე”-ს გაიძახის.

O' her zaman kendine yontmayı hüner saymıştır.

ის ყოველთვის თავისკენ თლის ოსტატია.

Kendini alamaz ◇ „თავს ვერ იკავებს“ - *ვერ ითმენს, მოთმინება ეკარგება.

Ona bu sözleri söylemekten kendini alamamış.

თავი ვერ შეიკავა, მისთვის ეს სიტყვები რომ არ ეთქვა.

Kendini ateşe atar ◇ „თავს ცეცხლში იგდებს“ - *საშიშ საქმეს იწყებს, თავს განსაცდელში იგდებს; ◇ თავს ჯოჯოხეთში იგდებს.

Bu uğrunda **kendini ateşe atmaya ne gerek vardı?**

ამის გამო თავის ცეცხლში ჩაგდება რა საჭირო იყო?

Kendini bıraktı ◇ „თავი მიუშვა“ - *თავის თავს არ უვლის, თავის თავზე არ ზრუნავს; ◇ თავისი თავი არ ახსოვს (ავიწყდება), თავს ხელი ააღო.

Hadi, yüzünü yıka, tıraş ol... Niçin **kendini böyle bıraktın?**

მიდი, პირი დაიბანე, გაიპარსე... რატომ ააღე თავს ხელი?

Kendini bir şey sanır ◇ „თავისი თავი რაღაც ჰგონია“ - *თავი მოსწონს, თავის თავზე დიდი წარმოდგენისაა; ◇ თავი მოაქვს, ზემოდან იყურება, თავზე მამალ ბუზს არ ისვამს.

Kendini bulur „თავის თავს იპოვის“ - *პიროვნება (აღამიანი) დადგება; ◇ (ცხოვრებაში) თავის ადგილს იპოვის, თავს შეიცნობს.

İşler böyle giderse birkaç ayda **kendini bulur.**

საქმეები ასე თუ წავიდა, რამდენიმე თვეში თავის ადგილს იპოვის.

Kendini dev aynasında görür ◇ „საკუთარ თავს გამადიდებელ სარკეში ხედავს“ - *თავის თავზე დიდი წამოდგენისაა, თავისი თავი დიდი ვინმე ჰგონია, მედიდურობს, ყოყონობს; ◇ მამალი ინდაურივით იფხორება, ზემოდან იყურება, მალლიდან იყურება.

Kendini dev aynasında görmekten vaz geçemedi.

ზემოდან ყურება ვერ მოიშალა.

Kendini dirhem dirhem satar „თავის თავს დირჰემობით ყიდის“ - *ათასნაირად იმანჭება, იპრანჭება, ინახება; ◇ თავპატიუს იღებს, თავს იფასებს.

Nuran Kaya ile gezmeğe gitmeğe can atıyor ama belli etmek de istemiyor ve **kendisini dirhem dirhem satıyor.**

ნურანს ქაიასთან სასეირნოდ წასვლაზე სუელი მისდის, მაგრამ ამის გამხელა არ უნდა და თავპატიუს იღებს.

Kendini ele verdi ◇ „თავი გასცა“ - *თავისი მოქმედებით ან სიტყვით თავისი დანაშაული გაამჟღავნა, გამოააშკარავა; ◇ ყელი თავისი ხელით გამოიჭრა, სახრჩობელაზე თავისი ფეხით ავიდა.

Kendini gösterir ◇ „თავს გამოიჩენს“ - *(თავის) უნარს გამოიჩენს, თავის შესაძლებლობებს აჩვენებს.

Kendini kaybeder „თავს კარგავს“ - 1.*კონება ეკარგება; ◇ გული მისდის.

Sıcaktan kendimi kaybettim.

სიცხისაგან გული წამივიდა.

2.*ღელავს, ბრაზობს; ◇ მოთმინება ეკარგება, თავს ვერ იკავებს, წონასწორობიდან გამოდის.

Onun konuşmaları karşısında kendimi kaybettim.

იმის ლაპარაკზე თავი ვერ შევიკავე.

Kendini fasulye gibi nimetten sayar „ლობიოსავით თავისი თავი [ღვთის] წყალობა ჰგონია“ - *თავის თავზე დიდი წარმოდგენისაა, თავი მოსწონს; ◇ თავი მოაქვს.

Kendini pahalı satar „საკუთარ თავს ძვირად ყიდის“ - *საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს; ◇ თავს იფასებს, თავი მოაქვს.

Kendini sıkar „თავს ივიწროებს“ - *წვალობს, თავგამოდებით ცდილობს, ძალ-ღონეს არ იშურებს; ◇ თავს ძალას ატანს, თავს იკლავს, თავს იტებს.

- Ben kendimi sıkarak istidadımdan daha çok şen görünmeye çalışıyordum.

თავს ძალას ვატანდი და ვცდილობდი, რაც შემეძლო, ძალიან მხიარული გამოვჩენილიყავი.

Kendini toplar ◇ „თავი ხელში აყავს“ - *ცდილობს გაერკვეს (მიხვდეს, ჩახწვდეს); ◇ გონებას იკრებს.

Kendini toplayınca bütün soruları yanırladı.

როგორც კი გონება მოიკრიფა, ყველა შეკითხვას უპასუხა.

Kendini tutamaz ◇ „თავს ვერ იკავებს“ - *თავის მოქმედებას კონტროლს ვერ უწევს.

Gözleri dolu dolu olup ben de kendimi tutamamış ağlamaya başlamıştım.

მას თვალები ცრემლით აუვსო, მეც თავი ვერ შევიკავე და ავტორდი.

Kendini verdi ◇ „თავი გასცა“ - *თავისი აზრები უნებლიედ გამოააშკარავა; ◇ თავი გამოამულაუნა.
Genç kadın, bu sesteki ahenge tamamıyla kendini vermişti.
ახალგაზრდა ქალმა ხმის ინტონაციით სრულიად გასცა თავი.

Kendini yitirir *sl.*: Kendini kaybeder.

Kene gibi yapışır ◇ „ტკიპასავით ეკრობა“ - *არ შორდება; ◇ კუდში დასდევს.
O, kene gibi yapışınca ne yapacağımızı şaşırдық.
ის ტკიპასავით მოგვეკრა და აღარ ვიცოდით, რა გვექნა.

Kesenin ağzını açar ◇ „ქისას პირს უხსნის“ - *ფუღს ხარჯავს.
babası düğünde kesenin ağzını açtı.
მამამისმა ქორწილში ქისას პირი მოხსნა.

Kesenin dibi göründü „ქისას ძირი გამოუნდა“ - *უკაპიკოდ დარჩა; ◇ ჯიბეცარიელი (ჯიბეგაფხეკილი) დარჩა.
Altı ay sonra kesesinin dibi göründü.
ექვსი თვის შემდეგ ჯიბეგაფხეკილი დარჩა.

Kesip attı „მოჭრა და მოისროლა“ - *ბევრი ფიქრის გარეშე (სწრაფად) თქვა; ◇ უცებ მოჭრა.
Söylediklerim doğrudur diyerek kesip attı.
რაც ვთქვი, სწორიაო თქვა და უცებ მოჭრა.

Kesip biçer „ჭრის და ჭრის“ - *დაუფიქრებლად დაპარაკობს, რომავს, მიერეკება; ◇ ენა წინ უხწრებს.

Kestiği tırnak olamaz ◇ „იმის მოჭრილ ფრხილადაც არ ღირს“ - *იმაზე ბევრად ნაკლებია; ◇ იმასთან ახლოსაც ვერ მივა.

Kılı kırk yarar „ბეჭვს ორმოცად შლის, აქეცმაცებს“ - *ეყრადღებით (ძირფხევიანად, წერილად) ამოწმებს, სწავლობს, არკვევს, სინჯავს; ◇ ძირისძირობამდე მიჰყვება.

Öğretmen ödevimi kılı kırk yaradı.

მასწავლებელი ჩემს დავალებას ძირისძირობამდე ჩაჰყვია.

Kılıcı kınına koyar ◇ „ხმაღს ქარქაშში აგებს“ - *ომს ამთავრებს, ჩხუბზე უარს ამბობს; ◇ იარაღს აგდებს, იარაღზე უარს ამბობს, იარაღს ინახავს.

Kılıfına uydurur „თავის შალითაზე მოარგებს“ - *თავის გემოზე გააკეთებს, თავისთვის მოსახერხებლად აქცევს; ◇ თავის წესზე მოიყვანს, თავის ყალიბში ჩასვამს.

Odaya bir göz atıp her şeyi kılıfına uydurdu.

ოთახს თვალი შეაგლო და ყველაფერი თავის წესზე მოიყვანა.

Kılını bile kıpırdatmaz ◇ „ბეწვსაც კი არ შეურხევს“ - *მასზე არც იმოქმედებს, მას არც შეაწუხებს; ◇ ერთ ძარღვსაც კი არ შეუტოკებს, გულს არ ეკარება.

Bu olaylar onların kılılarını kıpırdatmıyor.

ეს ამბები მათ გულს არ ეკარება.

Kınalar yakar „ინას იღებს“ - *ხარობს; ◇ ფრთებს შლის, ფრთებს ისხამს.

Büyük sevinçten kınalar yaktı.

დიდი სიხარულისაგან ფრთები შეისხა.

Kırk dereden su getirir „წყალი ორმოცი ნაკადულიდან მოაქვს“ - **(გარკვეული მიზნის მისაღწევად)* ყველა ღონეს იყენებს; ◇ თავს იღებს, ათასი საბუთი მოაქვს.

- Kısaca: olmaz hayır! deyiver olsun bitsin. Ne diye kırk dereden su getiriyorsun?

- მოკლედ: არა, არა! თქვი და მორჩი, გათავდეს, რა ათასი საბუთი მოგაქვს?

Kırk evin kedisi „ორმოცი სახლის კატა“ - *მოხეტიალე, მაწანწალა; ◇ კარდაკარ დადის, სხვის კარს ატალახიანებს.

Kırk kapının ipini çekmiş „ორმოცი კარის თოკი გამოუწვევია“ - **(ხადლა)* ვისთან აღარ ყოფილა, ბევრგან უვლია; ◇ კარდაკარ უვლია, ქვეყანა მოუვლია.

Fatma koca bulmak için kırk kapının ipini çekmiş, ama nâfile.

ფატიმას მეუღლის ძებნაში ქვეყანა მოუვლია, მაგრამ ამაოდ.

Kırk tarakta bezi var *sh.*: Her tarakta bezi var.

Kırk yılda bir „ორმოც წელიწადში ერთხელ“ - *იშვიათად; ◇ ათასში ერთხელ.

Kırk yılda bir yanımıza uğrayor.

ათასში ერთხელ ჩვენსა შემოივლის.

Kırmızı dipli balmumla davet eder „წითელძირიანი თაფლის სანთლით ეპატიუება“ - *გუკლით ეპატიუება; ◇ კალთებს აგლეჯს.

Seni bize gelmen için her defasında kırmızı dipli balmumuyla mı dâvet etmeli?

ჩვენთან მოსასვლელად ყოველთვის კალთები უნდა დაგაგლიჯო?

Kırmızı gömlek ◇ „წითელი პერანგი“ - *დაუმალავი, ის, რაც მაინც გამოინდება (გაიგება), არ დაიმალება; ◇ თავს იჩენს.

Kısa kesti ◇ „მოკლედ მოჭრა“ - *სწრაფად თქვა.

Kısa kes de işimize bakalım.

მოკლედ მოჭერი და საქმეს მიხედოთ.

Kısa yoldan ◇ „მოკლე გზით“ - *პირდაპირ, დაუფარავად, მოკლედ, მოჭრილად; ◇ მოკლედ მოჭრა, შესავლის გარეშე, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე.

Kısa yoldan her şeyi deyip gitti.

მოკლედ მოჭრა და წავიდა.

Kısmeti açıldı *sh.*: Kısmeti ayağına geldi.

Kısmeti çıktı ◇ „ბედი გამოუჩნდა“ - *გაბედნიერდა; ◇ ბედს ეწია, ბედი გაეხსნა.

Eskiden kızların yirmi yaşına kadar kısmeti çıkmazsa, evde kalmış sayılırlardı.

ძველად ქალიშვილებს ოც წლამდე ბედი თუ არ გამოუჩნდებოდა, მის ნარჩენილებად თვლიდნენ.

Kısmeti ayağına geldi „ბედი ეწია“ - *გაბედნიერდა; ◇ ბედი კარზე მოადგა, ბედს ეწია.

Kısmeti ayağına geldi ama değerlendiremedi.

ბედი კარზე მოადგა, მაგრამ ვერ დააფასა.

Kısmeti bağladı ◇ „ბედი შეეკრა“ - *უიღბლო (ბედნავსიანი) გახდა;
◇ ბედმა ზურგი შეაქცია, ბედმა არ გაულიმა, ბედი შემოსწერა.
Şükra'nın kısmeti bağladı, neredeyse kırkına geliyor.
შუქრანს ბედი შეეკრა, სადაცაა ორმოცისა გახდება.

Kısmetini tepti ◇ „ბედს ხელი ჰკრა“ - *თავის ბედნიერებაზე უარი
თქვა.
“Kısmetini tepti” diye buna derler.
“ბედს ხელი ჰკრა“-ო, ამაზე იტყვიან.

Kirli çamaşırını ortaya döker „(მის) ჭუჭყიან სარეცხს საქვეყნოდ
გამოფენს“ - *(მის) ნაკლს სააშკარაოზე გამოიტანს, ყველას
გააგებინებს, საქვეყნოდ შეარცხვენს; ◇ საქვეყნოდ გამოაჩენებს,
თავს მოსჭრის, სირცხვილს აჭმევს.
Bazı politikacılar, seçimlerden önceki nutuklarında sempati kazanmak için
muhaliflerinin bütün kirli çamaşırlarını ortaya dökerler.
ზოგი პოლიტიკოსი არჩევნების წინ სიმპათიების მოსაპოვებლად
თავის გამოსვლაში მოწინააღმდეგეებს საქვეყნოდ გამოაჩენებს.

Kirli çıktı „ჭუჭყიანი ბოხია“ - *ქვაწვია, ძუნწი, წუწურაქი; ◇ კაპიკს
ვერ გააგდებინებ.
Sen bilmezsin, o, kirli çıktı bir adam.
შენ არ იცნობ, მას კაპიკს ვერ გააგდებინებ.

Kirpiği kirpiğine değmemiş „წამწამი წამწამზე არ დაუკარებია“ - *არ
სძინებია; ◇ თვალი არ მოუხუჭავს (არ მოუტყუებია).
Sabaha kadar kirpiği kirpiğine değmemiş.
ღიღამდღ თვალი არ მოუხუჭავს.

Kokusu çıktı ◇ „სუნი აუვიდა“ - *(რაიმე საიდუმლო) გამჟღავნდა.

Kokusunu aldı ◇ „(რისამე) სუნი იკრა“ - *(რაღაცას) მიხვდა,
იენოსა; ◇ (რაღაცის) სუნი ეცა.
Paranın kokusunu almış olmalı ki çevremde dolaşmaya başladı.
აღბათ ფულის სუნი იკრა, იმიტომ დაიწყო ჩემს გარშემო
ტრიალი.

Kollarını açtı ◇ „ხელები გაშალა“ - *სიხარულით შეხვდა.

Kollarını sallıya sallıya geldi „ხელების ქნევა-ქნევით მოვიდა“ - *ხელკარიელი მოვიდა; ◇ ჯიბეში ხელებჩაწყობილი მოვიდა.

Kollarını sıvadı ◇ „ხელები დაიკაპიწა“ - *სამუშაოდ მოემზადა.
Haydi kolları sıva! Bakalım’, bugün üç saat içinde her şeyi bitirmemiz lâzım.

- აბა ერთი, მკლავები დაიკაპიწე, დღეს ეს საქმე სამ საათში უნდა მოვითაოთ.

Koltuğuna sığındı „(სხვის) იღლიას შეეფარა“ - *(სხვას) ამოეფარა, სხვისი მზრუნველობის ქვეშ ყოფნას შეეცადა; ◇ სხვის კალთას ამოეფარა.

Onun koltuğuna sığınıp iş görmeye çalışıyor.

ცდილობს, მის კალთას ამოეფაროს და სამსახური იშოვოს.

Koltukları kabarıp „იღლიებს ბერავს“ - *მედიდურობს, იფხორება; ◇ მამალი ინდაურივით იფხორება, თავს მაღლა წევს, ზემოდან იყურება.

Okuldaki başarısından dolayı koltukları kabarıyor.

თავისი წარმატებების გამო მამალი ინდაურივით იფხორება, აქაო და სკოლაში წარმატებები მაქვსო.

Kolu kanadı hiç tutmuyor „ხელს (მკლავებს) ვერ იმორჩილებს“ - *ღონე ეცლება; ◇ ხელ-ფეხი ერთმევა (უკანკალებს), მუხლები უკანკალებს, ხელ-ფეხი არ ემორჩილება.

Kolu kanadı kırıldı „ფრთა მოსტყდა“ - *უიმედოდ დარჩა; ◇ ფრთები შეეკვეცა.

İşi bırakınca kolu kanadı kırıldı.

როდესაც სამუშაოს თავი გაანება, ფრთები შეეკვეცა.

Koyduğum yerde otuluyor *ყამილ.* „სადაც დავტოვე, იქვე ძოვს“ - *წინსვლა არ ეტყობა; ◇ ერთ წერტილზე გაიყინა, ერთ ადგილზე იტკეპნება.

Çağa ayak uyduramıyor, hep koyduğum yerde otuluyor.

დროებას ფეხს ვერ უწყობს, ერთ წერტილზე გაიყინა.

Koyun kaval dinler gibi dinler „ისე უსმენს, როგორც ცხვარი - სალაამურს“ - *უსმენს, მაგრამ არაფერი გაეგება; ◇ გაგებაში არ არის.

Anlattıklarımı koyun kaval dinler gibi dinlediler.

წყმს მონაყოლს კი უხმენდნენ, მაგრამ გაგებაში არ იყვნენ.

Koyun postuna bürür ◇ „ცხერის ტყავში ეხვევა“ - *ინიღბება, უცოდველის სახეს იღებს; ◇ მამა აბრამის ბატკნად აჩვენებს თავს.

Koz verir ◇ „კოზირს აძლევს“ - *ხელსაყრელ მომენტს აძლევს.

Kozunu kaybeder ◇ „კოზირს კარგავს“ - *ხელსაყრელ მომენტს კარგავს; ◇ ხელიდან უშვებს.

Böyle davranınca tüm kozunu kaybetti.

როდესაც ასე მოიქცა, ყველაფერი ხელიდან გაუშვა.

Kozunu oynar ◇ „კოზირს ათამაშებს“ - *მის ხელთ არსებულ საშუალებას გამოიყენებს.

Bu konuda son kozunu oynar.

ამ საკითხში ბოლო კოზირს ათამაშებს.

Kozunu paylaştı „კოზირი გაანაწილა“ - *საქმე მოაგვარა; ◇ ანგარიში გაასწორა.

- Biz daha seninle kozumuzu paylaşmadık, buraya gel bakalım!

- ერთი, აქ მოდი! შენთან ჯერ ანგარიში არ გაგვისწორებია.

Kök saldı ◇ „ფესვი გაიდგა“ - *დაფუძნდა; ◇ ფეხი მოიკიდა.

Köyde iyice kök saldı.

სოფელში ფეხი კარგად მოიკიდა.

Köküne kibrit suyu döker „ფესვზე გოგირდმჟავას ასხამს“ - *ანადგურებს, სპობს; ◇ ნაცარ-ტუტად აქცევს.

Kökünü kazar ◇ „ძირს გამოუთხრის“ - *სამუდამოდ მოსპობს, დაღუპავს, გაანადგურებს; ◇ დედაბუდიანად ამოაგდებს (ამოძირკვავს).

Onun kökünü kazımak için elden geleni yapardım.

ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ის დედაბუდიანად ამომეძირკვა.

Kökünü kurutur „ფესვს (ძირს) უხმობს“ - *სპობს, ანადგურებს.

Köpek muamelesi yapar ◇ „ძალლივით ეპყრობა“ - *არაფრად აგდებს.

Köprülerini atar „მათ ხიდს ააფეთქებს“ - *ერთიერთობას გაწყვეტს;
◇ ხიდს ჩატეხს.

Her konuda köprüleri attık, artık geri dönmemiz çok zor.

ყველა საკითხში ხიდი ჩაეტეხეთ, უკან დაბრუნება ძალიან ძნელია.

Köprünün altından çok su geçmiştir „ხიდქვეშ ბევრმა წყალმა იდინა“ - *მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა; ◇ (მას შემდეგ) ბევრმა წყალმა ჩაიარა.

Kör alet ◇ „ბრმა იარაღი“ - *ვისიმე ნება-სურვილის ბრმად (შეუგნებლად) აღმსრულებელი.

O zamanda kör aleti idi.

იმ დროს მისი ბრმა იარაღი იყო.

Kör mahallesinde ayna satar „ბრმების უბანში სარკეს ყიდის“; - *საქმეს არასწორ მიმართულებას აძლევს, ამოდ შრომობს; ◇ კედელს ცერცვს აყრის, წყალს ნაყავს.

- Azizim, kendini boşuna yorma! Bu dik kafalı insanlara bizim fikirlerimizi anlatmak, körler mahallesinde ayna satmak gibi bir

şey ...

- ჩემო კარგო, თავს ტყუილად ნუ იხეთქავ! ამ ხისთავა ადამიანებისათვის ჩვენი აზრის გაგებინება წყლის ნაყვას ჰგავს.

Kös dinlemiş *ფაშღა*. „ნაბათის ხმა მოუსმენია, საგანგაშო ზარი მოუსმენია“ - *რაღა არ გადახდომია თავს, ბევრის მომსწრე და გამგონე ყოფილა; ◇ მის თავზე მხოლოდ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრ ცეცხლში გამოუვლია.

- Ben kös dinlemiş adamım, vaktiyle askerdim.

- ბევრ ცეცხლში გამომივლია, ჯარშიც ვყოფილვარ.

Kötü gözle bakar ◇ „ცუდი თვალით იყურება“ - *მტრულად (სიძულვილით) იყურება.

Kötü yola düştü ◇ „ცუდ გზას დაადგა“ - *(ქალი) გარყვნილების გზას დაადგა; ◇ სწორ გზას ასცდა.

Kötü yola düşüncü buralardan uzaklaştı.

როცა ცუდ გზას დაადგა, აქაურობას გაერიდა.

Kucağına düşer ◇ „ხელებში უვარდება“ - *ცუდ დღეში ვარდება; ◇ მის კლანჭებში ხვდება.

Kulağı delik „ყური გახერეტილი აქვს“ - *ყურმახვილია, რაც კი რამ ხდება, ყველაფერს სწრაფად იგებს; ◇ ყური აქვს გამახვილებული, მახვილი ყური აქვს.

Kulağı delik olduğundan her şeyi ondan öğrenmeye çalışırız.

ვინაიდან ყურები აქვს გამახვილებული, ვცდილობთ ყველაფერი მისგან გავიგოთ.

Kulağı kırıste „ყური სიმზე (უდეეს)“ - *ყურადღებითაა, არაფერი გამოუპარება; ◇ ყურები აქვს დაცქვეტილი.

- Senin bugün kulağın kırıste, bir haber mi bekliyorsun?

- შენ დღეს ყურები გაქვს დაცქვეტილი, რაიმე ამბავს ელოდები?

Kulağı tetikte *ob.:* **Kulağı kırıste.**

Kulağı tıkalı ◇ „ყურები დაცობილი აქვს“ - *მოსმენა არ უნდა, არ უსმენს; ◇ ყურებში ბამბა აქვს.

Kulağıma sesler geliyor „ყურში ხმები მომდის“ - *რალაც გავიგე; ◇ ხმები მომდის.

Kulağına çalındı „იმის ყურთან დაირეკა“ - *მოესმა, გაიგონა; ◇ მის ყურამდე მივიდა, ყურში ჩაეწვეთა, ყური მოჰკრა.

- Kulağıma Almanya'ya gidiyormuşsun diye bir şey çalındı, doğru mu?

- ყური მოკვარი, თითქოს გერმანიაში მიდიხარ, მართალია?

Kulağına çarptı *ob.:* **Kulağına çalındı.**

Kulağına girdi ◇ „ყურში შეუვიდა“ - *მიხვდა, გაიგო, გაერკვა, აითვისა, შეიგნო; ◇ თავში შეუვიდა.

Sonunda söylediklerim kulağına girmişe benziyor.

ეტიყობა, ბოლოსდაბოლოს ჩემი ნათქვამი ყურში შეუვიდა.

Kulağına kar suyu kaçtı „ყურში თოვლის ნაქონი (ნაყური) ჩაუვიდა“ - *მძიმე, გამოუვებლ მდგომარეობაში ჩავარდა, რა ქნას აღარ იცის;

◇ ცუდ დღეშია (ჩავარდნილი).

Birkaç gündür onun da kulağına kar suyu kaçtı.

რამდენიმე დღეა, რაც ისიც ცუდ დღეშია.

Kulağına kurşun mu aktı? „ყურებში ტყვია ჩაგესხა?“ - *დაყრუვდი? ◇
ყურებში ბამბა ხომ აქ გაქვს?

- Bre Hoca, kulağına kurşun mu aktı, duymuyor musun? Daha ne oturup duruyorsun?

- ეი, ხოჯა, ყურებში ბამბა ხომ არ გაქვს, არ გესმის? კიდევ რაღას უზიხარ?

Kulağına küpe olsun! „მისი ყურის საყურე იყოს“ - *არ დაავიწყდეს, მომავალში მისთვის ჭკუის სასწავლო იყოს; ◇ (მისთვის) გაკვეთილი იყოს!

Bu olay, hepimizin kulağına küpe olsun!

ეს შემთხვევა ჩვენთვის გაკვეთილი იყოს!

Kulağını açar „ყურს გაიხსნის“ - *ყურადღებით იქნება, ყურადღებით მოუსმენს; ◇ ყურებს გამოიფხიკავს, ყურს კარგად დაუგდებს.

Kulağını açıp söylediklerimi dinlemelisin.

ყური უნდა გამოიფხიკო და ჩემი ნათქვამი გაიგონო!

Kulağını çeker ◇ „ყურს უწევს“ - *ტუქსავს.

Arkadaşın yanlış yolda, biraz kulağını çeksen iyi olacak.

შენი ამხანაგი მცდარ გზაზეა, ცოტა ყურს თუ აუწევ, კარგი იქნება.

Kulağının ardına atar „ყურის უკან უშვებს“ - *არ უსმენს, უყურადღებოდაა; ◇ ყურში არ უშვებს, ერთი ყურიდან შეუშვებს, მეორედან გაუშვებს, ყურსაც არ უგდებს.

Kulak astı „ყური ჰკიდა“ - *მოუსმინა; ◇ ყური უგდო, ყური ათხოვა.

Bunların sözlerine neden kulak asıyor?

ამათ სიტყვებს ყურს რატომ უგდებს?

Kulak kabarttı „ყურები გაისია“ - *დაინტერესდა, ყურადღებით მოუსმინა; ◇ ყურები დაიგრძელა.

Hoca da dikkatlice ona kulak kabartmış.

ხოჯამაც ამაზე ყურები დაიგრძელა.

Kulak kesildi „ყურად იქცა“ - *განსაკუთრებული ყურადღებით (გაფაცოცებით) უსმინა; ◇ სმენად იქცა.

Söze başladı mı, isterdi ki, herkes **kulak kesilip** onu dinlesin.

როგორც კი ის საუბარს დაიწყო, სურდა ყველა სმენად გადაქცეულიყო.

Kulak memelerine kadar *ახ.*: **Kulaklarına kadar kızarır.**

Kulak tutar ◇ „ყური უჭირავს“ - *ინტერესით უსმენს; ◇ ყურს უგდებს, ყური იქითკენ აქვს.

Kulak verir „ყურს აძლევს“ - *(ვისიმე) ჭკუაზე დადის; ◇ ყურს უგდებს, ყურს ათხოვებს, ანგარიშს უწევს.

- Sen onlara **kulak vermeyeceksin** bugünden tez.

- ამ დღეის იქით მათ ყურს აღარ დაუგდება.

Kulakları doldu ◇ „ყურები გამოეჭედა“ - *ერთი და იმავეს მოსმენით შეწუხდა, გადაიღალა.

Gün boyu bunu dinlemekten **kulaklarım doldu.**

მთელი დღე ამის მოსმენით ყურები გამოეჭედა.

Kulakları düşmüş ◇ „ყურები ჩამოყრილი აქვს“ - *ცუდ ხასიათზეა, ყურებჩამოყრილია.

Kulakları düşmüş olduğundan hiç bir şeyi soramam.

ყურები აქვს ჩამოყრილი და ამიტომ ვერაფერს ვკითხები.

Kulaklarına geldi ◇ „მის ყურამდე მივიდა“ - *გაიგო.

Bu haberler **kulaklarına da geldi.**

ამ ამბებმა მის ყურამდეც მიაღწია.

Kulaklarına inanmadı „ყურებს არ დაუჯერა“ - *გაგონილში დაეჭვდა.

- **Kulaklarıma** inanamıyordum, bu kadar narin, bu kadar nahif bir vücutta böyle bir ruh...

- ყურებს ვერ ვუჯერებდი, ასეთ ნაზ, ასეთ ფაქიზ სხეულში ასეთი სული...

Kulaklarına kadar kızarmıştı ◇ „ყურებამდე გაწითლდა“ - *შერცხვა, დაირცხვინა.

- Geç kalıyorlar efendim, geç kalıyorlar!.. diye bağırdı. Utancımdan **kulaklarıma kadar kızarmıştım.**

- „იგვიანებენ, ჩემო ბატონო, იგვიანებენ“-ო დაიყვირა.

სირცხვილისგან ყურებამდე გავწითლდი.

Kulaklarını tıkar ◇ „ყურებს იცობს“ - *გაგონება არ სურს, წაუყრუებს; ◇ ყურს არ ათხოვებს, ყურებს ბამბით იცობს, ყურებს იყრუებს.

Bütün söyledilere kulaklarını tıkamalısın.

ყველა ჭორს ყური უნდა წაუყრუო.

Kulaktan dolma „ყურით შევსებული“ - *აქა-იქ მოსმენილი, გაგონილი, ყურმოკრული (ცოდნა; ინფორმაცია); ◇ ყურით მოთრეული.

Kulaktan dolma bilgilerle başkalarını suçlayamazsın.

ყურმოკრული ცნობებით სხვებს ვერ დაადანაშაულებ.

Kulpu takar „ყურს გამოაბამს“ - *(რადაცას) დაიწუნებს, მოიმიზეზებს, მოინახავს; ◇ კუდს გამოაბამს.

Her şeye bir kulp takmaya çalışıyor.

ცდილობს, ყველაფერს კუდი გამოაბას.

Kuma oturur „ქვიშაზე ჯდება“ - *ტყუვდება, ცდება; ◇ მშრალზე რჩება, პირში ჩალაგამოვლებული რჩება.

Kumda oynar *იხ.*: **Kumda oturur.**

Kurbağa ağaca çıkınca „როცა ბაყაყი ხეზე ავა“ - *არასდროს; ◇ როცა ვირი ხეზე ავა.

Senin dediklerin ancak kurbağa ağaca çıkınca olur.

შენი ნათქვამი მხოლოდ მაშინ შესრულდება, როცა ვირი ხეზე ავა.

Kursağında ekmeği bulunur „მის ჩინახვში მისი პური“ - *მისი გამოკვებილია, მისი გამოხრდილია; ◇ მისი პური უჭამია, მისი ძუძუ უწოვია.

Kursağında onun ekmeği bulunduğunu unutmamalısın.

არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მისი პური გიჭამია.

Kurt gibi kemirir ◇ „ჭიასავით ღრღნის“ - *გამუდმებით აწუხებს, აფორიაქებს, მოსვენებას არ აძლევს.

Bir şüphe yüreğimi kurt gibi kemiriyordu.

რადაც ეჭვი ჭიასავით მიღრღნიდა გულს.

Kuru başına kaldı „გამხმარი თავის ამარა დარჩა“ - *მარტოდმარტო დარჩა, თავის თავის ამარა დარჩა; ◇ ბაიყუშივით დარჩა.
Olumsuz davranışlarından dolayı **kurubaşına kaldı**.
უმსგავსი საქციელის გამო ბაიყუშივით დარჩა.

Kuru kafa „გამხმარი თავი“ - *უჭკუო, ბატიტვინა, თავგამხმარი, თავკარიელი; ◇ გამხმარი თავი აბია, თავში ბზე უყრია, თავი ცარიელი აქვს.

Kuru lâf „მშრალი სიტყვა“ - *არარეალური, ტყუილი დაპირება; ◇ ცარიელი სიტყვები.

Kuru tahtada kaldı „გამხმარ ფიცარზე დარჩა“ - *ყველაფერი დაკარგა, უარაფროდ დარჩა; ◇ ცარიელ-ტარიელი დარჩა, შიშველ-ტიტველი დარჩა.
Bursa'da Nazım her şeyini kaybedince ailesiyle birlikte **kuru tahtada kaldı**.
- Buluşup konuşmak iyi, ama bizim evde toplanılınca **ucu gene bana dokundu**. Bütün gün evvelâ yemek, sonra da kahve pişirdim.
- შეხვედრა და საუბარი კარგია, მაგრამ როდესაც ჩემს სახლში შეიკრიბნენ, მთელმა სიმძიმემ ჩემს თავზე გადაიარა. მთელი დღე ჯერ საჭმელს, შემდეგ კი ყავას ვამზადებდი.

Ucu bucağı yok ◇ „ბოლო არ უჩანს“ - *დაუსრულებელია, დაუმთავრებელია; უკიდუგანია; ◇ თავი და ბოლო არ უჩანს.
- Dün gezelim derken **ucu bucağı olmayan** bir ormana girmişiz. Yolumuzu bulup çıkıncaya kadar epey heyecanladık.
- გუშინ, გავისეირნოთ, მეთქი და, - ისეთ ტყეში შევედიო, რომელსაც თავი და ბოლო არ უჩანდა. ვიდრე გზას ვიპოვიდიო და იქიდან გამოვალწევდიო, საკმაოდ ვინერვიულეთ.

Ucu ortası belli olmaz „(რისამე) ბოლო და შუა გაუგებარია“ - *გაუგებარია, ბუნდოვანია, გაურკვეველია; ◇ თავი ბოლოს არ ებმის და ბოლო - თავსა, თავი და ბოლო არა აქვს.
Ucu ortası belli olmayan bir işe nasıl başlayalım?
თავი და ბოლო რომ არ ებმის ისეთი საქმე როგორ დავიწყეთ?

Ucu ortası yok *oh.*: **Ucu ortası belli olmaz.**

Ucundan bir şey var „ბოლოში რაღაცაა“ - *ამაში რაღაც ფარული განზრახვაა, ამაში რაღაცაა ჩაფიქრებული; ◇ ამის მიღმა რაღაც იმალება, ძაღლის თავი აქ მარხია.

Bu iltifatların ucunda mutlaka bir şey var.

ამ ქათინაურის უკან უეჭველად რაღაც იმალება.

Ucunu ortasını bulur „(რისამე) ბოლოს და შუას პოულობს“ - *საქმის არსში წვდება; ◇ (რისამე) თავსა და ბოლოს აგნებს, თავს აბამს.

İşin ucunu ortasını bulamıyorum.

საქმის თავსა და ბოლოს ვერ ვაგნებ.

Uçan kuşa borçlu olur „გაფრენილ ჩიტთან ვალშია“ - *ყველას ვალი ამასა აქვს; ◇ ყელამდე ვალებშია, ვალებში იხრჩობა.

- Ben o herife kız mı veririm? Onun uçan kuşa borcu var.

- ქალიშვილს იმას გავატან? ვალებში იხრჩობა.

Uçan kuştan medet umar „გაფრენილი ჩიტის იმედადაა“ - *დაღუპულია, მისი შველა აღარ შეიძლება; ◇ წყალწაღებული ხავსს ეჭიდება, მისი საქმე წასულია.

- Zavallı adamcağız öleceğini biliyor, ama gene de uçan kuştan medet umuyor.

- საცოდავმა იცის, რომ მოკვდება, მაგრამ მაინც წყალწაღებული ხავსს ეჭიდება.

Uçurum kenarında ◇ „უფსკრულის პირას(აა)“ - *დაღუპვის გზაზეა; ◇ ბეწვის ხიდზე დგას.

Uçuruma sürükler ◇ „უფსკრულში გადააგდებს“ - *დაღუპავს, გაწირავს, გაიმეტებს.

Uğuru açık ◇ „გახსნილი ბედისა“ - *ბედნიერი, ბედგახსნილი, ქედბედიანი.

Uma uma döndük muma „იმედ-იმედით სანთლად ვიქეციო“ - *ლოდინით დავიღალეთ (შევეწუხდით, გავთავდით); ◇ სანთელივით ჩამოვდნით, გული გადაგველია (გაგვიწყალდა), ჩვენი დაგვემართა (გადაგვეწყდა).

- Yahu, tam iki buçuk saattir yemeğin hazırlanmasını bekliyoruz,

görünürlerde hâlâ bir şey yok! **Uma uma döndük muma.**

- ადამიანო, ზუსტად ორსაათ-ნახევარია საჭმლის გამზადებას ველოდებით, ჯერ არაფერი ჩანს! ღოდინით გული გადაგველია.

Umurunda değil ◇ „საქმეში არ არის“ - *არ აინტერესებს, ყურადღებას არ აქცევს.

Ben onun için deli oluyorum, onun **umurunda değil.**

მისთვის ვეიულები, ის კი საქმეში არ არის.

Ununu elemiş, eleğini asmış „ფქვილი გაუცრია, საცერი ჩამოუკიდა“ - *ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს და გაუკეთებია, თავისი საკეთებელი უკეთებია, თავისი წილი ცხოვრება გაუტარებია; ◇ ბევრი საცრის პური უჭამია, თავისი გზა გაუვლია, თავისი კალო გაულეწავს.

Ben artık **unumu eleyip, eleğimi asmışım.** Ama üniversitenin bu gidişi gene de beni üzüyor.

ჩემი გზა გამივლია, მაგრამ უნივერსიტეტის ასეთი მდგომარეობა კვლავაც მაწუხებს.

Uyku durağı yok ◇ „ძილი და მოსვენება არა აქვს“ - *შეუსვენებლად მუშაობს; ◇ დასვენება არ იცის.

İki gündür **uyku durak nedir unutmuş.**

ორი დღეა, დასვენება რა არის, დაავიწყდა.

Uyku yüzü görmez ◇ „ძილი არ უნახავს“ - *არ სძინებია; ◇ თვალი არ მოუხუჭავს.

Bu raporu hazırlıyacağım diye üç gündür **uyku yüzü görmedim.**

ამ მოხსენებას დავამთავრებ-მეთქი და სამი დღე თვალი არ მომიხუჭავს.

Uykuda olur ◇ „ძილში იმყოფება“ - *(საქმე) არ კეთდება; ◇ ერთ წერტილზეა გაყინული, ადგილიდან არ იძვრის, წინ არ მიდის.

İşin **uykuda olduğu** her durumundan belliydi.

ველაფრიდან აშკარა იყო, რომ საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

Uyuyan yılanın kuyruğuna basar „მიძინარე გველს კუდზე ვეხს ადგამს“ - *ისედაც (კუდ (ბოროტ) ადამიანს ბოროტებისკენ უბიძგებს; ხიფათს ქმნის; ◇ ბოროტებას გზას უხსნის.

Uyuyan yılanın kuyruğuna basmamasını söylemiştim.

ხომ ვთქვი, რომ ის ბოროტებას გზას არ გაუხსნის.

Uzağı görür ◇ „შორს იხედება“ - *შორსმჭკერეტელია, წინდახედულად იქცევა; ◇ შორს ჭერეტს, წინ იყურება.
- Babamız uzağı gören bir adam olmasaydı, onun ölümünden sonra hepimiz seril sefil olurduk.
- მამანვენი შორსმჭკერეტელი რომ არ ყოფილიყო, მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენ ყველანი საცოდავად ვიქნებოდით.

Uzaklara gitti ◇ „შორს წავიდა“ - *საკითხს გადაუხვია, გადაამეტა; ◇ შორს შეტოვა.

Uzaktan bakar ◇ „შორიდან უყურებს“ - *ერთობა; ◇ სეირს უყურებს.

Uzaktan merhaba „შორიდან სალაში“ - *ახლოდან არ იცნობს, ახლო ურთიერთობა არა აქვს; ◇ ერთმანეთს შორიდან ესალმებიან, ერთმანეთთან სალმით არიან.
- Oturdüğümüz apartıman o derece büyük ki, diğer ailelerle ancak şöyle **uzaktan bir merhabamız var**.
- ჩვენი საცხოვრებელი სახლი იმდენად დიდია, რომ სხვა ოჯახებთან მხოლოდ სალმით ვართ.

Uzun dilli ◇ „გრძელი ენის პატრონი“ - *ზედმეტს (ბევრს) ლაპარაკობს; ◇ გრძელი ენა აქვს, ენა მხარზე აქვს გადაკიდებული, ენა ერთ არშინზე აქვს გადმოგდებული.

Uzun hikâye ◇ „გრძელი ამბავი“ - *მოსაყოლად დიდი; ◇ გრძელი ისტორია.

Onların ilişkisi çok uzun bir hikâyedir.

მათი ურთიერთობა ძალიან გრძელი ისტორიაა.

Üç aşağı beş yukarı „სამი ქვევით, ხუთი ზევით“ - *დაახლოებით, მცირე განსხვავებით; ◇ სინამდვილესთან ახლოს, სინამდვილეს უახლოვდება.

Söylediklerim üç aşağı beş yukarı böyledi.
ჩემი ჩათქვამი დაახლოებით ასე იყო.

Üç beşe bakmaz „არც სამს, არც ხუთს არ უყურებს“ - *(ყოველ-გაყიდვისას) ფასს ეურადღებას არ აქცევს; ◇ არ ევაჭრება.

Bozuk param çıkmıyor, sana bir mark geri vermeyeceğim.

- Aldırma! Aramızda üç beşe bakacak değiliz ya!

- ხურდა ფული არ მყოფნის, ერთ მარკას ვერ დაგიბრუნებ

- არა უშავს! ერთმანეთში კაპიკზე ხომ არ ვივაჭრებთ.

Üsküdar'da sabah oldu „უსქუდარში¹ გათენდა“ - *უკვე დაგვიანებუ-
ლია, რაღა დროსაა; ◇ უყარე კაკალი.

- Yarın Bedia'ya benimle evlenir mi diye soracağım.

- Oğlum, Üsküdar'da sabah oldu. Bedia dün nişanlandı.

- ხვალ ვკითხავ ბედიას, ცოლად გამოიმევება თუ არა?

- შვილო, უყარე კაკალი! ბედია უკვე გუშინ დაინიშნა.

Üst perdeden konuşur „მაღალფარდოვნად ლაპარაკობს“ - *ამაყად
(ჰონორით, მედიდურად) ლაპარაკობს; ◇ ზემოდან ლაპარაკობს,
ტუჩების აბზუებით ლაპარაკობს.

Kusurlu olduğu halde üst perdeden konuşmaya devam ediyordu.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე იყო, მაინც ზემოდან
ლაპარაკობდა.

Üste çıktı „ზევით ავიდა“ - *გათავისუფლდა, გადარჩა; ◇ თავი
დაიძვრინა, თავი დაიხსნა, თავი დააღწია.

O, her zaman üste çıkmayı başarır.

ოჰ, ის ყოველთვის ახერხებს თავის დაძვრინას.

Üstten alır *ob.*: Üst perdeden konuşur.

Üstü kapalı söyler ◇ „ქარაგმულად ლაპარაკობს“ - *გაურკვევლად
(გაუგებრად) ლაპარაკობს.

1. ქ. სტამბულის ერთ-ერთი უბანი.

Üstü kapalı konuşunca kimse bir şey anlamadı.

ქარაგმულად ლაპარაკი რომ დაიწყო, ვერავინ ვერაფერი გაიგო.

Üstünden akar „ზედ ეტყობა“ - *საქმის ვითარება ნათელია (აშკარაა, სახეზეა); ◇ სახეზე აწერია.

Suçluluk üstünden akıyordu.

დამნაშავე რომ იყო, სახეზე ეწერა.

Üstünden attı ◇ „თავიდან მოიშორა“ - *თავი დაიხსნა, (რაიმე) მიატოვა; ◇ თავი დაანება (მიანება).

O, üstünden atınca iş bizim başımıza yıkıldı.

როდესაც მან თავიდან მოიშორა, საქმე ჩვენ დაგვემხო თავზე.

Üstüne aldı ◇ „თავისთავზე აიღო“ - *თავის კისერზე აიღო.

Şu işi üstüne al!

ეს საქმე შენს თავზე აიღე!

Üstüne attı ◇ „მასზე შეაგდო“ - *ის დაადანაშაულა, მას დააბრალა;

◇ (დანაშაული) მასზე შეაგდო, (დანაშაული) მას მოახვია თავზე.

Suçunu başkasının üstüne atmaya çalışıyordu.

ცდილობდა, თავისი დანაშაული სხვისთვის მოეხვია თავზე.

Üstüne bastı *ყამიღო*. ◇ „ზუსტად მოახვედრა“ - *გამოიცნო, ზუსტად მიხვდა; ◇ მიზანში მოახვედრა, ზუსტად დაუმიზნა.

- Bana öyle geliyor ki sen benden borç para istemeğe geldin!

- Tam, üstüne bastın, param gerekiyor.

- ასე მგონია, ჩემთან ფულის სახესხებლად მოხვედი!

- ზუსტად მიზანში მოახვედრე. ფული მჭირდება.

Üstüne bıraktı *oh*: Üstüne baktı.

Üstüne bir bardak su içti „ზედ ერთი ჭიქა წყალი დააყოლა“ - *იმედი დაკარგა, იმედი გადაიწურა, გამოემშვიდობა; ◇ ხელი ჩაიქნია, იმედი გაუცრუვდა.

Üstüne geldi ◇ „თავზე წამოადგა“ - *წაასწრო, გამოიჭირა.

Konuşmamızın üstüne gelince bir de şaşırдық.

ლაპარაკზე რომ შემოგვისწრო, დავიბენით.

Üstüne gül koklamaz „(მის თავზე) ვარდსაც არ ენოსავს“ - *ყველას ურჩევნია, დიდ ერთგულებას (სიყვარულს) იჩენს, მისი სიყვარულით დაბრმავეებულია; ◇ იმის იქეთ აღარავინ უჩანს, მზე და მთვარე მასზე ამოსდის, (იმის მეტი) თვალში აღარავინ მოსდის, მისთვის ჭკუას კარგავს.

Kocandan şikâyet edersen, Allah günah yazar doğrusu. Onun **senin üstüne gül kokladığı yok.**

შენს მეუღლეზე თუ დაიხივლებ, ნამდვილად ღმერთი გიწყენს. მას ხომ შენს იქეთ აღარავინ უჩანს.

Üstüne güneş doğmaz ◇ „მზე ამოსვლას ვერ ასწრებს“ - *უთენია ღვება.

- Benim babam üstüne daha güneş doğmamıştır. Her sabah daha saat beşte yazı masasında.

მამანემს მზე ამოსვლას ვერ ასწრებს. ყოველ დღით ხუთ საათზე უკვე საწერ მაგიდასთანაა.

Üstüne kalır ◇ „თავზე აწვება“ - *(სიძნელეები) მისი გადასატანი (დასაძლევი) ხდება; ◇ მისი თავსატეხი ხდება.

O giderse bütün yük kızın üstüne kalacak.

ის თუ წავიდა, მთელი ტვირთი გოგონას დააწვება კისერზე.

Üstüne kırılır ◇ „ზედ აკვდება“ - *ძალიან უფროთხილდება, აღარ იცის, მისთვის რა ქნას; ◇ ზედ დაჰკანკალებს.

Üstüne soğuk su içti *ob.* **Üstüne bir bardak su içti.**

Üstüne titrer ◇ „ზედ დაჰკანკალებს“ - *ძალიან უფროთხილდება; ◇ ცივ ნიავს არ აკარებს.

Üstüne tuz biber eker „ზედ წიწაკას აერის“ - * გამწვავებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს, ამწვავებს; ◇ ცეცხლზე ნავთს ასხამს, ცეცხლზე ცეცხლს უკიდებს, დამწვარს დამღუღრავს.

Üstüne üstüne gider ◇ „ჯიქურ ზედ მიდის“ - *(მძიმე საქმეს, განსაცდელს და ა.შ.) არ უშინდება, არ ეპუება, არაფრად აგდებს, არ შედრკება; ◇ პირდაპირ მიდის, წარბს არ უხრის.

Tehlikeli olabilecek bir şeyin üstüne üstüne gidiyordu.

მოსალოდნელი საფრთხისკენ ჯიქურ მიდიოდა.

Üzerinden attı *ob.*: Üstünden attı.

Üzerine aldı *ob.*: Üstüne aldı.

Üzerine attı *ob.*: Üstüne attı.

Üzerine bir bardak su içti *დაცობ. ob.*: Üstüne bir bardak su içti.

Üzerine geldi *ob.*: Üstüne geldi.

Üzerine titrer *ob.*: Üstüne titrer.

Üzerine toz biber eker *ob.*: Üstüne tuz biber eker.

V

Vadesi geldi ◇ „დრო მოუვიდა“ - *სიკვდილი მოუახლოვდა; ◇ მისმა საათმა დარეკა.

- Aziz Beyin hâli kötü. Doktora bakarsan **vadesi gelmiş**.

- ბატონი აზიზის საქმე ცუდადაა. ექიმს თუ დავუჯერებთ, დრო მოუვიდა.

Vakit öldürür ◇ „დროს კლავს“ - *ერთობა; ◇ თავს იქცევს, გულს აყოლებს.

- Sinemada mıydınız?

- Ya, vakit öldürmek için....

- კინოში იყავით?

- ჰო, დროს მოსაკლავად.

Vaktine hazır olur ◇ „თავის დროისათვის მზად იქნება“ - *სიკვდილისათვის ემზადება.

Seksen yaşına varınca insan artık **vaktine hazır olmalı**.

როდესაც ადამიანი ოთხმოც წელს მიაღწევს, თავისი დროისათვის უნდა მოემზადოს.

Vara yoğa karışır ◇ „ყველაფერში ერევა“ - *ყველას საქმე აინტერესებს, ზედმეტად ცნობისმოყვარეა; ◇ ყველაფერში ცხვირს ჰყოფს, არამკითხე მოამბეა.

Ver yesin, ört yatsın, bekle canı çıkmasın! „მეცი ჭამოს, დაახურე დაწვეს, ელოდე, სული არ გასძვრეს“ - *არაფრის მაქნისია, ყოველად უუხაროა; ◇ ელოდება, როდის რას მიართმევენ; მზამზარეულზე ყოფნა უყვარს.

- Ali mi? Bırak şunu! Ver yesin, ört yatsın, bekle canı çıkmasın! Onun Başka bir iş yaptığı yok.

- ალი? მაგას მოეშვი! მეცი - ჭამოს, დააფარე - დაწვეს, უყარაულე - სული არ გაძვრეს, სხვა საქმე არაფერი აქვს.

Vız gelir *ფაშილ*. „ზუზუნად ესმის“ - *(ვისმეს ნათქვამს) არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს, არაფრად თვლის, ყურადღებას არ აქცევს; ◇ ბუზის ბზუილად ესმის, არად აგდებს, ყურს არ უგდებს, ანგარიშში არ აგდებს.

- Bu adamın bütün söyledikleri artık bana vız geliyor.

- ამ კაცის ყველა ნათქვამი უკვე ბუზის ბზუილად მესმის.

Voltajı düştük „დაბალ ძაბვაზეა“ - *მოსულელოა, დარტყმულია; ◇ თავში აკლია (უქრის).

Voltasını aldı *ჟარგ*. „ანკესი აკრიფა“ - *გაიძურწა, აორთქლდა, გაიპარა, მოუსვა; ◇ გუდა-ნაბადი აიკრა, ბარგი-ბარხანა აიკრიფა, კული ამოიძუა.

Voltasını vurmak *ჟარგ*. „ანკესს ისვრის“ - *წინ და უკან დადის; ◇ ბოლთას ცემს.

Okulun önünde volta vurmağa başladık.

სკოლის წინ ბოლთის ცემა დავიწყეთ.

Vur abalıya „დაარტყი ნაბდიანს“ - *მოურიე? შენც მონახე დახა-ნაგრი არა? ◇ დაბალი ღობე ნახე?

- Vurun bakalım abalıya! Pazara git, yemek yap, ortalığı topla!!! Şimdi de çocuğa bakasakmışım, yağma yok!

- მნახე, რა, დაბალი ღობე. ბაზარში წადი, საჭმელი მოამზადე, აქაურობა დაალაგე!!! ახლა კიდევ ბავშვებს უნდა მივხედო, ასე არ გამოვა.

Vur tut ◇ „დაკა-დაკა“ - *ჩხუბი, შეტაკება, შეჯახება; ◇ გამიშვი და გაგიშვებ, ერთი უბედურება.

Vurdukça tozur „რაც უფრო ურტყამს, უფრო მტვერდება“ - *საქმე თანდათან უფრო რთულდება, უფრო მატულობს; ◇ (საქმე) რაც უფრო იქეჭება, მით უფრო რთულდება (იხლართება), საქმეს ბოლო არ უჩანს.

Neclâ beni gene bu idiomlarla baş başa görünce: „Kızım, sen bu işi kolay kolay bitiremeyeceksin, bunlar vurdukça tozuyor!“ - dedi.

ნეჯლამ კვლავ ამ იდიომებით რომ დამინახა, მითხრა: „ჩემო გოგონავ, ამას ასე ადვილად ვერ დაასრულებ, ამ საქმეში რაც უფრო იქეჭები, მით უფრო დაუსრულებელი ხდება“.

Vücuda getirir ◇ „ხორცს (სხეულს) შეასხამს“ - *განახორციელებს, შეასრულებს.

Vücutundan düştü ◇ „ხორცი (სხეული) დაკარგა“ - *გახდა, დაილია, გაძვალტყავდა.

Vücüdünü bulur *ob.:* **Vücüdü getirir.**

Vücutunu ortadan kaldırdı „სხეული გაუნადგურა (მოუსპო)“ - *მოკლა, მოსპო, გაანადგურა; ◇ ფიზიკურად მოსპო (გაანადგურა).

Y

Ya bu deveyi gütmelü, ya bu diyardan gitmeli „ან ეს აქლემი უნდა მწყემსოს, ან აქაურობას – მოშორდეს“ - *აქაურ პირობებს უნდა შეეგუოს, არა და უნდა წავიდეს; ◇ არა და გზა ფართოა, როგორც მოვა, ისე წავა.

Kayıtmarın gereği yok; Ya bu deveyi gütmeli, ya bu diyardan gitmeli.

არავითარი მაგრამ; არა და გზა ფართოა.

Yabana attı „სხვას (უცხოს) მიუგდო“ - *არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭა, ყურადღებაც არ მიაქცია, უკუაგდო; ◇ არაფრად ჩათვალა, ხელი აუჭნია.

Osman akıllı bir adamdır; onun sözlerini yabana atmamak lazım.

ოსმანი ჭკვიანი კაცია; მისი სიტყვები ეგრე ხელის ასაქნევი არ არის.

Yakasına sarıldı ◇ „საყელოზე ჩამოეკიდა“ - *გადაეკიდა, აეკიდა, შეუენდა, ჩააცვივდა; ◇ კისერზე ჩამოეკიდა, საშველი არ მისცა, არ მოეშვა.

Yakama sarılır benden 50 bin lira borç aldı.

კისერზე ჩამომეკიდა და 50 ათასი ლირა მესესხა.

Yakasına yapıştı *ab.:* **Yakasına sarıldı.**

Yakasından attı „საყელოდან მოიშორა“ - *(ვისმესგან) გათავისუფლდა, თავი დაადწია, ჩამოიცივლა; ◇ თავიდან მოიშორა, თავი დაიძვრინა.

- Ahmet abayı bir başkasına yakmış. Şimdi Süleyha **yakasından atmak** için uğraşiyor.

- აჰმედს სხვისი სიყვარულის ცეცხლი მოჰკიდებია და ახლა სელებიას თავიდან მოშორებას ცდილობს.

Yakasını bırakmaz ◇ „(მის) საყელოს არ ეშვება“ - *არ ეშვება, მოხვენებას არ აძლევს, აწუხებს; ◇ თავს არ ანებებს.

Şüphesiz mikrobu gibidir. Bir kere geldi mi insanın kolay-kolay **yakasını bırakmaz.**

ეჭვი ციების მიკრობივითაა. ერთხელ თუ შეუენდა ადამიანს, ადვილად თავს ვერ დაანებებს.

Yakasını eline verdi „თავისი საყელო ხელში მისცა“ - *თავი დაიღუპა, თავისი თავი თავისივე ხელით განსაცდელში ჩაიგდო; ◇ თავი მახეში გაიბა.

- Leylâ yalana alışıktı olmadığından daha ilk soruda **yakayı ele verdi.**

- ლეილა ტყუილს მიხვეული არ იყო და პირველსავე შეკითხვაზე მახეში გაება.

Yakasını kurtardı „საყელო დაიხსნა“ - *თავი გაითავისუფლა (გადაირჩინა); ◇ თავი დაიძვრინა, თავს უშველა, თავი დაადწია, თავი დაიხსნა.

Gedikli hırsız, polislerin elinden bu defa da **yakasını kurtarmış.**

ძველმა ქურდმა ამჯერადაც პოლიციელთა ხელიდან თავი დაიძვრინა.

Yakasını sıyırdı *ab.:* **Yakasını kurtardı.**

Yakasını silkti „საყელო ჩამოიფერთხა“ - *მოიშორა, მიატოვა; ◇
თავი დაანება, თავიდან მოიშორა, ზურგი შეაქცია, ზურგი
უჩვენა, პირი იბრუნა.

Ondan bütün mahalle yaka silkti.

მას მთელმა უბანმა ზურგი შეაქცია.

Yama gibi duruyor „საკერებელივით ადგას“ - *არ შეეფერება,
შეუფერებელია, შეესაბამია; ◇ თვალს ცუდად ხედება, თვალში
საცემია.

Yedi kat gökten yer yüzüne indi „მეშვიდე ციდან მიწაზე (ძირს)
დაეშვა“ - *ოცნებებს თავი გაანება და რეალურ ცხოვრებას
დაუბრუნდა, რეალობას დაუბრუნდა; ◇ ციდან მიწაზე დაეშვა,
თვალეები გაახილა, ცხოვრებას თვალეებში ჩახედა, ცაში ფრენას
თავი გაანება.

Yedi kubbeli hamam kurur „შვიდგუმბათიან აბანოს აშენებს“ -
*ამაოდ ოცნებობს, ფუჭად ოცნებობს, ფუჭ ოცნებებს ეძლევა,
ოცნებებში იძირება; ◇ ოქროს კოშკებს აგებს, ცაში დაფრინავს.
- Cebinde beş paran yok, kalkmış yedi kubbeli hamam kuruyorsun. Artık
genç değilsin, aklını başına al!
- ჯიბეში კაპიკი არა გაქვს, ამდგარხარ და ოქროს კოშკებს
აგებ. ახალგაზრდა აღარ ხარ, ჭკუას მოუხმე.

Yedi mahalle duydu „შეიღმა უბანმა გაიგო“ - *ყველამ გაიგო; ◇
ქვეყანამ გაიგო, ქვეყანას მოედო, მთა და ბარს გადასწვდა.
- İsveç'e gideceğini yedi mahalle duydu. Böyle herkese anlatacak ne vardı
sanki?!
- შევეციაში მისი წასვლა ქვეყანამ გაიგო. ასე ყველასათვის
შესატყობინებელი რა იყო ვითომ?!

Yediği naneye bak! „მის ნაჭამ პიტნას შეხედე!“ - *ნახე, რა ცუდად
მოიქცა; ◇ ერთი ამას დამიხედეთ! ნახე, რა ჩაიდინა!
Böyle bir davranışı ondan beklemezdim, yediği naneye bak!
მისგან ასეთ საქციელს არ ველოდი, ნახე, რა ჩაიდინა!

Yedisinden yetmişine kadar „შეიდიდან სამოცდაათამდე“ - *ყველა,
უკლებლივ ყველა; ◇ დიდიან-პატარიანად, დიდ-პატარა.
Onun nasıl birisi olduğunu bu köyde yedisinden yetmişine kadar herkes
biliyordu.

ამ სოფელში დიდინ-პატარიანად ყველამ იცოდა, ის ვინც იყო.

Yel mi attı ◇ „ქარმა გადმოაგდო?“ - *აკ როგორ განნდა? ◇
რომელმა ქარმა გადმოაგდო?.

- Yel mi attı seni buralara.

- ქარმა ხომ არ გადმოაგდო აქეთ?

Yel üfürdü, sel götürdü „ქარმა დაქროლა, ნიაღვარმა წაიღო“ -
*ტყუილებრალოდ დაიღუპა, განადგურდა, მოისპო; ◇ ქარმა
წაიღო, წყალმა წაიღო, ჭირი მოგჭამა.

Zenginliğini kısa zamanda yel yüfürdü, sel götürdü.

მისმა სიმდიდრემ ცოტა ხანში ჭირი მოგჭამა.

Yele verdi ◇ „ქარს გაატანა“ - *გაანიავა, დახარჯა, გაფლანგა,
გაანადგურა.

O kadar parayı iki yılda yele verdi.

იმდენი ფული ორ წელიწადში ქარს გაატანა.

Yelkeni çevirdi „იალქანი შეაბრუნა“ - *საუბრის თემა შეცვალა,
საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა; ◇ ფირფიტა გადააბრუნა,
სიტყვა ბანზე შეაგდო.

Yelkenleri suya indirdi *გადატ.* „იალქნები წყალში ჩაუშვა“ - *თავი
დამარცხებულად ცნო, დათმო, დამორჩილდა, დანებდა; ◇ ფარ-
ხმალი დაყარა, ხელები ასწია.

Konferanstan sonraki tartışmada Ömer bilâhara yelkenleri suya indirmeğe
mecbur oldu.

ომერი იძულებული გახდა კონფერენციის შემდეგ გამართულ
კამათში ფარ-ხმალი დაეყარა.

(Birine) Yemi döker *გადატ.* ◇ „საკენკს უყრის“ - *ატყუებს.

Kendisine yem döktüklerini bir türlü anlamıyor.

ვერაფრით ხვდება, მას საკენკს რომ უყრის.

Yer kabul etmez ◇ „მიწა არ იღებს“ - *ცოდვილია.

Yer yarılrsa yerin içine girecektim ◇ „მიწა რომ გამსკდომოდა, შიგ
ჩავეძვრებოდი“ - *სირცხვილისაგან აღარ ვიცოდი, სად
დავმალულიყავი, სირცხვილისაგან დავიწვი; ◇ მერჩია, მიწა
გამსკდომოდა, ნეტავ მიწა გამსკდომოდა.

Yerde oturamıyor ◇ „ადგილზე ვერ ჩერდება“ - *მოუსვენრადია, აღელვებულია (აფორიაქებულია); ◇ ადგილს ვერ პოულობს.
Şenlik öyle bir dereceye yükselmişti ki, artık insan bir yerde oturamıyor, oynamağa başlıyordu.
მხიარულებამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ ადამიანი ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ცეკვას იწყებდა.

Yere battı ◇ „მიწაში შთაინთქა“ - *დაიდუკა, განადგურდა; ◇ მიწამ ჩაყლაპა, მიწამ პირი უყო.
Depremde bütün köy yere batmış.
მიწისძვრისას მთელი სოფელი განადგურდა.

Yere göğe sığmaz bir hali vardı ◇ „მიწაზე და ცაზე არ ეტეოდა“ - *განრისხებული (გაკოფებული) იყო; ◇ აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ადგილს ვერ პოულობდა.

Yeri göğü ben yarattım – der „ცა და დედამიწა მე შეექმენიო“- ამბობს - *ამაყოფს, მედიდურობს, ყოყონობს; ◇ თავი ქვეყნის ბატონ-პატრონი ჰგონია, თავზე დიდი წარმოდგენისაა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო.

Yeri göğü birbirine kattı ◇ „ცა და დედამიწა ერთმანეთში აირია“ - *დიდი მღელვარება, არეულ-დარეულობა შეიქმნა; ◇ აირია მონასტერი.

Yerin dibine geçirir ◇ „მიწაში აძერენს“ - *ამცირებს; ◇ მიწასთან ასწორებს.

Yerin dibine geçti ◇ „მიწაში ჩაძვრა“ - *შერცხვა; ◇ მზად იყო მიწაში ჩამძვრალიყო, (სირცხვილისაგან) აღარ იცოდა სად დამალულიყო (სად წასულიყო), კინაღამ სირცხვილისაგან დაიწვა.

Konuşmaya başlayınca hepimiz yerin dibine geçtik.

როგორც კი ლაპარაკი დაიწყო, აღარ ვიცოდით, სად წავსულიყავით.

Yerinde duramaz ◇ „ადგილზე ვერ ჩერდება“ - *(სიხარულისაგან) მოუსვენრადია; ◇ ადგილზე ცქმუტავს, (სიხარულისაგან) აღარ არის, ადგილს ვერ პოულობს.

Bugün okulumuz açılacak. Öyle seviniyorum ki, yerimde duramıyorum.
დღეს სკოლა გეკვება. ისე მიხარია, ადგილს ვერ ვპოულობ.

Yerinde yeller esiyor „მის ადგილზე ქარი ქრის“ - *იქ აღარაფერია, ყველაფერი მომსპარია; ◇ იქ მისი კვალიც არ არის, იქ ტურებიღა კნავიან.

Görmeğe gittik, yerinde yeller esiyordu.

სანახავად წავედიო, იქ მისი კვალიც აღარ იყო.

Yerini buldu ◇ „თავისი ადგილი იპოვა“ - *თავის საკეთებელს მიაგნო; ◇ კარგად მოეწყო.

Sonunda kendisine güzel bir yer buldu.

ბოლოს თავისთვის კარგად მოეწყო.

Yerini doldurur „თავის ადგილს ავსებს“ - *თავის მოვალეობას წარმატებით ასრულებს; ◇ (თავის) ადგილს ამართლებს, თავის ადგილს შეუფერება.

Birkaç günde yerini doldurur sanıyorum.

ვფიქრობ, რამდენიმე დღეში თავის ადგილს გაამართლებს.

Yerle beraber oldu *sh.*: Yerle bir oldu.

Yerle bir etti ◇ „მიწასთან გაასწორა“ - *ძირფესვიანად მოსპო (გაანადგურა); ◇ ნაცარ-ტუტად აქცია, დედა-ბუდიანად ამოძირკვა, ქვა ქვაზე არ დატოვა.

Düşman savaşta her şeyi yerle bir etti.

მტერმა ომში ყველაფერი მიწასთან გაასწორა.

Yerle bir oldu ◇ „მიწასთან გასწორდა“ - *ძირფესვიანად მოისპო, გაანადგურდა; ◇ ნაცარ-ტუტად იქცა, დედა-ბუდიანად ამოძირკვა, მიწისაგან აღიგავა.

Yerle gök bir olsa „ცა და დედამიწა რომ შეერთდეს“ - *რა უბედურებაც არ უნდა დატრიალდეს, არავითარ შემთხვევაში; ◇ ცაც რომ ჩამოიქცეს, ცა და დედამიწა რომ დაიქცეს, ქვეყანა რომ დაიქცეს.

Yerlere göklere sığmaz ◇ „ცასა და დედამიწაზე არ ეტევა“ - *უზომოდ გახარებულია, აღტაცებულია; ◇ (სიხარულისაგან) ცას ეწევა, მიწაზე აღარ ეტევა, მიწაზე ფეხს არ აკარებს.

- Umur doktor çıkmış, evdekiler yerlere sığmıyorlar.

- უმურო ექიმი გამხდარა, ოჯახის წევრები მიწაზე ფეხს არ აკარებენ.

Yıldız kement atar „ვარსკვლავს ქამანდს ესვრის“ - *მიუწვდომლისაკენ მიისწრაფის; ◇ ვარსკვლავებს ეპოტინება (ეთამაშება), ვარსკვლავების მოწყვეტას ლამობს.

Yıldızı düşkün ◇ „მისი ვარსკვლავი ჩამქრალია“ - *უბედურია; ◇ მისი ვარსკვლავი არ ანათებს, ბედი არ უღიმის.

Yıldızı parladı ◇ „მისი ვარსკვლავი გაბრწყინდა (აკაშკაშდა)“ - *ცნობილი (სახელგანთქმული) გახდა, დიდება მოიპოვა; ◇ სახელი მოიპოვა.

O filmden sonra yıldızı parladı.

იმ ფილმის შემდეგ მისმა ვარსკვლავმა გაიბრწყინა.

Yıldızı söndü ◇ „მისი ვარსკვლავი ჩაქრა“ - *ძველი პარტივისცემა (ძველი დიდება) დაკარგა; ◇ მისი მზე ჩაესვენა.

Yıldızları barışmazlar „მათი ვარსკვლავები ვერ მორიგდებიან“ - *ერთმანეთს ვერ ეწყობიან (ვერ ურიგდებიან); ◇ მათი ფარა ერთად ვერ მოძოვს.

- Bizim Ali ile yıldızımız bir türlü barışamadı, gitti. Birbirimizi çekemiyoruz.

- ჩვენსა და ალის შორის ჩატეხილი ხიდი ვერაფრით გამოუღდა. მორჩა, ერთმანეთს ვეღარ ვიტანთ.

Yıl on iki ay ◇ „წელიწადი და თორმეტი თვე“ - *მოუკლი წლის განმავლობაში, მუდმივად შეუწყვეტლივ.

Yıl on iki ay işine gidip geliyor.

წელიწადი და თორმეტი თვე სამსახურში მიდი-მოდის.

Yol bilir ◇ „გზა იცის“ - *გამოცდილია, ბევრი რამ იცის; ◇ (ყველაფრის) ასავალ-დასავალი იცის.

Yola çıkar *ob.*: Yol alır.

Yola gelir ◇ „გზაზე დგება“ - *სწორად მოქმედებს; ◇ სწორ გზას ადგება.

Uyarılarımızdan sonra yola geldi.

ჩვენი გაფრთხილების შემდეგ სწორ გზას დაადგა.

Yola getirir ◇ „გზაზე აყენებს“ - *შეკლის, ეხმარება; ◇ სწორ გზაზე აყენებს; ჭკუაზე მოჰყავს.

- Ne o! O hâlâ ayak mı diriyor? Yakında ben o herifi yola getiririm!

- რაო, ის კიდევ ფეხს ითრევს? მას მალე ჭკუაზე მოვიყვან.

Yoldan çıkardı ◇ „გზას ააცდინა“ - *მოატყუა, შეაცდინა; ◇ გზა გაუმრუდა, სწორ გზას ააცდინა, ცუდ გზაზე დააყენა.

Yoldan çıktı ◇ „გზას ასცდა“ - *შეცდა, მოტყუვდა; ◇ სწორ გზას ასცდა, გზა-კვალი აერია, გზა გაუმრუდდა (აერია).

Birkaç gündür epey yoldan çıkmış gibi görünüyor.

რამდენიმე დღეა, გზას აცდენილივით გამოიყურები.

Yolları ayrıldı ◇ „მათი გზები გაიყარა“ - *ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

Ne yazık ki yolları ayrıldı, ama yaşam böyledir. O, oyun kâğıtlara benzer. Nasıl oynarsın....

რა სამწუხაროა, რომ მათი გზები გაიყარა, მაგრამ ასეთია ცხოვრება... ის კარტს ჰგავს. როგორც ითამაშებ....

Yolu arar ◇ „გზას ეძებს“ - *რისამე საშუალებას ეძებს; ◇ გამოსავალს ეძებს.

İflastan kurtulmak için yol arıyorduk.

გაკოტრებისაგან თავის დასახსნელად გზას ვეძებდით.

Yolu bulur ◇ „გზას პოულობს“ - *სწორი მოქმედების მიმართულებას პოულობს; ◇ სწორ გზას აგნებს, გამოსავალს პოულობს.

Borçlarından kurtulmak için yol bulmaya çalışır.

ცდილობს, ვალებიდან თავის დასახსნელი გზა იპოვოს.

Yolun açık olsun! ◇ „გზა ხსნილი გქონდეს!“ - *ბედნიერი მგზავრობა!

Yoluna bakar ◇ „მის გზას გაჰყურებს“ - *მის მოხვლას ელოდება.

Yolunu açar *oh.* Yolunu gösterir.

Yolunu bekler *ob.:* **Yolunu bakar.**

Yolunu gösterir ◇ „გზას უჩვენებს“ - *სწორი მოქმედებისკენ უთითებს; ◇ გზაზე აყენებს, გზას უკაფავს (უნათებს).

Yol göstereni olmadığından epey sıkıntıya düşmüş.

ვინაიდან გზის მაჩვენებელი არ ჰყავდა, დიდ გასაჭირში ჩავარდა.

Yolunu gözler ◇ „მის გზას გაჰყურებს“ *ob.:* **Yoluna bakar.**

Yolunu sapıttı ◇ „გზიდან გადაახვევინა“ - *შეაცდინა, მოატყუა; ◇ გზა გაუმრუდა, სწორ გზას ააცდინა.

Yolunu şaşırdı ◇ „გზა აერია (შეეშალა)“ - *შეცდა, მოტყუვდა, დაიბნა; ◇ გზა აებნა, გზა-კვალი აერია, მცდარ გზას დაადგა.

Yolu şaşırdığı için ne yaptığını bilmiyor.

გზა-კვალი აერია და რას აკეთებს არ იცის.

Yolunu verir *ob.:* **Yolunu açar.**

Yüfka gönüllü ◇ „ჩვილი გულისა“ - *გულჩვილი, ღმობიერი; ◇ სათუთი გულისა.

Annem çok yufka gönüllü bir kadındır.

დედაჩემი ძალიან სათუთი გულის პატრონია.

Yukardan aşağı süzer „ზემოდან ქვეითამდე წურავს“ - *ზედმიწვევით აკვირდება (ათვალიერებს); ◇ თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერებს.

Odasına girince beni yukardan aşağı süzdü.

როცა ოთახში შევიდა, თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

Yukarıdan bakar ◇ „ზემოდან იყურება“ - *მედიდურობს, ამპარტავნობს, ყოყონობს; ◇ თავი მოაქვს, ცხვირაწეული დადის, თავაწეული დადის.

Yukarıdan bakan insanlardan kimse hoşlanmaz.

არავის მოსწონს ადამიანები, რომლებიც ზემოდან იყურებიან.

Yumruk gösterir ◇ „მუშტებს უღერებს“ - *აშინებს, ემუქრება.

Yumurta kapıya geldi ◇ „კვერცხი კარს მოადგა“ - *საქმის მოსაგვარებლად ძალიან ცოტა დრო დარჩა.

Yumurta kapıya gelince bize danışyorsun.

ჩვენ მამის მოგემართავ, როცა კვერცხი მოგადგება.

Yumurtadan daha dün çıkmış ◇ „კვერცხიდან ჯერ კიდევ გუშინ გამოიჩეკა“ - *ჯერ ახალგაზრდაა, გამოუცდელია; ◇ გუშინდელი ღლაპია, გუშინდელი გამოჩეკილია, ჯერ დედის ხსენი არ შეშრობია.

Yuvasını yıkar ◇ „ბუდეს ანგრევს“ - *ოჯახს ანადგურებს (სპობს); ◇ ბუდეს შლის.

Başkalarının yuvasını yıkmaya çalışma.

სხვების ბუდის დანგრევას ნუ ცდილობ.

Yükünü kaldırır ◇ „ტვირთს ეწევა“ - *საქმის მთელ სიმძიმეს თავის თავზე იღებს; ◇ ტვირთს ზიდავს.

Adam sanki yük kaldırmak için yaratılmıştı.

ადამიანი თითქოს იმისთვის გაჩენილა, რომ ტვირთი ზიდოს.

Yük altına girer ◇ „ტვირთს იკიდებს“ - *მძიმე მოვალეობას იღებს; ◇ თავს მძიმე უღელში ყოფს.

Böyle bir görevi almakla yük altına girdiğinin farkında mısınız?

ასეთი ტვირთის აღებით, ხედები თუ არა, რომ თავს მძიმე უღელში ჰყოფ?

Yükarı tükürsem bıyık aşağı tükürsem sakal „ავაფურთხო უღვაშია, დავაფურთხო წვერია“ - *დაბნეული ვარ, ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე; ◇ ორ ცეცხლშუა ვარ, ორ წყალშუა ვარ, ავაფურთხე უღვაშს მოხვდა, დავაფურთხე - წვერსაო.

Ne yapabilir dim, yükarı tükürsem bıyık, aşağı tükürsem sakal.

რა უნდა მექნა, ორ ცეცხლშუა ვიყავი.

Yükseklerde dolaşır ◇ „მაღლა-მაღლა დადის“ - *ძნელ, მიუწვდომელ რასმეს ეპოტინება; ◇ დიდ სიმაღლეებს ეპოტინება, მაღლა-მაღლა დაფრინავს.

Ailenin durumunu göz önünde bulundur da yükseklerde dolaşmayı bırak.

შენი ოჯახის მდგომარეობა გაითვალისწინე და მაღლა-მაღლა ფრენას თავი დაანებე.

Yüksekten bakar *ob.*: Yukarıdan bakar.

Yüksekten uçar *ob.*: Yükseklerde dolaşır.

Yükün altından kalktı ◇ „ტვირთი მოიხსნა“ - *ძნელი საქმიდან გათავისუფლდა, ამოიხუნთქა, ეშველა.
Bu işte de yükün altından kalkmayı başardı.
ამ საქმეშიც ტვირთის მოხსნა წარმატება იყო.

Yükünü aldı ◇ „ტვირთი აიღო“ - *იტვირთა, ძნელ საქმეს თვითონ მოკიდა ხელი.

Yükünü kaldırır ◇ „ტვირთს ეწევა“ - *საქმის მთელ სიმძიმეს თავის თავზე იღებს. ◇ ტვირთს ზიდავს.
Adam sanki yük kaldırılmak için yaratılmıştı.
აღამიანი თითქოს იმისთვის განენილა, რომ ტვირთი ზიდოს.

Yüreği ağzına geldi „გული პირთან მოადგა“ - *ძალიან შეეშინდა; ◇ გული ყელში მოებჯინა, გული გადაუბრუნდა, გული ამოუვარდა.
Mektubu elime atıp ta kenarındaki siyah çizgiyi görünce, yüreğim ağzıma geldi.
როდესაც წერილი ხელში ავიღე და მის კიდეზე შავი ხაზი დავინახე, გული ამომივარდა.

Yüreği bayılır ◇ „გული მისდის“ - *ძალიან შია; ◇ (შიმშილისაგან) კბილები უკაწკაწებს, კუჭი ეწვის, უხმება, მუცელი უქოთქოთებს.

Yüreği bulandı ◇ „გული ამემღერა“ - *აფორიაქდა, ხასიათი გაუფუჭდა.
- Senin bu anlatıklarından sonra yüreğim bulandı, ben bu işten vaz geçiyorum.
- შენი მონაყოლის შემდეგ გული ამემღერა, ამ საქმეზე უარს ვამბობ.

Yüreği cız etti ◇ „გულმა რეჩხი უყო“ - *შეკრთა, შეცბა; შეწუხდა, აფორიაქდა; ◇ გული შეეკუმშა, გული ჩასწყდა.
- O güzelim kızım Mahmut'la nişanlandığınu duyduğum zaman yüreğim cız etti.
- როდესაც გავიგე, რომ ჩემი ღამიანი გოგო მაჰმუდზე დაინიშნა, გული დამწყდა.

Yüreği çarptı ◇ „გული აუფანცქალდა“ - *აღელდა, აფორიაქდა, შეშფოთდა, შეშინდა; ◇ გული აუკანკალდა, გული ბუდიდან ამოუვარდა.

Onu görünce benim de yüreğim çarpmaya başladı.
მის დანახვაზე მეც გული ამიკანკალდა.

Yüreği delik *ხაღბ.* ◇ „დაკოდელი გულისა“ - *გულდაკოდელი, სვედიანი, დარდიანი.

Yüreği gitti ◇ „გული წაუვიდა“ - *გონება დაკარგა, გრძნობა დაკარგა; ◇ გული შეუწუხდა.

- Necdet kapıyı açıp ta Nermin'i karşısında görünce yüreği birden gitti.

- ნეჯდეთმა კარი რომ გააღო და ნერმინი დაინახა, უცებ გული წაუვიდა.

Yüreği gümbür dedi ◇ „გული გადაუბრუნდა“ - *შეეშინდა, შეკრთა; ◇ გული გადაუქანდა.

Fadimenin dudakları titredi, yüreği gümbür dedi.

ფადიმეს ტუჩები აუკანკალდა, გული გადაუქანდა.

Yüreği kaldırmıyor ◇ „მისი გული ვერ იტანს“ - *ვერ უძლებს.

Çocuklarının bu durumları yüreği kaldırmıyor.

თავისი შვილების ასეთ მდგომარეობას მისი გული ვერ იტანს.

Yüreği kapanıyor ◇ „გული ეხურება“ - *დარდობს, წუხს; ◇ გული ეკუმშება, გულზე ნისლი აწვება.

Yüreğim niçin kapanıyorsun?

გულო, რატომ მეხურები?

Yüreği karardı ◇ „გული გაუშავდა“ - *დაღონდა, დანადგვლიანდა, დადარდიანდა, სვედა მოაწვა; ◇ გული დაეხურა; გულზე ნისლი შემოაწვა, გული დაუმძიმდა.

Yüreği katı ◇ „მაგარი გულის (პატრონი)“ - *მკაცრი, უგულო, გულქვა, შეუბრალებელი; ◇ ქვა გულის პატრონი.

Yüreği oynadı ◇ „გული შეუთამაშდა“ - *ძალიან შეეშინდა, შეკრთა; ◇ გული შეუკრთა, გული გადაუბრუნდა (გადაუტრიალდა, გადაუქანდა, შეუფრთხილდა).

- Yüreği parçalandı** ◇ „გული დაეფლითა“ - *დაღონდა, დადარდიანდა, შეწუხდა; ◇ გული დაეწიწკნა, გული დაეთუთქა.
Çocukların durumunu görünce yüreğimiz parçalandı.
როდესაც ბავშვების მდგომარეობა დაეინახეთ, გული დაგვეთუთქა.
- Yüreği sıkılıyor** ◇ „გული ეკუმშება“ - *წუხს, იტანჯება, დარდობს; ◇ გული უწუხს.
- Yüreği sızlanıyor** ◇ „გული უკენესის“ - *ძალიან წუხს, იტანჯება, დარდობს; ◇ გული უტირის, გული სტიკეა.
- Yüreği şişer** ◇ „გული უსივდება“ - *წუხს, დარდობს.
- Yüreği titriyor** ◇ „გული უკანკალებს“ - *ეშინია; ◇ გული უფანცქალებს.
- Yüreği tükendi** ◇ „გული გადაელია“ - *მოთმინება დაეკარგა, შეწუხდა; ◇ გული გაუწვრილდა.
- Bize gayırıkıyâsi verbleri anlatıncaya kadar Almanca hocasının yüreği tükendi. Gene de pek bir şey anlamadık.
- ვიდრე გერმანულის მასწავლებელი არაწესიერ ზმნებს აგვიხსნიდა, მას გული გაუწვრილდა, ჩვენ კი მაინც ვერაფერი გავიგეთ.
- Yüreği yağ bağlar** ◇ „გულზე მალამოდ ედება“ - *სიამოვნებას ჰგერის, სიხარულს ანიჭებს.
Biz zor durumda kaldıkça onun yüreği yağ bağlıyordu.
როდესაც მიძიმე მდგომარეობაში ვვარდებოდით, მის გულს მალამო ედებოდა.
- Yüreği yandı** ◇ „გული დაეწვა“ - *ძალიან ეწვინა, დაენანა; ◇ გული ეტკინა, გული დასწყდა, გული დაეთუთქა.
Senin durumuna yüregim yandı.
შენს მდგომარეობაზე გული დამეწვა.
- Yüreği yaralı** ◇ „გული აქვს დაკოდილი“ - *გულდაკოდილია, გულნატკენია; ◇ გული დასერილი აქვს.

Yüreği yarıldı ◇ „გული გაუსკდა“ - *შეეშინდა.

Fadimenin yüreği korkuyla yarıldı.

ფადიმეს შიშისაგან გული გაუსკდა.

Yüreği yerinden oynadı ◇ „გული საგულედან ამოუვარდა“ - *შეეშინდა, შეკრთა; ◇ გული საგულეში აღარ აქვს.

Yüreği yufka ◇ „ჩვილი გულისა“ - *გულწვილი, მგრძნობიარე. ◇ სუსტი (სათუთი) გულისა.

Yüreğinde geçer ◇ „გულში გაივლებს“ - *გაიფიქრებს.

Yüreğinden kan gidiyor ◇ „გულიდან სისხლი სდის“ - *ძალიან წუხს, იტანჯება; ◇ გულზე ცეცხლი ეკიდება, გული ეთუთქება, გული უკვდება, გული ეწურება.

- Hatice böyle hayatını mahvettikçe zavallı anacığının yüreğinden kan damlıyor, kız oralı değil.

- ჰათიჯე თავის სიცოცხლეს ასე რომ ღუპავდა, საცოდავ დედამისს გული უკვდებოდა, გოგონას საამქვეყნო პირი არ უნანდა.

Yüreğine ateş düştü ◇ „გულში ცეცხლი ჩაუვარდა“ - *დიდ განსაცდელში (გასაჭირში) ჩავარდა; ◇ (გულში) ჯოჯოხეთის ცეცხლი დაუტრიალდა, გულზე ცეცხლი მოეკიდა.

Yüreğine işledi ◇ „მას გულზე მოხვდა“ - *მკვეთრად განიცადა.

- Neriman`ın benim hakkımda söyledikleri yüreğime işledi. Bir zamanlar en iyi dostumdu.

- ნერმინის ნათქვამი ჩემ შესახებ გულზე მომხვდა. ერთ დროს ჩემი კარგი ამხანაგი იყო.

Yüreğine kar ağar „გულზე ათოვს“ - *ეჭვი იპერობს, ეჭვებში ვარდება; ◇ მის გულს ეჭვის ჭია ღრღნის.

Yüreğine su serpildi „გულზე წყალი ეპკურა“ - *დამშვიდდა, ამოისუნთქა, დაწინარდა, მოსვენება ჰპოვა; ◇ გულზე მოეშვა, გულზე მოეფონა, გულზე მალამოდ მოეცხო.

İyi olduğunu öğrendince arkadaşlarının da yüreğine su serpildi.

როდესაც გაიგეს, რომ კარგად იყო, ამხანაგებს გულზე მოეშვათ.

- Yüreğini boşalttı** ◇ „გული დაცალა“ - *თავისი საიდუმლო გაამხილა;
 ◇ გული გადაშალა, გულის ნადები გადაშალა, გულის კარი გააღო.
- Yüreğini döktü** *nb.*: **Yüreğini boşalttı.**
- Yüreğini pek tutuyor** ◇ „გული მაგრად უჭირავს“ - *მხნედ არის, იმედიახადია; ◇ გულს იმაგრებს, გულს იკეთებს.
- Yüreğini tüketti** ◇ „გული დაულია“ - *შეაწუხა; ◇ გული გაუწერილა, გული გაუწყალა.
- Yüreğini verdi** ◇ „გული მისცა“ - *გაამხნევა, დააიმედა; ◇ გული გაუმაგრა, სული ჩაუდგა.
- Yüreğinin yağı eridi** „გულის ცხიმი გაუღნა“ - *ძალიან შეწუხდა; ◇ გული გაუღნა, გული გადაელია, გული გაუწყალდა.
- Yürekten gelen** ◇ „გულიდან მომდინარე“ - *გულწრფელი სიტყვები.
- Yüz görümlüğü** ◇ „პირის სანახავი“ - *საჩუქარი, მოსაკითხი, ძღვენი.
 - Baho, merhaba! Bize niçin gelmiyorsun, yüz görümlüğü mü almak istiyorsun?
 - ბახო, გამარჯობა! ჩვენთან რატომ არ გადმოდიხარ, პირის სანახავს ხომ არ ითხოვ?
- Yüz kızartıcı** „სახის გამაწითლებელი“ - *შემარცხვენელი, თავის მომჭრელი; ◇ თავმოყვარეობის შემლახავი; თავლაფის დამსხმელი, ღირსების შემლახავი.
 Bu haksızlık karşısında sessiz kalmak bizim için yüz kızartıcıdır.
 ასეთი უსამართლობის წინაშე განუმეხა ჩვენთვის თავის მომჭრელია.
- Yüz suyu döktü** „პირის წყალი დაღვარა“ - *(თავის დამცირებამდე) ყველანაირად ეხვეწა, ემუდარა; ◇ (ხვეწით) ყბა დაეღალა, ყელი (ენა) გაუშრა, ფეხ-ქვეშ გაეგო, თავი დაიმცირა.
- Yüz yüze bakacak yer bırakamazlar** ◇ „ერთმანეთს სახეში შესახედავ ადგილს არ უტოვებენ“ - *ერთმანეთს დიდი შეურაცხყოფა

მიაყენეს, ერთმანეთი ძალიან გამოლანძღეს; ◇ ერთმანეთისათვის სახეში ველარ შეუხედავთ, ერთმანეთთან მისასვლელი პირი აღარ აქვთ, ერთმანეთისთვის აღარაფერი დაუკლიათ.

- Nihat'la Orhan bir hiç yüzünden öyle ileri gittiler ki, bir daha birbirlerinin yüzüne bakacak yer bırakmadılar.

- ნიჰათმა და ორჰანმა სულ არაფრის გამო ისე შორს შეტოპეს, რომ ერთმანეთს სახეში ველარ უყურებენ.

Yüz yüze geldiler ◇ „პირისპირ შეხვდნენ“ - *ერთმანეთს მარტო შეხვდნენ; ◇ ერთი ერთზე დარჩნენ.

Yüz yüze gelince ne yapacağımızı şaşırдық.

როდესაც ერთმანეთთან პირისპირ აღმოვჩნდით, დავიბენით, არ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა.

Yüzü ak ◇ „ნათელი სახისა“ - *ემწიკვლო, უცოდველი, უდანაშაულო, პირნათელი, სინდისიერი; ◇ პირნათელი (მართალი) გულის (პატრონი), სუფთა სინდისისა, ბროლა კაკალი.

Onun söylediklerine bakma, bizim yüzümüz ak.

მის ნათქვამს უურადლებას ნუ მიაქცევ, ჩვენი სინდისი სუფთაა.

Yüzü bozuldu ◇ „სახე წაუხდა“ - *დადარდიანდა, დაღონდა, შეწუხდა, შეშფოთდა; ◇ სახე წაეშალა.

Yüzü değişti ◇ „სახე შეეცვალა“ - *შეკრთა, შეცბა, გაოგნდა; ◇ ფერი ეცვალა.

Murtaza duvara dayalı olan hasırı gördü. Bir anda yüzü değişiverdi. Hasırın dışında kalan iki ayak görmüştü.

მურთაზამ კედელზე მიყუდებული ჭილოფი დაინახა, ერთბაშად სახე შეეცვალა. ჭილოფსგარეთ დარჩენილი ორი ფეხი დაინახა.

Yüzü eşek derisi „მისი სახე - ვირის ტყავი“ - *უხირცხვილო, შუბლმაგარი, უნამუხო; ◇ მაგარი შუბლის პატრონი.

Sözlerimden hiç etkilenmedi, adamda yüz eşek derisi.

ჩემმა სიტყვებმა მასზე ოდნავადაც არ იმოქმედა, მაგარი შუბლი აქვს.

Yüzü gülüyor ◇ „სახე უცინის“ - *კარგ ხასიათზეა, გახარებულია; ◇ სახე უნათდება (უბრწყინდება), გული უნათდება.

- Tatilde olduğumuz sırada tam üç hafta durmamacasına yağmur yağdı. Ancak son bir iki gün güneş çıktı da yüzümüz güldü.

- არდადაგებზე ყოფნის მთელ პერიოდში ზუსტად სამი კვირა გადაუღებლად იწვიმა. მზე მხოლოდ ბოლო ორ დღეს გამოვიდა და გული გაგვინათდა.

Yüzü kalmadı ◇ „პირი აღარ აქვს“ - *სირცხვილში ჩავარდა, სირცხვილი ჭამა, შერცხვენილი დარჩა; ◇ მისასვლელი (გამოსაჩენი) პირი აღარ აქვს.

Ondan para istemeye yüzü kalmadığını söyledi.

თქვა, რომ მასთან ფულის სათხოვნელად მისასვლელი პირი აღარ ჰქონდა.

Yüzü kasap süngeriyle silinmiş „სახე ყასაბის ღრუბლით აქვს გაწმენდილი“ - *უსირცხვილოა, უნამუსოა, შეუბღმაგარია, თავსეღია; ◇ შუბლის კანი სქელი აქვს.

- Sen bu heriften utanmasını mı bekliyordun? Görmüyor musun, onun yüzü kasap süngeriyle silinmiş.

- განა ელოდებოდი რომ ამ კაცს შერცხვებოდა? ვერ ხედავ, რა სქელი შუბლის კანი აქვს?

Yüzü pek „მაგარი სახისა“ - *უსირცხვილო, შეუბღმაგარი; ◇ სქელი შუბლის კანი აქვს, სქელი კანი აქვს.

- Senin maşallah yüzün pek! Hem Ahmed'e yirmi lira borç vermedin, param yok, dedin, hem de sonradan onun gözün önünde yemek parayı bin liralık bir banknotla ödedin.

- შენ, ღმერთმანი, მაგარი შუბლი გაქვს! აჰმედს ოცი ლირა არ ასესხე, არა მაქვსო, უთხარი და შემდეგ კი მის თვალწინ საჭმლის ფული ათასიანი ბანკნოტით გადაიხადე.

Yüzü sirke satar „მისი სახე ძმარს ყიდის“ - *ცუდ (მოშხამულ) ხასიათზეა, ცუდ გუნებაზეა; ◇ სახეზე ძმარი ჩამოსდის, მოძმარული სახე აქვს, სახე ჩამოსტირის, სახეზე ზეთი ჩამოსდის, მუჟეე ხასიათზეა.

Yüzü sirke satan bir insan ticarete başarılı olabilir mi?

ისეთი ადამიანი, რომელსაც სახე მუდამ ჩამოსტირის, ვაჭრობაში წარმატებას განა მიაღწევს?

Yüzü yoktur ◇ „პირი არა აქვს“ - *შერცხვენილია, თავს დაძნაშავედ გრძნობს, რცხვენია.

- Haca gitmek istiyorsun, değil mi?

- Fakat yüzüm yok.

- Allah her şeyi affeder!
- ჰაჯად¹ წასვლა გინდა, არა?
- მაგრამ წასასვლელი პირი არა მაქვს!
- ალლაჰი ყველაფერს შეგინდობს!

Yüzü yumuşak ◇ „რბილი სახისა“ - *გულკეთილი, გულმოწყალე, გულთბილი, დამთმობი.

Yüzü yumuşak olduğu için herkes kendisinden yararlanmaya çalışıyor.
მოწყალე გულისაა, ამიტომაც ყველა მის გამოყენებას ცდილობს.

Yüzünde şeytan tüyü var „სახეზე ეშმაკის ბეწვი აქვს“ - *რაღაც მიმზიდველი ძალა აქვს, ყველას თავს აეყარებს; ◇ რაღაც ჯადო (თილისმა) აქვს.

Sen herkese kendini sevdirmeye bak, onun **yüzünde şeytan tüyü var**.
შენ იმას შეხედე, ყველას თავს როგორ აეყარებს, რაღაც თილისმა აქვს.

Yüzünden akar ◇ „სახეზე ჩამოსდის“ - *გამომეტყველებაზე ეტყობა; ◇ სახეზე აწერია (ეტყობა, ეხატება), ზედ აწერია.

Sıkıntılı olduğu **yüzünden akıyordu**.
შეწუხებული რომ იყო, სახეზე ეწერა.

Yüzünden okur ◇ „მის სახეზე კითხულობს“ - *სახეზე (გამომეტყველებაზე) ატყობს.

- Senin bugün bir derdin var! Bunu **yüzünden okuyorum**.
- დღეს რაღაც გადარდებს, ამას შენს სახეზე ვკითხულობ.

Yüzüne bakılır ◇ „სახეზე შეეხედება“ - *უშნოდ არ ჩაითვლება, მოღამაზთა; ◇ სახეზე არა უშავს.

Yüzüne bakılmaz ◇ „სახეზე არ შეეხედება“ - *უშნოა, მახინჯია; ◇ ჯოჯოხეთის მაშხალაა.

Yüzüne bakmaz ◇ „სახეში არ უყურებს“ - *განაწყენებულია, მისი დანახვაც არ უნდა; ◇ ზედაც არ უყურებს.

Yüzüne gülür ხაღბ. ◇ „პირში უცინის“ - *(მის წინაშე) თვალთმაქცობს.

1. ქ. მექაში მომლოცველად წასვლა.

- **Yüze gülen** insanları hiç sevmem. Bunlar çok defa doğru insanlar değildir. სულაც არ მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც სხვას პირში უცინიან. უმეტეს შემთხვევაში ისინი გულწრფელები არ არიან.

Yüzüne söyler ◇ „პირში ეუბნება“ - *სათქმელს მოუერიდებლად ეუბნება; ◇ პირში ახლის.

- Ayşe kızıyor. Tahminim gibi beni aldattı ise, bunu açıkça yüzüme söyleyeceği zaman uzak değildir.

- აიშე ბრაზობს. ჩემი ვარაუდით, თუ მომატყუა, არც ის დროა შორს, როცა ამას პირში მეტყვის.

Yüzüne vurur ◇ „პირში მიახლის“ - *საყვედურს პირდაპირ ეტყვის (მიახლის).

Bize yaptıklarının hepsini yüzüne vurdum.

ყველაფერი, რაც გაგვიკეთეს, პირში მივახალე.

Yüzünü ağartır ◇ „სახეს უნათებს“ - *ახარებს.

Gösterdiği başarıyla hepimizin yüzünü ağarttı.

მისმა წარმატებამ ყველას სახე გაგვინათა.

Yüzünü buruşturdu ◇ „სახე მოჭმუხნა (მოღუშა)“ - *ცუდ ხასიათზე დადგა, გაბრაზდა; ◇ წარბები შეკრა, კოპები შეკრა.

Yüzünü çevirdi ◇ „პირი მიაბრუნა“ - *გაიბუტა; ◇ პირი შეაქცია, პირი მოარიდა.

- Hanife bana bu günlerde yüz çevirip duruyor. Ne yaptım ona, ben de bilmiyorum.

- ჰანიფე ამ დღეებში პირს მარიდებს, მეც არ ვიცი, რა დაეუშავე.

Yüzünü ekşitti *oh.* **Yüzünü buruşturdu.**

Yüzünü görmemiş ◇ „(მისი) სახე არ უნახავს“ - *არ იცის, როგორია (რანაირია); ◇ არ იცის, რა ფერისაა, რა ხილია, არ იცის.

Rahat yüzünü görmemiş.

არ იცის, დასვენება რა ხილია.

Yüzünü kara çıkardı ◇ „პირშავად გამოიყვანა“ - *შეარცხვინა, გაამტყუნა, გააშავა; ◇ ჩირქი მოსცხო.

- Yeni arabam doğrusu yüzümü kara çıkardı. O kadar öğdüm, tam sizi

gezdireyim derken motor ölüyor.

ახალმა მანქანამ ნამდვილად პირშავად გამომიყვანა. იმდენი ვაქე, ყველას გაგასეირნებთ - მეოქი და ძრავა უფუჭდება.

Yüzünü yere getirdi „სახე ძირს დაახრევინა“ - *შეარცხვინა; ◇ სირცხვილი აჭამა.

- Misafirlerin yanında yaptığım münasebetsiz şakalarla yüzümü yere getirdin!

- სტუმრებთან შენი უადგილო ხუმრობით სირცხვილი მაჭამე.

Yüzünün derisi kalın „სახის კანი სქელი აქვს“ - *უსირცხვილოა, თავხედია; ◇ სქელი კანი აქვს, სქელი შუბლი აქვს.

Z

Zaman geçirir ◇ „დრო გაჰყავს“ - * 1. ერთობა; 2 უსაქმურადაა; ◇ დროს კარგავს, უქმად არის.

O çok zaman geçirir.

ის ბევრ დროს კარგავს.

Zaman kazanır ◇ „დროს იგებს“ - *დროს ნაყოფიერად იყენებს.

Zaman öldürür ◇ „დროს კლავს“ - *(საქმის უქონლობის გამო) თავს როგორღაც ირობს.

Zamana uydu ◇ „დროს აჰყვა (შეეწყო)“ - *დროების შესაფერისად მოიქცა; ◇ დროს ფეხი აუწყო, დროს ყური მიუგდო.

Zamanı kolladı ◇ „დრო იხელთა“ - *მოხერხებული შემთხვევა ხელში ჩაიგდო.

Zamanı verdi ◇ „დრო მისცა“ - *(რისიმე გაკეთება) ადროვა, აკალა; ◇ დრო დაუნიშნა (დაუთქვა).

Zehirini akıtır ◇ „შხამს ანთხევს“ - *გესლავს, შხამავს, ჰკბენს.

Zembereği boşandı „ზამბარა მოეშვა“ - *სიცილით კინაღამ მოკვდა, ახარხარდა; ◇ მუცელი ხელით ეჭირა.

Zembereği boşanmış gibi gülmeye başladı.
ისე ახარხარდა, რომ მუცელი ხელით ეჭირა.

Zemin hazırlar ◇ „ნიადაგს ამზადებს“ - *საჭირო პირობებს ქმნის; ◇
შესავალს აკეთებს.
Gelecek için zemin hazırlar.
მოსასვლელად ნიადაგს ამზადებს.

Zevkini çıkarır ◇ „გემოს უგებს“ - *სიამოვნებას იღებს, ტკბება; ◇
გემოს ატანს.
- Sen de aramızda olsaydın, çünkü gezintinin zevkini daha güzel çıkaracaktık.
- 'მენც რომ ჩვენთან ყოფილიყავი, გუშინდელ გასეირნებას უფრო მეტ გემოს ჩავატანდით.

Zeytin yağı gibi üste çıkar „ზეითუნის ზეთით ზევით ამოდის“ -
*მართალი გამოდის, მართლდება; ◇ სუფთად გამოდის,
პირნათლად გამოდის.
- Kabahat Ali'de olduğu halde herif gene zeytin yağı gibi suyun üstüne öyle bir çıkıverdi ki, üstelik polis kendisinden özür bile diledi.
- მიუხედავად იმისა, რომ ალი დამნაშავე იყო, ის ისე სწრაფად სუფთად გამოძვრა, რომ პოლიციელმა პატიებაც კი სთხოვა.

Zifoz atar ◇ „ტალახს (ლაფს) ისვრის“ - *შეურაცხყოფას აყენებს,
აშავეებს, ამცირებს, არცხვენს; ◇ ჩირქს სცხებს, პირშავად
გამოჰყავს, ლაფში (ტალახში) სვრის, ლაქას სცხებს.

Zihni açık ◇ „გახსნილი გონების (პატრონი)“ - *გონებაგახსნილი,
გონებამახვილი, გამჭრიახი, ჭკვიანი, გონიერი; ◇ ნათელი
გონების (პატრონი).

Zihni açıldı ◇ „გონება გაეხსნა“ - *გამოერკვა, აზროვნება დაიწყო;
◇ აზრზე მოვიდა, გონება გაუნათდა.
İlgilenince epey zihni açıldı.
როდესაც დაინტერესდა, გონება საკმაოდ გაეხსნა.

Zihni bulandı ◇ „გონება აემღვრა“ - *დაეჭკვდა; ◇ გონება აერიო.

Zihni darlığı ◇ „შეზღუდული გონებისა“ - *გონებაშეზღუდული,
გონებაწიუნგი.

- Zihni durdu** ◇ „გონება გაუჩერდა“ - *გაოგნდა, აზროვნების უნარი დაკარგა; ◇ ტვინი გაეყინა.
- Zihni kapalı oldu** ◇ „გონება დაეხშო“ - *აზროვნების უნარი წაერთვა, გაოგნდა, გაშეშდა; ◇ გონება გადაეკეტა.
 - Senin bugün herhalde **zihnin kapalı!** Üç saattir şu basit hesap meselesini bir türlü çözüp çıkaramadın.
 - დღეს, გონება ნამდვილად გადაგეკეტა! სამი საათია, რაც ეგ მარტივი არითმეტიკული ამოცანა ვერ ამოხსენი.
- Zihni karıştı** ◇ „გონება აერია“ - *დაიბნა, გაოგნდა; ◇ ტვინი აერია, თავგზა აებნა.
 - Rica ederim beni rahat bırak! Bugün **zihnim öyle karışık ki**, sana cevap yetiştirecek halde değilim.
 - გოხოვ, დამასვენე! დღეს ისე მაქვს გონება არეული, რომ პასუხის გაცემის თავი არა მაქვს.
- Zihninde kaldı** ◇ „გონებაში ჩარჩა“ - *დაამახსოვრდა; ◇ თავში (მეხსიერებაში) ჩარჩა.
- Zihninden çıkmaz** ◇ „გონებიდან არ ამოსდის“ - *არ ავიწყდება; ◇ თავიდან არ ამოსდის.
 Raif efendinin bir daha bu iskemleye oturmaması ve bu çekmeceyi bir daha açmaması ihtimali **zihninden çıkmıyordu**.
 გონებიდან არ ამომდიოდა აზრი იმის შესახებ, რომ ბატონი რაიფი აღარც ამ სკამზე დაჯდებოდა და აღარც ამ უჯრას გამოსწევდა.
- Zihnini açtı** ◇ „გონება გაუხსნა“ - *აზროვნების უნარი მიანიჭა (მისცა), მიახვედრა; ◇ გონება გაუნათა.
- Zihnini bulandırdı** ◇ „გონება აუმღვრია“ - *დააეჭვა.
- Zihnini çeldi** ◇ „გონება გაუმრუდა“ - *მოატყუა, შეაცდინა, დააბნია; ◇ თავგზა აუბნია.
- Zihnini oynattı** „ჭკუა შეუთამაშა“ - *გადარია, გაასუღელდა; ◇ ჭკუიდან გადაიყვანა.

Zihnini topladı ◇ „გონება მოიკრიბა“ - *აზროვნების უნარი დაიბრუნა, აზროვნება დაიწყო.

Ziller takip oynar „ზარს ჩამოიკიდებს და ცეკვავს“ - *სარობს, დაფრინავს, სიხარულით აღარ არის; ◇ ცალ ფეხზე ხტუნავს, მეშვიდე ცაზეა, ფრთებს ისხამს.

Zilsiz oynar *ob.:* **Ziller takip oynar.**

Zincirden boşandı „ჯაჭვიდან გათავისუფლდა“ - *(ძნელი საქმიდან) გათავისუფლდა, თავი დაიხსნა; ◇ ჯაჭვი გაწყვიტა, თავი აიწყვიტა.

Ali'nin nesi var Allahaşkına? Niçin böyle zincirden boşanmış gibi koşup duruyor?

- აღის, ნეტავ, რა დაემართა? ისე გარბის, თითქოს ჯაჭვი გაუწყვეტიაო.

Zokayı yuttu (yedi) *ჟარგ.* „ანკესი გადაყლაპა“ - *მოტყუვდა; ◇ ანკესზე წამოეგო.

O sonunda zokayı yutmuş.

ბოლოს ანკესზე წამოეგო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

Gürcüstan Bilimler Akademisi
Akademisyen G. Tsereteli Dođu Bilimler Enstitüsü

ეთერ მამულია

თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური

ლექსიკონი

ETER MAMULIA

TÜRKÇE - GÜRCÜCE DEYİMLER

SÖZLÜĞÜ

